

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
TECHNICAL UNIVERSITY OF GEORGIA  
ГРУЗИНСКИЙ ТЕХНИЧЕСКИЙ УНИВЕРСИТЕТ

---

---

ISSN 1512-0996

ჰ მ მ ა ძ ბ  
TRANSACTIONS  
Т Р У Д Ы

№2(472)



თბილისი – TBILISI – ТБИЛИСИ  
2009

## **სარედაქციო კოლეგია:**

ა. მოწონელიძე (თავმჯდომარე), ა. ფრანგიშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), ე. ელიზბარაშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), ქ. ქოქრაშვილი, ს. ესაძე, ი. ლომიძე, ალ. გრიგოლიშვილი, გ. სალუქაძე, მ. მაისურაძე, ტ. პატიოანი, ი. მშვენიერაძე, თ. ამბროლაძე, ჯ. ბერიძე, თ. ჯიშკარიანი, შ. ნემსაძე, თ. ომინაძე, უ. ზვიადაძე, ა. აბრალავა, ა. აბრალავა, მ. ჩხეიძე, ნ. გაბრიელიძე, დ. ნატროშვილი, ა. გიგინეიშვილი, ნ. ჯიბლაძე, ვ. კოპალეიშვილი, თ. გაბადაძე, ო. გელაშვილი, გ. აბრამიძე, თ. მეგრელიძე.

## **EDITORIAL BOARD:**

A. Motzonelidze (chairman), A. Prangishvili (vice-chairman), E. Elizbarashvili (vice-chairman), K. Kokrashvili, S. Esadze, I. Lomidze, A. Grigolishvili, G. Salukvadze, M. Maisuradze, T. Kvitsiani, I. Mshvenieradze, T. Ambroladze, J. Beridze, T. Jishkariani, Sh. Nemsadze, T. Lominadze, U. Zviadadze, A. Abshilava, A. Abralava, M. Chkheidze, N. Gabrichidze, D. Natroshvili, A. Gigineishvili, N. Jibladze, V. Kopaleishvili, T. Gabadadze, O. Gelashvili, G. Abramishvili, T. Megrelidze.

## **РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:**

А. Моцонелидзе (председатель), А. Прангишвили (зам. председателя), Э. Элизбарашивили (зам. председателя), К. Кокрашвили, С. Эсадзе, И. Ломидзе, Ал. Григолишвили, Г. Салуквадзе, М. Маисурадзе, Т. Квициани, И. Мшвениерадзе, Т. Амброладзе, Дж. Беридзе, Т. Джишкариани, Ш. Немсадзе, Т. Ломинадзе, У. Звиададзе, А. Абшилава, А. Абралава, М. Чхеидзе, Н. Габричидзе, Д. Натрошили, А. Гигинеишвили, Н. Джибладзе, В. Копалеишвили, Т. Габададзе, О. Гелашвили, Г. Абрамишвили, Т. Мегрелидзе.



საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2009

Publishing House “Technical University”, 2009

Издательский дом “Технический Университет”, 2009

<http://www.gtu.ge/publishinghouse/>



# შინაგასი

## სამშენებლო

ბ. გვასალია, ნ. ნატროშვილი. სვეტის ოპტიმალური განივი კვეთის გაანგარიშება.....	9
ა. ხაბეიშვილი. დინამიკურობის კოეფიციენტის განსაზღვრა სტატიკური გარე დატვირთვის გათვალისწინებით .....	15

## ენერგეტიკა და ტელეკომუნიკაცია

დ. ნანობაშვილი, ვ. ნანობაშვილი. შეცდომების კორექტირება მე-2 სახის პირების გადასაცემი კოდექსი .....	19
მ. მალრაძე, ე. ავლოხაშვილი, დ. გაბუნია. განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხები საქართველოში .....	24
ა. ასათიანი. აედაბობიური ურთიერთობის სახეები და ლიდერობის სტილი მიერჯონებში .....	27

## სამორ-გეოლოგია

გ. ლომსაძე, გ. ლობჟანიძე. ეპონომიკური რეზორმა საქართველოს სამორ მრეწველობაში .....	31
ი. გუჯაბიძე, რ. მუავანაძე, ზ. ლებანიძე. ბაბრატის ტაძრის ტექნიკური მდგრადირეობის კვლევა .....	36
ო. ლანჩავა, ზ. ლებანიძე. გვირაბებში სითბოსა და მასის ბადაცვის არასტაციონური კოეფიციენტების განსაზღვრის მრთი წესის შესახებ .....	40
უ. ზვიადაძე, მ. მარდაშვილი, დ. წუტკერაშვილი, ნ. ქიტიაშვილი. იბილისის ტერიტორიაზე სამშენებლო ძვაბულები მიზისკვეთა მყლების მოდინების შესახებ .....	45
მ. ჯაფარიძე. ოპრიბის ბარიტშიმცველი კვანძის ენდოგენური გამადენების ფორმირების სილრმე .....	51

## შიგიური ტექნოლოგია, მეტალურგია

გ. მჭედლიშვილი, ლ. გვასალია, ნ. ბარათელი. ტრაქიტების გადამუშავებით მიღებული კარბონატული სინარების აორიტლება-კრისტალიზაციის პროცესის ბამოკვლევა .....	54
გ. მიქაძე, ს. ყურაშვილი, ა. გორდეზიანი, ო. მიქაძე, ნ. მაისურაძე. 032012007 ლიტონების როლი Fe-Cr-Al სისტემის შენადნობების მხრივალგებების ფორმირებაში .....	58
გ. მიქაძე, ს. ყურაშვილი, ა. გორდეზიანი, ო. მიქაძე, ნ. მაისურაძე. ქრომის და ალუმინის ოქსიდების ფორმირებად მხრივალგებები შენადნობებზე წარმოქმნილი ფურჩის ზრდის მოწყობილობია .....	62

## არქიტექტურა, ურბანისტიკა, დიზაინი

გ. როყვა, მ. მილაშვილი. ვიტრაჟი მისი სახეობები და დამზადების ტექნიკა .....	66
--	----

## 06 ზორმატიდა, მართვის სისტემები

ა. კობიაშვილი, რ. ქუთათელაძე. ექსპერტული სისტემების გამოყენება დაკროხებულების დიაგნოსტირებისა და სინოეზისათვის .....	72
დ. კაპანაძე, თ. ჟვანია. ბიზნესაროვესების ავტომატიზაციის თანამედროვე სისტემები.....	77
გ. თოდუა. მხები სივრცის კონის - სტრუქტურის შესახებ .....	82

## სატრანსპორტო, მარხანათმჯენებლობა

ზ. ბალამწარაშვილი, თ. მჭედლიშვილი, ზ. ჩიტიძე, ი. გელაშვილი, მ. ლომიძე. სახები ჩარხის მიმყოლი მექანიზმის სისტემაში მიმოღის პროცესის კინემატიკა.....	86
ზ. ბალამწარაშვილი, თ. მჭედლიშვილი, ზ. ჩიტიძე, ი. გელაშვილი, ე. ქრისტესიაშვილი. როულკროფტიანი დეტალების დასამუშავებელი სახები ჩარხის მიმყოლი მექანიზმის კინემატიკური პლანები.....	89
გ. შარაშენიძე, მ. დოლიძე, ნ. მღებრიშვილი, ს. შარაშენიძე. ელექტრომატარებლის ძრავიანი ვაგონის რატიონალური სამუშაოების გერპეტული გადაცემა ხუდების ორმხრივი დარღვევი.....	92
გ. შარაშენიძე, პ. კურტანიძე, ს. შარაშენიძე, თ. ნადირაძე. ვაგონების სამუშაოები გერპეტული გადაცემების რატიონალური სქემების დამუშავებისა და შერჩევის მიზანებრივიღობის შესახებ .....	96
თ. მეგრელიძე, გ. გუგულაშვილი, ე. სადაღაშვილი. ბასაყინი სხეულის ვორმის გაცლენა გაყიდვის ხანგრძლივობაზე .....	100
გ. ხარიტონაშვილი, ე. ცერცეაძე. სატრანსპორტო საშუალების კონკურენციული რიცხვის შეფასების თეორიული საფუძვლები .....	104

## ჰუმანიტარულ-სოციალური

მ. აბუთიძე. ხელოვნების მუზეუმის დაცვის მიზანების ფერწერული მორთულობის პროგრამის მრთი ასპექტი .....	108
ე. გელოვანი. ილოკუციური აზტების კონტაქსტული ანალიზი თავაზიანი მიმართვის ფორმულების გამოყენებით მსახურ და ქართულ ენერგი .....	112
მ. გელოვანი. თხოვნის პირდაპირი და ირიგი სტრატეგიები ვერბალური კომუნიკაციის დროს .....	116
გ. იაშვილი, ა. მაკარიძე. მარკეტინგული სტრატეგია და მისი როლი რესტავრის აზოვის ქარხნის განვითარებაში .....	120
გ. ჯოლია, ნ. ჯოლია. „ზოგიერთი გადინების“ – ინტერმიბრაციის ტერმინის დაზუსტებისათვის .....	125
გ. ჯოლია. მეცნიერებისა და განათლების სინერგია – ინოვაციური ეკონომიკის განვითარების მძლავრი რესურსი .....	130

## ნაგებობების, სამცირეული სისტემებისა და საინირო უზრუნველყოფის ინსტიტუტი

ე. მექმარიაშვილი. დიდი ბასამდელი რეფლექტორული კოსმოსური ანტენის შექმნის მიღითადი პრიცეპები	
ავტორთა სამიერლი .....	151
ავტორთა საფურადლებო .....	152

# CONTENTS

## BUILDING

<b>B. Gvasalia, N. Natroshvili.</b> CALCULATION OF OPTIMUM CROSS-SECTION OF COLUMN .....	9
<b>A. Khabeishvili.</b> DEFINITION OF DYNAMIC COEFFICIENT WITH THE ACTION EXTERNAL STATIC FORCES .....	15

## ENERGETICS AND TELECOMMUNICATION

<b>D. Nanobashvili, V. Nanobashvili.</b> CORRECTION THE MISTAKES IN SECOND TYPE BIPULSE CODE.....	19
<b>M. Magradze, E. Avlokhashvili, D.Gabunia.</b> THE ISSUES PROVIDING QUALITY OF EDUCATION IN GEORGIA .....	24
<b>A. Asatiani.</b> PEDAGOGICAL RELATIONSHIP TYPES AND LEADERSHIP STYLE IN MANAGEMENT .....	27

## MINING AND GEOLOGY

<b>G. Lomsadze, G. Lobzhanidze.</b> ECONOMIC REFORM IN GEORGIAN MINING INDUSTRY .....	31
<b>I. Gujabidze, R. Mzhavanadze, Z. Lebanidze.</b> RESEARCH OF THE TECHNICAL CONDITION OF THE BAGRATI TEMPLE.....	36
<b>O. Lanchava, Z. Lebanidze.</b> ABPUT THE TECHNIQUE OF DEFINITION OF THE HEAT MASS TRANSFER NON-STATIONARY COEFFICIENTS IN MINE TUNNEL.....	40
<b>U. Zviadadze, M. Mardashova, D. Chutkerashvili, N. Kitiashvili.</b> ABOUT THE GROUND-WATER INFLOW INTO CONSTRUCTION PIT ON THE TERRITORY OF TBILISI.....	45
<b>M. Japaridze.</b> THE ENDOGENOUS ORE FORMATION DEPTH OF OKRIBA BARITE CONTAIN KNOT .....	51

## CHEMICAL TECHNOLOGY, METALLURGY

<b>M. Mchedlishvili, L. Gvasalia, N. Barateli.</b> STUDY OF EVAPORATION-CRYSTALLIZATION PROCESS OF CARBONATE SOLUTIONS RECEIVED FROM TRACHYTE PROCESSING.....	54
<b>G. Mikadze, S. Kurashvili, A. Gordeziani, O. Mikadze, N. Maisuradze.</b> THE ROLE OF RARE-EARTH METALS IN DEVELOPMENT OF HEAT-RESISTANCE Fe-Cr-Al SYSTEM ALLOYS .....	58
<b>G. Mikadze, S. Kurashvili, A. Gordeziani, O. Mikadze, N. Maisuradze.</b> THE SCALE GROWTH MORPHOLOGY ON HEAT-RESISTING ALLOYS FORMING OF CHROMIUM AND ALUMINIUM OXIDES.....	62

## ARCHITECTURE, URBANIZATION, DESIGN

<b>G. Rokva, M. Milashvili.</b> STAIND GLASS WINDOW, ITS TYPES AND TECHNIQUE FOR ITS PREPARATION .....	66
---	----

## INFORMATIC, MANAGING SYSTEMS

<b>A.Kobiashvili, R.Kutateladze.</b> USING AN EXPERT SYSTEM FOR DESIGN DIAGNOSIS AND SYNTHESIS .....	72
<b>D. Kapanadze, T. Zhvania.</b> MODERN SYSTEMS FOR AUTOMATION OF BUSINESS PROCESSES.....	77
<b>G. Todua.</b> ON F-STRUCTURES OF TANGENTIAL BUNCH OF THE SPACE Lm(Vn) .....	82

## **TRANSPORT, MECHANICAL ENGINEERING**

<b>Z. Balamtzarashvili, T. Mchedlishvili, Z. Chitidze, N. Gelashvili, M. Lomidze.</b> PROCESS KINEMATICS OF TRACKING IN WATCHING MECHANISM SYSTEM OF THE GRINDING MACHINE TOOL.....	86
<b>Z. Balamtzarashvili, T. Mchedlishvili, Z. Chitidze, N. Gelashvili, E. Qristesiashvili.</b> KINEMATIC RESEARCH OF THE MECHANISM OF TRACKING OF THE GRINDING MACHINE TOOL FOR PROCESSING OF DIFFICULT PROFILE DETAILS .....	89
<b>G. Sharashenidze, M. dolidze, N. Mgebrishvili, S. Sharashenidze.</b> OPTIMAL BRAKE RIGGING WITH TWO-WAY PRESSING OF SHOES OF THE ELECTRIC TRAIN MOTOR CAR .....	92
<b>G. Sharashenidze, P. Kurtanidze, S. Sharashenidze, T. Nadiradze.</b> ABOUT EXPEDIENCE OF CHOICE AND ELABORATION OF OPTIMAL SCHEMES OF RAIL-CARS BRAKING LEVER TRANSMISSIONS .....	96
<b>T.Megrelidze, G.Gugulashvili, E.Sadagashvili.</b> INFLUENCE OF BODY FORM ON THE LENGTH OF THE FREEZING .....	100
<b>V. Kharitonashvili, V. Tserتسвадзе.</b> THEORETICAL BOUNDATION OF AN ESTIMATION OF COMPETITIVENESS OF VEHICLES.....	104

## **THE HUMANITIES-SOCIAL**

<b>M. Abutidze.</b> A PARTICULAR ASPECT OF THE PROGRAMME OF PICTORIAL DECORATION OF THE PSALTER FROM THE GEORGIAN STATE MUSEUM OF ART .....	108
<b>E. Gelovani.</b> CONTRAST ANALYSIS OF ILLLOCATION ACTS ON THE BASE OF CLAUSES OF THE POLITE CONVERSATIONS IN SPANISH AND GEORGIAN LANGUAGES.....	112
<b>E. Gelovani.</b> DIRECT AND INDIRECT STRATEGIES OF SUPPLIANT FORMS BY THE VERBAL COMMUNICATION .....	116
<b>G. Iashvili, A. Makaridze.</b> MARKETING STRATEGY AND ITS ROLE IN DEVELOPMENT OF RUSTAVI'S "AZOTI" (FERTILIZER) FACTORY .....	120
<b>G. Jolia, N. Jolia.</b> DEFINITION OF "BRAIN DRAIN" INTERMIGRATION TERMINOLOGY.....	125
<b>G. Jolia.</b> SINERGY OF SCIENCE AND EDUCATION – AS A POWERFUL RESOURCE OF DEVELOPING INNOVATIVE ECONOMICS .....	130

## **INSTITUTE OF BUILDINGS, SPECIAL SYSTEMS AND ENGINEERING MAINTENANCE**

<b>E. Medzmariashvili.</b> THE BASIC PRINCIPLES OF CREATION OF THE LARGE DEPLOYABLE SPACE ANTENNA .....	135
---	-----

<b>AUTHORS INDEX .....</b>	151
<b>FOR AUTHORS ATTENTION .....</b>	152

# СОДЕРЖАНИЕ

## СТРОИТЕЛЬСТВО

<b>Б.А. Гвасалия, Н.Г. Натрошвили.</b> РАСЧЕТ ОПТИМАЛЬНОГО ПОПЕРЕЧНОГО СЕЧЕНИЯ КОЛОННЫ .....	9
<b>А.Д. Хабеишвили.</b> ОПРЕДЕЛЕНИЕ ДИНАМИЧЕСКОГО КОЭФФИЦИЕНТА С УЧЕТОМ СТАТИЧЕСКИХ ВНЕШНИХ НАГРУЗОК .....	15

## ЭНЕРГЕТИКА И ТЕЛЕКОММУНИКАЦИИ

<b>Д. В. Нанобашвили, В. В. Нанобашвили .</b> КОРРЕКЦИЯ ОШИБОК В БИИМПУЛЬСНОМ КОДЕ 2-ГО ВИДА .....	19
<b>М.Д. Маградзе, Е.Н. Авлохашвили, Д.Г. Габуния.</b> ВОПРОСЫ ОБЕСПЕЧЕНИЯ КАЧЕСТВЕННОГО ОБУЧЕНИЯ В ГРУЗИИ .....	24
<b>А.Ч. Асатиани.</b> ВИДЫ ПЕДАГОГИЧЕСКИХ ОТНОШЕНИЙ И СТИЛИ ЛИДЕРСТВА В МЕНЕДЖМЕНТЕ .....	27

## ГОРНОЕ ДЕЛО И ГЕОЛОГИЯ

<b>М. И. Ломсадзе, Г.З. Лобжанидзе.</b> ЭКОНОМИЧЕСКАЯ РЕФОРМА В ГОРНОЙ ПРОМЫШЛЕННОСТИ ГРУЗИИ .....	31
<b>И.К. Гуджабидзе, Р.В. Мжаванадзе, З.Б. Лебанидзе.</b> ИССЛЕДОВАНИЕ ТЕХНИЧЕСКОГО СОСТОЯНИЯ ХРАМА БАГРАТА.....	36
<b>О.А. Ланчава, З.Б. Лебанидзе.</b> ОБ ОДНОМ СПОСОБЕ ОПРЕДЕЛЕНИЯ НЕСТАЦИОНАРНЫХ КОЭФФИЦИЕНТОВ ТЕПЛОМАССООБМЕНА ДЛЯ ГОРНЫХ ВЫРАБОТОК .....	40
<b>У.И. Звиададзе, М.Л. Мардашова, Д.Г. Чуткерашвили, Н.З. Китиашвили.</b> К ВОПРОСУ О ПРИТОКЕ ПОДЗЕМНЫХ ВОД В СТРОИТЕЛЬНЫЕ КОТЛОВАНЫ НА ТЕРРИТОРИИ Г. ТБИЛИСИ .....	45
<b>М. М. Джапаридзе.</b> ГЛУБИНА ФОРМИРОВАНИЯ ЭНДОГЕННОГО ОРУДЕНЕНИЯ ОКРИБСКОГО БАРИТОНОСНОГО УЗЛА .....	51

## ХИМИЧЕСКАЯ ТЕХНОЛОГИЯ, МЕТАЛЛУРГИЯ

<b>М. И. Мchedlishvili, Л. Э. Гвасалия, Н. Д. Баратели.</b> ИЗУЧЕНИЕ ПРОЦЕССА ИСПАРЕНИЯ-КРИСТАЛЛИЗАЦИИ КАРБОНАТНЫХ РАСТВОРОВ, ПОЛУЧЕННЫХ ПРИ ПЕРЕРАБОТКЕ ТРАХИТОВ .....	54
<b>Г.О. Микадзе, С.Я. Курашвили, А.Г. Гордезиани, О.И. Микадзе, Н.И. Майсурладзе.</b> РОЛЬ РЕДКОЗЕМЕЛЬНЫХ МЕТАЛЛОВ В ФОРМИРОВАНИИ ЖАРОСТОЙКОСТИ СПЛАВОВ СИСТЕМЫ Fe-Cr-Al .....	58
<b>Г.О. Микадзе, С.Я. Курашвили, А.Г. Гордезиани, О.И. Микадзе, Н.И. Майсурладзе.</b> МОРФОЛОГИЯ РОСТА ОКАЛИНЫ НА ЖАРОСТОЙКИХ СПЛАВАХ, ФОРМИРУЮЩИХ ОКСИДЫ ХРОМА И АЛЮМИНИЯ.....	62

## АРХИТЕКТУРА, УРБАНИСТИКА, ДИЗАЙН

<b>Г.К. Роква, М.Т. Милашвили.</b> ВИТРАЖИ, ИХ ВИДЫ И ТЕХНИКА ИЗГОТОВЛЕНИЯ.....	66
---	----

## **ИНФОРМАТИКА, СИСТЕМЫ УПРАВЛЕНИЯ**

<b>А.А. Кобиашвили, Р.Г. Кутателадзе.</b> ПРИМЕНЕНИЕ ЭКСПЕРТНЫХ СИСТЕМ ДЛЯ ДИАГНОЗА И СИНТЕЗА ПРОЕКТИРОВАНИЯ.....	72
<b>Д.Ш. Капанадзе, Т.Г. Жвания.</b> СОВРЕМЕННЫЕ СИСТЕМЫ АВТОМАТИЗАЦИИ БИЗНЕС-ПРОЦЕССОВ .....	77
<b>Г.Ш.Тодуа.</b> О F-СТРУКТУРАХ КАСАТЕЛЬНОГО ПУЧКА ПРОСТРАНСТВА $Lm(Vn)$ .....	82

## **ТРАНСПОРТ, МАШИНОСТРОЕНИЕ**

<b>З.Г. Баламцарашивили, Т.Ф. Мchedлишвили, З.Д. Читидзе, И.Н. Гелашивили, М.А. Ломидзе.</b> КИНЕМАТИКА ПРОЦЕССА СЛЕЖЕНИЯ В СИСТЕМЕ СЛЕДЯЩЕГО МЕХАНИЗМА ШЛИФОВАЛЬНОГО СТАНКА .....	86
<b>З.Г. Баламцарашивили, Т.Ф. Мchedлишвили, З.Д. Читидзе, И.Н. Гелашивили, Э.Н. Кристесиашвили.</b> КИНЕМАТИЧЕСКОЕ ИССЛЕДОВАНИЕ МЕХАНИЗМА СЛЕЖЕНИЯ ШЛИФОВАЛЬНОГО СТАНКА ДЛЯ ОБРАБОТКИ СЛОЖНОПРОФИЛЬНЫХ ДЕТАЛЕЙ.....	89
<b>Г.С. Шарашенидзе, М.Г. Долидзе, Н.Н. Мгебришвили, С.Г. Шарашенидзе.</b> ОПТИМАЛЬНАЯ ТОРМОЗНАЯ РЫЧАЖНАЯ ПЕРЕДАЧА С ДВУСТОРОННИМ НАЖАТИЕМ КОЛОДОК МОТОРНОГО ВАГОНА ЭЛЕКТРОПОЕЗДА .....	92
<b>Г.С. Шарашенидзе, П.Р. Куртанидзе, С.Г. Шарашенидзе, Т.В. Надирадзе.</b> О ЦЕЛЕСООБРАЗНОСТИ ВЫБОРА И РАЗРАБОТКИ ОПТИМАЛЬНЫХ СХЕМ ТОРМОЗНЫХ РЫЧАЖНЫХ ПЕРЕДАЧ ВАГОНОВ .....	96
<b>Т.Я. Мегрелидзе, Г.Л. Гугулашвили, Э.З. Садагашвили.</b> ВЛИЯНИЕ ФОРМЫ ТЕЛА НА ПРОДОЛЖИТЕЛЬНОСТЬ ЗАМОРАЖИВАНИЯ.....	100
<b>В.А. Харитонашвили, В.З. Церцвадзе.</b> ТЕОРЕТИЧЕСКИЕ ОСНОВЫ ОЦЕНКИ КОНКУРЕНТОСПОСОБНОСТИ АВТОТРАНСПОРТНЫХ СРЕДСТВ .....	104

## **ГУМАНИТАРНО-СОЦИАЛЬНЫЕ НАУКИ**

<b>М.О. Абутидзе.</b> ОТДЕЛЬНЫЙ АСПЕКТ ПРОГРАММЫ ЖИВОПИСНОГО ДЕКОРА ПСАЛТЫРИ ИЗ ГОСУДАРСТВЕННОГО МУЗЕЯ ИСКУССТВ ГРУЗИИ.....	108
<b>Э.А. Геловани.</b> КОНТРАСТНЫЙ АНАЛИЗ ИЛОКАЦИОННЫХ АКТОВ ПРИМЕНЕНИЕМ ФОРМУЛ ВЕЖЛИВОГО ОБРАЩЕНИЯ В ИСПАНСКОМ И ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКАХ .....	112
<b>Э.А. Геловани.</b> ПРЯМЫЕ И КОСВЕННЫЕ СТРАТЕГИИ ПРОСИТЕЛЬНЫХ ФОРМ ПРИ ВЕРБАЛЬНОЙ КОММУНИКАЦИИ .....	116
<b>Г.И. Иашвили, А.Т. Макаридзе.</b> МАРКЕТИНГОВАЯ СТРАТЕГИЯ И ЕЕ РОЛЬ В РАЗВИТИИ РУСТАВСКОГО АЗОТНОГО ЗАВОДА.....	120
<b>Г.П. Джолия, Н.Г. Джолия.</b> К УТОЧНЕНИЮ ИНТЕРМИГРАЦИОННОГО ТЕРМИНА «УТЕЧКА УМОВ».....	125
<b>Г.П. Джолия.</b> СИНЕРГИЯ НАУКИ И ОБРАЗОВАНИЯ – СИЛЬНЕЙШИЙ РЕСУРС РАЗВИТИЯ ИННОВАЦИОННОЙ ЭКОНОМИКИ.....	130

## **ИНСТИТУТ СООРУЖЕНИЙ, СПЕЦИАЛЬНЫХ СИСТЕМ И ИНЖЕНЕРНОГО ОБЕСПЕЧЕНИЯ**

<b>Э.В. Медзмариашвили.</b> ОСНОВНЫЕ ПРИНЦИПЫ СОЗДАНИЯ БОЛЬШИХ РАЗВЕРТЫВАЕМЫХ РЕФЛЕКТОРНЫХ КОСМИЧЕСКИХ АНТЕНН.....	135
---	-----

<b>ПЕРЕЧЕНЬ АВТОРОВ .....</b>	151
<b>К СВЕДЕНИЮ АВТОРОВ .....</b>	152

**უაკ 539.3/.8****სცენტის ოპტიმალური განვითარების განვითარება****ბ. გვასალია\*, ნ. ნატროშვილი**

საინჟინრო მექანიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, ქოსტავას 77

E-mail: gvasbadal@posta.ge

**რეზიუმე:** განხილულია სვეტის განვითარების პარამეტრებისა და სვეტის გრძივი დუნვისას საანგარიშო წინაღობის შემამცირებელი კოეფიციენტის ოპტიმალური მნიშვნელობების განსაზღვრის ახალი მეთოდი, რომელიც ეყრდნობა ექსტრემულის მონაცემის შემთხვევით ძებნის ალგორითმს. შემუშავებულია, კომპიუტერული პროგრამების კომპლექსი, რომლებიც ინჟინერული თვალსაზრისით საჭირო სიზუსტით იძლევა ოპტიმალურ შედეგებს. აღნიშნული მიღღომა შესაძლებელია გამოყენებულ იქნას არა მარტო მართკუთხა კვეთის მქონე სვეტის ოპტიმალური პარამეტრების საანგარიშოდ, არამედ იმ შემთხვევებშიც, როდესაც კვეთებს ექნება კვადრატული, წრიული ან მილისებრი კონფიგურაციები.

**საკვანძო სიტყვები:** სვეტი; ოპტიმალური კვეთი; ექსტრემული; შემთხვევითი ძებნა; კომპიუტერული რეალიზაცია.

**1. შესავალი**

სვეტის ფართოდ იყენებენ, როგორც საყრდენ კონსტრუქციულ ელემენტს, კოჭებიანი მოედნების, სართულით შორისი გადახურვის, ესტაკადების, გზაგამტარების, მილსადენებისა და სხვა მრავალი დანიშნულების ობიექტები.

ამჟამად არსებობს მრავალი მეთოდი სვეტის გასაანგარიშებლად [1,2,3]. განვითარებული კვეთის შერჩევისას აუცილებელია მივიღოთ რაც შეიძლება ეკონომიური გადაწყვეტა, დატვირთვის სიდიდის გათვალისწინებით. არსებული მეთოდების უმეტესობა ძირითადად ეყრდნობა ხელით გაანგარიშებას. თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების არსებობამ მოითხოვა, ერთი მხრივ, არსებული მეთოდების კომპიუტერული რეალიზაცია და, მეორე მხრივ, ისეთი ალგორითმებისა და მეთოდების დამუშავება, სადაც გაანგარიშები მთლიანად შესრულდება კომპიუტერული პროგრამების მიერ.

წინამდებარე ნაშრომი მიძღვნილია სწორედ ასეთი საკითხების გადაჭრისადმი.

**2. ძირითადი ნაწილი****სვეტის განვითარების გაანგარიშება  
იტერაციული მეთოდით**


ვთქვათ, მოცემულია მართკუთხა განვითარების მქონე ფოლადის სვეტი [2], რომელიც ჩამატებულია ორივე ბოლოთი (ნახ.1.) სვეტის

სიგრძეა  $L$  და იკუმშება  $P$  ძალით. სვეტის განვითარების გეერდებს შორის არსებობს თანაფარდობა,  $b(i):h(i)=3:2$ . მოცემულია აგრეთვე კუმშვის დასაშვები ძაბვა  $R_y$ . ამოცანაა სვეტის სასურველი განვითარების შემთხვევა წინასწარ მოცემული სიზუსტით.

იტერაციული მეთოდით ამოცანის ამოხსნა გულისხმობის სვეტის განვითარების თანამიმდევრობით შერჩევას, რომლის დროსაც არ დაირღვევა მდგრადობის პირობა:

$$\sigma_p(i) = \frac{P}{\varphi(i)A(i)} \leq R_y \gamma_c, \quad (1)$$

სადაც  $\sigma_p(i)$  არის გასაანგარიშებელი (პირობითი) ძაბვა,  $A(i)$  – სვეტის განვითარების ფართობი,  $\varphi(i)$  – გრძივი დუნვისას საანგარიშო წინაღობის შემამცირებელი კოეფიციენტი, რომელიც აიღება [4]-ში მოცემული ცხრილიდან, რომლის ფრაგმენტი მოცემულია №1 ცხრილში,  $\gamma_c$  მუშაობის პირობების კოეფიციენტია, რომელიც ჩვენ შემთხვევაში მიჩნეულია 1-ის ტოლად, ე.ი  $\gamma_c = 1$ , ხოლო ი იტერაციის ნომერია.



ნახ.1. მართკუთხა განვითარების სვეტი.

განვიხილოთ ეს მეთოდი უფრო დაწვრილებით. მითითებული ცხრილიდან აიღებენ  $\varphi$ -ს ნებისმიერ მნიშვნელობას, მაგალითად  $\varphi(i) = \varphi(1)$  და განსაზღვრავენ მდგრამარეობის დასაშვებ ძაბვას, რომელიც ტოლი იქნება:

k	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18
დეროს მოქ- ნილო- ბის კოეფი- ცი- ციენტი $\lambda(k)$	0	10	20	30	40	50	60	70	80	90	100	110	120	130	140	150	160	170
ფო- ლადის მარ- გა.CT2. CT3. CT4 $\varphi(k)$	1	0.99	0.96	0.94	0.92	0.89	0.86	0.81	0.75	0.69	0.60	0.52	0.45	0.40	0.36	0.32	0.29	0.26

$$\sigma_y(i) = \varphi(i).R_y. \quad (2)$$

განსაზღვრავენ სვეტის განივი კვეთის ფარ-  
ობს (1) ფორმულიდან:

$$A(i) = \frac{P}{\sigma_{av}(i)}, \quad (3)$$

სადაც  $\sigma_{av}(i)$  არის ძაბვების მიმდინარე საშუ-  
ალო მნიშვნელობა, რომლის შესახებ დაპარაკი  
გვექნება ქვემოთ. საწყისი მომენტისათვის მისი  
მნიშვნელობა ტოლია  $\sigma_y(i)$ .

სვეტის განივი კვეთის ფარობი გამოითვლება  
აგრეთვე დამოკიდებულებიდან:

$$A(i) = b(i)h(i) = \frac{3}{2}h^2(i),$$

$$\text{საიდანაც } h(i) = \sqrt{\frac{2}{3}A(i)}.$$

ინერციის რადიუსი განისაზღვრება ფორმუ-  
ლით:

$$j(i) = \sqrt{\frac{I_x}{A(i)}} = \sqrt{\frac{b(i)h^3(i)}{12b(i)h(i)}} = \sqrt{\frac{h^2(i)}{12}}.$$

დეროს მოქნილობა  $\lambda'(i)$  განისაზღვრება  
ფორმულით:

$$\lambda'(i) = \frac{\mu \cdot \ell}{j(i)}, \quad (4)$$

სადაც  $\mu$  არის სიგრძის დაყვანის კოეფი-  
ციენტი და იგი ორივე ტოლოთი დამაგრებული  
დეროს შემთხვევაში აიდება 1/2-ის ტოლი.

დეროს მოქნილობის გაანგარიშებული კოე-  
ფიციენტით განისაზღვრება უკვე მითითებული  
№1 ცხრილის მიხედვით  $\varphi$  კოეფიციენტის  
ახალი მნიშვნელობა:

$$\varphi(i+1) = \varphi(i) - \frac{\varphi(k) - \varphi(k+1)}{10} [\lambda'(i) - \lambda(k)], \quad (5)$$

სადაც  $\lambda(k)$  დეროს მოქნილობის კოეფი-  
ციენტის k-ური მნიშვნელობაა.

$\varphi(i+1)$  კოეფიციენტის მიხედვით განისაზღვ-  
რება მდგრადობის დასაშვები ძაბვის ახალი  
მნიშვნელობა:

$$\sigma_y(i+1) = \varphi(i+1).R_y. \quad (6)$$

მოქმედი ძაბვა ტოლი იქნება:

$$\sigma(i) = \frac{P}{A(i)}, \quad (7)$$

განსხვავება პროცენტობით გამოითვლება  
ფორმულით:

$$\frac{\sigma_y^{(i+1)-\sigma(i)}}{\sigma_y^{(i+1)}} \cdot 100\% \leq 5\%. \quad (8)$$

თუ ეს უკანასკნელი აღმოჩნდება დასაშვები  
პროცენტის ფარგლებში (მაგალითად 5%), მაშინ  
იტერაციული პროცესი დამთავრებულად ჩაით-  
ვლება, წინაღმდეგ შემთხვევაში  $\varphi(i)$ - ს მიენი-  
ჭება  $\varphi(i+1)$  მნიშვნელობა, ე.ი.  $\varphi(i) = \varphi(i+1)$ ,  
ხოლო მიღებული ორი ძაბვიდან განისაზღვრება  
საშუალო  $\sigma_{av}(i+1) = \frac{\sigma_y^{(i+1)+\sigma(i)}}{2}$ , პროცესი დაი-  
წყება თავიდან და გაგრძელდება მანამ, სანამ  
არ დაკმაყოფილდება მოთხოვნილი პირობა (8).

იტერაციული პროცესის დამთავრების შემდეგ  
უნდა შემოწმდეს პირობა

$$\sigma_{cr} \leq \sigma_z, \quad (9)$$

ე.ი კრიტიკული  $\sigma_{cr}$  ძაბვა ნაკლები უნდა  
იყოს ზღვრულ  $\sigma_z$  ძაბვაზე ( $\sigma_z$  გარკვეული მარ-  
კის ფოლადისათვის განსაზღვრულია და წინას-  
წარად ცნობილი), რაც შეიძლება განხორ-  
ციელდეს ქვემოთ მოცემული ორნამიმდევრობით.

მდგრადობის პირობიდან გამომდინარე და-  
საშვები მკუმშავი ძალა

$$P_d = \sigma_y(i)A(i) = \varphi(i)R_yA(i)$$

კრიტიკული ძალა

$$P_{cr} = m.P_d = m.\sigma_y(i).A(i). \quad (10)$$

კრიტიკული ძაბვა გამოითვლება ფორმუ-  
ლით:

$$\sigma_{cr} = \frac{P_{cr}}{A(i)} = \frac{m \cdot \varphi(i) \cdot R_y \cdot A(i)}{A(i)} = m \varphi(i) \cdot R_y, \quad (11)$$

სადაც  $m$  არის მდგრადობის მარაგის კოეფიციენტი და გამოითვლება შემდეგნაირად:

$$m = \frac{\sigma_{cr}}{\varphi(i)R_y}. \quad (12)$$

№2 ცხრილში მოცემულია იტერაციული მეთოდის კომპიუტერით რეალიზაციის შედეგები

მოცემული კონკრეტული მაგალითისათვის:  $P=20\delta$ ,  $L=2\delta$ ,  $R_y = 1600 \text{ კგ/სმ}^2$ ,  $\sigma_z = 2200 \text{ კგ/სმ}^2$ .

იტერაციის ნომერი	კოეფიციენტი $\varphi(i) = x_1(i)$ მნიშვნელობა	განივი კვეთის სიგანგ $b(i) = x_2(i)$ (სმ)	განივი კვეთის სიმაღლე $h(i) = \frac{2}{3} \cdot x_2(i)$ (სმ)	განივი კვეთის ფართობი $A(i)$ (სმ <sup>2</sup> )	დეროს მოქ ნილობა $\lambda(i)$	ცხრილი 2
						მიზნის ფუნქციის მნიშვნელობა $\frac{(\sigma_y(i) - \sigma(i)) \cdot 100}{\sigma_y(i)} (%)$
1	1	4.330127	2.8867751	12.5	120	122.2222
2	0.45	5.085476	3.390317	17.24138	102.1763	24.44441
3	0.5825894	5.355252	3.570168	19.11915	97.02909	4.317034
4	0.6267332	5.411532	3.607688	19.52312	96.01998	0.699289
5	0.6358202	5.420952	3.613968	19.59115	95.85313	0.11321
6	0.6373218	5.422485	3.61499	19.60223	95.82603	0.01832661
7	0.6375657	5.422733	3.615156	19.60403	95.82164	0.00295528
8	0.6376052	5.422773	3.615182	19.60432	95.82093	0.000478623
9	0.6376116	5.422781	3.615187	19.60436	95.82081	0.000053845
10	0.6376128	5.422781	3.615187	19.60437	95.8208	0.000017948

იტერაციული მეთოდის ანალიზის შედეგად შეგვიძლია დაგასასვნათ, რომ მისი დირსება არის ის, რომ იგი არ იყენებს რთულ მათემატიკურ აპარატს, რაც ადვილად გასავაბს ხდის მას მომხმარებლისათვის. ასევე ადვილია მისი პროგრამული რეალიზაცია - ადვილად პროგრამირებადია.

მეთოდის ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ:

1. იგი იტერაციულია და არ არის მოცემული მისი კრებადობის მეაცვი მათემატიკური დასაბუთება. თუმცა ინტერიურად პროცესი კრებადი უნდა იყოს, რასაც ადასტურებს კომპიუტერით ჩატარებული გამოთვლები.

2. მეთოდი არ არის განკუთვნილი სვეტის განივი კვეთის ოპტიმალური პარამეტრების განსასაზღვრავად. მისი გამოყენებისას, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება მივიღოთ მხოლოდ პირველი დათვლის შედეგად მიღებული პარამეტრების გაუმჯობესებული გარიანტი და არა ოპტიმალური პარამეტრები.

3. მეთოდში იტერაციული პროცესის შეწყვეტის მიზნით გამოიყენება ძაბულის ორი მეზობელი მნიშვნელობის სხვაობის სიმცირე, რაც გლუვი ფუნქციის შემთხვევაში (და, განსაკუთრებით იმ ფუნქციების შემთხვევებში, რომელებსაც აქვთ უბან-უბან მუდმივი პიკერსიბრტყები) არ არის მიზანშეწონილი, რადგანაც იტერაციული პროცესი შეიძლება განერდეს უფრო ადრე, ვიდრე მიიღება სასურველი და, მით უფრო, ოპტიმალური პარამეტრები.

4. იტერაციული პროცესის დამთავრების შედეგ საჭიროა, დამატებით კიდევ შესრულდეს განაგარიშების ბოლო ეტაპი, ეგრეთ წოდებული

საკონტროლო გაანგარიშება. საკონტროლო გაანგარიშების შესრულების შემდეგ შესაძლებელია აღმოჩნდეს, რომ არ სრულდება პირობა (9), მაშინ გაურკვევები ხდება, თუ როგორ უნდა მოიქცეს მომხმარებელი და რა ღონისძიება უნდა გაატაროს კონკრეტულად, რათა გააუმჯობესოს გამოთვლების შედეგები.

აღნიშნული ნაკლოვანებებისაგან თავისუფალია ქვემოთ წარმოდგენილი მეთოდი, რომელიც ემყარება გლობალური ექსტრემუმის მონახვის შემთხვევითი ქების მეთოდს.

სვეტის განივი კვეთისა და  $\varphi$  კოეფიციენტის ოპტიმალური მნიშვნელობების განსაზღვრა

ზემოთ განხილული ამოცანა მცირე მოდიფიკაციის შემდეგ ადვილად დაიყვანება არაწრფივი დაპროგრამების ამოცანაზე, თუ შეზღუდვას დავადებოთ სვეტის განივი კვეთის ერთ-ერთ გვერდს, ვთქათ  $b$ -ს. რაც შეეხება  $\varphi$  კოეფიციენტს, მასზე ისედაც დადებულია შეზღუდვები. ზემოთ მოცემული №1 ცხრილიდან გამომდინარე, იგი იცვლება 0 – დან 1-ის ჩათვლით, ეს  $\varphi \in (0,1]$ . შეზღუდვები შეიძლება დავადოთ დეროს  $\lambda$  მოქნილობას და, აგრეთვე, მდგრადობის მარაგის თ კოეფიციენტს ე.ი. გვექნება:

$$0 < \varphi(i) \leq 1, \quad (13)$$

$$b_1 \leq b(i) \leq b_2, \quad (14)$$

$$\lambda_1 \leq \lambda \leq \lambda_2 \quad (15)$$

$$\frac{\sigma_{cr}}{\varphi(i)R_y} - m \geq 0, \quad (16)$$

სადაც  $b_1$  და  $b_2$  შესაბამისად არის სვეტის გა-

ნივი კვეთის ხ გვერდზე დადებული შეზღუდვის ზედა და ქვედა ზღვარი, ხოლო  $\lambda_1$  და  $\lambda_2$  – დეროს მოქნილობის ზედა და ქვედა ზღვარი.

$\lambda$  შეიძლება განისაზღვროს ორი გზით, ერთი იქნება მისი ზუსტი განსაზღვრა (4) ფორმულის თანახმად, რომელიც სათანადო გარდაქმნის შემდეგ ასე ჩაიწერება:

$$\lambda = \frac{\mu \cdot \ell}{j(i)} = \frac{3\sqrt{3} \cdot \mu \cdot \ell}{b(i)}, \quad (17)$$

ხოლო მეორე მხრივ ის შეიძლება განისაზღვროს №1 ცხრილის მიხედვით:

$$\lambda = \lambda(k) + (\varphi(k) - \varphi(i)) \cdot 10 / [\varphi(k) - \varphi(k+1)], \quad (18)$$

სადაც  $k$  განსაზრვავს №1 ცხრილში  $\lambda$ -სა და  $\varphi$ -ს განთავსების ნომერს, ხოლო  $i$  შემთხვევით არჩეული  $\varphi$ -ს ნომერია. არჩევანი ამ ორი ფორმულიდან არის უშალოდ კონსტრუქტორის არერგატივა.

მიზნის ფუნქციად მივიღოთ:

$$\psi(i) = |\sigma_p(i) - R_y| = \left| \frac{P}{\varphi(i) \cdot A(i)} - R_y \right|, \quad (19)$$

მაშინ ამოცანა ჩამოყალიბდება, როგორც არაწრფივი დაპროგრამების ამოცანა.

შემოვიდოთ აღნიშვნები:  $\varphi(i) = x_1(i)$ ,  $b(i) = x_2(i)$ . ამ უკანასკნელთა მნიშვნელობები ჩავთვალოთ შემთხვევით სიდიდეებად და შევიტანოთ (1) ფორმულაში, გვექნება:

$$\sigma_p(i) = \frac{3P}{2x_1(i)x_2^2(i)}. \quad (20)$$

მე - 20 გამოსახულების ჩასმა მე-19-ში მოგვცემს მიზნის ფუნქციის შემდეგ გამოსახულებას:

$$\psi(i) = \left| \frac{3P}{2x_1(i)x_2^2(i)} - R_y \right|. \quad (21)$$

უმცესივე ამის შემდეგ ოპტიმიზაციის ამოცანა შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

ვიპოვოთ  $x_1(i)$  და  $x_2(i)$  ცვლადების ის მნიშვნელობები, რომელთა დროსაც  $\psi(i)$  ფუნქცია მიიღებს მინიმალურ მნიშვნელობას (13,14,15 და 16) შეზღუდვების გათვალისწინებით.

$\psi(i)$  ფუნქციის მინიმალური მნიშვნელობის განსაზღვრისათვის გამოვიყენოთ ექსტრემულის მონახვის შემთხვევითი ძებნის მეთოდი [5]. ანალოგიური მიდგომები გამოიყენება აგრეთვე სხვადასხვა ტექნიკური ხასიათის ამოცანების გადასაწყვეტად [6,7].

ალგორითმი მუშაობს შემდეგნაირად:

1. წინასწარ განსაზღვრავენ საწყის მონაცემებს, ესაა:

ა) ამოცანის პირობიდან გამომდინარე მონაცემები  $P=20000$  კგ,  $\varphi(i)$ ,  $\lambda(i)$ ,  $R_y=1600\text{კგ}/\text{ს}^2$ ,  $\sigma_z=2200 \text{ კგ}/\text{ს}^2$ ,  $\lambda_1=92$ ,  $\lambda_2=96$ ,  $m \geq 1.35$ ,  $b_1=4.1$  სმ და  $b_2=6.15$  სმ.

ბ) შეზღუდვათა რაოდენობა  $M=7$  და საძიებელი ცვლადების რაოდენობა  $N=2$ .

გ) ჩასატარებელი ცვლების რაოდენობა  $S=10^6$  და თეორიულად შესაძლო მაქსიმალური რიცხვი, გოქვათ  $D=99000$ .

2. ციკლურად პროგრამის მიერ მოხდება საძიებელი ცვლადების შემთხვევითი მნიშვნელობების არჩევა, მათი ფორმირება წინასწარ მოცემული შეზღუდვების გათვალისწინებით და შეზღუდვათა მნიშვნელობების გამოთვლა.

ცხრილი 3

იტერაციის ნომერი –	გოგი- $\varphi(i) = x_1(i)$ მნიშვნელობა	განივი კვეთის სიგანე $b(i) = x_2(i)$	განივი კვეთის სიმაღლე $h(i) = \frac{2}{3} \cdot x_2(i)$	განივი კვეთის ფართობი $A(i)$	მდგრა- დობის მარაგის კოეფ- სი	დეროს მოქნი- ლობა $\lambda(i)$	მიზნის ფუნქციის მნიშვნე- ლობა $\psi(i)$
1	0.833041	5.553528	3.702352	20.56111	1.650579	93.56489	432.3385
2	0.660427	5.428033	3.618689	19.64236	2.081986	95.72808	58.25903
3	0.6049361	5.523695	3.682463	20.34081	2.272996	94.07023	25.37048
4	0.6194906	5.490804	3.660536	20.09928	2.219565	94.63373	6.255737
5	0.6278929	5.456161	3.63744	19.84646	2.189864	95.2346	4.949585
6	0.6227601	5.478972	3.652648	20.01276	2.207913	94.83809	4.730957
7	0.6325184	5.438817	3.625878	19.72048	2.17385	95.53829	3.390381
8	0.6323828	5.443747	3.629165	19.75625	2.174316	95.45176	0.830444
9	0.6077284	5.555163	3.703442	20.57323	2.262524	93.53735	0.375366
10	0.6370887	5.425104	3.616736	19.62117	2.158255	95.77979	0.054199
11	0.6206809	5.496184	3.664123	20.13869	2.215330	94.5411	0.038330
12	0.6063724	5.560676	3.707117	20.61408	2.267584	93.44461	0.024658
13	0.6124895	5.532889	3.688593	20.40858	2.244936	93.9139	0.005004
14	0.6366367	5.426941	3.617961	19.63446	2.159788	95.74736	0.002075
ოპტ. მნი- შვნ.	0.6366367	5.426941	3.617961	19.63446	2.159788	95.74736	0.002075

3. შემოწმდება შეზღუდვები და ყველა მათგანის შესრულების შემთხვევაში გამოითვლება საშუალებო  $LL$  ცვლადის მნიშვნელობა, წინააღმდეგ შემთხვევაში პროგრამა უბრუნდება მე-2 კუნქტის შესრულებას.

4. შემოწმდება  $LL=M$  პირობა. მისი შესრულების შემთხვევაში (21) ფორმულით გამოითვლება მიზნის  $\Psi(i)$  ფუნქციის მნიშვნელობა.

5. შემოწმდება  $\Psi(i) < D$  პირობა. თუ ეს პირობა შესრულდა, მაშინ  $D=\Psi(i)$  და დაიბეჭდება №3 ცხრილის მთელი სტრიქონი. წინააღმდეგ შემთხვევაში მართვა გადაეცემა პროგრამის მე-2 კუნქტს. ეს პროცესი გაგრძელდება ციკლურად მანამ, სანამ ციკლი არ შესრულდება S-ჯერ.

6. შედეგად მიიღება მიზნის ფუნქციის გლობალური მინიმუმის მნიშვნელობა და საბოლოოდ დაიბეჭდება საძიებელ სიდიდეთა ოპტიმალური მნიშვნელობები, რომელიც მოცემულია №3 ცხრილის ბოლო სტრიქონში. თუ გლობალური მინიმუმების რაოდენობა იქნება ერთზე მეტი, მაშინ პროგრამა უზრუნველყოფს მათ გამოყოფას და გაანალიზებას.

№3 ცხრილში მოცემულია გასაანგარიშებელი პარამეტრების ცვლილების დინამიკა მიზნის ფუნქცის მინიმალური მნიშვნელობისკენ მისწრაფების პროცესში.

### 3. დასკვნა

დამუშავებულია სვეტის განივი კვეთის პარამეტრებისა და სვეტის გრძივი დუნგისას საანგარიშო წინაღობის შემამცირებელი კოეფიციენტის ოპტიმალური მნიშვნელობების განსაზღვრის მეთოდი მოცემული დატვირთვის გათვალისწინებით. ამოცანა წარმოდგენილია როგორც არაწრფივი დაპროგრამების ამოცანა და მიზნის ფუნქციის მინიმალური მნიშვნელობის განსასაზღვრავად გამოყენებულია ექსტრემუმის მონახვის შემთხვევითი ძებნის მეთოდი. ამ მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია ვიანგარიშოთ სვეტის კვეთების ოპტიმალური პარამეტრები მდგრადობის მოცემული მარაგის გათვალისწინებით. გარდა ამისა, პროგრამულად რეალიზებულია სვეტის განივი კვეთის პარამეტრების

განსაზღვრის იტერაციული მეთოდი. კომპიუტერზე ჩატარებულია ექსპრიმენტები და დამუშავებულია პროგრამების კომპლექსი, რომლებიც ინიცირებული თვალსაზრით საჭირო სიზუსტით იძლევიან შედეგებს. აღნიშნული მიღორმა შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევებშიც, როდესაც სვეტის კვეთებს ექნება კვადრატული, წრიული და მიღისებრი ფორმები, ხოლო მეთოდის მცირეოდენი მოდიფიკაციის შემთხვევაში მისი გამოყენება შეიძლება სხვა, უფრო რთული კონფიგურაციის მქონე სგატების კვეთების შემთხვევაშიც.

### ლიტერატურა

1. Кудишин Ю.И., Беления В.С, и др. Металлические конструкции. Учебник для студ. высш. учеб. заведений. Издательский центр “Академия”, 2007.- 688 с.
2. Морозов А.М. Сопротивление материалов. Учебно-методическое пособие по решению типовых задач. Москва: Высшая школа, 1961.-168с.
3. Металлические конструкции / Под общей редакцией Стрелицкого Н.С. Москва: Государственное издательство литературы по строительству, архитектуре и строительным материалам, 1961.- 641с.
4. Королев П.Г. Сопротивление материалов. справочник по расчетно-проектировочным работам. Киев, 1974.- 342с.
5. Геминтер В.И., Каган Б.М. Методы оптимального проектирования. Москва: Энергия, 1980.- 360 с.
6. ჯიბლაძე, თ. იმედაძე და სხვა. გეომეტრიული დაპროგრამების ამოცანების გადაწყვეტა სიმძიმის ცენტრების მეთოდის გამოყენებით. სტუ-ის შრომები მართვის ავტომატიზებული სისტემები. №2(5), 2008, გვ. 36-41.
7. 6. ჯიბლაძე, ლ. გაჩერილაძე და სხვა. გლობალური ოპტიმიზაციის მეთოდების ეფექტურობის ექსპრიმენტული შეფასება. სტუ-ის შრომები მართვის ავტომატიზებული სისტემები, №1(4), 2008. გვ. 46-51.

**UDC 539.3/.8**

### CALCULATION OF OPTIMUM CROSS-SECTION OF COLUMN

**B. Gvasalia, N. Natroshvili**

Department of engineering mechanics, Technical University of Georgia, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** It is devised a new method of determination of optimum parameters of cross-section of column and of coefficient of tension decrease at longitudinal curve. To find the extremum of function of variables there is used a method of on accidental search in the work.

**Key words:** Column; optimum of cross-section; method of accidental search; computer realization.

**УДК 539.3/.8**

**РАСЧЕТ ОПТИМАЛЬНОГО ПОПЕРЕЧНОГО СЕЧЕНИЯ КОЛОННЫ**

**Гвасалия Б.А., Натрошивили Н.Г.**

Департамент инженерной механики, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Разработан новый метод определения оптимальных параметров поперечного сечения колонны и коэффициента уменьшения напряжения при продольном изгибе. Для нахождения экстремума функций многих переменных в работе использован метод случайного поиска.

**Ключевые слова:** колонна; оптимальное сечение; случайный поиск; экстремумы; компьютерная реализация.

გეგმვის თარიღი 16.01.09  
მიღებულია დანაბეჭდით 20.02.09

**უაგ 624.04**

**დინამიკურობის კოეფიციენტის განსაზღვრა სტატიკური გარე  
დატვირთვის გათვალისწინებით**

**ა. ხაბეიშვილი**

საინჟინრო მექანიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175,  
თბილისი, ქოსტავას 77

E-mail: ninoxabi@yahoo.com

**რეზიუმე:** მიღებულია დინამიკურობის კოეფიციენტის საანგარიშო ფორმულა, როდესაც დონამიკური დატვირთვის გათვალისწინებით გარე დალები. ნაჩვენებია, რომ  $K_{\varphi} = 1 + \sqrt{1 + \frac{2(H \pm f_k)}{Y_{b\delta}}}$

საანგარიშო ფორმულის გამოყენებით დადგნილი დინამიკური ძაბვები საგრძნობლად განსხვავდება ცნობილი დინამიკურობის კოეფიციენტით განსაზღვრული ძაბვებისაგან.

**საკვანძო სიტყვები:** დინამიკურობის კოეფიციენტი; ცნობილი დარტყმა.

**1. შესავალი**

გარდნილი სხეულის დარტყმითი ძალის სიდიდე [1]:

$$P_{\varphi}(t) = ma(t) = \frac{Q}{g}a(t), \quad (1)$$

სადაც  $P_{\varphi}(t)$  არის დინამიკური ძალა;  $m$  –

გარდნილი სხეულის მასა;  $a(t)$  – გარდნილი სხეულის აჩქარება დარტყმულ სხეულთან შეხების შემდეგ.

(1)-ით დინამიკური ძალის სიდიდის განსაზღვრა მეტად მნელია, რადგან არ არის ცნობილი დრო, რომლის განმავლობაშიც მოძრავი სხეულის სიჩქარე მაქსიმალური მნიშვნელობიდან (დარტყმის დასაწყისი) მცირდება ნულამდე დარტყმული სხეულის დეფორმაციის შემდეგ (დარტყმის დასასრული).

დონებად სისტემაში დარტყმითი ძალის გავლენით წარმოქმნილი დინამიკური ძაბვის დადგენა ხდება ენერგეტიკული მეთოდით, რომელიც დაფუძნებულია ენერგიის მუდმივობის კანონზე. მიღებული დინამიკურობის კოეფიციენტის საშუალებით შეგვიძლია განვისაზღვროთ მექანიკური და გეომეტრიული მახასიათებლები [2], [3]:

$$\begin{aligned} \sigma_{\varphi} &= k_{\varphi} \cdot \sigma_{b\delta}, \quad \tau_{\varphi} = k_{\varphi} \tau_{b\delta}; \\ M_{\varphi} &= k_{\varphi} \cdot M_{b\delta}, \quad Y_{\varphi} = k_{\varphi} Y_{b\delta}; \end{aligned} \quad (2)$$

სადაც  $\sigma_{\varphi}$ ,  $\tau_{\varphi}$ ,  $M_{\varphi}$ ,  $Y_{\varphi}$  სიდიდეები არის დინამიკური მახასიათებლები;

$\sigma_{b\delta}$ ,  $\tau_{b\delta}$ ,  $M_{b\delta}$ ,  $Y_{b\delta}$  – სტატიკური მახასიათებლები;

$k_{\varphi}$  დინამიკურობის კოეფიციენტია.

დინამიკურობის კოეფიციენტის საანგარიშო ზოგადი ფორმულა ცნობილური დარტყმის დროს, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სტატიკური გარე ძალები, ცნობილი არ არის.

**2. ძირითადი ნაწილი**

განვიხილოთ ნებისმიერი სტატიკური გარე ძალებით დატვირთული კოჭი, რომელზეც  $H$  სიმაღლიდან  $Q$  ტვირთული უცემა. გარე ძალებით გამოვეული ღუნი  $Q$  ტვირთის დაცემის წერტილში დარტყმის მიმართულებით აღვნიშნოთ  $f_k$ -თი, მაშინ  $Q$ -ს მიერ შესრულებული მუშაობა:

$$A = Q(H + Y_{\varphi} \pm f_k), \quad (3)$$

სადაც  $Y_{\varphi}$  არის დარტყმის წერტილში დინამიკური ღუნი.

როდესაც  $f_k$  ღუნი ემთხვევა  $Y_{\varphi}$ -ის მიმართულებას, გვექნება ნიშანი „პლიუს“, ხოლო პირიქით – „მინუს“.

დარტყმის წერტილში მოვდოთ ძალა  $Q_{b\delta} = Q$  და დარტყმის მიმართულებით ღუნი აღვნიშნოთ  $Y_{b\delta}$ -ით. მუშაობის ურთიერთობის თეორემის (გების თეორემა) საფუძველზე გვექნება:

$$P_{\varphi} \cdot Y_{b\delta} = Q_{b\delta} \cdot Y_{\varphi} \quad \text{ანუ} \quad P_{\varphi} = \frac{Q_{b\delta} \cdot Y_{\varphi}}{Y_{b\delta}}. \quad (4)$$

კლასიკურნის თეორემის მიხედვით დეფორმაციის პოტენციური ენერგია დარტყმისას გამოისახება ფორმულით [1]:

$$U_{\varphi} = \frac{P_{\varphi} \cdot Y_{\varphi}}{2}. \quad (5)$$

(4) გავითვალისწინოთ (5)-ში, მივიღებთ:

$$U_{\varphi} = \frac{Q_{b\delta} \cdot Y_{\varphi}^2}{2Y_{b\delta}}. \quad (6)$$

თუ სისტემა, მასზე მოქმედი გარე დატვირთვებით წონასწორობაშია, მაშინ ენერგიის მუშაობის კანონის საფუძველზე, გარე და შიგა ძალების მიერ შესრულებული მუშაობები ერთმანეთის ტოლია [2]:

$$A = U_{\varphi} \quad \text{ანუ} \quad Q(H + Y_{\varphi} \pm f_k) = \frac{Q_{b\delta} \cdot Y_{\varphi}^2}{2Y_{b\delta}}, \quad (7)$$

(7) ჩავწეროთ კვადრატული განტოლების სახით:

$$Y_{\text{ღ}}^2 - 2Y_{\text{b}\delta} \cdot Y_{\text{ღ}} - 2Y_{\text{b}\delta} (H \pm f_k) = 0$$

მისი ამონასნი იქნება:

$$Y_{\text{ღ}} = Y_{\text{b}\delta} \pm Y_{\text{b}\delta} \sqrt{1 + \frac{2(H \pm f_k)}{Y_{\text{b}\delta}}}.$$

ფესვის წინ ნიშანი „მინუსი“ არ შეესაბამება ამოცანის ფიზიკურ მხარეს ( $Y_{\text{ღ}} > Y_{\text{b}\delta}$ ), ამიტომ დავტოვოთ მხოლოდ „პლუსის“, ე.ი. მივიღებთ:

$$Y_{\text{ღ}} = Y_{\text{b}\delta} \left( 1 + \sqrt{1 + \frac{2(H \pm f_k)}{Y_{\text{b}\delta}}} \right). \quad (8)$$

ვინაიდან  $Y_{\text{ღ}} = k_{\text{ღ}} Y_{\text{b}\delta}$ , (8)-ში ფრჩხილებში მო-  
თავსებული გამოსახულება იქნება დინამიკურო-  
ბის კოეფიციენტის:


$$K_{\text{ღ}} = 1 + \sqrt{1 + \frac{2(H \pm f_k)}{Y_{\text{b}\delta}}}. \quad (9)$$

(9) არის დინამიკურობის კოეფიციენტის გა-  
მოსათვეული ფორმულა გარე სტატიკური დატ-  
ვირთვების გათვალისწინებით. მისი გამოყენება  
შესაძლებელია გრძივი დარტყმის დროსაც.  
შეიცვლება მხოლოდ  $f_k = \Delta\ell_k$  და  $Y_{\text{b}\delta} = \Delta\ell_{\text{b}\delta}$ .

$\Delta\ell_k$  არის გარე სტატიკური დატვირთვებით  
გამოწვეული აბსოლუტური წაგრძელება (დამო-  
კლება) დარტყმის წერტილში დარტყმის მიმარ-  
თულებით.

$\Delta\ell_{\text{b}\delta}$  – გარდნილი ტვირთის წონის ტოლი  
სტატიკური ძალით (მოდებული დარტყმის წერ-  
ტილში) გამოწვეული აბსოლუტური წაგრძელება  
(დამოკლება) ძალის მოქმედების მიმართულებით.

**გაპალითი.** მოცემულია მუდმივი სისტემის  
( $EI = \text{const}$ ) მქონე ორ საყრდენზე თავისუფლად  
მდებარე კონსოლის კოჭი, რომელზედაც მოქ-  
მედებს გარე სტატიკური ძალები ( $P=2\delta$ ,  $M=2\delta \cdot \delta$ ).  
კონსოლის ბოლოზე  $H=5\delta$  სიმაღლიდან ეცემა  
თავისუფლად ვარდნილი ტვირთი  $Q=100\delta$  (ნახ.  
1, ა). განვსაზღვროთ დინამიკური ნორმალური  
ძაბვები და მაქსიმალური სორმალური სრული  
ძაბვა ახალი და არსებული დინამიკურობის  
კოეფიციენტის ფორმულით, თუ  $a=1\delta$  და განვი-  
კვეთოთ მართვული დანართი  $(32 \times 6)\delta\delta^2$  ( $I=576\delta\delta^4$ ,  
 $W=192\delta\delta^3$ ,  $E=2 \cdot 10^6$  კგ/სმ<sup>2</sup>,  $[\sigma] = 1600$  კგ/სმ<sup>2</sup>).



### ნახ.1

**ამონა:** საწყისი პარამეტრების მეთოდით [4],  
გარე სტატიკური ძალებით „K“ პვეთის დუნი  
 $f_k = 1,45 \text{ სმ}$ , ხოლო იმავე პვეთის დუნი  $Q_{\text{b}\delta} = Q$   
ძალით ტოლია  $Y_{\text{b}\delta} = 0,145 \text{ სმ}$ .

დინამიკურობის კოეფიციენტი ვიანგარიშოთ  
(9) ფორმულით, გვექნება:

$$K_{\text{ღ}} = 1 + \sqrt{1 + \frac{2(H \pm f_k)}{Y_{\text{b}\delta}}} = 1 + \sqrt{1 + \frac{2(5+1,45)}{0,145}} = 10,49.$$

ნახ. 1, ბ და გ ეპიურებიდან ჩანს, რომ საში-  
ზო პვეთი არის „B“, სადაც  $M_{\text{b}\delta}^B = 2 \delta \cdot \delta$ ,

$M_{\text{დ}}^B = 0,1K_{\text{დ}} = 1,049$  ტ.მ. ნორმალური ძაბვის საანგარიშო ფორმულას აქვს სახე [5]:

$$\sigma = \frac{M}{W}.$$

მაქსიმალური დინამიკური ძაბვა:

$$\max \sigma_{\text{დ}} = \frac{M_{\text{დ}}^B}{W} = \frac{1,049 \cdot 10^5}{192} = 546 \text{ კგ/ცმ}^2.$$

არსებული ცნობილი ფორმულით დინამიკურობის კოეფიციენტი:

$$K_{\text{დ}}' = 1 + \sqrt{1 + \frac{2H}{Y_{\text{ს}}}} = 1 + \sqrt{1 + \frac{2 \cdot 5}{0,145}} = 9,36 \text{ და}$$

$$M_{\text{დ}}' = 0,936 \text{ ტ.მ.}$$

მაშასადამე, დინამიკური ძაბვა:

$$\max \sigma_{\text{დ}}' = \frac{0,936 \cdot 10^5}{192} = 488 \text{ კგ/ცმ}^2.$$

განსხვავდება მიღებულ დინამიკურ ძაბვებს შორის არის:

$$\frac{\sigma_{\text{დ}} - \sigma_{\text{დ}}'}{\sigma_{\text{დ}}} \cdot 100\% = \frac{546 - 488}{546} \cdot 100\% \approx 10,6\%.$$

მაქსიმალური მღენავი მომენტი  $M_{\text{მაქ}}^B = M_{\text{ს}}^B + M_{\text{დ}}^B = 2 + 1,049 = 3,049$  ტ.მ., ამიტომ მაქსიმალური ნორმალური სრული ძაბვა

$$\max \sigma = \frac{M_{\text{მაქ}}}{W} = \frac{0,049 \cdot 10^5}{192} =$$

$$= 1588 \text{ კგ/ცმ}^2 < [\sigma] = 1600 \text{ კგ/ცმ}^2.$$

განსხვავდება  $0,75\% < 5\%-ზე$ , ე.ო. მოცემული კოჭი მტკიცება.

### 3. დასკვნა

1. გარე სტატიკური დატვირთვებით გამოწეული გადაადგილების გათვალისწინებით გამოყვანილი დინამიკურობის კოეფიციენტის საანგარიშო ფორმულა უფრო ზუსტად ასახავს ფიზიკურ სინამდვილეს. 2. მიღებული ფორმულით განსაზღვრული დინამიკური ძაბვები საგრძნობლად განსხვავდება ცნობილი დინამიკურობის კოეფიციენტით განსაზღვრული ძაბვებისაგან. 3. ზოგიერთი საინჟინრო პრაქტიკული ამოცანის გადაწყვეტისას უნდა გამოვიყენოთ ახალი დინამიკურობის კოეფიციენტის საანგარიშო ფორმულა.

### ლიტერატურა

1. Писаренко Г.С., Агарев В.А., Квитка А.Л., Попков В.Г., Уманский Э.С. Сопротивление материалов. Киев: Головное издательство объединения «Высшая школа», 1986, с. 691, 385-390.
2. Anzor Khabeishvili, Tamaz Batzikadze. Résistance des matériaux. Editions «l'Université technique», Tbilisi, 1998, p. 319.
3. Песик С.П. Справочник по сопротивлению материалов. Киев: Будівельник, 1982, с. 226-230.
4. Вольмир А.С., Григорьев Ю.П., Коданев А.И., Марин В.А., Новицкий В.В. Сборник задач по сопротивлению материалов. Москва: Наука. Главная редакция физико-математической литературы, 1984. 257 с.
5. Буланов В.Е., Гузачев А.Н. Сопротивление материалов. Тамбов: Издательство ТГТУ, 2004, с.40-41.

## UDC 624.04

## DEFINITION OF DYNAMIC COEFFICIENT WITH THE ACTION EXTERNAL STATIC FORCES

A. Khabeishvili

Department of engineering mechanics, Technical University of Georgia, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** The article provides deduction of the formula for calculation of dynamic factor, when a free falling object falls on the elastic system from specific altitude and external static forces operate. Dynamic and maximum normal

stresses, determined using the received calculation formula  $K_d = 1 + \sqrt{1 + \frac{2(H \pm f_k)}{Y_{st}}}$  significantly differ from

stresses determined according to existing dynamic.

**Key words:** dynamic coefficient; central strike.

УДК 624.04

## ОПРЕДЕЛЕНИЕ ДИНАМИЧЕСКОГО КОЭФФИЦИЕНТА С УЧЕТОМ СТАТИЧЕСКИХ ВНЕШНИХ НАГРУЗОК

**Хабеишвили А.Д.**

Департамент инженерной механики, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Получена расчетная формула динамического коэффициента 
$$K_d = 1 + \sqrt{1 + \frac{2(H \pm f_k)}{Y_{cm}}}$$
 с учетом

статических внешних нагрузок, когда на упругую систему падает груз. Показано, что динамические напряжения, которые получены при помощи этой и известной формулы динамических коэффициентов, существенно отличаются друг от друга.

**Ключевые слова:** коэффициент динамичности; центральный удар.

შემოსვლის თარიღი 27.01.09  
მიღებულია დანაბეჭდით 05.02.09

**შაპ 621. 372. 8****შეცდომების პროცესირება მე-2 სახის ბინარულსურ კოდში****დ. ნანობაშვილი\*, ვ. ნანობაშვილი**ტელეკომუნიკაციის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175,  
თბილისი, ქოსტავას 77

E-mail: support@gtc.ge

**რეზიუმე:** განხილულია მე-2 სახის ბინარულსურ კოდში შეცდომების კორექტირების შესაძლებლობები. აღნიშნული კოდისათვის მისადაგებულია შეცდომების კორექტირების მეთოდი, რომელიც შემოთავაზებულია 3B4B კლასის კოდისათვის [1]. ნაჩვენებია, რომ მისი გამოყენება უზრუნველყოფს შეცდომების აღმოჩენას მე-2 სახის ბინარულსურ კოდში 1-ის ტოლი ალბათობით მათი ნებისმიერი რაოდენობის დროს. კოდურ კომბინაციაში ერთი, მიმდევრობით განლაგებული ორი და ნებისმიერად განლაგებული სამი სიმბოლოს დაზიანებისას – კორექტირებას 1-ის ტოლი ალბათობით, ხოლო ორი არამიმდევრობით განლაგებული სიმბოლოს დაზიანებისას – კორექტირებას 0,33 ალბათობით.

**საკვანძო სიტყვები:** მე-2 სახის ბინარულსური კოდი; შეცდომა; კორექტირება; ალბათობა.


**1. შესავალი**

ტელეკომუნიკაციის ციფრული სისტემების მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლების უზრუნველყოფის ერთ-ერთი წინაპირობა არის გადასაცემი სიგნალის პარამეტრების ხაზის მახასია-

თებლებთან მაქსიმალურად შეთანხმება. ამ თვალსაზრისით ბოლო გადამცემ მოწყობილობაში ფორმირებული იქმ სიგნალი ოპტიმალური არ არის, ამიტომ, როგორც წესი, მისი ხაზში გადაცემა უშუალოდ არ ხდება – მას გარდაქმნიან ამა თუ იმ ტიპის სახაზო სიგნალად (კოდად), რომლის პარამეტრები შეესაბამება ხაზის მახასიათებლებს [2].

დღეს ცნობილია ტელეკომუნიკაციის ბოჭკოვან-ოპტიკურ სისტემებში გამოყენებული სახაზო სიგნალების მრავალი სახესხვაობა, რომელთა შორის მნიშვნელოვანი აღგილი უჭირავს ბინარულსურ კოდებს [2]. ამ კოდებში შეტანილი სიჭარების ხარჯზე მათ უნდღება ისეთი დადებითი თვისებები, როგორიცაა სახაზო შეცდომის კონტროლის შესაძლებლობა, მუდმივი მდგრებლის არარსებობა ენერგეტიკულ სპექტრში და სხვ. ბინარულსური კოდების კლასს მიეკუთვნება მე-2 სახის ბინარულსური კოდი, რომელსაც, ზემოთ აღნიშნულ უპირატესობებთან ერთად, კიდევ ერთი დადებითი თვისება აქვს – ენერგეტიკული სპექტრის ვიწრო ზოლი.

მე-2 სახის ბინარულსური კოდის ფორმირების პრინციპი ნაჩვენებია 1-ლ სურათზე [2].



საწყისი ორდონიანი სიგნალის (ნახ.1,ა) ტაქტის  $T$  ინტერვალის ხანგრძლივობის „1“ და „0“ სიმბოლოები გამოისახება შესაბამისად ასეთივე ხანგრძლივობის 10 და 01 კომბინაციებით ანუ ბლოკებით (ნახ.1,ბ), მაგრამ ისე, რომ ტაქტის ინტერვალებზე მორიგეობით ფორმირდება ორი მეზობელი ბლოკის პირველი და მეორე სიმბოლოები, ე.ი. ერთი და იმავე ბლოკის სიმბოლოები დროში ერთმანეთისგან დაძრულია  $T/2$  ინტერვალით.

როგორც ფორმირების ალგორითმის ანალიზი გვიჩვენებს, იგი ფაქტობრივად წარმოადგენს საწყისი სიგნალის ორთანრიგა ბლოკების გარდაქმნას ოთხთანრიგა ბლოკებად შემდეგი შესაბამისობებით:

$$00 \rightarrow 0011; 01 \rightarrow 0110; 11 \rightarrow 1100; 10 \rightarrow 1001.$$

აღნიშნული ოთხთანრიგა ბლოკები (0011, 0110, 1100 და 1001) მე-2 სახის ბინარულსური კოდის დასაშვები კომბინაციებია.

ზემოთ ნათქვამი იყო, რომ სიჭარბის შემცველი კოდების ერთ-ერთი უპირატესობა არის ხაზში შეცდომების აღმოჩენის შესაძლებლობა, რაც კაგშირის ხაზის კონტროლის საშუალებას იძლევა. ბიიმპულსურ კოდებში ერთეული შეცდომების აღმოჩენა ხდება მიმდინარე ციფრული ჯამის ანალიზის [2] ან აკრძალული კომბინაციების აღმოჩენის [1,4] მეთოდებით. ორივე შემთხვევაში ხდება დაზიანებული კოდური კომბინაციის ადგილმდებარების განსაზღვრა ანუ შეცდომის ეწ. ლოკალიზებული აღმოჩენა 1-ის ტოლი აღბათობით.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ბიიმპულსურ, ისე ბოჭკოვან-ოპტიკურ სისტემებში გამოყენებული სიჭარბის შემცველი სხვა კოდების ფუნქცია არ არის შეცდომების კორექტირების ანუ დაზიანებულ ბლოკებში ჭეშმარიტი სიმბოლოების აღდგენა, რადგან მიღებულია, რომ შეცდომის კორექტირება შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური მაკორექტირებელი კოდების გამოყენებით, რომლებშიც ამ მიზნით საკმაოდ დიდი სიჭარბეა შეტანილი შემოწმებელი თანრიგების დამატებით [6,7]. ამის გამო წყაროებში ბოჭკოვან-ოპტიკურ სისტემებში გამოყენებული კოდების მაკორექტირებელი ოვისებები არაქტიკულად არ განიხილება. გამონაკლისის სახით შეიძლება დავასახელოთ [1], რომელშიც შემოთავაზებული შეცდომების კორექტირების მეთოდი 3B4B კლასის კოდისათვის უზრუნველყოფს ერთეული შეცდომების კორექტირებას ამ კოდში 0,44 აღბათობით.

მეთოდის არსი ზოგადად ისაა, რომ გადამცემსა და მიმღებში ხდება უყველი დასაშვები კომბინაციის რაოდენობის ლურიბისა ან კენტობის დადგენა რაღაც კ რაოდენობის საინფორმაციო ბლოკების შემცველ ერთსა და იმავე ფრაგმენტში. ინფორმაცია ლურიბის და კენტობის შესახებ ორივე შემთხვევაში განთავსებება სპეციალურ დამხმარე ინტერვალებზე. თუ ხაზში მოხდა ერთეული შეცდომა, ერთ-ერთი დასაშვები კომბინაცია გარდაიქმნება აკრძალულად და, შესაბამისად, თუ ამ კომბინაციების რაოდენობა გადამცემში კენტი იყო, მიმღებში იგი ლური გახდება და პირიქით. ამრიგად, გადამცემსა და მიმღებში დამხმარე ინტერვალებზე განთავსებული კომბინაციების მიმღებში ურთიერშედარებისას ერთ-ერთ მათგანზე ინფორმაცია განსხვავებული იქნება, რაც იძლევა დაზიანებული დასაშვები კომბინაციის გამოვლენის საშუალებას. შედეგად ხდება აკრძალული კომბინაციის დასაშვებით ჩანაცვლება, ანუ შეცდომის კორექტირება.

## 2. მირითადი ნაწილი

განვიხილოთ მეთოდის მე-2 სახის ბიიმპულსური კოდისათვის გამოყენების შესაძლებლობა, ამასთან, ანალიზი ჩავატაროთ დასაშვებ კომბინაციაში არა მარტო ერთი, არამედ ორი, სამი

და ოთხი თანრიგის დაზიანების ყველა შესაძლო შემთხვევისათვის.

როგორც აღნიშნული იყო, მე-2 სახის ბიიმპულსურ კოდს აქვს 4 სახესხვაობის დასაშვები კომბინაცია. აქედან გამომდინარე, კ რაოდენობის საინფორმაციო ბლოკის შემცველი უყველი ფრაგმენტის შემდეგ საჭიროა ოთხი დამატებითი დამხმარე ინტერვალის გამოყოფა, რომელთაგან თითოეულში გადაეცემა ინფორმაცია კონკრეტული დასაშვები კომბინაციის რაოდენობის ლურიბის ან კენტობის შესახებ (ცხადია, რომ წინასწარ ცნობილია, თუ რიგით რომელ ინტერვალშია განთავსებული ინფორმაცია ამა თუ იმ კომბინაციის შესახებ). სენტებული ინფორმაციის გადაცემა ხდება იმავე დასაშვები კომბინაციებით (მაგალითად, ბლოკების კენტი რაოდენობის დროს გამოიყენება 1100 კომბინაცია, ლური რაოდენობის დროს კი - 0011), რომელთა ფორმირება საინფორმაციო ბლოკების ანალოგიურად ხდება.

აღნიშნული 4 დროითი ინტერვალი განსაზღვრავს გადაცემული ინფორმაციის სიჭარბის ნაზრდს, რომელიც იმდენად მცირეა, რომ იგი ტრადიციული მაკორექტირებელი კოდების სიჭარებსთან შედარებით შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ (მაგალითად, 500000 სიმბოლოსგან შემდგარი ინტერვალისთვის  $4 \times 4 = 16$  დამატებითი სიმბოლოს შეტანით მიღებული სიჭარე იქნება  $500016/500000 = 1,000032$ , ე.ი. 0,000032%, რაც ძალზე მცირე სიღიდეა შედარებისთვის, ტრადიციულ მაკორექტირებელ კოდებში დამატებითი შემმოწმებელი თანრიგების შეტანა იწვევს უკეთეს შემთხვევაში სიჭარბის ზრდას რამდენიმე პროცენტით).

მიმღებ მხარეს დგინდება დასაშვები კომბინაციების რაოდენობათა კენტობა და ლურიბი იმავე კ რაოდენობის ბლოკის შემცველ ფრაგმენტზე გადამცემის სინქრონულად, ე.ი. მოწმდება იგივე სიმბოლოები. ასევე სინქრონულად ოთხ დამატებით დროითი ინტერვალზე იმავე წესით ფორმირდება 1100 ან 0011 ბლოკები, რომლებიც იძლევა ინფორმაციას მიღებული დასაშვები კომბინაციების რაოდენობათა კენტობის ან ლურიბის შესახებ. პარალელურად შემოსული ინფორმაცია იწერება მესხიერების რეგისტრში, რის შემდეგ ხდება გადამცემსა და მიმღებში ფორმირებულ დამატებით ერთსახელა სატაქტო ინტერვალებზე განლაგებული კომბინაციების ერთმანეთთან შედარება.

თუ ხაზში შეცდომები არ არის, მაშინ როგორც გადამცემში, ისე მიმღებში დასაშვები კომბინაციების მიმღევრობები იდენტური იქნება, ამიტომ დამატებით ერთსახელა სატაქტო ინტერვალებზე განლაგებული კომბინაციები ერთმანეთს ემთხვევა.

ხაზში შეცდომის (შეცდომების) არსებობისას მიმღებში ფიქსირდება აკრძალული კომბინაცია,

რომელიც შემდგომ, როგორც აღნიშნული იყო, ჩანაცვლდება დაზიანებული დასაშვები კომბინაციით ანუ ხდება კორექტირება. განვიხილოთ აკრძალული კომბინაციის წარმოქმნის შესაძლო შემთხვევა.

ერთული შეცდომის ზემოქმედება. ერთული შეცდომის არსებობის შემთხვევაში აკრძალული კომბინაცია წარმოიქმნება ყოველთვის, ე.ი. ხდება შეცდომის კორექტირება 1-ის ტოლი ალბათობით.

წყვილური შეცდომის ზემოქმედება. წყვილური შეცდომის დროს არასწორად მიიღება კოდური კომბინაციის ორი მეზობელი თანრიგი. ცხადია, რომ ამ დროს შესაძლებელია დაზიანდეს კომბინაციის თანრიგთა შემდეგი წყვილურიდან ერთ-ერთი: I-II, II-III, III-IV. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა დასაშვებ კომბინაციაზე წყვილური შეცდომებიც ზემოქმედებისას შესაძლებელია შემდეგი კომბინაციების გაჩენა:

ა) 1100 კომბინაციის დაზიანებისას – 0000, 1010 და 1111;

ბ) 0011 კომბინაციის დაზიანებისას – 1111, 0101 და 0000;

გ) 1001 კომბინაციის დაზიანებისას – 0101, 1111 და 1010;

დ) 0110 კომბინაციის დაზიანებისას – 1010, 0000 და 0101.

როგორც ვხედავთ, ყველა მიღებული კომბინაცია აკრძალულია, ამიტომ ამ შემთხვევაშიც შეცდომის კორექტირება ხდება 1-ის ტოლი ალბათობით.

ორი ერთული შეცდომის (არაწყვილურის) ზემოქმედება. ამ შემთხვევაში შესაძლებელია დაზიანდეს კომბინაციის თანრიგთა შემდეგი წყვილებიდან ერთ-ერთი: I-III, I-IV, II-IV. შეცდომების ზემოქმედებისას შესაძლებელია შემდეგი კომბინაციების გაჩენა:

ა) 1100 კომბინაციის დაზიანებისას – 0110, 0101 და 1001;

ბ) 0011 კომბინაციის დაზიანებისას – 1001, 1010 და 0110;

გ) 1001 კომბინაციის დაზიანებისას – 0011, 0000 და 1100;

დ) 0110 კომბინაციის დაზიანებისას – 1100, 1111 და 0011.

ამრიგად, ყოველი კომბინაციისათვის შეცდომები იწვევს ორი დასაშვები და ერთი აკრძალული კომბინაციის წარმოქმნას, ე.ი. შეცდომების კორექტირება ხდება 0,33 ალბათობით. იმავდროულად, მეთოდის არსიდან გამომდინარე, შეცდომის აღმოჩენა ხდება 1-ის ტოლი ალბათობით.

სამი სიმბოლოსგან შემდგარი პაკეტის ზემოქმედება. აქ იგულისხმება, რომ ზიანდება ერთმანეთის მიმდევრობით განდაგებული სამი თანრიგი. შესაძლო შემთხვევებია I-II-III და II-III-IV თანრიგების დაზიანება. შეცდომების ზემოქმედებისას შესაძლებელია შემდეგი კომბინაციების გაჩენა:

ა) 1100 კომბინაციის დაზიანებისას – 0010 და 1011;

ბ) 0011 კომბინაციის დაზიანებისას – 1101 და 0100;

გ) 1001 კომბინაციის დაზიანებისას – 0111 და 1110;

დ) 0110 კომბინაციის დაზიანებისას – 1000 და 0001.

ყველა მიღებული კომბინაცია აკრძალულია, ამიტომ ხდება შეცდომის კორექტირება 1-ის ტოლი ალბათობით.

წყვილური და ერთული შეცდომის ერთობლივი ზემოქმედება. ამ დროს ზიანდება I-II-IV ან I-III-IV თანრიგები. შეცდომების ზემოქმედებისას შესაძლებელია შემდეგი კომბინაციების გაჩენა:

ა) 1100 კომბინაციის დაზიანებისას – 0001 და 0111;

ბ) 0011 კომბინაციის დაზიანებისას – 1110 და 1000;

გ) 1001 კომბინაციის დაზიანებისას – 0100 და 0010;

დ) 0110 კომბინაციის დაზიანებისას – 1011 და 1101.

ყველა მიღებული კომბინაცია აკრძალულია, ამიტომ ხდება შეცდომის კორექტირება 1-ის ტოლი ალბათობით.

თოხი სიმბოლოსგან შემდგარი პაკეტის ზემოქმედება. ეს არის შემთხვევა, როდესაც ზიანდება კომბინაციის ოთხივე სიმბოლო. ამ დროს ხდება კომბინაციების შემდეგნაირი გარდაქმა:

ა) 1100 → 0011; ბ) 0011 → 1100;

გ) 1001 → 0110; დ) 0110 → 1001.

ყველა მიღებული კომბინაცია დასაშვებია, ამიტომ შეცდომის კორექტირება შეუძლებელია. ხდება მხოლოდ შეცდომების აღმოჩენა 1-ის ტოლი ალბათობით.

### 3. დასკვნა

1-ლ ცხრილში მოცემულია ზემოთ ჩატარებული ანალიზის შედეგები და მათი შედარება სხვა არსებული მეთოდების გამოყენებისას მიღებულ შედეგებთან. როგორც აღნიშნული იყო,

(ცხრილი 1)

შეცდომის სახე	არსებული მეთოდები		შემოთავაზებული მეთოდი	
	აღმოჩნის ალბათობა	კორექტირების ალბათობა	აღმოჩნის ალბათობა	კორექტირების ალბათობა
ერთეული შეცდომა	1	0	1	1
წევილური შეცდომა	1	0	1	1
ორი ერთეული შეცდომა (არაწევილური)	0, 33	0	1	0, 33
სამი სიმბოლოსგან შემდგარი პაკეტი	1	0	1	1
წევილური და ერთეული შეცდომის ერთობლიობა	1	0	1	1
ოთხი სიმბოლოსგან შემდგარი პაკეტი	0	0	1	0

ეს უკანასკნელები ვერ უზრუნველყოფს შეცდომების კორექტირებას, შეცდომების აღმოჩნდა კი ხდება მხოლოდ აკრძალული კომბინაციების გამოხენის შემთხვევაში. ცხრილიდან ნათლად ჩანს შემოთავაზებული მეთოდის უპირატესობა.

### ლიტერატურა

1. Нанобашвили Д. В., Нанобашвили В.В. Корректирующие свойства линейного кода 3B4B // Georgian Engineering News (GEN), N2, 2008.
2. Линейные сигналы в цифровых волоконно-оптических системах передачи. Учебное пособие / Щелкунов К.Н., Широков Г.Ф., Кушнир В.Ф., Блушки А. Изд. Ленинградского электротехнического института связи им. проф. М.А.Бонч-Бруевича. 1987. - 44 с.
3. Мизин И.А., Уринсон Л.С., Храмешин Г.К. Передача информации в сетях с коммутацией сообщений. М.: Связь, 1972. – 318с.
4. Нанобашвили Д.В., Нанобашвили В.В. Корректирующие свойства линейного кода типа MILLER // Сборник научных трудов по материалам V международной научно-технической конференции "Энергетика, телекоммуникации и высшее образование в современных условиях". Алматинский институт энергетики и связи. Алматы, 2006.
5. Шарипов Ю.К., Коблянов В.К. Отечественные телекоммуникационные системы // М.: изд. ЛОТОС, 2005. – 227с.
6. Харкевич А.А. Основы радиотехники. // М.: Физматлит, 2007. – 405с.

**UDC 621. 372. 8**

### CORRECTION THE MISTAKES IN SECOND TYPE BIPULSE CODE

**D. Nanobashvili, V. Nanobashvili**

Department of telecommunication, Technical University of Georgia, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** There are considered possibilities of correction the mistakes in second type bipulse code. There is selected error correction method for this code, which is advised according to 3B4B code. There is shown, that it provides detection of errors with the probability of 1 under any number of those, correction of single, sequential double and arbitrary triple damaged symbols with the probability of 1 and non-sequential double damaged symbols with the probability of 0,33.

**Key words:** Second type bipulse code; mistake; correction; probability.

УДК 621. 372. 8

## КОРРЕКЦИЯ ОШИБОК В БИИМПУЛЬСНОМ КОДЕ 2-ГО ВИДА

Нанобашвили Д. В., Нанобашвили В. В.

Департамент телекоммуникации, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Рассмотрены возможности коррекции ошибок в биимпульсном коде 2-го вида. К данному коду приурочен метод коррекции ошибок, предложенный для кода 3B4B; показано, что использование этого метода обеспечивает обнаружение любого количества ошибок с вероятностью 1, коррекцию ошибок с вероятностью 1 при искажении одного, последовательно расположенных двух и произвольно расположенных трех символов кодовой комбинации, а также – коррекцию ошибок с вероятностью 0,33 при искажении двух непоследовательно расположенных символов.

**Ключевые слова:** биимпульсный код 2-го вида; ошибка; коррекция; вероятность.

შემოსევლის თარიღი 09.07.08  
ძირიქციულია დასაბუქრაფ 16.01.09

სტუდენტთა გარემონტი  
თემა: კორექცია ბიიმპულსურის 2-ე ვიდა კოდის შემთხვევაში

**შაპ 378****ბანათლების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხები საქართველოში**

**მ. მაღრაძე\*, ე. ავლოხაშვილი, დ. გაბუნია**

თბილის და პიდრენებრგების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: mmanana0109@yahoo.com

**რეზიუმე:** სტატიაში განხილულია განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მირითადი მიმართულებები. აღნიშნულია, რომ განათლების ხარისხი არის ცოდნის, უნარების, ფიზიკური, გონიერებისა და ზემობრივი განვითარების განსაზღვრული დონე. აგრეთვე მოცემულია ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ სწავლების ხარისხს, კერძოდ: სასწავლო პროგრამები, სასწავლო მასალა; სწავლების მეთოდები; სასწავლო პროცესის მართვა და კონტროლი; ფინანსური, მატერიალური და ფიზიკური რესურსები; ადამიანური რესურსები; სწავლების გარემო და ა.შ. აგრეთვე საუბარია, უმაღლესი განათლების ხარისხის მართვის სამსახურების ფუნქციებზე და სწავლების ხარისხზე მათი პასუხისმგებლობის შესახებ.

**საგვანძო სიტყვები:** განათლების ხარისხი; სწავლების ხარისხი.

**1. შესავალი**

ხარისხი რაღაცის მიმართ აღმატებულის აღმიშვნელი ცნებაა. იგი ერთმანეთისაგან განასხვავებს კარგს, ცვდს და საშუალოს.

იმისათვის, რომ საქართველომ დაიმკვიდროს ადგილი განათლების მსოფლიო სისტემაში, მან თავისი მოქალაქეები უნდა უზრუნველყოს ისეთი სწავლებით, რომელიც საშუალებას მისცემს მათ იყენებ კონკრეტულად არის, როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ბაზარზე.

ხარისხის უზრუნველყოფა უმაღლეს განათლებაში ზოგადი ცნებაა, რომელიც მრავალგვარი ინტერაქტიური სენსორების შესაძლებლობების იძლევა. განათლების ხარისხიად მიჩნეულია საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაწეული მომსახურების განსაზღვრული დონე, რომელიც მომხმარებელთა მოთხოვნების დაქმაყოფილებას უზრუნველყოფს. განათლების ხარისხი მისი მფლობელის ის ცოდნაა, რომელიც შეესაბამება დაწესებულ ნორმას ან სტანდარტს. აქედან გამომდინარე ხარისხი გამოიხატება მისი სარგებლიანობით და ვარგისიანობით მომხმარებელთა მიერ წამოყენებული მიზნებისა და მოთხოვნების ნორმებთან შესაბამისობით [1].

**2. მირითადი ნაწილი**

განათლების ხარისხი სოციალური კატეგო-

რიაა, რომელიც განაპირობებს საგანმანათლებლო მდგრმარეობასა და საზოგადოებრივ მოთხოვნებს პიროვნების პროფესიული კომპეტენციისა და მოქალაქეობრივი ფორმირების მიმართ. განათლების ხარისხი განისაზღვრება საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო საქმიანობის დამასახისათვებელი ისეთი მაჩვენებლებით, როგორიცაა: სწავლების შინაარსი, ფორმები, მეთოდები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ადამიანური რესურსები, კურსდამთავრუბულობა დასაქმება და ა.შ. რაც უზრუნველყოფს პროფესიულ კომპეტენციობას.

განათლების ხარისხი არის სასწავლებლის კურსდამთავრებულის ცოდნის, ზოგადი და პროფესიული უნარების, ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობებისა და ზემობრივი განვითარების განსაზღვრული დონე, რომელსაც მიაღწიეს საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულებმა სასწავლო-საგანმანათლებლო სივრცეში დაწესებული მოთხოვნილების შესაბამისად [1].

განათლების ხარისხის ყველაზე მეტად გავრცელებული განსაზღვრებები შემდეგია:

- დასახულ მიზანთან შესაბამისობა;
- საუკეთესო სტანდარტებთან შესაბამისობა;
- საბაზო სტანდარტებთან შესაბამისობა;
- სტუდენტის ტრანსფორმირების საშუალება;
- დაინტერესებული მხარეების მოთხოვნებთან შესაბამისობა.

განათლების ხარისხის დეფინიციის არჩევა, მოელი რიგი ფაქტორებითაა განპირობებული. ასეთ ფაქტორებად შეიძლება დასახელდეს:

- განათლების სისტემების განვითარების მიმდინარე ისტორიული პერიოდი;
- ქვეყნის პრიორიტეტები განათლების სფეროში;

• კონკრეტული სააგანმანათლებლო დაწესებულებების მიზნები და ამოცანები;

- საგანმანათლებლო პროცესით დაინტერესებული პირები.

საგანმანათლებლო პროცესის ბუნებიდან და დანიშნულებიდან გამომდინარე, მისი შედეგებით დაინტერესებულ პირთა წრე საკმაოდ ფართოა (სტუდენტები, საგანმანათლებლო დაწესებულებების პერსონალი, მშობლები, დამსაქმებლები და სხვ.). ის პირები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროცესში, ხშირად, სხვაგვარად აღიკვამენ განათლების ხა-

რისს და მათი შეხედულება შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სწავლის შედეგებით დაინტერესებული მხარეებისა და პირების შეხედულებებისაგან [2].

განათლების ხარისხისადმი არსებულ მიღორებებს შორის, ორი ძირითადი მიმართულება იკვეთება: პირველ შემთხვევაში, განათლების ხარისხი განიხილება, როგორც პროცესების მიმდინარების და შედეგების შესაბამისობა დადგენილ სტანდარტებთან, ხოლო მეორე თავდასაზრისით, ხარისხი წარმოდგენილია, როგორც სწავლის შედეგებით დაინტერესებულ მხარეთ (მოსწავლეები და სტუდენტები, მათი მშობლები, საგანმანათლებლო დაწესებულებების პერსონალი, დამქირავებელები და ა.შ.) მოთხოვნილებებისა და მოლოდინების დაქმაყოფილების დონე.

ბოლო დრომდე, საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში განათლების ხარისხთან მიმართებით იყენებდნენ ტრადიციულ განმარტებას, რომლის თანახმადაც იგი წარმოადგენს გარკვეულ სტანდარტებთან მიახლოების მაჩვენებელს. თანამედროვე, სწავლის შედეგსა და მოსწავლეზე ორიგინტირებულ საგანმანათლებლო სისტემებში კი, უფრო აქტუალურია ხარისხის, როგორც მომხმარებლის მოთხოვნების დაქმაყოფილების დონის მახასიათებლის განსაზღვრა. აქედან გამომდინარე, განათლების ხარისხი შეიძლება განვიხილოთ, როგორც საგანმანათლებლო პროცესის, მისი შედეგის და ზოგადად, განათლების, როგორც სოციალური სისტემის მახასიათებლების შესაბამისობა დაინტერესებულ მხარეთა მოსალოდნელ მოთხოვნებთან.

განათლების ხარისხის უზრუნველყოფაში იგულისხმება შესაბამისი პროცესების და ორგანიზაციული სისტემების (სქემების) ერთობლივობა, რომელთა მიზანია სასწავლო დაწესებულებების და მათი პროგრამების ხარისხის შეფასება, შენარჩუნება ან გაუმჯობესება და საბოლოო ჯამში, სწავლების მაღალი დონის გარანტირება.

სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა საქართველოსთვის დღეს მეტად აქტუალურია. მთელ რიგ მიზეზთა გამო (რომელთა შორის უმთავრესია გასული საუკუნის ბოლო ათწლეულებში სახელმწიფოს უკურადღებობა განათლების სრულყოფის საკითხებისადმი, აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელთა დონის ჩავარდნა), სწავლების ხარისხის საკმარის დონემდე ამაღლებასთან დაკავშირებული პრობლემები ჩვენთან გეგრად უფრო მძაფრია და რთულად გადასაწყვეტი, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. განათლების ხარისხის ამაღლების აუცილებლობამ, დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ქართული სახელმწიფოს სტრატეგიული მიზნის, ეკონომიკური გაწევრიანების გათვალისწინებითაც. მაღალი ხარისხის განათლების განვითარება ის ერთადერთი გზაა, რომელიც უზრუნველყოფს საა-

ქართველოს საგანმანათლებლო სისტემის მიზნიდებისა და კონკურენტუნარიანობას. რაც ხელს შეუწყობს მის ღირსეულად დამკვიდრებას ევროპის საგანმანათლებლო სივრცეში და არა უბრალოდ, ფორმალურ ინტეგრირებას.

განათლების ხარისხის უზრუნველყოფისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, განისაზღვროს ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ სწავლების ხარისხს. ამის შემდეგ უნდა განხორციელდეს ამ ფაქტორებზე მიზანმიმართული ზემოქმედება და შესაბამისი პროცესების მართვა.

საგანმანათლებლო პროცესებზე მოქმედი ფაქტორების ძირითადი ჯგუფები:

სასწავლო პროგრამები, სასწავლო მასალა;

სწავლების მეთოდები;

სასწავლო პროცესის მართვა და კონტროლი;

ფინანსური, მატერიალური და ფიზიკური რესურსები;

ადამიანური რესურსები (მოსწავლეები, მასწავლებლები, პერსონალი);

სწავლების გარემო (სოციალური, ტექნიკური, ეკონომიკური, პოლიტიკური და ა.შ.)

ხშირ შემთხვევაში, განათლების ხარისხის პრობლემაზე საუბრისას მიუთითებენ მხოლოდ ერთ, რომელიმე ფაქტორს და მის ზეგავლენას. მაგალითად, საგანმანათლებლო პროგრამების დონეს ან სტუდენტის შეფასებას, ან მასწავლებელთა კვალიფიკაციის მაჩვენებლებს და ა.შ. განათლების ხარისხის ასეთი ვიწრო წარმოდგენა და მისი გაიგივება ერთ, თუნდაც ძალიან მნიშვნელოვან ასპექტთან, ვფიქრობთ, გამართლებული არ უნდა იყოს.

განათლების ხარისხი უნდა განვიხილოთ, როგორც კომპლექსური და მრავალასპექტიანი ცნება, რომელიც გულისხმობს მის უზრუნველყოფას ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორთა გათვალისწინებით და თუნდაც, ერთი მათგანის უგულებელყოფა, საბოლოო ჯამში აუცილებლად გამოიწვევს ხარისხის გაუარესებას.

საქართველოში, უმაღლესი განათლების კანონის მიხედვით, ყველა ინსტიტუტი ვალდებულია პქმნდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რათა სათანადოდ იყოს კოორდინირებული ხარისხის შიდა და გარე მართვის პროცესები. ხარისხის კულტურის დანერგვას თომაზი ფუნქცია აქვს:

სასწავლო დაწესებულებაში სისტემატიზაციის მოყვანის ხარისხის მართვის სტანდარტები. დისციპლინების ან ადმინისტრაციულ და აკადემიურ სტრუქტურულ ერთეულების შორის არსებული განსხვავებების გათვალისწინებით.

შეიძულება შეფასების მეთოდები, რათა ნათელი სახით წარმოჩნდეს ხარისხის მართვის წარმატებები თუ წარუმატებლობები.

უნივერსიტეტები, როგორც განათლების სისტემის დამოუკიდებელი და თვითმართვადი ერ-

თემები, ვალდებული არიან თვითონ გადაჭრან უმაღლესი სწავლების ხარისხის პრობლემები. თითოეული მათგანი პასუხისმგებელია საკუთარი პროგრამების სტანდარტებსა და ხარისხები. აქვთ საკუთარი შიდა პროცედურები ხარისხის სასურველი დონის მიღწევისა და შემდგომი სრულყოფისათვის [3].

ისინი პასუხს აგებენ სწავლების სტანდარტებსა და ხარისხები შემდეგი მექანიზმების მეშვეობით:

სტუდენტის შეფასებით;

აკადემიური პროგრამების მონიტორინგით და შემოწმებით;

კრედიტაციისა და დაგეგმვის პროცედურებით.

### 3. დასკვნა

განათლების ხარისხი უნდა განვიხილოთ, როგორც კომპლექსური და მრავალასპექტიანი ცნება, რომელიც გულისხმობს მის უზრუნველყოფას ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: სასწავლო პროგრამები, სწავლების მეთოდები, სასწავლო პროცესის მართვა და კონტროლი, ფინანსური, მატერიალური და ფი-

ზიკური რესურსები, ადამიანური რესურსები, სწავლების გარემო. ამ ფაქტორებიდან თუნდაც, ერთის უგულებელყოფა, საბოლოო ჯამში აუცილებლად გამოიწვევს ხარისხის გაუარესებას.

ამრიგად, განათლების სისტემაში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების დამკაიდრება, პირველ რიგში, ხელს შეუწყობს ქვეყანაში ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის დამკაიდრებას, რაც შესაძლებელს გახდის როგორც სახელმწიფო, ისე კერძო უმაღლეს სასწავლებლებში განათლების ერთიანი დონის უზრუნველყოფას.

### ლიტერატურა

- ა. ასათიანი. უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, 2008 წელი. - 385 გვ.
- ა. სამადაშვილი, შ.ჯაფარიძე. განათლების ხარისხის მართვა. თბილისი, 2007 წელი. - 180 გვ.
- ხარისხის მართვის თანამედროვე სამსახურების დაარსება საქართველოს უმაღლესი განათლების დაწესებულებებში. დასკვნითი ანგარიში. თბილისი: საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”, 2008 წელი, გვ. 80.

**UDC 378**

## THE ISSUES PROVIDING QUALITY OF EDUCATION IN GEORGIA

**M. Magradze, E. Avlokhashvili, D.Gabunia**

Department of heat and hydroenergetics, Technical University of Georgia, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** There is discussed the main directions providing the quality of education in Georgia. There is stated, what is meant by quality of education. It must be provided with different factors, as studing programmes, methods, financial, material and human resources. Neglecting one of these main factors inevitably causes deteriorating. There are presented the most well-known definitions. There are also being discussed the main factors having influence on teaching quality, the functions of higher education quality, management and their responsibilities in teaching standards and quality. are also being discussed.

**Key words:** quality of education; quality of teaching.

**УДК 378**

## ВОПРОСЫ ОБЕСПЕЧЕНИЯ КАЧЕСТВЕННОГО ОБУЧЕНИЯ В ГРУЗИИ

**Маградзе М.Д., Авлохашвили Е.Н., Габуния Д.Г.**

Департамент тепло- и гидроэнергетики, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Рассмотрены основные направления обеспечения качественного обучения в Грузии. Отмечено, что подразумевается под качественным обучением. Представлены его самые распространённые определения. Также рассмотрены те основные факторы, которые влияют на качество обучения. Рассмотрены функции службы обеспечения качества высших учебных заведений, их ответственность за качество и стандарт учёбы.

**Ключевые слова:** качество образования; качество обучения.

შემოხვევის თარიღი 22.01.09  
მიღებულია დასაბუჭიდად 05.02.09

**უაგ 37.01:638.244****კედაბობიშრი ურთიერთობის სახეები და ლიზერობის სტილი მეცნიერების****ა. ასათიანი**

თბილის და პიდროენერგეტიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: avtandil110@gol.ge

**რეზიუმე:** მენეჯერული კომუნიკაციების სახეობის უნარიანი შერჩევა და გამოყენება ბიზნესის მართვის ტაქტიკური საკითხით, ხოლო მათი ფორმირება აღზრდა-განათლების ძირებით პროცესებით გაცილებით ადრე, პიროვნების სულიერი სამყაროსა და კომუნიკაციური უნარების ჩამოყალიბების კვალდაკვალ მიმდინარეობს, ამიტომ არის მათ შორის მიზეზშედეგობრივი კავშირი. პრაქტიკაში ცხადყო, რომ მენეჯერი, რომელიც კარგად ფლობს კომუნიკაციურ უნარებს, აღრევდ ასაკში, ჯერ კიდევ ზოგადი განათლების დონეზე, ეზიარა მის საწყისებს, ხოლო შემდეგ, უმაღლეს სასწავლებელში განამტკიცა იგი სწორედ დემოკრატიული პედაგოგიური ურთიერთობის ფარგლებში, რაც ფაქტობრივად აისახა მის მენეჯერულ საჭირობასა და ლიდერობის ოპტიმალურ სტილში გარდაისახა. აქედან გამომდინარე, პიროვნების კომუნიკაბელურობას სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს სწავლების ყველა საფეხურზე, ხოლო მის მიმართ პროფესიული მიღებომა, მეტნაკლები ინტენსივობით, პროფილის შესაბამისად არის შესაძლებელი.

**საკანონი სიტყვები:** პედაგოგიური ურთიერთობის სახეები: ავტორიტარული, დემოკრატიული, ლიბერალური; ლიდერობის სტილი მენეჯერის შენიშვნის მიზანი და მიზანი არის შესაძლებელი.

**1. შესავალი**

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკასა და სოციალურ სფეროში საბაზო ურთიერთობების დამკაიდრება და ბიზნესის განვითარება მნიშვნელოვანი დარის დამოკიდებული განათლების სისტემის რეფორმაზე, განსაკუთრებით კი ახალი პირობებისათვის შესაფერის პროფესიონალ მენეჯერთა – მმართველთა მომზადებაზე. ამიტომ მენეჯერთა მომზადება საკვალიფიკაციო სტანდარტის გარდა მრავალმხრივ ცოდნას უნდა ითვალისწინებდეს. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა პიროვნული უნარების ფორმირება, რაც აღზრდა-განათლებაზეა დამოკიდებული.

თანამედროვე პირობებში, მენეჯერის მომზადებასა და საქმიანობაში კიდევ უფრო გაიზარდა იმ სასწავლო საგანთა როლი, რომლებიც ზოგადი და კომუნიკაციური უნარების ფორმირებას ისახავს მიზნად. მათ შორისაა უმაღლესი სკოლის პე-

დაგოგიკა. რადგან, სწორედ ზოგადი და უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა, ადამიანთმცოდნეობის მეცნიერებათაგან ერთადერთია, რომელიც სწავლობს ადამიანის აღზრდის, სწავლების, განათლებისა და განვითარების პრობლემებს, ხოლო მენეჯერის საქმიანობის დედაბორი ადამიანური უნარებისა და ცოდნის მიზანმიმართული წარმართვაა, ამიტომ, ეფექტური მენეჯმენტის განხორციელება რომელშიც მნიშვნელოვან როლს პედაგოგიური ურთიერთობის სწორად შერჩეული სტილი ასრულებს, მხოლოდ სათანადოდ მომზადებულ მენეჯერს შეუძლია.

**2. ძირითადი ნაწილი**

თანამედროვე პედაგოგიკასა და მენეჯმენტს ბევრი რამ აქვთ საერთო ერთიცა და მეორეც ადამიანის ცოდნაზე, გამოცდილებაზე, უნარზე, ზნეობასა და სხვა საზიარო ფასეულობებზეა ორიენტირებული. თუ პედაგოგიკა ამ ფასეულობების შეძენაზე ორიენტირებული მეცნიერებაა, მენეჯმენტი შეძენილი უნარების პრაქტიკულად განხორციელებას ემსახურება. მათგან მნიშვნელოვანი ადგილი კი პიროვნული კომუნიკაციის უნარს უჭირავს.

ბიზნესურთიერთობებსა და ხელმძღვანელობის ნებისმიერი სტილის ფორმირებაზე, სხვა ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია იმ სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებს, რომელშიც კონკრეტული პიროვნების ჩამოყალიბება მიმდინარეობს. ამიტომ ინტერესმოკლებული არ იქნება პედაგოგიკაში დამკაიდრებული პედაგოგიური ურთიერთობის სახეებსა და ბიზნესსაქმიანობას შორის – ხელმძღვანელობის მოდელებისა და ტიპების შედარებითი ანალიზი და მათ შორის ანალოგია-პარალელების მიება.

როგორც ცნობილია, 1944 წელს კ. ლევინმა ჩამოყალიბია დიდგრობის 3 ტიპი: 1) ავტორიტარული, 2) დემოკრატიული და 3) ლიბერალური. მოგვიანებით ამავე პრობლემით დაინტერესდა რ. ლაპერტი და გამოყო ხელმძღვანელის ოთხი ტიპი: 1) განუყოფელი ერთმართველობა, 2) კუთილმოსურნე ავტორიტარული მმართველობა, 3) სათათბირო მმართველობა, 4) კოლეგიალური მმართველობა (3). თითქმის ანალოგიური კლასიფიკაცია წარმოადგინეს 1958 წელს ჟურნალ „პარვარდ ბიზნეს რევიუში“, რ. ტანენბამა და უ. შმიდტმა (4), რომელმაც დიდი პოპულარობა მოიპოვა.

ბიზნესურთიერთობებსა და მმართველობის სტილს მარტო საქმიანი კომუნიკაციები არ აყალიბებს. ეს უნარები და პიროვნეული პრინციპები ადამიანის მსოფლიმსხვევლობის ფორმირების კვალდაკვალ ყალიბდება, ამ თვალსაზრისით გასათვალისწინებელია, რომ სწორად შერჩეული სტილი აადვილებს პედაგოგის ჩანაფიქრის შესრულებას, მნიშვნელოვანწილად განაპირობებს გამოყენებული მეთოდის წარმატებას და პირიქით: არაადეკვატური ურთიერთობა, რომელიც კომუნიკაციურად ვერ უზრუნველყოფს მეთოდს – საგრძნობლად ართულებს პედაგოგიკური ამოცანების გადაწყვეტას. ასე რომ – მეთოდი უშუალოდ არ წყვეტს პედაგოგიკურ ამოცანას, მთავარია მისი გამოყენების კომუნიკაციური შესაძლებლობა. მეთოდი ყოველთვის გაშუალებულია მეტ-ნაკლებად ხელსაყრელი ურთიერთობით (2,70). ანალოგიური მიღგომები შეინიშნება ბისნესურთიერთობებშიც.

პედაგოგიური ურთიერთობების სახეებისა და ბიზნესსაქმიანობის სტილთა შედარებითი მახასიათებლები

პედაგოგისა და ბიზნესსაქმიანობის სახეები	აგტორიტარული სტილი		დემოკრატიული სტილი		ლიბერალური (პასიური) სტილი	
	პედ. საქმიანობა	ბიზნეს-საქმიანობა	პედ. საქმიანობა	ბიზნეს-საქმიანობა	პედ. საქმიანობა	ბიზნეს-საქმიანობა
სტილის ზოგადი და მასასიათებელი ნიშნები	პედაგოგის ერთპიროვნული მმართველობით, დასჯის მექანიზმების ამოქმედებითა და დისკიპლინით უზრუნველყოფილია აკადემიური შედეგი	მთელი ძალაუფლება თავმოყრილია ხელმძღვანელის ხელში, იგი ერთპიროვნულად დღებს გადაწყვეტილებებს	მოსწავლის ინტერესის გაფიქსირებულისა და მიღების მიზანით მიღება წარმატები	უფლებამოსილების გათვალისწინებით, თანამშრომლობის საფუძვლებზე მიღება წარმატების მიზანით მატებები	პროცესის მართვა სილება განაწილებულია, გადაღლია და პირფრობა ქმნის საფრთხეს კონკრეტული მიზანისად	ხელმძღვანელის ნაცვლად გადაწყვეტილებებს სხვები იღებნ, კომუნიკაციები პორიზოლტალურია
დადებითი მხარეები	მკაცრი და შეუვალი დისკიპლინის განაპირობებს აკადემიურ შედეგს	შედეგი პროგნოზირებით, გადაწყვეტილებების შესრულებაზე მკაცრი კონტროლია	ინიციატივა, მეცნიერებლივი ურთიერთობები და შეღვევი გარანტირებულია	მართვაში თანამირაწილების და გულთბილი დამოკიდებულება	მასწავლებელსა და მოსწავლეს შეირთნის გულთბილი დამოკიდებულება	ხელმძღვანელის ნებისმიერების დამუკიდებლად სრულდება სამუშაოები
უარყოფითი მხარეები	ინიციატივა შეზღუდულია, მოსალოდნელია აგრესია ან არა-სრულყოფილების განცდა	ინიციატივა შეზღუდულია, არ არის შემოქმედებითი მუშაობის მოტივაცია	სიტუაციის გაუცნობის გამო მოსალოდნელია ზოგიერთი წარუულობა	მართვის პროცესში შეინიშნება დღონის ზედობა	დამცვედრებულია ანარქია, შეღვევის საფრთხე ემუქრება	მართვის მექანიზმების შედეგების საფრთხე ემუქრება

წარმოდგენილი მახასიათებლები ნათლად მოუთითებს, რომ მენეჯმენტი დამკვიდრებული ხელმძღვანელობის სამიერ სტილი ძალიან ახლოსაა პედაგოგიური ურთიერთობის ჩვენ მიერ განხილულ სახეობებთან. რაკი პედაგოგიური ზემოქმედების ესა თუ ის სტილი შემდგომში აისახება აღსაზრდელის ცნობიერებაში და გაფლენას ახდენს პიროვნების ფორმირებაზე, სავარაუდოა, რომ ავტორიტარული ზემოქმედების შედეგად მოზარდი ან ავტორიტარი ხელმძღვანელი გახდეს, ან საერთოდ ვერ დაიმკვიდროს ცხოვრებაში საკუთარი ადგილი.

ავტორიტარი პედაგოგის საქმიანობა შეუვალ სიმკარეს ეყრდნობა. მოსწავლეს ერიდება ინიციატივის გამოხენა, ამიტომ იგი მითითებების შემსრულებლად რჩება და არ იჩენს ინიციატივას. შესა და ავტორიტეტზე დამყარებული ასეთი ურთიერთობა გარეგულილად ხელს უწყობს აკადემიურ მიღწევებს მხოლოდ ძლიერი ნებისყოფის მოსწავლეში, თუმცა, აღსაზრდელთა დიდი ნაწილი ამას ვერ ახერხებს. უფრო მეტიც, ასეთი დამამცირებელი ზემოქმედება, ხშირად აგრესიასაც ბადებს ახალგაზრდაში, ან არასრულყოფილების განცდას ავითარებს, რაც უარყოფითად აისახება მის მომავალ საქმიანობაზე.

თუ ჩვენ ამავე თვალსაზრისით განვიხილავთ ავტორიტარი მენეჯერის საქმიანობას, მრავალ პარალელს აღმოგჩენთ მათ შეირის: ავტორიტარული სტილის ხელმძღვანელის ხელში თავმოყრილია მთელი ძალაუფლება, გადაწყვეტილებას იგი ერთპიროვნულად იღებს. კომუნიკაციური ნაკადები მხოლოდ მისგან ანუ ზემოდან მოედინება. თანამშრომელი ემორჩილება მის გადაწყვეტილებებს არა იმიტომ, რომ პატივს სცემს მას, არამედ იმის გამო, რომ დაუმორჩილებელობა პრობლემებს შეუქმნის. აქედან გამომდინარე, ნაწილობრივი წარმატებები გარანტირებულია, თუმცა პირადი ინიციატივის შეზღუდვისა და დაბალი მოტივაციის გამო, საქმიანობის შემოქმედებითი დამოკიდებულება და მუშაკის შესაძლებლობის სრული რეალიზება ვერ ხერხდება.

გარკვეული ანალოგია შეიძლება დავინახოთ დემოკრატიული სტილის მიმდევარ პედაგოგასა და მენეჯერს შორისაც. პედაგოგიურ საქმიანობაში ჰუმანურ-დემოკრატიული სტილის გამოყენების შემთხვევაში აღსაზრდელთა ინტერესების გათვალისწინებით აიგება ურთიერთობები. პედაგოგი აქტიურად თანამშრომლობს მოსწავლეებთან, სწორედ აღსაზრდელთა პიროვნების პატივისცემითა და პედაგოგთა კომპეტენციის საფუძველზე მიიღწევა დემოკრატიული წესრიგი და აკადემიური წარმატებები.

რაც შეეხება ბიზნესსაქმიანობაში დემოკრატიული ურთიერთობის სტილის გამოყენებას, აღნიშნულის მსგავსად, აქაც გადაწყვეტილებები კოლეგიალურად მიიღება, უფლებამოსილება გადახაზილებულია დონეების მიხედვით, კომუ-

ნიკაციებს აქვს როგორც დაღმავალი, ისე აღმავალი ხასიათი. მართვაში თანამონაწილეობა ზრდის თანამშრომელთა პირად პასუხისმგებლობას და საქმიანობაში მყარ მოტივაციას. უფრო მეტიც, ასეთი მუშაობით შესაძლებელია ქვედა დონის მენეჯერთა აზრის გათვალისწინებაც. ამის შედეგად გუნდური მუშაობისას და კონფლიქტის შესაძლებლობებიც მინიმუმამდევა დაუვანილი. თუმცა, გადაწყვეტილებების ოპერატიულად მიღება ყოველთვის ვერ ხერხდება და, აქედან გამომდინარე, მატულობს დროის დანახარჯები, მაგრამ, ასეთი ფაქტები იმდენად მცირეა, რომ საბოლოო შედეგებზე არსებით გაფლენას ვერ ახდენს.

განხილულ სახეებთან შედარებით ნაკლებად გაკრცელებულია ლიბერალური ურთიერთობის სტილი. აქვს უნდა აღინიშნოს, რომ ამ სტილის მიმდევრობა წარმატების შანსს მინიმუმამდევა ამცირებს, როგორც სასწავლო პროცესში, ისე მენეჯერულ საქმიანობაში. როგორც ერთ, ისე მეორე სფეროში, ლიბერალური სტილის გამოყენებისას პროცესები თვითდინებაზეა მიშვებული. პირფერობა და მაამებლობა მირს უთხრის დისკიპლინას. დაუსჯელობის გამო პასუხისმგებლობა მინიმუმამდევა დაუვანილი. ერთნაირად ფასდება სიბეჯითე და წარუმატებლობა სწავლაშიც და შრომაშიც. ამის გამო ინიციატივის გამოჩენის სურვილიც არ არსებობს. მცირებიცხოვან მოწინავე მოსწავლეთა წარმატებები არ ფასდება შესაბამისად, ან მათთან გათანაბრებულია ჩამორჩენილებიც, ისე, როგორც ბიზნესსაქმიანობაში, ასიური და უნარიანი მუშაკის დამსახურება, არაფრით არის გამორჩეული. როგორც ამ სტილის მიმდევარი მასწავლებელი, ისე მენეჯერი, დაუმსახურებლად მიმართავს გათანაბრების პრიციპს, რაც იწვევს მოტივაციის დაპარგვას ან დაბაძლობას კოლექტივში.

### 3. დასკვნა

ამრიგად, აღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე, შესაძლებლად მიგანია პიროვნების ფორმირების პროცესში, მის მიმართ განხორციელებულმა ზემოქმედებამ, შესაბამისი გამოხატულება პრაქტიკულ საქმიანობაში პპოვს. კონკრეტულად ასეთი ვითარება უკვე ფიქსირდება ბიზნესსაქმიანობაში. გამორიცხული არ არის ანალოგიური ტენდენციები მეტ-ნაკლებად სხვა სფეროებშიც გამოვლინდეს. ამიტომ სასწავლო – აღმზრდელობითი პროცესისა და ზოგადად განათლების სისტემის სრულყოფას (როგორც ზოგადი, ისე უმაღლესი) სახიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება, რადგან აქ იწყება და სრულდება სულიერი ფასეულობებისა და კომუნიკაციური უნარების ფორმირება, რომელსაც პროფესიულ კვალიფიკაციასთან ერთად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საქმიანობის ნე-

ბისმიერ სფეროში, ხოლო ამ უნარების როდი გამორჩეულია მენეჯერულ საქმიანობაში.

### **ლიტერატურა**

1. შ. ამონაშვილი. ურთიერთობა და აღზრდა // სკოლა და ცხოვრება, 1983, № 9, გვ. 6-12.
2. გ. დოდონაძე. პედაგოგიური სელმდლვანელობის სტილი // სკოლა და ცხოვრება, 1974, №10, გვ. 7-17.
3. შ. მალაზონია. პედაგოგიკა. თბილისი: ქრონიკა, 2001, გვ. 69-76.
4. Likert, R. New Patterns of Management, McGraw Hill. 1987. 279p.
5. Tannenbaum, R. Schmidt, W., 'How to choose a leadership pattern', Harvard Business Review (Mar/Apr). 1958. P. 37-52.

**UDC 37.01:638.244**

## **PEDAGOGICAL RELATIONSHIP TYPES AND LEADERSHIP STYLE IN MANAGEMENT**

**A. Asatiani**

Department of heat and hydroenergetics, Technical University of Georgia, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** Skilful selection and use of managerial communication types is a tactical issue of business administration. Their formation is a basic problem of upbringing and education, which takes place earlier simultaneously with formation of person's internal world and communication capabilities, therefore between them is cause-effect relation. Practice reveals that the managers holding good communication skills learnt its basics, yet in their earlier ages, on the general educational level, further they improve it in the institution of higher education in the frame of democratic pedagogical relationship. It actually reflected in their managerial activities and transformed into optimal style of leadership. Hence, formation of person's sociability should pay relevant attention on each step of teaching. Professional approach towards this issue, with relevant intensity, is possible in compliance with profile.

**Key words:** pedagogical relationship types: authoritarian; democratic; liberal. leadership style in management.

**УДК 37.01:638.244**

## **ВИДЫ ПЕДАГОГИЧЕСКИХ ОТНОШЕНИЙ И СТИЛИ ЛИДЕРСТВА В МЕНЕДЖМЕНТЕ**

**Асатiani А.Ч.**

Департамент тепло- и гидроэнергетики, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Способность подбора и использования видов менеджерской коммуникации, тактический вопрос управления бизнесом и их формирование- основная проблема воспитания и образования, которая протекает намного раньше, вместе с формированием духовного мира личности и коммуникационных навыков, поэтому между ними существует причинно-следственная связь. Практика выявила, что те менеджеры, которые хорошо владеют коммуникационными навыками, ещё в раннем возрасте, на образовательном уровне, овладели их основами, и в дальнейшем укрепили их в высших учебных заведениях в рамках демократических педагогических отношений, что фактически и сказалось в их менеджерской деятельности и преобразовалось в оптимальный стиль лидерства.

Исходя из этого, важно уделять внимание формированию коммуникабельности личности на всех ступенях обучения, профессиональному подходу по отношению к ней с наибольшей интенсивностью, возможно, соответственно с профилем.

**Ключевые слова:** виды педагогических отношений: авторитарный; демократический; либеральный; стили лидерства в менеджменте.

გემოსაცვლის თარიღი 11.12.08  
გილგადულის დახაბულება 20.02.09

### შაპ 338. 24. 021. 8

### ეპონომიკური რეფორმა საქართველოს სამთო მრეწველობაში

გ. ლომსაძე\*, გ. ლომსაძე\*\*

საინჟინრო გეოდეზიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, ქოსტავას 77

E-mail: [gela\\_lobjanidze@inbox.ru](mailto:gela_lobjanidze@inbox.ru); [GuramLomsadze@posta.ge](mailto:GuramLomsadze@posta.ge)

**რეზიუმე:** განხილულია გარდამავალი ეკონომიკის პირობებში საქართველოს სამთო მრეწველობის ეკონომიკური რეფორმირების თანმიმდევრული განხორციელების ობიექტური აუცილებლობა, რაც მოითხოვს საქართველოს მიზანი და ითვალისწინებს მიზნების მყაფიო ფორმულირებას. შესაბამისი სამართლებრივი ბაზის უზრუნველყოფის პირობებში სახელმწიფო რეგულირებამ რეფორმირების პროცესში უნდა უზრუნველყოს სამთო პროფილის საწარმოთ მეურნეობრიობის ამაღლება და ქვეყნის სამრეწველო-ეკონომიკური აღმავლობის მიღწევა.

**საკვანძო სიტყვები:** საბაზო ეკონომიკა; ეკონომიკური რეფორმა; მენეჯმენტის სრულყოფა.

### 1. შესავალი

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში საქართველოს სამთო მრეწველობის სტაბილური და წარმატებული ფუნქციონირება უკავშირდება აღნიშნულ დარგში ეკონომიკური რეფორმის ეტაპობრივად და თანმიმდევრულად განხორციელების ობიექტურ აუცილებლობას. საჭირო განვითარება იმ მნიშვნელოვანი საკითხების გათვალისწინება, რომლებიც თავის მხრივ, გამომდინარე იქნება ჩვენ ქვეყნაში მიმდინარე ერთიანი ეკონომიკური რეფორმისა და ერთიანი სამრეწველო პოლიტიკის ჩამოყალიბების კანონზომიერი და მიზანმიმართული პროცესებისაგან. კერძოდ, ასეთი საკითხები: განვითარების მთხნების ფორმულირება და მოქმედების სტრატეგიისა და ტაქტიკის ამოცანათა განსაზღვრა; სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება; პრივატიზაციისა და რესტრუქტურიზაციის გონივრულად და სამართლიანად წარმართვა; სამეცნიერო-ტექნიკურ-ტექნიკოლოგიური საქმიანობა თანამედროვე დროის მოთხოვნათა შესაბამისად; მიზანდასახული საინგენიერიკო პოლიტიკის გატარება; საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება და მათი ეფექტიანად რეგულირება და სათანადო საკანონმდებლო ბაზის უზრუნველყოფა.

### 2. ძირითადი ნაწილი

XX საუკუნის ბოლოს, ყოფილი საბჭოთა კავ-

შირის დაშლის შემდეგ, საქართველოს მიეცა ისტორიული შანსი მეურნეობის გლობალური გარდამნების კალობაზე საფუძველი ჩაუყაროს მაღალგანვითარებულ ეროვნულ სამრეწველო კომპლექსს, რისთვისაც მნიშვნელოვანია ეკონომიკის მიზანმიმართული სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება, რომელიც მოიცავს ორგანიზაციული, მმართველობითი, ტექნიკურ-ტექნილოგიური და სოციალური დონისძიებების სისტემებს დარგობრივ და რეგიონულ ჭრილში, ეროვნული მრეწველობის შესაბამისი ეფექტიანი დარგობრივ-ტერიტორიული სტრუქტურების ჩამოყალიბების თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, მრეწველობაში კომპლექსურად უნდა განხორციელდეს სტრუქტურული გარდაქმნა და პრიორიტეტების განსაზღვრა სახელმწიფოს სწორი სტრუქტურული პოლიტიკის საფუძველზე, სადაც საქართველოს სამთო მრეწველობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს მეურნეობის დარგთა სისტემაში, რადგან მას, მასში შემავალ ცალკეულ ქვედარგებსა და საწარმოებს განვითარების კარგი პერსპექტივები აქვთ.

საქართველოში ეკონომიკის სტრუქტურული, თვისებრივი ცვლილებები საჭიროებს, უწინარეს ყოვლისა, მაკრო დონეზე, სოციალურ-ეკონომიკური სისტემის რესტრუქტურიზაციას, რომელიც პირდაპირ უკავშირდება საკუთრებით ურთიერთობათა გარდამნებს, ამასთან, იგი საშუალებას იძლევა რეალურად შეფასდეს საბაზრო ურთიერთობათა განვითარების დონე, განისაზღვროს ეფექტიანობის მთავარი ფაქტორი და სახელმწიფოს როლი სოციალურ-ეკონომიკური პროცესების რეგულირებაში.

როგორც ცნობილია, საქართველოში პრივატიზაცია დაიწყო მეტად როგორიცაც ეკონომიკურ და სოციალურ ვითარებაში, რის გამოც იგი სტიქიურად და წინააღმდეგობრივად წარიმართა. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე, საკვლევ დარგშიც, პრივატიზაცია, მასშტაბური და ნაკლებებებითაა. საერთოდ, ამ დარგში ფორსირებულად ჩატარებულ პრივატიზაციას და აქციონირებას, ჯერჯერობით, მეტწილად თეორიულ-ინდივიდუალური შედეგები უფრო აქს, ვიდრე მზარდი ეკონომიკური უფასტი. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ პრივატიზებულ და აქციონირებულ საწარმოთა დიდი ნაწილი სათანადო ეფექტიანობით ვერ ფუნქციონირებს, ხოლო ის, რომელიც მუშაობს არა-

სრულადაა დატვირთული, რამაც განაპირობა საკვლევ დარგში ეკონომიკური მაჩვენებლების (წარმოებული პროდუქცია, მომუშავეთა რაოდენობა) გარკვეულწილად შემცირება.

ჩვენ ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმებით გამოწეული ცვლილებები – სახელმწიფო საწარმოთა დემონოპლიზაციის, წარმოების კონცენტრაციის დონის, საწარმოთა ზომის, ინსტიტუციონალური, შრომის მწარმოებლურობის მიღწეული დონისა და სხვა ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით, უძირველეს ყოვლისა, გარდამავალი ეკონომიკის თავისებურებების გამოხატულება. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ მიუხედავად 1996-2005 წლებში მიღწეული წარმოების ზრდისა, საკვლევი დარგის საწარმოების მიერ ვერ იქნა დაძლეული 1991-1995 წლების ჩამორჩენა. კერძოდ, სამორ მრეწველობაში წარმოების მოცულობამ 2005 წელს 1990 წლის დონის 43,9% შეადგინა. მიუხედავად საწარმოების ზრდისა, 1990-2005 წლებში ადგილი ჰქონდა დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებას. მაგალითად, ოუ 1990 წელს საკვლევ დარგში დასაქმებული იყო 25831 კაცი, 2005 წელს მათი რაოდენობა თითქმის 3-ჯერ შემცირდა და 8649 კაცი შეადგინა. ამასთან, გამოშვებული პროდუქციის მოცულობის წილი არასახელმწიფო სექტორში სახელმწიფო სექტორთან შედარებით გაცილებით მაღალია და მან 2005 წელს შეადგინა 65,1%; ხოლო სახელმწიფო სექტორში, ამავე პერიოდისათვის დასაქმებულთა ხევდრითმა წილმა შეადგინა 67,5%, მირითადი კაპიტალის მიხედვით კი – 62,2%. მიუხედავად ამისა არასახელმწიფო სექტორსა და მსხვილ და საშუალო საწარმოებში ეკონომიკური ეფექტინობის მთელი რიგი მაჩვენებლები საქმაოდ უპირატესია. ამის ნათელი დადასტურებაა წარმოების ისეთი უმნიშვნელოვანები მაჩვენებლები, როგორიცაა შრომის მწარმოებლურობა – 36231 ლარი (არასახელმწიფო სექტორში); 18955 ლარი და 16555 ლარი მსხვილ და საშუალო საწარმოებში; კაპიტალის მწარმოებლურობა – 3939,5 ლარი (არასახელმწიფო სექტორში); 2294,3 ლარი და 2518,8 ლარი მსხვილ და საშუალო საწარმოებში. ამასთან, მცირე საწარმოებში ზემოთ აღნიშნული მაჩვენებლები მნიშვნელოვანად ჩამორჩება მსხვილ და საშუალო საწარმოების შესაბამის მაჩვენებლებს (იხ. ცხრილი 1). აქედან გამომდინარე, განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორის, მსხვილი, საშუალო და მცირე საწარმოების კოორდინირებული ფუნქციონირება, რაც მათი ეფექტინი და წარმატებული საქმიანობის საფუძველია.

მსოფლიოს ეკონომიკურად მოწინავე ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, ეკონომიკის ძირებული სტრუქტურული გარდაქმნა წარმატებული სტრუქტურული გარდაქმნა წარმატებული სტრუქტურის მცირებულობით, საბაზრო კონკურენტურის არასაგმარისი ცოდნით, სახელმწიფოს მიმდევრული მდგომარეობით, ჩვენ ქვეყანაში მეწარმეებისა და საწარმოო პოტენციალის განვითარების მცირებულობით, საინვესტიციო ბაზის მატებულებით და განვითარების მცირებულობით.

ბულად განხორციელდა იმ ქვეყნებში, რომლებმაც მოახერხეს ეველაზე მოწინავე სამეცნიერო-ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენება და შეძლებს აქტიური მიზანდასახული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარება ამ მიღწევების წარმოებაში რეალიზაციის გზით. ამიტომ, სერიოზული უკრადღება უნდა დაეთმოს საკვლევ დარგში აღნიშნულ საქმიანობათა ქმედით განხორციელებას. ამასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია რეგიონული გეოლოგიური პკლევების ჩატარება, რაც მინერალურ-სანედლეულო ბაზის განმტკიცების, გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების შესრულების და მომპოვებელი დარგების წარმატებული ფუნქციონირების ზოგადი სტრატეგიის და ჩვენი ქვეყნის მრავალმხრივი განვითარების საფუძველია. საერთოდ, სამეცნიერო-ტექნიკურ-ტექნოლოგიური პროგრესი მინერალური რესურსების წარმოების პროცესში ჩართვის, ხედლეულისა და მასალების კომპლექსურად გადამუშავების, ნარჩენების გამოყენების დიდ შესაძლებლობებს განაპირობებს, რაც, თავის მხრივ, გაზრდის სამორ წარმოების მოგებას და რენტაბელობას, შესაბამისი სახელმწიფო მსხვილდაჭრიის სისტემის შექმნისა და სამართლებრივი ბაზის უზრუნველყოფის პირობებში.

საქართველოს სამორ მრეწველობის ეკონომიკური განვითარება-შემდგომი წინსვლისათვის, გარდამავალი ეკონომიკის პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მიზანმიმართული საინვესტიციო პოლიტიკის ჩამოყალიბება-წარმართვას. ამასთან, მნიშვნელოვანია, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის და მათი რაციონალურად გამოყენების შესაძლებლობების ეფექტინანად წარმართვა. როგორც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გამოცდილება ნათელყოფს, უცხოური ინვესტიციები სასიკეთო გავლენას ახდენს ამა ოუ იმ ქვეყნის ეკონომიკურ პროცესებზე. - სტრუქტურული გარდაქმნების და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მთელი რიგი აქტუალური საკითხების გადაწყვეტის თვალსაზრისით.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში სუსტი სამართლებრივი ბაზის არსებობისას, როცა ადგილი აქს მოკლევადიან ეკონომიკურ ურთიერთობებს, საკვლევ დარგში უცხოეთის ინვესტიციათა მოზიდვა დაბალ დონეზე დგას, რაც მირითადად გამოხატულია საინვესტიციო ბაზრის მცირე ტეგადობით და განვითარებულია სამორ საწარმოების ფინანსური და ტექნიკურ-ტექნოლოგიური მასასიათებლების მოუწერივებლობით, საბაზრო კონკურენტურის არასაგმარისი ცოდნით, სახელმწიფოს მიმდევრული მდგომარეობით, ჩვენ ქვეყანაში მეწარმეებისა და საწარმოო პოტენციალის განვითარების არასრულყოფილი დონით, საინვესტიციო ბაზრის მაღალი საპროცესურო განაკვეთებით და დაკრედიტების მცირე ვადებით.

## ცხრილი 1

## საქართველოს სამთო მრეწველობის ძირითადი კერძომიგური მაჩვენებლები, 2005 წელი\*

კერძომიგური მაჩვენებლები	იურიდიულ პირ საწარმოთა ზომების მიხედვით	იურიდიულ პირ საწარმოთა საკუთრების უკარმების მიხედვით	თრგანისაციულ-სამართლებრივი გორმების მიხედვით
გამომდევნობა, მარტონოა რაოდნენობა, კომუნიკაცია, ლარი - %	8 - 7,6	22 - 21,0	75 - 71,4
გრუნვა, შლი. ლარი - %	145,6-89,0	12,3-7,5	5,7-3,5
პროდუქციის გამოშევაბა, ლარი. ლარი - %	134,0-87,6	13,5-8,8	5,4-3,6
დამსტატული დირექტორების, შლი. ლარი - %	83,2-91,7	5,4-5,9	2,1-2,4
შუალედური მომსარებება, ლარი - %	50,9-81,7	8,1-13,0	3,3-5,3
წარმოებისა და რეალიზაციის ხარჯები, შლი. ლარი - %	106,2-86,3	11,9-9,7	4,9-4,0
ძირითადი კაპიტალი, შლი. ლარი - %	58,4-87,1	5,4-8,0	3,3-4,9
დასაცმება, ბაზი - %	7072-83,6	814-9,6	570-6,7
ვირმის საშუალო ოფიციალი ანაზღაურება, ლარი	316,3	194,0	122,3
შრომის მარტივებულებისა, ლარი	18955	16555	9540
ქაპიტალის მწარმოებლურობა, ლარი	2294,3	2518,8	1651,8
ქაპიტალის მწარმოებლურობა, ათასი ლარი	8,3	6,6	5,8
			7,3
			9,2
			-
			-

\* ცხრილი შედგენილია სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების საფუძვლებით.

შესწავლით მასალების საფუძველზე ვფიქრობთ, რომ საკვლევ დარგში ინგენიერიების ეფუძნებიანად მოზიდვა და გამოყენება მიმართული უნდა იქნეს, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული ერთიანი სამეცნიერო კომპლექსის ფორმირებისაკენ, სადაც მნიშვნელოვანია სამთო საწარმოთა საინვესტიციო პროგრამების საიმედოობის ღონის ამაღლება და საინვესტიციო პროექტების ეფუძნებიანის სრულყოფილად დასაბუთება აღნიშნული პროგრამების კომერციული შეფასების საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული კრიტრიუმებით, საქართველოში შემოსავლებისა და დასაქმების ზრდა, მენეჯმენტისა და მარკეტინგის სფეროში უცხოეთის გამოცდილების გაზიარება, მენეჯერების მომზადებისა და გადამზადების სისტემის ორგანიზაცია, საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილეობა და კოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ინტეგრაციული პროცესების ტენდენციები საკვლევ დარგთან მიმართებაში, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების თვალსაზრისით ითვალისწინებს შიდა მოთხოვნილებებისა და მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებების პარმონიულად შეთანაწყობის სტრატეგიას, სადაც მენეჯმენტის სრულყოფის კვალობაზე გათვლილი უნდა იქნეს სპეციალიზაციიდან და კოოპერაციიდან მაქსიმალური სარგებლობის მიღების შესაძლებლობები, წარმოებისა და საგარეო ვაჭრობის სწორი ორგანიზაცია, საექსპორტო შესაძლებლობების ზომიერად განსაზღვრა, მოქმედ საწარმოთა რეაბილიტაცია-მოდერნიზაცია, ერთობლივი საწარმოების შექმნა, მაღალი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობები და კონკურენციის მიზანმიმართული შინაარსი.

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, საქართველოს სამთო მრეწველობის წარმატებული ფუნქციონირება და მინერალური რესურსების გააზრებული და გონივრული ათვისება შეიძლება უკავშირდება მტკიცე საკანონმდებლო ბაზის შექმნას თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად, სადაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წიაღით სარგებლობის სახელმწიფო მართვის, სამთო კოდექსის, საინვესტიციო პოლიტიკის, მინერალური რესურსების კადასტრის და სხვათა ნორმატიულ-სამართლებრივ რეგულირებას და ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ღონისძიებათა სრულ კომპლექსთან შესაბამისობაში მოყვანას. აქ ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ სახელმწიფო რეგულირებაში რეფორმირების პროცესში უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში სამრეწველო-ეკონომიკური აღმავლობის მიღწევა და შესაბამისი სამთო პროფილის საწარმოთა მეურნეობრიობის ეფექტიანობის ამაღლება.

### 3. დასკვნა

საქართველოს სამთო მრეწველობაში ეკონომიკური რეფორმის სტრატეგიის განსაზღვრისას მთავარი ამოცანაა მინერალურ-სანედლეულო ბაზის ეკონომიკურად დასაბუთებული შესწავლა, მინერალური რესურსების რაციონალურად და კომპლექსურად მოპოვება და გადამუშავება, და მინერალური ხედლეულის ეფექტიანად გამოყენება. ამასთან, განსაკუთრებული ნიშანდობლივია საკვლევი დარგის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურული ცვლილებების და სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური როლის ეფექტიანად გამოყენების სტრატეგიისა და ტაქტიკის განსაზღვრა-განხორციელება. აქ მნიშვნელოვანია სამრეწველო-ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებების გამიჯვნა მართვის ეკონომიკური მექანიზმის საკითხებისაგან, რაც თავის მხრივ, უნდა დარგვა-ლირდეს შესაბამისი სამართლებრივი ბაზით.

### ლიტერატურა

1. მეწარმეობა საქართველოში 2006 სტატისტიკური პუბლიკაცია. თბ.: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, 2006, გვ. 164.
2. ვ. პაპავა. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომიდან და საქართველოს ეკონომიკა. თბ.: პდპ, 2002.- 526 გვ.
3. 6. სანოელაძე. საქართველოში ეკონომიკის რეფორმირების მაკრო და მიკრო ასპექტები // საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, შრომები, I, თბ.: სიახლე, 2000, გვ. 27-55.
4. საქართველოს სტატისტიკური წელიწევეული, 2006. თბ.: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, 2007, გვ. 329.
5. 6. ჭითანავა გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები (ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება) ნაწილი II. თბ.: ესპექტის გამომცემლობა, 1999. 263. გვ.
6. გ. წერეთელი საქართველოს ეკონომიკის გარდაქმნის სტრატეგიული მიზნები და მათი რეალიზაციის გზები // მაკრო მიკრო ეკონომიკა, 2000, №1-2, გვ. 34-35 და №3, გვ. 15-17.
7. დავით ა. ა. ბერიძე. მინერალური რესურსების გარემოება. თბ.: მეცნიერება, 1991.- 279 გ.
8. დავით ა. ა. მინერალური რესურსების გარემოება. თბ.: მეცნიერება, 1997.- 415 გ.
9. კუდროვ ვ. მ., შენაევ ვ. ნ., ვოლოდინ ა. ნ. და ევროპა და რუსეთი. მინერალური რესურსების გარემოება. თბ.: მეცნიერება, 1996.- 480 გ.

**УДК 338.24.021.8****ECONOMIC REFORM IN GEORGIAN MINING INDUSTRY****G. Lomsadze, G. Lobzhanidze**

Departament of engineering geodesy, Technical University of Georgia, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** There is studied the economic reform of Georgian mining industry and its results. State regulation features for the market economy transition period are analyzed for this field (Protection of state interests, development of industrial infrastructure, management capacity building, etc.). There are proposed measures and priorities for the effective functioning of mining industry.

**Key words:** market economy; economic reform; management improvement.**УДК 338.24.021.8****ЭКОНОМИЧЕСКАЯ РЕФОРМА В ГОРНОЙ ПРОМЫШЛЕННОСТИ ГРУЗИИ****Ломсадзе М. И., Лобжанидзе Г.З.**

Департамент инженерной геодезии, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Изучены экономическая реформа в горной промышленности и ее результаты. Исходя из этого, проанализированы механизм государственного регулирования горной промышленности Грузии в период перехода на рыночную экономику, обеспечение государственных интересов, развитие промышленной инфраструктуры, усиление менеджмента и др. Предложены мероприятия и приоритеты эффективного функционирования горной промышленности.

**Ключевые слова:** рыночная экономика; экономическая реформа; совершенствование менеджмента.

შემოსვლის თარიღი 24.12.08  
ძირიბულის დახაბეჭდის 02.02.09

## შაპ 726.1

### ბაზრატის ტაძრის ტექნიკური მდგრადვრეობის კვლევა

ი. გუჯაბიძე, რ. მუგანაძე, ზ. ლებანიძე\*

სამთო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო,  
0175, თბილისი, ქოსტავას 77

E-mail: zlebanidze@mail.ru

**რეზიუმე:** ქართული ხუროთმოძღვრების X-XI საუკუნეების მნიშვნელოვანი ძეგლის, ბაგრატის ტაძრის ტექნიკური მდგრადვრეობის დეტალური კვლევა ჩატარდა 2008 წელს. კვლევა მოიცავს ცალკეული კონსტრუქციების კედლების, კონქების, სვეტებისა და საძირკვლების მდგრადვრეობის შესწავლას, დაზიანებების, ნაპრალების, მიკრო- და მაკრობზარების დაფიქსირებას, საპერანგების, კვის, ყორებების, საძირკვლის კვის და დუღაბის კუმშვაზე სიმტკიცის განსაზღვრას საველ და დაბორატორიულ პირობებში.

კვლევების დროს ვიყენებდით შევიცარული ფირმების „PROCEQ“-ისა და „FIBER OPTIC“-ის ტექნიკასა და ტექნოლოგიებს.

**საკანონი სიტყვები:** შურფი; კედლები; კონქები; სვეტები; საძირკვლები; დაზიანებები; ნაპრალები; მიკრო- და მაკრობზარები; ყორებების კვის და დუღაბის კუმშვაზე სიმტკიცის განსაზღვრას საველ და დაბორატორიულ პირობებში.

## 1. შესავალი

ქართული ხუროთმოძღვრების X-XI საუკუნეების მნიშვნელოვანი ძეგლი ბაგრატის ტაძრი ძლიერ დაზიანდა XVII-XVIII საუკუნეებში საქართველოს მტრების მიერ. ტაძრის მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნებული აღდგენითი სამუშაოები დაიწყო 1952 წლიდან /1/. განვლილი წლების განვლილი შესრულდა ტაძრის ცალკეული კონსტრუქციების და არქიტექტურული ელემენტების – კედლების, კონქების, კარიბჭეებისა და სვეტების ნაწილის აღდგენის სამუშაოები.

ბოლო პერიოდში ბაგრატის ტაძრის რეკონსტრუქცია-რესტავრაციის საკითხი აქტიურად განიხილება როგორც არქიტექტურულ-ხუროთმოძღვრულ წრეებში, ისე საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვა და სპორტის სამინისტროსა და საპატრიარქოში.

რესტავრაციის სრულფასოვანი პროექტის შესადგნად აუცილებელი იყო ტაძრის ტექნიკური მდგრადვრეობის დეტალური კვლევების ჩატარება, რაც განხორციელდა 2008 წელს.

## 2. ძირითადი ნაწილი

ბაგრატის ტაძრის ტექნიკური მდგრადვრეობის კვლევა მოიცავს მის ვიზუალურ დაოვალიერებას და ინსტრუმენტულ კელევებს, დაზიანებების, ნაპრალების, მიკრო- და მაკრობზარების დაფიქსირებას, მათი დინამიკის შესწავლას, საპერანგებ

ქებებსა და ყორებული არსებული სიღრუეების შესწავლას, ტაძრის საძირკვლის გამოკვლევას შერფების საშუალებით. საპერანგებ ქვის, ყორებების, საძირკვლის ქვისა და დუღაბის კუმშვაზე სიმტკიცის განსაზღვრას საველ და ლაბორატორიულ პირობებში, აღებული სინჯებისაგან დამზადებული ნიმუშების გამოყენებით ლაბორატორიულ პირობებში ფიზიკურ-მექანიკური თვისებების, სიმტკიცის, დრეკადობის მოღულის, ჟუსონის კოეფიციენტის და ყინვამედებობის განსაზღვრას, ნაპრალების და ბზარების კვლევის შედეგების მიხედვით დაზიანებების ამსახველი რეკომენდაციების შედგენას.

კვლევების პირველ ეტაპზე ტაძრის ექსტერიერი და ინტერიერი დაყოფილ იქნა (250X200) და (130X200)სმ ზომის მარტეულებებიდან. აღნიშნული უჯრედები სრულად მოიცავს საკვლევი კედლების სიბრტყეებს. ტაძრის კონსტრუქციების ძირითადი სამშენებლო მასალა არის კირქვა. კირქვით არის აგებული როგორც ფუნდამენტი, ისე კედლების, კონქების, სვეტების ყორებება და მოპირკეთების საპერანგებ ქვა. ტაძრის საძირკვლის, კედლების, კონქების და სვეტების ამგები კირქვების, დუღაბის და საპერანგებ ქვების სიმტკიცის განსაზღვრა საველ პირობებში მოხდა არარღვევითი მეთოდით შევიცარული ფირმა „PROCEQ“-ის მიერ დამზადებული შმიდტის „DIGI SCHMIDT-2000“ ჩატარის გამოყენებით. ტაძრის ექსტერიერის და ინტერიერის საკვლევი უბნების თითოეული უჯრედის 3-4 წერტილში განისაზღვრა საპერანგებ ქვის, ყორებებისა და დუღაბის სიმტკიცე კუმშვაზე. სულ გაზიმებები ჩატარდა 1800-მდე წერტილში. წერტილების რაოდენობა განისაზღვრა უჯრედებში მოქცეული მოპირკეთების ქვების დაზიანებიდან გამომდინარე დაზიანების ხარისხი განისაზღვრა ვიზუალური დაკვირვების შედეგად, კერძოდ, ქვების უმეტესობა გამოფიტულია, დაბზარულია, ატკებილი და დაშლილია. შედარებით მეტი დაზიანება დაფიქსირდა ინტერიერში, სადაც მოპირკეთების ქვების სიმტკიცე მეტწილად დაბალია და შეადგენს 10.4-19.0 მმ. სიმტკიცის შედარებით მაღალი მნიშვნელობები (22.0-52.0 მმ) დაფიქსირდა ექსტერიერის მოპირკეთების ქვების სიმტკიცის გამოკვლევისას. ანალოგიური გამოკვლევები ჩატარდა ტაძრის სვეტებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ექვსივე სვეტი მძლავრი მზიდა კონსტრუქციაა, რაც ძირითადად განპირობებულია კირის ხსნარზე დამზადებული დუღაბის მაღალი

სიმტკიცით. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ამჟამად მათი სიმტკიცე იცვლება 10.0-15.0 მპა ფარგლებში. ასევე მაღალია დარჩენილი სეგმენტის მოსაპირეთებელი ქვების სიმტკიცე, რომელთა მნიშვნელობები იშვიათად არის 30.0 მპა-ზე ნაკლები.

ჩატარებული კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ სიმტკიცის იცვლება საქმაოდ ფართო დიაპაზოში (10.4-50.8მპა), მკვეთრი განსხვავება შეიმჩნევა მეტწილად საპერანგე ქვების სიმტკიცეში. ასეთი განსხვავება გამოწვეულია ძირითადად საპერანგე ქვების დაბზარვის და გამოფიტვის სხვადასხვა ხარისხით. კუმულაციური სიმტკიცის ანალოგიური მნიშვნელობებია მიღებული გ.წულუკიდის სახ. სამთო ონსტიტუტში საყოველთაოდ ცნობილი მეოთვებისა და დანადგარების /2/ გამოყენებით ჩატარებული ლაბორატორიული კვლევების შედეგად. ტაძრის ტერიტორიიდან აღებული სინჯებისაგან დამზადებული ნიმუშების გამოყენებით ლაბორატორიულ პირობებში განისაზღვრა ფიზიკურ-მექანიკური თვისებები, სიმტკიცე, დრეკადობის მოდული, პუასონის კოეფიციენტი და ყინვამედეგობა.

თანამედროვე ააარატურის გამოყენებით გამოვიკლიეთ ტაძრის კედლების მოპირკეთების ქვებში ბზარების გავრცელების დინამიკა და არსებული სიღრუეები. თავდაპირველად საკვლევი უჯრედების საზღვრებში ვიზუალური შესწავლის შედეგად დაფიქსირდა ბზარების გავრცელების ტრაქტორიები, რომელებიც დატანილ იქნა სათანადო დაზიანების რუკებზე. კვლევის პროცესში გაიზომა ბზარების გახსნის სიღიდეები, რომლის მიხედვითაც ბზარები პირობითად დაიყო სამ კატეგორიად:


- მცირე (მიკრო) ბზარები, რომელთა გახსნის სიღიდე იცვლება 1-2 მმ ფარგლებში;
- საშუალო (მაკრო) ბზარები, რომელთა გახსნის სიღიდე იცვლება 2-5 მმ ფარგლებში;
- დიდი (ნაპრალოგანი) ბზარები, რომელთა გახსნის სიღიდე იცვლება 5 მმ-დან ზევით.

ნაპრალების და ბზარების გახსნის სიგანის გასაზომად ვიყენებდით შტანგებზარგალს, სიგრძის და სიღრმის გასაზომად – საზომ ბაფთას, ხოლო დინამიკის შესასწავლად – შევიცარიული ფირმა „PROCEQ“-ის მიერ დამზადებულ დეფორმომეტრს R3413. ტაძრის ექსტერიერისა და ინტერიერის საკვლევი უბნების საპერანგე ქვებზე არსებული ბზარების გამოკვლევებით გამოვლინდა, რომ ბზარების უმეტესი ნაწილის გახსნის სიღიდე მცირე და საშუალო ზომისაა და არ აღმატება 0.4 სმ-ს აღსანიშნავია ტაძრის შიგნით ჩრდილოეთ მხარეს და ჩრდილოეთი მხარის შიგა კედლის მარჯვენა ნაწილში არსებული დიდი გახსნის მქონე ბზარები, რომლებიც ვრცელდება


ტაძრის კედლის თითქმის მთელ სიმაღლეზე. მათი გახსნის სიღიდე მნიშვნელოვნია და იცვლება 0.6 სმ-დან 4 სმ-დამ. თაბაშირის საშუალებით ნაპრალებისა და ბზარებიდან დაახლოებით თანაბარ მანძილზე დამაგრებული საკალიბრო დისკების საშუალებით ეწყობოდა რეპერები (1-ელ და მე-2 ნახატებზე რეპერების სიახლოეს ციფრებით აღნიშნულია მათი ნომრები), რომელთა საშუალებით განხორციელდა ბზარების დინამიკის შესწავლა. დეფორმომეტრის საშუალებით პერიოდულად ხდებოდა რეპერებზე ანათვლების აღება 0.001 მმ სიზუსტით. იმავდროულად ანათვლებს ვიღებდით იმ ბზარებსა და ნაპრალებზე, რომელთა გადაადგილება ყველაზე მეტად იყო მოსალოდნელი, მოწყო თაბაშირის საკონტროლო ნიშნულები (ყარაულები), ბზარების დინამიკის დეფორმომეტრის საშუალებით შესწავლისა და თაბაშირის საკონტროლო ნიშნულებზე პერიოდული დაკვირვებების შედეგად კვლევის პერიოდში გადაადგილებები არ დაფიქსირებულა.

#### დასავლეთ ფასადი

მასშტაბი - 1: 20



ნახ.1. ტაძრის დასავლეთ ფასადის მარცხნა ნაწილის მე-19, მე-20, 21-ე და 28-ე საკვლევი უბნების დაზიანებების ასპორტი




ნახ.2. ტაძრის დასავლეთ ფასადის მარცხენა ნაწილის  
45-ე და 52-ე საკვლევი უბნების დაზიანებების ასპექტი

ტაძრის ვიზუალური დათვალიერების შედეგად სიღრუეები დაფიქსირდა, როგორც საპერანგე ქვებსა და ყორექვებს შორის, ისე უშუალოდ ყორექვებაში. სიღრუეების დეტალური გამოკვლევა განხორციელდა შეკიცარიული ფირმა „FIBER OPTIC“-ის მიერ დამზადებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი MS 6-600 MF ტიპის „HANDY-SCOPE“ ხელსაწყოს საშუალებით. ოპტიკურბოჭკოვანი კაბელის (ზონდის) თავის შემობრუნების კუთხე 180 გრადუსია, რაც სიღრუეების სრულფასოვანი დათვალიერების საშუალებას იძლევა. 1-ელ ნახაზზე ნაჩვენებია სიღრუეების მდებარეობა და სიღრმეები. „HANDY-SCOPE“ ხელსაწყოს სპეციალური ადაპტორის საშუალებით მიერთებული ციფრული ფოტოაპარატით ხდებოდა ტაძრის კონსტრუქციებში არსებული სიღრუეების ფოტოგრაფირება. საპერანგე ქვებს შორის და ყორექვებაში დაფიქსირებული სიღრუეები წარმოქმნილია დუღაბის გამოფიტვის და დაშლის შედეგად, ხოლო საპერანგე ქვებსა და ყორექვებას შორის არსებული სიღრუეები წარმოქმნილია, როგორც დუღაბის დაშლით, ისე საპერანგე ქვების თავდაპირველი დამაგრების ადგილიდან დაძვრის შედეგად ის. ფოტო 1.

ბაგრატის ტაძრის საძირკველი სავარაუდოდ მოიცავს სხვადასხვა პერიოდში აგებული სამი ტაძრის საფუძვლის ფრაგმენტებს /3/. მისი გამოკვლევა განხორციელდა ექსტერიერსა და ინტერიერში გაჭრილი შურფების საშუალებით. სულ გაიჭრა 21 შურფი ზომით (IX1 მ). შურფების სიღრმეს განსაზღვრავდა ტაძრის საფუძვლის ჩაღრმავება, რომლის სიდიდე შედარებით მცირეა ტაძრის სამხრეთ მხარეს (0.4-0.8 მ) ჩრდილოეთ მხარესთან შედარებით (1.5-2.0 მ). შურფების უმეტესი ნაწილი (15 შურფი) გაჭრილ იქნა ტაძრის

ექსტერიერის პერიმეტრზე, დანარჩენი (6 შურფი) კი – ინტერიერში. ჩრდილოეთ მხარეს შურფებში საფუძვლის ბოლომდე გამოკვლევა არ მოხერხდა, რაც გამოწვეული იყო შურფების ძირში გრუნტის წყლების გამოჩენით ის. ფოტო 2. თოთოველ შურფში განსაზღვრული იყო საძირკვლის ქვებისა და დუღაბის სიმტკიცის მნიშვნელობები,



ფოტო 1. ტაძრის ჩრდილოეთ ფასადის სარკმელში საპერანგე ქვებში დაფიქსირებული სიღრუეები



ფოტო 2. ტაძრის ჩრდილოეთ შახრეს ექსტერიერში გაჭრილი №16 შურფის ძირში არსებული გრუნტის წყალი.

რომელიც შესაბამისად იცვლება 5.4-44.7 და 3.4-6.4 მმ-ის დიამეტრში.

### 3. დასკვნა

ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით შედგენილ იქნა დაზიანებების ამსახველი რუკები და პასპორტები თოთოვეული საკვლევი უბისათვის. დაზიანებების რუკაზე დატანილია ყველა სახის დაზიანება გავრცელების მიმართ ულების და კოორდინაციების აღნიშვნით, ხოლო პას-

პორტებზე ნაჩვენებია ასევე დაზიანებების ტექნიკური პარამეტრები (ნახ. 1 და ნახ. 2).

ამჟამად მიმდინარეობს ბაგრატის ტაძრის რეკონსტრუქციის პროექტის დამუშავება, რომელსაც საფუძვლად დაედგება ჩატარებული კვლევების შედეგები.

ქართული ხეროვანმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლების ნაწილი მდებარეობს მეზობელი სახელმწიფო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე. მათი ტექნიკური მდგომარეობა უაღრესად არადამაკმაყოფილებელია, ამიტომ მათი კონსერვაციის ან რეაბილიტაციის პროექტების დასამუშავებლად აუცილებელია ზემოთ აღწერილი მეთოდოლოგიით სრულფასოვანი კვლევების ჩატარება.

### ლიტერატურა

1. ვ. ცინცაძე. ბაგრატის ტაძარი. თბილისი, 1964.
2. ვ. ლომთაძე. ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ლაბორატორიული კვლევის მეთოდები. თბილისი: განათლება, 1989. - 368 გვ.
3. მ. ლანჩავა. ქუთაისის არქეოლოგია. ქუთაისი: შპს „მანდარიას სტამბა“, 2007. - 304გვ.

**UDC 726.1**

## RESEARCH OF THE TECHNICAL CONDITION OF THE BAGRATI TEMPLE

**I. Gujabidze, R. Mzhavanadze, Z. Lebanidze**

Department of mining technologies, Technical University of Georgia, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** Detailed research, of the technical condition of the Bagrati Temple, an important monument of Georgian architecture of X-XI centuries, has been done in 2008. The research includes: studying the conditions of the walls, conchs, pillars and basements of different constructions, recording the damages, fissures, micro and macro cracks and cavities, determining the physical and mechanical features of lining stones, rubble stones, basement stones and building mortar under the field and laboratory conditions. During the researches the equipment and technologies of Swiss companies, "PROCEQ" and "FIBER OPTIC" have been used.

**Key words:** Technical condition; walls; conchs; pillars; foundation; damages; fissures; micro and macro cracks; physical and mechanical features of lining stones; rubble stones; rough walling.

**УДК 726.1**

## ИССЛЕДОВАНИЕ ТЕХНИЧЕСКОГО СОСТОЯНИЯ ХРАМА БАГРАТА

**Гуджабидзе И.К., Мжаванадзе Р.В., Лебанидзе З.Б.**

Департамент горных технологий, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Детальные исследования технического состояния важнейшего исторического храма грузинского зодчества X-XI веков Баграти были проведены в 2008 году. Исследования включали изучение технического состояния отдельных конструкций – арок, стен, колонн и фундаментов. При этом были зафиксированы повреждения, пустоты, микро- и макротрешины. Прочность облицовочного камня, каменной кладки и известкового раствора была обследована инструментально в полевых и в лабораторных условиях. При исследованиях были использованы техника и технологии швейцарских фирм "PROCEQ" и "FIBER OPTIC".

**Ключевые слова:** исследования технического состояния арки, стен, колонн; фундамента; повреждения; пустоты; микро- и макротрешины; прочность облицовочного камня, каменной кладки и известкового раствора.

შემოსევის თარიღი 05.02.09  
მიღებულია დასაბუღდად 11.02.09

## უაკ 622.26

ბენარაბეში სითბოსა და მასის გადაცემის არასტაციონარული

პრეციზიონულის განსაზღვრის ერთი წესის შესახებ

ო. ლანჩავა, ზ. ლებანიძე\*

სამთო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო,  
0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: zlebanidze@mail.ru

**რეზიუმე:** ვკირაბეჭში სითბოსა და მასის გადაცემის არასტაციონარული კოეფიციენტების გასააგრარულებლად შემოთავაზებულია უმარტივესი ფორმულები, რომლებიც ეფუძნებიან მათემატიკური მოდელირების მეთოდით მიღებული უგანზომილებო ტექნიკურისა და უგანზომილებო მასაგადატანის პოტენციალის განზოგადებული სიდიდეებით სარგებლობას. მათემატიკური მოდელების შედეგების გამოყენებით აგებულია გვირაბის ზედაპირის უგანზომილებო ტექნიკურისა და უგანზომილებო მასაგადატანის პოტენციალის განსასაზღვრავი ნომოგრამები.

**საკანძო სიტყვები:** თბოგადაცემის პროცესი; მასა გადაცემის პროცესი; მოდელირების მეთოდი; უგანზომილებო ტექნიკურატურა; უგანზომილებო მასაგადატანის პოტენციალი.

### 1. შესავალი

გარემომცველ სამთო მასივში თბოგადაცემის პროცესები გვირაბებისათვის მოდელირდა ელექტროგამტარ ქადალდზე, ხოლო მასის გადაცემის პროცესები – ელექტროინტეგრატორ БУСЭ-ს ბლოკურ ელექტრულ ბადებზე. ელექტრულ ანალოგებში გათვალისწინებულია სათანადო ელექტრული პარამეტრების ცვალებადობა როგორც სამთო მასივში სითბოსა და მასის გადაცემის, ისე ტექნიკურისა და მასაგადატანის პოტენციალების დამატებითი გრადიენტების ეფექტების აღმოჩენის შედეგად.

შემდა ამოცისნილ ამოცანაში გვირაბის განივ კეთს აქვს წრის ფორმა, ხოლო სამთო მასივი რადიალური მიმართულებით წარმოდგენილია ერთგაროვანი და იზოტროპული ქანებით.

სამასტო დაკვირვებების საფუძველზე განსაზღვრულია ახლად გაყანილი გვირაბებისათვის მასისა და სითბოს გადაცემის კოეფიციენტების ექსპრიმენტული სიდიდეები ( $\alpha_m = (0.05 - 1.00) \times 10^{-5}$  კბ.მოლი/ჯ.მ<sup>2</sup>.სთ,  $\alpha = 3.0 - 15.0$  ვგ/მ<sup>2</sup>.გრად). მათემატიკური ანალოგების შესადგენად გამოყენებული მასაფიზიკური თვისებები სპეციალურად განისაზღვრა წინამდებარე სამუშაოს ფარგლებში.

### 2. ძირითადი ნაწილი

თერმოაეროდინამიკური მრავალპარამეტრიანი

ამოცანის გადაწყვეტისას ორკომპონენტიანი სისტემისათვის “სამთო მასივი – სავენტილაციო ნაკადი” საჭირო ხდება არასტაციონარული სითბოსა და მასის გადაცემის კოეფიციენტების შეფასება სორესა და დიუფურის დამატებითი ეფექტების გათვალისწინებით და მათი გათვალისწინების გარეშეც.

სორესა და დიუფურის დამატებითი ეფექტების შესაფასებლად ამოსავალი იყო სამთო მასივის ამგები ქანების თბო- და მასაფიზიკური თვისებების თანაფარდობა. აკადემიკოსი ლიკოვი მიანიშნებდა, რომ შეიძლებოდა ტექნიკურაგამტარობისა და მასაგადატანის პოტენციალგამტარობის კოეფიციენტების ტოლობის  $a = a_m$  გამოყენება [1], ხოლო აკადემიკოსი კრემნევი და პროფესორი ურავლენებ სარგებლობდნენ  $\sqrt{a/a_m} = 1$  [2] ტოლობით. ორივე შემთხვევაში იგულისხმება, რომ ტექნიკურისა და მასაგადატანის პოტენციალის დამატებითი გრადიენტები ანუ სორესა და დიუფურის მითითებული დამატებითი ეფექტები პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისას მხედველობაში არ არის მიღებული.

ნაშრომში [3] გამოიკვეთა, რომ აღნიშნული კოეფიციენტები მინიმუმ თრი რიგით მაინც განსხვავდება ერთმანეთისაგან, შესაბამისად მითითებული ტოლობები პრაქტიკულად ყოველთვის დარღვეულია და, ამიტომ, ბუნებრივად დადგა დიუფურისა და სორეს დამატებითი ეფექტების უფრო ზუსტად გათვალისწინების საკითხი.

დამატებითი ნაკადების შესაფასებლად ვსარგებლობთ თბოგაცემის ოერმჟლი წინადობის  $\frac{1}{\alpha}$  ცნებით თბური სასაზღვრო შრის არეალში, ისევე, როგორც მასის გაცემის ანალოგიური წინადობის ცნებით  $\frac{1}{\alpha_m}$  შესაბამისი სასაზღვრო შრის არეალში. ამასთან, ჩვენ არ ვითხოვთ რაიმე დამატებით შემზღვეულებ პირობებს არც აღნიშნული წინადობებისა და არც ნაკადებისათვის, რაც არ არის გათვალისწინებული ნიუტონ-რისმანისა და ფურიეს ძირითად კანონებში ან მათი მიღებისას.

თბომასაგაცვლის პროცესი აღნიშნული ორკომპონენტიანი სისტემის გამყოფ ზედაპირზე მიმდინარეობს იძულებითი კონვექციის განვითარების ანუ მესამე რიგის სასაზღვრო პირობების დაც-

კით, რომლის რეალიზაცია თბური პროცესის ამსახველ მოდელზე განხორციელდა ეკვივალენტური პირების რიგის სასაზღვრო პირობებით – კონტურის გასწვრივ სპეციალური ელექტროგამტარი წებოთ დამაგრებული სპეციენციელის სალტის საშუალებით. მასის გადაცემისათვის იმავე სასაზღვრო პირობების დასაცავად გამოყენებული იყო ცვალებადი ელექტრული წინადობა კონტურზე, რომლის სიდინის რეგულირება შესაძლებელი იყო ხელით, მასაგადატანის პოტენციალის ცვალებადობის შესაბამისად.

პირების რიგის სასაზღვრო პირობის გათვალისწინებით პაერის ნაკადის ტემპერატურის შესაბამისი პოტენციალი 0 % მიეწოდებოდა არა უშეალოდ გვირაბის კონტურზე, არამედ მისგან  $\beta$  მანძილზე დაშორებით, რომელიც სუფთა თბოგადაცემისას და თბოგადაცემისას დიუფურის ეფექტის თანხლებით განისაზღვრებოდა ფორმულებით

$$\beta = N \frac{\lambda}{\alpha}, \quad (1)$$

$$\beta = N_l \left( \frac{\lambda}{\alpha} + |Ko| R_0 \right), \quad (2)$$

სადაც  $N_l$  არის მოდელირების გეომეტრული მასშტაბი;  $\lambda$  - ქანის თბოგადმტარობის კოეფიციენტი;  $\alpha$  - თბოგადაცემის კოეფიციენტი მითითებული სისტემის გამყოფ ზედაპირზე;

$Ko = \frac{rc_m}{c} \ln \varphi$  - კოსოვიჩის კრიტერიუმი [4];  $r$  - ორთქლადქცევის კუთრი ენტალპია;  $c_m, c$  - შესაბამისად იზოთერმული მასატემპერატურისა და თბოგვადობის კოეფიციენტები ქანისათვის;  $\varphi$  - წინასწორული ფარდობითი ტენიანობა;  $R_0$  - გვირაბის ეკვივალენტური რადიუსი.

თბური პროცესის ამსახველი მოდელი პრაქტიკულად სამშრიანი ბრტყელი კონდენსატორია. ზედა შრეა დიდი წინადობის (1.25 მეტრი) ელექტროგამტარი ქაღალდი, რომლითაც მოდელება ზემოაღნიშნული თრკომპონენტიანი სისტემა. შეა შრეა დიელექტრიკი (5 მეტ სისქის პლიეთოლენის ფირი), შრეებს შორის საჭირო ელექტრული ტევადობის წარმოსაქმნელად, ხოლო ქვედა შრეა დაბალი (1500 ომი) წინადობის ელექტროგამტარი ქაღალდი, რომლითაც მოდელება საწყისი პირობები. მოცემული სისტემის თბური წინადობის შესაბამისად გაანგარიშებული კუთრი ელექტრული ტევადობის მოდელის მთელ ფართობზე ადეკვატური განაწილების მიზნით გამოყენებული იყო ვაკუუმური ტუმბო, რომლითაც ხდებოდა პაერის გამოტუმბვა მითითებული კონდენსატორის შრეთაშორისის სივრციდან ექსპერიმენტით გაუთვალისწინებელი ტევადობის წარმოქმნის ასაცილებლად.

მოდელირება ხორციელდებოდა მსგავსების შემდეგი კრიტერიუმის დაცვით

$$\frac{R_m C_m l_m^2}{\tau_m} = \frac{c_n \gamma_n l_n^2}{\lambda \tau_n} = idem, \quad (3)$$

სადაც  $R_m$  არის მოდელის ელემენტის ელექტრული წინადობა;  $C_m$  - მოდელის ელემენტის ელექტრული ტემპერატური;  $l_m$  - მოდელის გეომეტრული პარამეტრი;  $\tau_m, \tau_n$  - პროცესის მიმდინარეობის ხანგრძლივობა მოდელზე და ნატურაში შესაბამისად;  $\gamma_n$  - ქანის სიმკვრივე.

(3) ფორმულა მოდელირების მასშტაბების მიხედვით მიიღებს სახეს, რომლითაც ვსარგებლობდით მოდელირებისას

$$\frac{N_R N_c N_l^2}{N_\tau} = 1, \quad (4)$$

სადაც  $N_R, N_c, N_\tau$  შესაბამისად არის წინადობის, ტემპერატურისა და დროის მასშტაბი, ხოლო  $N_l$  ზემოთ განიმარტობა.

ადნიშნულ სისტემაში მასაგადატანის მათგრადიკური მოდელი შედგენილია შეეურსულპარამეტრებიანი  $RR$  რეზისტორების საშუალებით. ამასთან, რეზისტორების წინადობა რეგულირებადია, რის გამოც შეიძლება სიდიდეების ნატურაში ცვალებადობის აღეგვატური ასახვა მოდელზე და ამ შემთხვევაში მიიღება უნივერსალური ინტეგრატორის მეშვეობით.

გვირაბის ირგვლივ გამშრადი ზონის წარმოქნის კვალობაზე იცვლება მასივის მასაფიზიკური თვისებები, რის გამოც შესაბამისად უნდა შეიცვალოს მოდელის ელექტრული პარამეტრები. ნატურაში ყოველი დროის შეალების შემდეგ, რომელიც მოდელზე იმიტირდება დროის ბიჯით, აუცილებელია მასაგამტარობის კოეფიციენტის შესაბამისი წინადობის კორექტირება. ახალი, კორექტირებული წინადობა, ბადისებრი ბლოკის უჯრედების კუთხეებში, შეესაბამება მასაგამტარობის კოეფიციენტის ახალ მნიშვნელობას, რომელსაც ეს უკანასკნელი იღებს მასაგადატანის პოტენციალის ცვალებადობის შედეგად. ნატურისა და მოდელის პრინციპული სქემა წარმოდგენილია 1-ელ ნახატზე.

აღსანიშნავია, რომ მოდელზე  $r'_i = R_0$  ტოლობის დაცვა უპირობოა ანუ პირები სამოდელო კვანძი მასშტაბის გათვალისწინებით უნდა უტოლდებოდეს გვირაბის ეკვივალენტურ რადიუსს. ნებისმიერი  $i$  კვანძისათვის წინადობების შესაბამისი რადიუსი იანგარიშება ფორმულით

$$r'_i = R_0 + l_i + l_{i+1}. \quad (5)$$

მოდელის პირები და ბოლო კვანძებისათვის მასაგამტარობის კოეფიციენტის შებრუნებული სიდიდის შესაბამისი ელექტრული წინადობა იანგარიშება ფორმულით

$$R_{\lambda mi} = \frac{l_{2i} N_R}{\lambda_m r_i (1 + l_{2i}/2r_i)}, \quad (6)$$

სადაც  $R_{\lambda mi}$  არის ელექტრული წინაღობა  $i$  კვანძში.  $\lambda_m$  და  $i$  ინდექსები უზვენებენ, რომ წინაღობა არის  $\lambda_m$  მასაგამტარობის კოეფიციენტის შებრუნებული სიდიდის იმიტაცია  $i$  კვანძში;  $l_{2i}$  - მანძილი მეზობელ კვანძებს შორის;  $N_R$  - ელექტრწინაღობების მასშტაბი.

ნებისმიერი შეალებული  $i$  კვანძისათვის წინაღობა იანგარიშება ფორმულით


$$R_{\lambda mi} = \frac{l_{(2i-1)} N_R}{\lambda_m r_i (1 - l_{2i-1}/2r_i)} + \frac{l_{2i} N_R}{\lambda_m r_i (1 + l_{2i}/2r_i)}. \quad (7)$$

მოდელისა და ნატურის პომოქრონულობა დაცელია შესაბამისი ელექტრული წინაღობებით, რომლებიც პირველი და ნებისმიერი  $i$  კვანძისათვის იანგარიშება ფორმულებით

$$R_{\tau 1} = \frac{\delta_\tau N_R}{c_m \gamma_0 l_2 r_i}, \quad (8)$$

$$R_{\tau i} = \frac{\delta_\tau N_R}{c_m \gamma_0 (l_{2i-1} + l_{2i})}, \quad (9)$$

სადაც განმარტებული და ნახაზზე აღნიშნული სიდიდეების გარდა  $\delta_\tau$  არის დროის ბიჯი;  $\gamma_0$  - ქანის სიმკვრივე.



ნახ. 1. ნატურის და  $RR$  მოდელის პრინციპული სქემა: 1, 2, 3, ...  $i$  - კვანძების ნომრები და შესაბამისი გეომეტრიული და ელექტრული პარამეტრები

სასაზღვრო პირობების დაცვა ხდება  $R_{\alpha m}$  სიდიდით, რომელიც სუფთა (იზოთერმული) მასაგადაცემისათვის განისაზღვრება ფორმულით

$$R_{\alpha m} = \frac{N_R}{\alpha_m r_1}, \quad (10)$$

ხოლო მასაგადაცემისათვის სორეს ეფექტის თანხლებით

$$R_{\alpha m} = \frac{N_R (1 + |Pn_m|)}{\alpha_m r_1}, \quad (11)$$

სადაც  $Pn_m = \frac{\Delta t}{\Delta \Theta}$  არის პოსნოვის კრიტერიუმი;

$\delta_\theta$  - თერმოგრადიენტული კოეფიციენტი [5];  $\Delta t, \Delta \Theta$  - შესაბამისად, ტემპერატურისა და მასაგადაცემის პოტენციალების ნაზრდები.


$N_R$  აიღება ისეთნაირად, რომ წარმოდგენილი ფორმულებით გაანგარიშებულმა წინაღობებმა არ გადააჭარბოს  $RR$  რეზისტორის მაქსიმალურ ნომინალს - 4,7 მეგაომს. ამასთანავე, მასივის მოდელირებადი ნაწილის დაყოფა კვანძებად ისეთნაირად უნდა მოხდეს, რომ ყოველი მათგანის წინაღობა ერთი რიგის იყოს. აღნიშნული ამცირებს მიღებული შედეგების ცდომილებას.

შესამე რიგის სასაზღვრო პირობები მოდელზე ამ შემთხვევაშიც ეკვივალენტური პირველი რიგის სასაზღვრო პირობებით ხორციელდება.

მოდელებისათვის მასაგადაცემის უგანზომილებო ტემპერატურა და პოტენცილი განისაზღვრება შემდეგი გამოსახულებებით

$$t_{(\tau, R)} = \frac{t - t_1}{t_0 - t_1}, \quad \Theta_{(\tau, R)} = \frac{\Theta - \Theta_1}{\Theta_0 - \Theta_1}, \quad (12)$$

სადაც  $t$  არის მიმდინარე ტემპერატურა;  $\Theta$  - მიმდინარე მასაგადაცემის პოტენციალი;  $t_1, t_0$  - შესაბამისად მაღაროს პარამეტრისა და სამთო მასივის ტემპერატურები;  $\Theta_1, \Theta_0$  - მაღაროს პარამეტრისა და სამთო მასივის მასაგადაცემის პოტენციალები.



ნახ. 2. უგანზომილებო ტემპერატურის განზოგადებული დამოკიდებულება  $\bar{t} = f(F_o, Bi, La)$  როგორც გრაფიკის სისტემისათვის  
“სამთო მასივი-საენტოლაციო ჰავები”

მათემატიკური მოდელირება შესრულებულია უსასრულო ერთგვაროვან და იზოტროპულ სამთო მასივში გაყვანილი  $R_0$  რადიუსის მქონე წრიული გვირაბისათვის, რომლის შედეგად მიღებულია სამთო მასივში ენერგიისა და მასის გადაცემის უგანზომილებო პოტენციალების განაწილების სურათი. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ თბო- და მასის გადაცემის პორცესების სტაბილიზაციის ხარისხი შესაბამისად  $\lambda_n$ /


$\alpha$  და  $\lambda_m/\alpha_m$  თანაფარდობათა უპეპროპორციულია.

წარმოდგენილი შედეგების შესაბამისად თბოდა მასის გადაცემის არასტაციონარული კოფიციენტები განისაზღვრება მარტივი გამოსახულებების საშუალებებით

$$K_t = \alpha \bar{t}, \quad K_{tm} = \alpha_m \bar{\Theta}, \quad (13)$$

სადაც  $\bar{t}$  და  $\bar{\Theta}$  შესაბამისად არის გვირაბის კედლების უგანზომილებობის ტემპერატურა და უგანზომილებობის პოტენციალი ერთის ნაწილებში, რომლებიც განისაზღვრება მე-2 და მე-3 ნახაზების შესაბამისად. აღნიშნულ ნახაზებზე წარმოდგენილია მათემატიკური მოდელირებით მოდებული უგანზომილებობის პოტენციალების განაწილების ხასიათი მთოთებული ორკომპონენტით სისტემის გამყოფ ზედაპირზე.

$La$  კრიტერიუმის მსაზღვრელი რიცხვითი მნიშვნელობის  $10^6 La = 1$  (1 წირი მე-2 ნახაზის მარცხენა დიაგრამაზე) შესაბამისი უგანზომილებობის სათანადო მნიშვნელობებისათვის ასახავს სუფთა თბოგადაცემის პროცესს. სხვა მნიშვნელობებისათვის განსაზღვრული გვირაბის კედლის უგანზომილებობის ტემპერატურა ითვალისწინებს დამატებით თბოგადაცემას დოუფურის ეფექტის სახით.



ნახ. 3. მასაგადატანის უგანზომილებობის პოტენციალის განზოგადებული დამოკიდებულება  $\bar{\Theta} = f(Fo_m, Bi_m, La)$  ორკომპონენტიანი სისტემისათვის  
„სამთო მასივი – სავენტილაციო ჭავლი“

მე-2 და მე-3 ნახაზებზე წარმოდგენილი ნომოგრამებით სარგებლობის წესი შემდეგია:

მარცხენა დიაგრამაზე აიღება ფურიეს (ან ფურიეს მასაგაცვლის) კრიტერიუმის რიცხვითი სიდიდის შესაბამისი წერტილი (ფურიეს კრიტერიუმების მნიშვნელობები აბსცისაზე განლაგებულია ლოგარითმული წესით), საიდანაც დაეშვება ორდინატი  $La$  კრიტერიუმის სიდიდის შესაბამისი წირის გადაკვეთითმდე. გადაკვეთის წერტილიდან დაბალ განვითარებულ გადაკვეთის წერტილიდან გაივლება აბსცისაზე მარჯვენა დიაგრა-

მაზე ბიოს (ან ბიოს მასაგაცვლის) კრიტერიუმის რიცხვითი სიდიდის შესაბამისი წირის გადაკვეთამდე. გადაკვეთის ამ უპანასკნელი წერტილიდან დაეშვება ორდინატი და მარჯვენა დიაგრამის აბსცისაზე აიღება უგანზომილებობის გარეობრივის ან მასაგადატანის პოტენციალის საძიებელი სიდიდე.

$La$  კრიტერიუმის მსაზღვრელი მნიშვნელობის შესაბამისი უგანზომილებობის მასაგადატანის პოტენციალი (1-ლი წირი მე-3 ნახაზზე) ასახავს იზოთერმული მასაგადაცემის შემთხვევას. ახალი კრიტერიუმის სხვა მნიშვნელობებისათვის განსაზღვრული იგივე სიდიდე ითვალისწინებს დამატებით მასაგადატანის სორეს ეფექტის ხარჯზე.

აღნიშნული კრიტერიუმები განისაზღვრება ფორმულებით:

$$Fo = \frac{\alpha \tau}{R_o^2}, \quad Bi = \frac{\alpha R_o}{\lambda}, \quad Fo_m = \frac{\alpha_m \tau}{R_o^2}, \\ Bi_m = \frac{\alpha R_o}{\lambda}, \quad La = \frac{\delta_o \alpha_m r}{\alpha}, \quad (14)$$

რომელიც შემავალი ყველა სიდიდე ზემოთ განიმარტა.

როგორც წარმოდგენილი ფორმულებიდან ჩანს, არასტაციონარული თბო- და მასაგადაცემის კოეფიციენტების ანგარიშის გზით განსაზღვრის სირთულე, დამატებითი ეფექტების მხედველობაში მიღებით და მათ გარეშე, დაყვანილია გვირაბის ზედაპირის უგანზომილებობის ტემპერატურისა და უგანზომილებობის მასაგადატანის პოტენციალის განსაზღვრის სიზუსტეზე.

### 3. დასკვნა

– თბომასაგადაცემის ძირითადი აღმდვრელი ძალების, ტემპერატურისა და მასაგადატანის პოტენციალის გრადიენტების ზედებისას თერმული წინაღობა თბური სასაზღვრო შრის, ხოლო მასაგაცემის ანალოგიური წინაღობა მასის სასაზღვრო შრის ფარგლებში განიცდიან ცვალებადობას და ურთიერთგავლენას, რის შედეგადაც აღიძერება დამატებითი ნაკადები ძირითადი ნაკადების პარალელურად და მათი ინტენსიურობის გასაზრდელად.

–  $10^6 La = 1$  რიცხვითი სიდიდე მიანიშნებს იმ ზღვარს, რომლის ზემოთ ერთობლივი თბომასაგადაცემა სამთო მასივიდან უნდა შეფასდეს დიუფურისა და ხორეს დამატებითი ეფექტების გათვალისწინებით და სითბოსა და მასის გადაცემის არასტაციონარული კოეფიციენტების გაანგარიშება უნდა მოხდეს აღნიშნულის გათვალისწინებით, ხოლო ქემოთ ერთობლივი პროცესი განიხილება როგორც მარტივი და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი თბომასაგადაცემა, რომელთა დროსაც აღნიშნული კოეფიციენტების გაანგარიშება უნდა მოხდეს ტრადიციული მფთოდებით.

– გრაფოანალიზური მეთოდით არასტაციონული თბომასაგადაცემის კოეფიციენტების განსაზღვრისას, უგანზომილებო ტემპერატურის ან მასაგადატანის უგანზომილებო პოტენციალის რიცხვითი სიდიდეების შერჩევის დროს, საჭიროების შემთხვევაში, კრიტერიუმებით პირდაპირ ხდება დიუფურისა და სორეს ევაქტების გათვალისწინება.

– მიღებული შედეგები შესაძლებელია გამოყენებული იქნას თბოფიზიკური საინჟინრო გაანგარიშებებისას მიწისქვეშა ნაგებობების ვენტილაციის ამოცანებში.

### ლიტერატურა

- Лыков А.В. Тепломассообмен. Москва: Энергия, 1978.- 480 с.
- Кремнев О.А., Журавленко В.Я. Тепло- и массообмен в горном массиве и подземных сооружениях. Киев: Наукова думка, 1980.- 384 с.
- Ониани Ш.И., Ланчава О.А., Ксоврели Ю.Р. О массофизических свойствах горных пород // Уголь Украины. Киев, 1984, №4.
- შ. ონიანი, ვ. ლანჩავა. პიგროსკოპული მასაგადატანის პოტენციალი სამთო მასივში // სამთო ურნალი, №1, თბილისი, გვ. 55-56.
- Ланчава О.А. О сорбционном относительном массосодержании // Горный журнал, 2003, №1-2 (10-11), с.28-31.

### UDC 622.26

### ABOUT THE TECHNIQUE OF DEFINITION OF THE HEAT MASS TRANSFER NON-STATIONARY COEFFICIENTS IN MINE TUNNEL

**O. Lanchava, Z. Lebanidze**

Department of mining technologies, Technical University of Georgia, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** There are offered simple formulas for calculation of non-stationary factors of heat and mass transfer in mine tunnels. The dimensionless temperature, as well as dimensionless potentials of energy and mass transfer are received by means of a method of mathematical modeeling. There is upbuilt the nomogram tooling software dimensionless temperature and dimensionless potentials of mass transfer in mine tunnel.

**Key words:** process of heat transfer; process of mass transfer; method of mathematical modelling; dimensionless temperature; dimensionless potentials of mass transfor.

### УДК 622.26

### ОБ ОДНОМ СПОСОБЕ ОПРЕДЕЛЕНИЯ НЕСТАЦИОНАРНЫХ КОЭФФИЦИЕНТОВ ТЕПЛОМАССОПЕРЕНОСА ДЛЯ ГОРНЫХ ВЫРАБОТОК

**Ланчава О.А., Лебанидзе З.Б.**

Департамент горных технологий, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Предложены простейшие формулы для определения коэффициентов нестационарного тепломассопереноса в горных выработках, которые основываются на использовании безразмерной температуры и безразмерного потенциала массопереноса, полученных методом математического моделирования. По результатам математического моделирования построены номограммы для определения безразмерной температуры и безразмерного потенциала массопереноса в горных выработках.

**Ключевые слова:** процессы теплопередачи; процессы массопереноса; метод моделирования; безразмерная температура; безразмерный потенциал массопереноса.

გემოსვლის თარიღი 20.01.09  
მიღებულია დაბადებად 11.02.09

**უაგ 624.131.31**

**თბილის ტერიტორიაზე სამშენებლო ძვაბულში მიწისმვება**

**ყდღების მოღინების შესახებ**

**უ. ზეიადაძე, მ. მარდაშვილი\*, დ. ჩუტკერაშვილი, ნ. ქიტიაშვილი**

გეოლოგიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავაშვილი 77

E-mail: m\_mardashova@gtu.ge

**რეზიუმე:** მსხვილი ურბანიზებული ცენტრების ფარგლებში სამშენებლო სამუშაოების წარმართვას ხშირ შემთხვევაში სერიოზულ დაბრკოლებას საძირკვლის ქვაბულში მიწისქვეშა წყლების შემოდინება უქმნის. ნაშრომში ჩვენი დედაქალაქის მაგალითზე განხილულია ქალაქის ცენტრში მდებარე ერთ-ერთი მსხვილი სამშენებლო ობიექტის – „საქანელას“ პიდროგეოლოგიური პირობები აქ განხრახულ დიდი ზომების სამშენებლო ქვაბულში მიწისქვეშა წყლების შემოდინებასთან მიმართებაში. სათანადო გაანგარიშებით განსაზღვრულია ქვაბულში მიწისქვეშა წყლების შემოდინების ინტენსიურობა და რაოდენობა.

**საკანონი სიტყვები:** სამშენებლო ქვაბული; ფილტრაციის კოეფიციენტი; წყალმოდინება; დრენაჟი; საცდელი ამოტუმბვა.

## 1. შესავალი


ჩვენი უფალესი დედაქალაქი სამშენებლო ბუმის (სამუშაოების, ხშირად არაგეგმაზომიერის) პერიოდს განიცდის. ერთ-ერთი მსხვილი სამშენებლო ობიექტი ქალაქის ცენტრში მდებარე ტერიტორიაა, სახელმობრ, ჯავახიშვილის (ყოფილი ელბაქიძის დალმართი) და საქანელას ქუჩები, აგრეთვე საქანელას ქუჩასთან ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მიმდებარე ტერიტორია მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპირომდე, გალაკტიონის ხიდიდან დაწყებული სასწრაფო დახმარების სადგურის შენობებამდე. სამშენებლო უბნის ფართობი 3 ჰექტარს შეადგენს. მშენებლობის პროექტით გათვალისწინებულია აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული ძველი (100 წელზე მეტი წელი) ორ- და სამსართულიანი საცხოვრებელი სახლების სრული დემონტაჟი და მათ ადგილას თანამედროვე მრავალსართულიანი საოფისე, კომერციული და საცხოვრებელი კომპლექსის აშენება. დემონტაჟს არ დაექვემდებარება სახლი №21, რომელშიც ცნობილი ქართველი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი ცხოვრობდა და, ამდენად, სახლი ისტორიულ დირსშესანიშნაობას წარმოადგენს. წინამდებარე ნაშრომში აგზოვები დეტალურად არ განიხილავენ სამშენებლო

უბნის საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებს, რადგანაც მოცემულ შემთხვევაში ამოცანა დაკონტრეტებულია და მიზნად ისახავს მიწისქვეშა წყლების, როგორც მშენებლობის ხელშემშლელი ფაქტორის გამოვლენას და დახსიათებას. აუცილებლობა იმით არის გამოწვეული, რომ გარდა მიწისზედა სართულებისა, განხრახელია ყოველი ნაგებობის ქვეშ 3 მიწისქვეშა სართულის მოწყობა, რაც დიდი ზომის სამშენებლო ქვაბულის ამოღებასთან არის დაკავშირებული [4]. ზოგადად, თბილისის ტერიტორიაზე სამშენებლო ქვაბულებში მიწისქვეშა წყლების შემოდინებასთან მიმართებაში. სათანადო გაანგარიშებით განსაზღვრულია ქვაბულში მიწისქვეშა წყლების შემოდინებასთან მიმართებაში. სათანადო გაანგარიშებით განსაზღვრულია ქვაბულში მიწისქვეშა წყლების შემოდინება პრობლემური საკითხია, რაც მშენებლობის პირობების გართულებას, ვადების გაწევას და სამუშაოების გაძვირებას იწვევს [1]. აღნიშნული ამოცნის გადასაჭრელად წინა პლაზე უბნის პიდროგეოლოგიური პირობების შესწავლა და აქ გავრცელებული გრუნტების ფილტრაციული მახსინათებლების განსაზღვრაა, რაც სპეციალური საცდელ-ფილტრაციული სამუშაოების შესრულებით ხდება.

## 2. ძირითადი ნაწილი

ამოტუმბვა ჩატარდა ე.წ. „პიდროგეოლოგიური ბუნება“, რომელიც საკვლევი უბნის მოვაკებულ ფართობზე მოეწყო. შეირჩა „პიდროგეოლოგიური ბუნებას“ მარტივი სქემა, რომელიც წრფეზე განლაგებული ერთი ცენტრალური (საცდელი) და ორი სათვალოვალო (დასაკვირვებელი) ჭაბურღილებისაგან შედგება [5].

ჭრილიდან ირკვევა, რომ, „საქანელას“, უბაზე გრუნტის წყლების სიღრმე 3.0 მეტრის ფარგლებშია, ხოლო ძირითადი ქანის და მეოთხეული საფარი გრუნტის (ნაყარი ფენის ჩათვლით) კონტაქტის სიღრმე დაახლოებით 6 მეტრს შეადგენს. ეს ძალზე მნიშვნელოვანი პარამეტრებია მომავალ სამშენებლო ქვაბულში წყალმოდინების რაოდენობის სანგარიშოდ. გრუნტის წყლის პორიზონტებად მიჩნეულია არგილიტის (ძირითადი ქანი) 2.5 – 3.5 მ სიმძლავრის ზედა, ინტენსიურად გამოფიტული ზონა. პორიზონტის წყლის ინტენსიურის შედარება ჭაბურღილებში წყლის დამყარებულ დონეებთან გაიჩვენებს, რომ წყალს ლოკალური უმნიშვნელო წნევა 0.1 – 0.2 ატმ. ფარგლებშია.



ნახ. 1. ჰრილი „პიდროგეოლოგიური ბუჩქის“ ჰაბურლილების გასწერივ

საცდელი ბუჩქერი ამოტუმბვა პერიოდულად 10 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და მიზნად სხვადასხვა ვარიანტის შეჯერებას ისახავდა. ოპტიმალური ვარიანტის შერჩევის შემდეგ, როდესაც ამოტუმბვის პროცესში კვაზისტაციონარული ფილტრაციის რეჟიმი დამყარდა, მიღებული მონაცემები ქვემოთ კრებსითი ცხრილის სახით გაფორმდა.

საკურადღებოა ის გარემოება, რომ საცდელი ჰაბურლილიდან 14 მეტრით დაშორებულ მე-2 სათვალთვალო ჰაბურლილში ამოტუმბვის გავლენა საერთოდ არ გავრცელდა ( $S_2 = 0$ ), რაც ამოტუმბვის გავლენის რადიუსის ( $R$ ) სიმცირეზე

მიუთითებს. ეს გასათვალისწინებელი ფაქტორია ქვბულის დაშრობის სამუშაოს დაპროექტებაში. როგორც 1-ელი ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, საცდელ ჰაბურლილში დონის სტაბილიზაცია მოხდა 60 წუთის შემდეგ და შეადგინა 4.01მ ანუ დონემ დაიწია  $S_0=0.61$  მ-ით. ამოტუმბვის ხანგრძლივობა შეადგენს 8 საათს (480 წ). პირველ სათვალთვალო ჰაბურლილში სტაბილიზაციის შემდეგ დონემ 0.06 მ-ით დაიწია, ხოლო მეორე სათვალთვალო ჰაბურლილზე ამოტუმბვის გავლენა საერთოდ არ გავრცელდა და თავდაპირველი დონე - 2.92 მ ამოტუმბვის მოლიანი პერიოდის განმავლობაში უცვლელი დარჩა.

### საქანელას ობიექტზე ბუჩქური საცდელი ამოტუმბვის შედეგები

თარიღი: 18 ივნისი, 2008 წელი, 10 : 00 სთ

Nº	ამოტუმბვის დაწყებიდან გასული დრო (წთ)	საცდელ ჭა- ბურდილ ში- დონის დაწე- ვის ხიდები (მ)	დონის დაწევის ხიდები სათვალთვალო ჭაბურდილებში დამყარებული ფილტრაციის პირობებში (მ)	ჭაბურდილი №1 ჭაბურდილი №2	ამოტუმბვის დებიტი დამყარებული ფილტრაციის პირობებში (მ <sup>3</sup> /დღ.დ)
1	2	3	4	5	6
1	1	0.29			
2	2	0.32			
3	3	0.35			
4	4	0.36			
5	5	0.37	0.01		
6	10	0.42			
7	15	0.47	0.02		
8	20	0.5			
9	25	0.53	0.03		
10	30	0.53			
11	35	0.55	0.04		
12	40	0.56			
13	45	0.58	0.05		
14	50	0.99			
15	55	0.6	0.06		
16	60	0.61			
17	120	0.61	0.06		
18	180	0.61			
19	240	0.61	0.06		
20	300	0.61			
21	360	0.61	0.06		
22	420	0.61			
23	480	0.61	0.06		

**შედეგების ინტერპრეტაცია.** ფილტრაციის კვაზისტაციონარულ რეჟიმში, ჭაბურდილებში დონეების სტაბილიზაციის მიღწევის შემდეგ, ფილტრაციის კოეფიციენტის გამორველა დიუპლის ფორმულების გამოყენებით ხდება [2]. აქ სამი გარიანტი უნდა იქნას განხილული.

**I გარიანტი** – ცენტრალური და პირველი სათვალთვალო ჭაბურდილის მონაცემებით:

$$K_{c-1} = \frac{0.73Q \lg \frac{r_1}{r_0}}{(2H - S_0 - S_1)(S_0 - S_1)}. \quad (1)$$

**II გარიანტი** – ცენტრალური და მეორე სათვალთვალო ჭაბურდილის მონაცემებით:

$$K_{c-2} = \frac{0.73Q \lg \frac{r_2}{r_0}}{(2H - S_0 - S_2)(S_0 - S_2)}. \quad (2)$$

**III გარიანტი** – სათვალთვალო ჭაბურდილების მონაცემებით:

$$K_{l-2} = \frac{0.73Q \lg \frac{r_2}{r_1}}{(2H - S_1 - S_2)(S_1 - S_2)} \quad (3)$$

ფორმულებში მიღებულია შემდეგი აღნიშვნები:

$K$  - ფილტრაციის კოეფიციენტი, მ/დღ.დ;

$Q$  - ამოტუმბვის დებიტი დამყარებული ფილტრაციის პირობებში,

$$Q = 75.13 \text{ მ}^3/\text{დღ.დ}$$

$H$  - გრუნტის წყლის პორიზონტის სიმძლავრე,  $H = 5.5 \text{ მ}$ ;

$r_0$  - ცენტრალური ჭაბურდილის რადიუსი,  $r_0 = 0.064 \text{ მ}$ ;

$S_0$  - დონის დაწევა ცენტრალურ ჭაბურდილში,  $S_0 = 0.61 \text{ მ}$ ;

$S_1$  - დონის დაწევა პირველ სათვალთვალო ჭაბურდილში,  $S_1 = 0.06 \text{ მ}$ ;

$S_2$  - დონის დაწევა მეორე სათვალთვალო ჭაბურდილში,  $S_2 = 0 \text{ მ}$ ;

$r_1$  - მანძილი ცენტრალურიდან პირველ სათვალთვალო ჭაბურდილამდე,


$$r_1 = 7 \text{ მ};$$

$r_2$  - მანძილი ცენტრალურიდან მეორე სათვალთვალო ჭაბურდილამდე,

$$r_2 = 14 \text{ მ};$$

ამოტუმბვის პროცესში დონის დაწევის სიდონაზე ამოტუმბვის დებიტის დამოკიდებულების გრაფიკი  $Q = f(s)$ , რომელიც აგებულია ამო-

ტუმბვის ფაქტობრივი მონაცემების გამოყენებით, მოცემულია ქვემოთ:



ნახ. 1.  $Q = f(s)$  დამოკიდებულების გრაფიკი

გრაფიკი აბსცისთა დერძისკენ შედუნელი მრუდის სახით ამოტუმბვის სწორად ჩატარებაზე მიუთითებს.

(1), (2) და (3) საანგარიშო ფორმულებში შესაბამისი რიცხვითი სიდიდეების შეტანის შემდეგ მივიღებთ:

$$K_{c-1} = \frac{0.73 \times 75.13 \times \lg \frac{7}{0.064}}{(2 \times 5.5 - 0.61 - 0.06)(0.61 - 0.06)} = 19.7 \text{ м/დღ.დ}$$

$$\text{ანალოგიური გამოთვლით: } K_{c-2} = 20.2 \text{ м/დღ.დ}; \\ K_{1-2} = 25.01 \text{ м/დღ.დ};$$

ამოტუმბვის შედეგად დონის დაწევის მონაცემებით ფილტრაციის კოეფიციენტის ნაანგარიშევი საშუალო მნიშვნელობა შეადგენს:

$$K_{\text{საშ.}} = \frac{19.7 + 20.2 + 25.01}{3} = 21.6 \approx 22 \text{ м/დღ.დ};$$

$$K_{\text{საშ.}} = 22.0 \text{ м/დღ.დ};$$

გარდა სტაციონარული ფილტრაციის პირბებისა, ანგარიში შესრულდა აგრეთვე დაუმყარებელი ფილტრაციის მეთოდით. სტატის ლიმიტირებული მოცულობა ამ საკითხის გაშუქბის შესაძლებლობას არ იძლევა, ამიტომ დავკმარისტილდეთ აღნიშვნით, რომ ნახსენები მეთოდით ნაანგარიშევი ფილტრაციის კოეფიციენტის სიდიდე შეადგენს  $K = 24.0 \text{ м/დღ.დ}$ .

განსახილებულ ტერიტორიაზე გრუნტის წყლის პორიზონტის ფილტრაციის კოეფიციენტის საშუალო სიდიდეს გამოვთვლით, როგორც დონის დაწევის (ამოტუმბვა) და დონის აღდგენის (ამოტუმბვის შეწყვეტა) მეთოდებით მიღებული სიდიდეების საშუალო არითმეტიკულს:

$$K_{\text{საშ.}} = \frac{22.0 + 24.0}{2} = \frac{46}{2} = 23 \text{ м/დღ.დ};$$

$$K_{\text{საშ.}} = 23 \text{ м/დღ.დ}.$$

ცდის შედეგებიდან ჩანს, რომ „საქანელას“ ტერიტორიაზე განვითარებული გრუნტის წყლის პორიზონტი საკმარის მაღალი ფილტრაციული თვისებებით ხასიათდება და არსებული ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, ლითოლოგიურად საშუალოდან მსხვილმარცვლოვან ქვიშებში გარდამავალ ტიპს შეესაბამება.

სამი მიწისქვეშა სართულის მოსაწყობად საჭირო გახდება დიდი ზომის სამშენებლო ქვაბულის ამოღება, შემდეგი პარამეტრებით: სიგრძე – 250 მ; სიგანე – 50 მ; სიღრმე – 12 მ.

ქვაბული მოეწყობა მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროსთან მიმდებარე ვაკე ტერიტორიაზე. აქედან გამომდინარე, მოცემული შემთხვევა უნდა განვიხილოთ, როგორც მდინარის კალაპოტთან ახლოს განლაგებული კარიერი, რომელშიც მიწისქვეშა წყლების შემოდინების რაოდენობა გამოითვლება ფორმულით:

$$Q = \frac{1.36KH^2}{\lg 2l - \lg r_0}, \quad (4)$$

სადაც

$l$  – არის ქვაბულის პირობითი ცენტრის დაშორება მდინარის კალაპოტიდან,  $l = 200 \text{ მ};$

$r_0$  – ქვაბულის დაყვანილი რადიუსი, რომელიც ეკვივალენტურია ისეთი წრიული ჰის რადიუსისა, რომლის სიდიდე დამოკიდებულია გეგმაში კარიერის ზომებზე (სიგანე –  $a = 50 \text{ მ}$ , სიგრძე –  $b = 250 \text{ მ}$ ) და, რომლის გამოთვლა ხდება ბ. არაგინის გრაფიკის მიხედვით [3].

აღნიშნული გრაფიკის გამოყენებით ვდებულობთ  
 $r_0 = 87.5$  მ.

დანარჩენი პარამეტრები ცნობილია ზემოთ  
მოცემული გამოივლებიდან.

რიცხვითი სიდიდეების საანგარიშო (4) ფორ-  
მულაში შეტანით მივიღებთ:

$$\begin{aligned} Q &= \frac{1.36 \times 23.0 \times 5.5^2}{\lg 2 \times 200 - \lg 87.5} = \frac{946.22}{2.6021 - 1.9420} = \\ &= \frac{946.22}{0.6601} = 1433.4 \text{ მ}^3/\text{დღ.დ}; \\ Q &= 1433.4 \text{ მ}^3/\text{დღ.დ} \text{ ან } Q = 16.6 \text{ ლ/წმ.} \end{aligned}$$

მომავალ სამშენებლო ქვაბულში გრუნტის წყლების შემოდინების ანგარიშით მიღებული სიდიდე საკმაო სიხუსტით ასახავს პიღოგეო-ლოგიურ სიტუაციას განსახილველ უბანზე. ქალაქის ფარგლებში სამშენებლო ქვაბულებში წყალმოდინების საკითხის განხილვისას გასა-თვალისწებელია, რომ ეს მოვლენა არ შეიძლება ტერიტორიის ბუნებრივად ინგენიური გაწყლიანებით აისხნას, რადგანაც თბილისი და მისი შემოგარენი გატენიანების უარყოფითი ბალანსით ხასიათდება, რაც მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მიწისქვეშა ნაკადების წარმოქმნას პრაქტიკულად გამორიცხავს. უმეტეს შემთხვევაში ქვაბულში შემოდინებული წყლის დიდი ნაწილი წყალსადენისა და საკითხით ქსელებიდან დანარგებებს უკავშირდება. ამ მოვლენით არის გამოწვეული ქალაქის რიგ უბნებზე სარდაფების დატბორვა და შენობების, მათ შორის, ახალი ნაგებობების დეფორმაციები. ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ის გარემოება, რომ „საქანელა“ უბანზე გავრცელებული გრუნტის წყლები საკმაოდ მაღალი სულფატური აგრესიულობით ხასიათდება, რაც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული სამშენებლო კონსტრუქციების შერჩევისას.

### 3. დასკვნა

საკვლევ ობიექტზე გავრცელებული გრუნტები საკმაოდ მაღალი ფილტრაციული თვისებებით ხასიათდება ( $K=23$  მ/დღ.დ), შესაბამისად, სამშენებლო ქვაბულში მიწისქვეშა წყლების შემოდინების ინგენიურობა მაღალია და 16.6 ლ/წმ. შეადგენს. წყალმოდინების ნაანგარიშევი სიდიდის მეტი ნაწილი საკითხით და სასმელი წყალსადენებიდან დანაკარგებით აისხნება, ხოლო ბუნებრივი გრუნტის წყლების წილი დაახლოებით 50%-ია და მდ. მტკვრის ფილტრატების ხარჯზე მოდის. გარდა რაოდენობრივი შეფასებისა, შესწავლითი უბანზე გავრცელებული გრუნტის წყლების ქიმიური შედგენილობა, დაგენილია მათი სულფატური აგრესიულობის ფაქტი და რეკომენდაციის სახით აღნიშნულია, რომ ეს ფაქტორი გათვალისწინებულ უნდა იქნას სამშენებლო ლითონური თუ არალითონური კონსტრუქციების შერჩევისას.

### ლიტერატურა

1. Джапаридзе Г.В. Инженерная геология Тбилиси. Тбилиси: Сабчота Сакартвело, 1984.
2. Биндеман Н.Н., Язвин Л.С. Оценка эксплуатационных запасов подземных вод (методическое руководство). М.: Недра, 1970.- 214 с.
3. Справочник гидрогеолога. М.: Госгеолтехиздат, 1962.- 402 с.
4. უ. ზვიადაძე, მ. მარდაშვილი. ურბანიზებულ ცენტრებში ნაგებობათა მშენებლობის და ექსპლუატაციის საინჟინრო-პიდროგეოლოგიური პირობები // მეცნიერება და ტექნოლოგიები, №10-12, 2007.
5. U. Zviadadze, M. Mardashova. Ground waters as a powerful factor of constructions and exploitation of buildings in Tbilisi // Proceedings of GTU #4(450), Tbilisi, 2003, p. 123-127.

UDC 624.131.31

## ABOUT THE GROUND-WATER INFLOW INTO CONSTRUCTION PIT ON THE TERRITORY OF TBILISI

**U. Zviadadze, M. Mardashova, D. Chutkerashvili, N. Kitiashvili**

Department of geology, Technical University of Georgia, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** Within the large urban centre fulfilling of construction pit is seriously disturbed by inflow of groundwater into the foundation pit. On the example of our Capital there is considered the hydro geological conditions of one of large construction object – "Sakanela", situated in the centre of city, in point of view of ground water inflow into the construction pit. On the basis of corresponding calculation the intensity and quantity of inflow are determined.

**Key words:** construction pit; coefficient of filtration; water inflow; drainage; pumping-test.

УДК 624.131.31

**К ВОПРОСУ О ПРИТОКЕ ПОДЗЕМНЫХ ВОД В СТРОИТЕЛЬНЫЕ КОТЛОВАНЫ  
НА ТЕРРИТОРИИ Г. ТБИЛИСИ**

**Звиададзе У.И., Мардашова М.Л., Чуткарашвили Д.Г., Китиашвили Н.З.**

Департамент геологии, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** В пределах крупных урбанизированных центров серьёзной помехой для ведения строительных работ является приток подземных вод в котлован фундамента. На примере нашей столицы в работе рассмотрены гидрогеологические условия одного из крупных строительных объектов – «Саканела», расположенного в центре города, с точки зрения притока подземных вод в намечаемый котлован больших размеров. Соответствующими расчётами определены интенсивность и количество притока грунтовых вод в котлован.

**Ключевые слова:** строительный котлован; коэффициент фильтрации; водоприток; дренаж; опытная откачка.

გეგმვების თარიღი 20.01.09  
დოკუმენტის დახაბურება 05.02.09

შაპ 553.048

## ოკრიბის ბარიტშემცველი პგანის მდღოგენური გამადნების ფორმირების სიღრმე

**მ. ჯაფარიძე**

გეოლოგიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი,  
კოსტავას 77

E-mail: Manana\_Japaridze@yahoo.com

**რეზიუმე:** განხილულია ოკრიბის კვანძის ბარიტის ენდოგენური გამადნების ფორმირების სიღრმე. დადგენილია, რომ ბარიტული გამადნების ზედა ნაწილების ფორმირება ხდებოდა მინერალიზაციის პროცესში არსებული რელიეფის ზედაპირიდან 650-800 მეტრ სიღრმეზე, ხოლო მანძილები ყველაზე ზედა და ყველაზე ქვედა ბრმა მაღინან სხეულთა ზედა ნაწილებს შორის იცვლება 300-დან 1250 მ-ის ფარგლებში. გამადნების ვერტიკალური განაშალი მნიშვნელოვანია და მეტყობს 500 მ-დან 1450 მ-დან.

**საკვანძო სიტყვები:** მაღინანი კვანძი; მაღინანი ველი; ნაწილი და დიზიურქტიური აშლილობები; მაღინანი სევტი; სტრუქტურები; ვერტიკალური განაშალი.

### 1. შესავალი

რელიეფის ზედაპირიდან ენდოგენური გამადნების ფორმირების სიღრმე დიდი ხანია იყრობს მეცნიერ გეოლოგთა ყურადღებას. ს. სმირნოვის აზრით [5] ფორმირების სიღრმის განსაზღვრის ძირითადი მეთოდი არის „ჭრილის რესტაცრაცია“ ანუ ამა თუ იმ საბადოს ფორმირების პერიოდში არსებული გეოლოგიური პირობების ყველაზე სრული აღდგენა-რესტაცრაცია.“

ენდოგენური გამადნების სიღრმის განსაზღვრის გეოლოგიური მეთოდი, რომელიც ემყარება საბადოს ფორმირებისას არსებული ჭრილის რესტაცრაციას, გამოიყენებოდა მრავალი მკლევრის მიერ. ამ საკითხებზე ნაშრომთა შორის უდიანიშნოს ი. კუმარიოვის [4], ფ. ვოლფხონის და კ. იაკოვლევის [2], ფ. ვოლფხონისა და ლ. ლუკინის [1] და სხვათა გამოკვლევები. ამ მეცნიერთა მონაცემების მიხედვით ტყვიის, თუთიის, ფლუორიის და რიგი სხვა სასარგებლო ნაბარეთა საშუალო და დაბალტემპერატურული საბადოების ზედა ნაწილების ფორმირება, მათი წარმოშობის სტრუქტურული დონის მიუხედავად, ხდებოდა 400-800 მეტრის სიღრმეზე.

იმავე ავტორთა ნაშრომების მიხედვით დგინდება, რომ პიდროთერმულ საბადოთა უმეტესობა, ბრმა გამადნებების ჩათვლით, მიწის ზედაპირიდან 1 – 1,5 კმ სიღრმეზე მთავრდება, მაშინ, როდესაც ერთი საბადოს ფარგლებში ბრმა მაღინან სხეულთა ყველაზე ზედა და ყველაზე ქვედა ნაწილებს შორის მანძილი 600-800 მეტრს არ აღემატება.

### 2. ძირითადი ნაწილი

გავანალიზოთ აღნიშნული საკითხი თკრიბის მაღინანი კვანძისთვის.

თკრიბის ბარიტის შემცველი კვანძი მდებარეობს საქართველოს ბელტის ოკრიბა-ხრეითის გეორგეტონიური ზონის თკრიბის აზევების ფარგლებში და ხასიათდება რთული გეოლოგიური აგებულებით, რაც გამოწვეულია დანაოჭების განვითრებადი ფაზებით და სხვადასხვა მიმართულების რღვევების მიერ კრისტალური სუბსტრატის დამსხვრევით.

თკრიბის კვანძის ბარიტის შემცველი ველები ლოკალიზებულია ბაიოსური ბაზალტ-ანდეზიტური ფორმაციის მძლავრ ( 5 კმ-მდე ) ველგანოგენურ-დანალექ წყებაში, რომელიც ჩვენ მიერ დაყოფილია 14 ჰორიზონტად [3].

კვანძის ფარგლებში გამოყოფილია 70 ნაოჭა და 67 რღვევითი აშლილობა. დანაოჭების საერთო სუბგანედური მიმართულების ფონზე გამოიყოფა ორი ანომალიური ბლოკი, რომელთა ფარგლებშიც ნაოჭთა დერმები ჩრდილო-აღმოსავლურია. რღვევებს შორის გამოიყოფა დაიკამდელი, მაღინამდელი, შიდამადნური და მაღინიშმედგომი აშლილობები. რღვევების უმტბსობა ჩრდილო-დასავლური მიმართულებისაა და მათგან უდიდესები ასრულებს მაღანმაკონტროლებელ როლს.

ბარიტისა და კალციტის ძარღვები ( 300-ზე მეტი ) კვეთენ ბაიოსურის ყველა ჰორიზონტს, გარდა მეთოთხმეტისა. ძარღვებს აქვთ მარტივი შედგენილობა და ფორმირდებიან მინერალო-წარმოშობის სამი სტადიის განმავლობაში. მათი ფორმა დამოკიდებულია შემცველ ნაპრალთა მორფოგენეზისზე.

თკრიბის კვანძის ფარგლებში გამოყოფილია ნაპრალთა ათი ძირითადი სისტემა, რომელთა გან შივიდი არის დანაოჭებასთან დაკავშირებული და სამი – ზედნადები. დაიკებთან და გამადნებასთან ნაპრალთა ურთიერთობის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ მაღინან ველები მიეკუთვნება ნაპრალოვან ტიპს.

კვანძის ფარგლებში გამოყოფილია სამრეწველო ძარღვთა ორიენტაციის ხუთი ჯგუფი, რომელთა შორისაც გაბატონებულია ჩრდილო-დასავლური მიმართულების სხლების ნაპრალებთან დაკავშირებული სხეულები. ნაოჭთა დერმების მიმართ ბარიტის სხეულებს აქვთ დიაგონალური, გამკვეთი და პარალელური ორიენტაციები.

**კომბინირებული ვიტრაჟი** – არის სხვადასხვა სახისა და სტილის ვიტრაჟების შერწყმა. ამ სახის ვიტრაჟებისთვის გამოიყენება ცალკეული მზა დეტალები, ჩამოსხმელი მინის როზეგები, მეტი დამუშავებული მრავალფეროვანი მინა, ქიმიური ამოტვიფრვა და სხვა საშუალებები.

### ვიტრაჟის დამზადების ტექნიკა

**მირჩილული** ან **ტყვია-მორჩილული ვიტრაჟი** – ვიტრაჟის კლასიკური ტექნიკაა, რომელიც წარმოიშვა შეა საუკუნეებში და საფუძველი დაუდო ყველა სხვა ტექნიკას. ეს ვიტრაჟი აწყობილია ტყვიისჩარჩოიანი შეშის ნაწილებისგან, რომლებიც შეპირაპირებაზეა მირჩილული. მინები შეიძლება იყოს ფერადი და ასევე მოხატული ადვილად ლილობადი მინის სადებავებით, შემდგრმში დუმელში გამომწვარი. სადებავი მყარად ჩადუღდება მინის საფუძველზე და ქმნის ერთ მთლიანობას.

X საუკუნეში დაიწყეს ფურცლოვანი ფერადი მინისგან გამოჭრილი ნაჭრების ტყვიის ალათით შემოკვრა. ეს შემდეგის ასხამდება ტყვიის დეროებს, რომლებსაც შემდეგ აბრტყელებდნენ ზოლებად. ამ ტყვიის ზოლებს შემოაკრავდნენ წინასწარ დაჭრილ და ერთმანეთზე მორგებულ ფერადი მინის ნაჭრებს, რომლებიც ერთობლიობაში წარმოადგენენ ამა თუ იმ ნაყშს ან სურათს. შემდეგ ამ ტყვიის ალათით შემოკრულ მინის ნაჭრებს ალაგებდნენ მაგიდაზე და მჭიდროდ მოარგებდნენ ერთმანეთს. ამის შემდეგ ურთი-

ერთშეხებული ტყვიის ალათები ირჩილებოდა, რისთვისაც იყენებდნენ ტყვიის და კალის ნაერთს. სარჩილავად იყენებდნენ სპეციალური ფორმის ლითონის ღეროს. ნაკერს რჩილავდნენ ჯერ ვიტრაჟის ერთი მხრიდან, შემდეგ კი – მეორე მხრიდან, რისთვისაც საჭირო ხდებოდა ვიტრაჟის მთლიანად გადაბრუნება. მინის ფურცლის დაჭრა ფიგურებად ხდებოდა გაგარვარუბული რკინის წნევლით, რომლის ბოლოს ატარებდნენ მინაზე საღებავით წინასწარ დატანილ კონტურზე. რკინის წნევლის მინასთან შეხების ადგილას წნდებოდა გამჭოლი ბზარები. განაჭერი უსწორმასწორო გამოდიოდა, რადგან ძირითად ბზარს მარჯვნივ და მარცხნივ პატარა განშტოებები მიჰყებოდა, რაც სახასიათოა შეასაუკუნეების ვიტრაჟებისთვის.

მირჩილული ვიტრაჟის სახასიათო თავისებურებაა ტყვიის ტიხერებისგან შექმნილი ფიგურული ბადე, რომელიც თავის მხრივ ერთგვარად ჩაქსოვილია უფრო დიდ, რკინის, ხის, ან ქვის ჩუქურთმიან ალათებში. ტყვიის ტიხერები, ჩვეულებრივ, განლაგებული იყო გამოსახულების კონტურულ ხაზებზე, რითაც მათ აქცენტირებას ახდენდა, რაც საჭირო იყო სურათის, გამოსახულების შორი მანძილიდან ადსაქმელად. მთელი ეს სისტემა, რომელიც იყო მჭიდროდ შეკრული ფერადი მინების ერთობლიობა, გარშემორტყმული იყო ხის ან რკინის ჩარჩოთ, რომელიც ხშირად ჩასმული იყო გოთური შენობების გოგანტური ზომის ფანჯრებში.

მოხატული ვიტრაჟი - ვიტრაჟი, რომელშიც ყველა, ან თითქმის ყველა მინა მოხატულია, იმის მიუხედავად, მთელი მინა მოხატული თუ ის აწყობილია ალათში მოხატული ფრაგმენტებისაგან. შესაძლებელია ფაცეტური, წახნაგური, დაწეხილი მინების მცირეოდენი გამოყენება.

ფერწერა მინაზე ვიტრაჟული ხელოვნების ერთ-ერთი უკელაზე შრომატევადი სახეობაა. მხატვარს და, შემსრულებელს მოეთხოვება გადრმავებული საერთო-სამხატვრო და სპეციალური მომზადება და, რაც მთავარია, ფერწერის ტექნიკური ხერხების სრულყოფილი ფლობა. მინაზე ფერწერის თავისებურება ისაა, რომ მისი ზედაპირი არ არის ფორმვანი და, შესაბამისად, ადჰესია (შეჭიდება) საღებავებით ზედაპირის დაფარვისას სუსტია. მინის ზედაპირზე ფერწერული ფენით სარისხიანი შეჭიდულობის მისაღებად იყენებენ სპეციალურ საღებავებს და გამოსაწვავ დუმლებს.

X საუკუნე ვიტრაჟული ხელოვნებისათვის დირსშესანიშნავი ეტაპია, ვიანიდან სწორედ ამ დოროს ეპლესიებისა და ტაძრების ფერად მინებზე პირველად გამოჩნდა ფერწერა. საღებავის სახით ფართოდ გაფრცელდა და დიდხანს იარსება „შვარცლოტის“ (Schwarlzoth) სახელწოდების ქიმიურმა შენაერთმა. იგი იყო საიდენტია და რკინის ოქსიდების, ასევე ადვილად დნობადი ტყვიაშემცველი მინის შენაერთი, რომელიც

წმინდად იყო დაფხვნილი. ეს ყავისფერი ფხვნილი წყალში, დვინოსა ან რაიმე მცენარეულ ზეთში აირეოდა ფაფისებრ მდგომარეობაშე და ნახატს ბერვის ფუნჯის საშუალებით ხატავდნენ მინაზე. გაშრობის შემდეგ საღებავში შემავალი ადვილად დნობადი მინის გასადნობად იგი საკმარის ტემპერატურაზე გამოიწვეოდა, რის შედეგადაც ნახატი მინას „მიეწვებოდა“ ანუ მტკიცედ მაგრდებოდა მასზე.

მომდევნო წლებს ვიტრაჟის ტექნიკაში არანაკლებ მნიშვნელოვანი სიახლეები შეაქვს. ფართო გავრცელება პორვა ახალმა ხერხმა „გრიზაილი“ (grisaille). ფრანგული gris - ნაცრისფერი) – მინაზე ხატავენ შავი ან ყავისფერი საღებავით, ყველა ტონალური გადასვლით. ყავისფერისათვის გამოიყენება უკვე ცნობილი შვარცლოტი, შავი საღებავისთვის კი – შემადგენლობები, რომლებიც სხვადასხვა ლითონის ფანგებს შეიცავს. პრინციპულად ეს საღებავები არაფრით განსხვავდება იმათგან, რომლებიც ფაიფურზე ფერწერისთვის გამოიყენება. „გრიზაილის“ მანერაში მინაზე სრულდებოდა რთული ორნამენტული კომპოზიციები, რომლებიც წააგავდნენ ქსოვილის და ხალიჩის ნახატებს (ნაყშებს).

მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი სიახლე იყო მინისთვის ეგრეთ წოდებული ყვითელი ვერცხლის საღებავის გამოგონება (Kunstgelb ანუ Silbergeld). როგორც უკვე აღინიშნა, არსებობს მინისათვის საღებავების განსაკუთრებული ჯგუფი, რომელიც იმით ხასიათდება, რომ შევერილობის გამომწვევი შესაბამისი ლითონი სრულად არ იხსნება გამდნარ მინაში, არამედ ნაწილდება მასში უმცირესი ნაწილაკების სახით და წარმოქმნის ეწ. „კოლოიდურ ხსნარს“. ოქრო და სპილენძი წითელ კოლოიდურ ხსნარს წარმოქმნის, ვერცხლი კი – ყვითელს.

**ფიუზინგი** ანუ შეცხობილი ვიტრაჟი არის ტექნიკა, რომელსაც ნახატი იქმნება სხვადასხვა ფერის მინის ნაჭრების ან სხვა მასალის (მაგალითად ლითონის მავთულის) ერთობლივი შეცხობით. ეს ტექნიკა გამორიცხავს ლითონის პროფილის გამოყენებას ნახატის გამოსახულების შესაერთებლად და შესაკრავად. მინის ცალებ ფურლებზე სხვადასხვა ფერის ნაჭრებისგან აიწყობა შესაბამისი ნახატი და შემდეგ მას ერთიან ფენად შეაცხობენ. ხშირად ესეთი გზით შექმნილი დეტალები კლასიკურ ვიტრაჟშიც გამოიყენება. ფიუზინგის ტექნოლოგით ვიტრაჟული მინის არაჩვეულებრივი დაკორატიული ეფექტი მიიღწევა, რომელიც შესანიშნავად ერწყმის, შეეხამება თანამდეროვე ინტერიერს. ამ ტექნოლოგიის გამოყენებით შესაძლებელია პრაქტიკულად ნებისმიერი მოცულობისა და ფორმის დიდი დოობების შევსება.

ამ პროცედურის განხორციელება შეიძლება რამდენიმე ხერხით. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია „ფორმირება“ ანუ იმისთვის, რომ

უკვე დნობად მინას თასის ფორმა მიეცეს, გამოიყენებენ მოლდინგს (ჩამოსასებელ ფორმას).

არსებობს სხვა მეთოდებიც, რომლებიც დაფუძნებულია ფიზინგის ტექნოლოგიის პრინციპებზე: კომბინირებული გაფარცხვა, რომლის დროსაც გამოიყენება ხელსაწყო მინის დეფორმაციისთვის და ფაქტურის მისაცემად, სანამ ის ცხელია. ცეცხლით გაპრიალება, რომლისთვისაც გამოიყენება მინის გასაცხელებული დუმელი, რათა მას მიეცეს სიგლუვე და სიპრიალე. ტექნოლოგიის არსი შემდეგია: მინის მთლიან ფილაზე აიწყობა მომავალი ვიტრაჟის ნახატი ფერადი მინის ნაჭრებისგან, გრანულებისგან. შემდეგ მინას სპეციალურ დუმელში ახურებენ 850 გრადუს ტემპერატურაზე, რაც იძლევა შენადნობს მთლიანი ფილის სახით. დამზადების შრომატევადობის მიუხედავად “ფაუზინგის” ტექნოლოგიით შესრულებულ ვიტრაჟებს შეიძლება ჰქონდეთ სხვადასხვა ფორმა, სისქე და ფაქტურა. ეს საშუალებას იძლევა ინტერიერში ისინი გამოვიყენოთ, სხვადასხვა უფატურ ელემენტებად: ტიხების სახით, კედელში ჩანართად ან მაგიდის ზედაპირად. ასეთი ვიტრაჟები თანამედროვე და ესთეტიკურია და დამსახურებული პოპულარობით სარგებლობას. ისინი განსაკუთრებით მოგებიანია პოსტმოდერნიზმისა და ჰაიტექის ინტერიერებში.

**ქმიური ამოტვიფრვა** – ტექნიკა დაფუძნებულია ფტორწყალბადმუვას თვისებასთან რეაქციაში შევიდეს სილიციუმის ორჟანგთან (მინის მთავარ კომპონენტთან). მეავასთან ურთიერთქმედებისას მინა იშლება. დამცავი ტრაფარეტები საშუალებას იძლევა მივიღოთ ნებისმიერი სირთულისა და საჭირო სიღრმის ნახატი. ქიმიური ამოტვიფრვით დამზადებული ვიტრაჟი არის მინის დეტალების ერთობლიობა, რომელიც დამზადებულია ერთი ტექნოლოგიური ციკლით, გაერთიანებულია აზრობრივი და კომპოზიციური იდეით და განლაგებულია ჩარჩოს (ალათის) სექტორებში.

მრავალფენიანი ამოტვიფრვა მიიღწევა მინის მეავათი თანდათან ამოტვიფრვით სხვადასხვა სიღრმეზე, დამცავი ფენის ეტაპობრივი მოშორებით ან პირიქით, მისი თანდათან დატანით. ამ მეთოდით მიიღება უფრო მოცულობითი ნახატი, თითქმის შესაგრძნობი რელიეფი მინაზე და არა უბრალოდ მქრქალი ზედაპირი. მქრქალი ტრაფარეტული ნახატი, შესრულებული ერთ ტექნოლოგიურ ჯერზე, კველაზე მარტივი ხერხია, რომელიც არ მოითხოვს დამცავი დაქის დამატებით მოსხნას და დატანას, რადგან მინა ხელმეორედ არ მუშავდება მეავათი.

**ქვიშა-ჭავლური** ანუ ქვიშის ჭავლით შესრულებული ვიტრაჟი არის მინის ნაჭრების ერთობლიობა, რომელიც შესრულებულია ერთ ტექნოლოგიურ ჯერზე, გაერთიანებულია ერთ

კომპოზიციური და აზრობრივი იდეით და ასევე განლაგებულია ჩარჩოს სექციებში.

ვიტრაჟი “ტიფანი” - ვიტრაჟების დიდი უმრავლებობა შესრულებულია ტიფანის ტექნიკით. XIX საუკუნის ბოლოს ამერიკელმა ლუი კომფორტ ტიფანიმ გამოიგონა ვიტრაჟის აწყობის ახალი ტექნოლოგია. მან პირველმა შესთავაზა მინის შემოსაკრავად ტევის ნაცვლად გამოვიყენებინათ სპილენძის წებოვანი ფირი – “ფოლგა”. მეთოდის არსი შემდეგია: ფერადი მინის თითოეულ ნაჭერს პერიმეტრზე შემოეკვრება ფოლგა, შემდეგ ისინი ერთმანეთს მიერჩილება და წარმოქმნება მხატვრული კომბინაცია. ეს ძირულად გამოარჩევს ტიფანის ტექნიკით დამზადებულ ვიტრაჟს სხვა დანარჩენებისგან. პირველი – შესაძლებელია შეიქმნას საქმაოდ რთული კომპოზიციები, რომლებიც შეიცავენ ძალიან მცირე დეტალებს. ტევის ალათისგან განსხვავებით ფოლგა საშუალებას იძლევა მცირე დეტალებიც კი შეერთდეს ნებისმიერი კუთხით, ფრიად უცნაურად დაკლაპნილ ხაზებად. ასე მიიღწევა შიდა კარგასის ლამაზი სიღრმეტური ნახატი. მეორე – ასეთი ვიტრაჟი ბევრად უფრო მტკიცე, ვინაიდან ასე შეიძლება უძრავად მიერჩილოს კველა დეტალი, მათ შორის მცირეც. მესამე – ტიფანის ტექნიკა საშუალებას იძლევა დამზადებული მოცულობითი ვიტრაჟი, რომელშიც ცალკეული დეტალები ჩაზექილი ან ამობურცული იქნება. ეს ვიტრაჟს დამატებით ორიგინალობას ანიჭებს.

თანამედროვე ვიტრაჟები “ტიფანის” ტექნიკით “ერზაც-ტექნოლოგიით” მზადდება. შაბდონის მიხედვით წინასწარ დაჭრილ ფერად მინებს შემოეკვრება ფოლგა, დალაგდება ესკიზის მიხედვით, მიერჩილება ერთმანეთს და მირჩილული კონტური ტონირდება პატინით.

**ფაცეტური ვიტრაჟი** შესრულებულია მინის ნაჭრებისგან, რომლებსაც პერიმეტრზე მოხსნილი აქვს ფაცეტი (ფასკა), ან მოცულობითი, წახნაგების მქონე გახეხილი და გაპრიალებული მინებისაგან. იმისათვის, რომ მივიღოთ ფართო წახნაგი (ეს აძლიერებს სინათლის გარდატეხის ეფექტს), საჭიროა უფრო სქელი მინა, რაც შესაბამისად ზრდის ვიტრაჟის წახნას. ამის გამო ფაცეტირებულ დეტალს აწყობენ უფრო მტკიცე – თითბრის ან საილენძის ჩარჩოში. მსგავსი ვიტრაჟები სასურველია განათავსოთ ფასადის ვიტრინებში, თაბაშეა კარში, ავეჯის კარში. ზემოთ აღნიშნული თითბრის ან საილენძის ჩარჩოები უძლებებ გადება-დახერგას, ხოლო ტევია იზნიქება. თითბრის და სპილენძის ალათების ოქროსფერი ელფერი საგნებს ძვირფას სახეს აძლევს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ისინი აღიქმებიან არა მარტო გამჭოლ, არამედ არეკლილ შუქზეც.

**მოხაიკური ვიტრაჟი** - როგორც წესი ორნამენტული ან გეომეტრიული წელის მქონე აწყობილი ვიტრაჟია. ის წაგავს თითქმის ერთნაირი მოდულის სმალტით აწყობილ მოზაიკას. მოზაი-

კური წყობა მთლიანად ფარავს ხალიჩისებურად ფანჯრების სივრცეებს და გამოიყენება როგორც ფონად, ისე დამოუკიდებლადაც. მოზაიკურ წყობაში მოღულის სახით ხშირად გამოიყენება ყალიბში ჩამოსხმული რთული ფიგურული რელიეფის დეტალები, კობოშონები, დახვეწილი ჩანართები და სხვა.

**კომპინირებული გიტრაჟი** - მასში შერწყმულია რამდენიმე ხერხი: მოხატული მედალიონი და მოზაიკური ნაკრები, ფაცეტური შემთხვევა ფონის სახით. ქველად ასეთი შერწყმა მიიღწეოდა უკვე მთა, ხშირად ნაყიდი ვიტრაჟების უფრო დიდ ფანჯრის დიობზე მორგების გზით, როდესაც არასაკმარის დეტალებს უბრალოდ ერთად უყრიდნენ თავს და ყველაფერს ორნამენტული შემინვის სახეს აძლევდნენ.

დღესდღეობით კომპინირებული ვიტრაჟი ძალაშე პოპულარულია: ის საშუალებას იძლევა მივაღწიოთ ფაქტურების მრავალფეროვნებას, ოპტიკურ უფქებებს. აგრეთვე გამოიყენება აბსტრაქტული კომპოზიციების შექმნისას დეკორატიული მრავალფეროვნების მისაღწევად, რთული გამოსახულებით ამოცანების მისაღწევად, კონტრასტებზე აგებული ატმოსფეროს შესაქმნელად.

**ტრანსპარანტი** გამჭვირვალე ფერწერა, როგორც წესი ზეთის ან ტექსტის სადგებავით მქრქალ მინაზე შესრულებული. მინის სადგებავებით ფერწერასთან და გამოწვასთან შედარებით, ტრანსპარანტული ფერწერა მისი შესრულების არც ისე რთული ტექნოლოგიის გამო მეტად პოპულარულია.

**ნაფში “ყინვა”** - ფაქტურა, რომელიც მიიღება მინის წინასწარ ქვიშის ჭავლით, ქიმიური ამოგვიფრვით, აბრაზივით დამუშავებულ ან დაკაწრულ ზედაპირზე ხის წებოს ან ქელაბინის დატანით. მოცემულ ტექნიკაში გამოიყენება წებოს თვისება – გაშრობისას მისი მოცელობის შემცირება. ცხელი წებო ჩაედინება და ჩაჯდება შესაბამისად დამუშავებულ ხორკლიან ზედაპირში, გაშრობასთან ერთად ის იწყებს მინის თხელი შრეების ამოტეხვას. შედეგად მიიღება ფაქტურა, რომელიც მინაზე ყინვის ნახატს (ნაფს) მოგვარნებს.

**კაბოშონი** რელიეფური ფიგურული ჩანართია ვიტრაჟში. ძირითადად გამჭვირვალე, ხშირად ყალიბში დაწებილი ან ჩამოსხმულია. გარეგნულად წაგავს წყლის წვეთს ან მინის დილს.

ვიტრაჟის კაბოშონი შეიძლება იყოს ნახევარსფერო ან ოდნავ ჩანექილი ნახევარსფერო ალათში ჩასამაგრებელი კიდეებით. გვხვდება უფრო რთული ფორმებიც.

**ბენდინგი** არის ვიტრაჟის მოხრა ღუმელში, მისთვის ნახევრად ცილინდრული ან კუთხური ფორმის მისაცემად. ტექნოლოგია იმეორებს ფიუზინგს, მაგრამ განსხვავებულია ტემპერატურული რეჟიმი და აღჭურვილობა.

**შებუა** ანუ ფანჯარა წარმოადგენს ფანჯრის აუქულელ ალათს, რომელშიც ხშირად ჩასმულია ფერადი შუშის ნაჭრები.

კ. ვერმანი თავის ნაშრომში “ყველა დროისა და ხალხების ხელოვნების ისტორიაში” აღნიშნავს: “მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში ხელოვნებაში არ შექმნილა არაფერი ისეთი, რასაც შეეძლო დეკორატიული ეფექტურობის მხრივ შედროდა ამ მოხატული ფერადი მინების რიგს“.

### 3. დასკვნა

– ვიტრაჟი გამოირჩევა მასალების მაღალი ხარისხით;

– დამზადების ტექნიკის სიმრავლით;

– შერტეული სიუჟეტების მრავალფეროვნებითა და შესრულების ვირტუოზულობით;

– თავისი შექმამტარი თვისებების წყალობით ვიტრაჟი შესანიშნავი საშუალებაა ინტერიერის სივრცის ზონირებისათვის, ისე, რომ არ დაირღვეს მისი მთლიანობის აღქმა;

– ვიტრაჟს აქვს თვისება ინტერიერში შექმნას სინათლის განსაკუთრებული სივრცობრივი გარემო და ფერების განუმეორებელი თამაში;

– ზემოთ აღწერილი ვიტრაჟის სახეობებისა და დამზადების ტექნიკის ცოდნა საშუალებას მისცემს არქიტექტორსა და დიზაინერს შენობის ექსტერიერისა და ინტერიერის დაპროექტებისას შეარჩოს ვიტრაჟის ესა თუ ის სახეობა და დამზადების ტექნიკა, რითიც დაპროექტებული ობიექტი შტამბეჭდავი გახდება.

### ლიტერატურა

1. Минухин Е. Витражи. Рига: ЛГИ, 1959.

2. Уили и Э., Чик Ш. Искусство цветного и декоративного стекла. Белфакс, 1997

3. Jacob Baal-Teshua, Luis Comfort Tiffany, Tashen, 2001.

UDC 72

**STAINED GLASS WINDOW, ITS TYPES AND TECHNIQUE FOR ITS PREPARATION****G. ROKVA, M. MILASHVILI**

Department of architecture, city-building (urbanist), Technical University of Georgia, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** There is considered the history and essence of artistic stained glass window, its role as one one of types of decorative-applied art in architecture- in exterior and interior of buildings. Almost every type of stained glass windows and its function and also various technologies preparation of stained glass window are described in detail.

Stained glass windows are notable with their high quality materials and various techniques for preparation, selected diverse and virtuosity of its performance.

Due to their rear projection stained glass window is splendid facility for interior space zonation not breaking the perception of its wholeness; the same time stained glass window has the feature to create light's peculiar space environment and unique colors playing.

Above described stained glass window's types and the knowledge of its preparation gives possibility to architects and designers to select any type of stained glass windows and the technique of its preparation due to which the projected object will have impressionable face.

There information is intended for architects, designers and students.

**Key words:** artistic stained glass window; tiffany; chemical imprint; fusing; mosaic.

**УДК 72****ВИТРАЖИ, ИХ ВИДЫ И ТЕХНИКА ИЗГОТОВЛЕНИЯ****Роква Г.К., Милашвили М.Т.**

Департамент архитектуры, градостроения (урбанистики), Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** В статье рассмотрена история художественного витража и его суть. Его роль как одного из видов декоративно-прикладного искусства в архитектуре – в экстерьерах и интерьерах зданий. Детально описаны почти все виды витражей и их назначение, а также разные технологии их изготовления.

Витражи отличаются высоким качеством материалов и множеством способов их изготовления, разнообразием выбранных сюжетов и виртуозностью исполнения.

Благодаря своей светопропускающей способности витражи являются прекрасным способом зонирования пространства интерьера так, чтобы не нарушалось восприятие его целостности.

В то же время витраж способен создать в интерьере особенную световую пространственную среду и неповторимую игру цвета.

Знание вышеуказанных видов витражей и техники изготовления поможет архитекторам и дизайнерам при проектировании интерьеров и экsterьеров правильно подобрать ту или иную технику изготовления и вида витражи, что придаст спроектированному объекту впечатляющий вид. Информация предназначена для архитекторов, дизайнеров и студентов.

**Ключевые слова:** художественный витраж; Тиффани; химическая выгрузка; фьюзинг; мозаика.

გეგმვების თარიღი 10.12.08  
ძილებულის დახაბეჭდი 19.01.09

**უაგ 62-5**

**მძღვანელობის სისტემების გამოყენება დაკომეშტების დიაბნოსტირებისა  
და სინოეზისათვის**

**ა. კობიაშვილი\*, რ. ქუთათელაძე**

ორგანიზაციული მართვის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო,  
0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: anakobi@yahoo.com

**რეზიუმე:** აღწერილია ის ძირითადი კონცეფ-  
ციები, რომლებიც ექსპერტული სისტემის გა-  
მოყენების საშუალებას იძლევა დაპროექტების  
როგორც დიაგნოსტირების, ისე სინთეზისათვის.  
წარმოდგენილია ამ კონცეფციების განხორციე-  
ლების მაგალითები არქიტექტურული კონსტ-  
რუქციების დაპროექტების სფეროში. ნაჩვენებია  
გრაფიკული ინტერაქციის მნიშვნელობა და-  
პროექტების ექსპერტულ სისტემებში.

**საკანონო სიტყვები:** ექსპერტული სისტემა;  
დაპროექტების დიაგნოზი; დაპროექტების სინ-  
თეზი; ცოდნა.

**1. შესავალი**

დაპროექტების პროცესის მოდელირება ხში-  
რად ხდება როგორც ანალიზის, სინთეზისა და  
ევოლუციის რეპურსიული ინტერაქცია. აღნიშ-  
ნული პროცესი ვითარდება მიმდინარე მდგომა-  
რეობიდან ახალი მდგომარეობის გენერირების  
გზით. ამოცანას, რომლის შესახებ ინფორმაცია  
გროვდება ამოხსნის პროცესში, ეწოდება “ცუ-  
დად განსაზღვრული პრობლემა” [1]. დაპროექ-  
ტების პროცესი შეიძლება განვიხილოთ რო-  
გორც საწყისი მდგომარეობა, რომელიც ექს-  
პერტული ცოდნის საფუძველზე გარდაისახება  
ამონასხნთა სიმრავლების სერიაში. ამ კონცეპ-  
ტუალურ ჩარჩოში პრობლემის გადაწყვეტა  
შეიძლება განვიხილოთ ალტერნატიულ მდგო-  
მარეობებს შორის ძებნის პროცესის სახით, რო-  
მელიც მიზნად ისახავს განსაზღვრული პირო-  
ბების დაქმაყოფილებას.

დაპროექტების სფეროში ცოდნა შეიძლება  
განვიხილოთ როგორც ინსტრუმენტი, რომლის  
მეშვეობითაც დამპროექტებელი ადგენს გარკ-  
ვეული არიდან სემანტიკურ შინაარსს და რომ-  
ლის საშუალებითაც ის თავის იდეებს წარ-  
მოადგენს ამ არის შესახებ, როგორც სინტექ-  
სურ დამოკიდებულებებს სიმბოლოებსა (სასაგნე  
არის შესახებ ცოდნა) და იმ მოქმედებებს შო-  
რის, რომელთა მეშვეობითაც ხდება ამ სიმბო-  
ლოებითა და დამოკიდებულებებით მანიპული-  
რება (სამართავი ცოდნა). ცოდნა შეიძლება აღ-  
წერილ იქნეს სიმბოლურადაც და მათემატიკუ-  
რადაც. ცოდნის ინჟინერია არის დარგი, რომ-  
ლის დანიშნულებაა ცოდნაზე დაფუძნებული

პროგრამის აგება, კერძოდ, ისეთი პროგრამის  
შექმნა, რომელიც ახდენს ადამიანი – ექსპერტის  
ცოდნის მოდელირებას სპეციფიკური არის მეშ-  
ვეობით და შემდეგ მის გამოყენებას ინტერაქ-  
ტიულად მომხმარებელთან მიმართებაში.

ექსპერტული სისტემის გამოყენებისათვის  
საქმიან საინტერესო სფეროა არქიტექტურული  
დაპროექტები. ექსპერტულ სისტემასთან დაკავ-  
შირებული ცოდნის ბაზა შედგება ფაქტებისა  
და ევრისტიკებისაგან. ფაქტები შეადგენს ინ-  
ფორმაციას, ხოლო ევრისტიკები – მეთოდოლო-  
გიურ დებულებებსა და წესებს, რომელთა მიხ-  
ედვითაც ხდება დასკვნების გამოტანა.

**2. ძირითადი ნაწილი**

განიხილება დაპროექტების პროცესის ექს-  
პერტული სისტემების აგებისადმი ორი ძირითად  
მიღვოდა:

დაპროექტების სინთეზი – ექსპერტულ სის-  
ტემას შეუძლია პროექტის გენერირება.

2. დაპროექტების დიაგნოსტირება – ექსპერ-  
ტულ სისტემას შეუძლია ფუნქციონირება რო-  
გორც დაპროექტების კრიტიკოსს, კერძოდ,  
შეუძლია დაპროექტების კორექცია, შეფასება და  
სათანადო რეკომენდაციების შემუშავება.


ორიგი რეერგიზო პრობლემის გადაწყვეტისათ-  
ვის საჭირო ოპერაციების გენერირება ხდება მა-  
ნამ, სანამ მათი ანალიზი და შეფასება მოხდე-  
ბოდეს. ნებისმიერ ექსპერტულ სისტემაში საკ-  
ვანო საკითხი არის სისტემის აგებისას მისი  
ცოდნის ბაზისა და მართვის მექანიზმის ერთმა-  
ნეთისაგან გამიჯვნა. ცოდნის წარმოდგენისა და  
გამოყენების ხერხები რეკურსიული ბუნებისაა  
და წარმოადგენს დიზაინის პარადიგმის მრავ-  
ლობით რეჟიმებს.

დაპროექტების სინთეზის ავტომატიზებულ  
პროცესში პროექტი განიხილება როგორც ძებ-  
ნის შედეგად მიღებულ ამონასხნთა მდგომარეო-  
ბა. დაპროექტების ახალი მდგომარეობის წარ-  
მოქმნა ხდება ანალიზის, კოლეგიუმისა და რეგუ-  
ლირაციის პროცესის დროს. გენერაცია მიიღება  
გარდაქმნის წესების სიმრავლის ეგზემპლარების  
შექმნის გზით, რომელშიც საწყისი მდგომარეო-  
ბა გარდაიქმნება მომღევნო ან საბოლოო მდგო-  
მარეობად წესებზე დაფუძნებული ოპერაციების  
მეშვეობით. 1-ელ ნახ.-ზე ნაჩვენებია შესაძლო  
ამონასხნთა მდგომარეობების მცირე სივრცე  
საწყისი მდგომარეობით, რომელიც შერჩეულია

ადამიანი–დამპროექტებლის მიერ. გარდასახვის წესები გვიჩვენებს, როგორ წარმოვქმნათ ახალი მდგომარეობა მიმდინარე მდგომარეობიდან. ამ გზით მიიღება ნაწილობრივი ამონასსები მ-ში. შეზღუდვები იწვევს ერთი წესის შესრულებას და მეორე წესი იწევებს ამოქმედებას C – ში.

დაპროექტების შესახებ ცოდნის წარმოდგენის ერთ-ერთი პირველი მცდელობა ცნობილია, როგორც ფორმების გრამატიკა [2]. მასში ცოდნა წარმოდგენილია სინტაქსური გარდასახვების წესების საშუალებით ფორმალურ შაბლონებზე.

მანიპულირებისათვის. ფორმების გრამატიკა წარმოვგიდებს სეგმენტების, სიმბოლოებისა და ჭდების საშუალებით, ხოლო ამონასსნთა გენერაცია მოიცავს ყველა ამონასსნს, დაწყებული საწყისიდან, დამთავრებული საბოლოომდე. რეალურ სიტუაციებში მოედი ამონასსნთა სიმრავლე ხაკლებად გამოიყენება, რადგანაც ის მოითხოვს ძებნის განხორციელებას ძალიან დიდ სიმრავლეში. ამრიგად, მსგავსი მეორედების ნაკლია ძებნის გართულება.



ნახ.1. დაპროექტების გენერირების გარდასახვის წესები საწყისი მდგომარეობის საბოლოო მდგომარეობად გარდასახვის გზით.

ამიტომ გაცილებით ეფექტურია რეკურსიული ძებნის გამოყენება, როდესაც ერთი მდგომარეობიდან მეორეზე გადასვლა ხდება მიზნის ფუნქციის საშუალებით.

მეორე ცნობილი მიღებმა ექსპერტული სისტემის აგებისადმი გულისხმობს დაპროექტების პროცესის განხილვას, როგორც პროექტის კრიტიკოსის მოქმედებისას. ეს მიღებმა დიაგნოსტიკური ექსპერტული სისტემების გამოყენების ანალოგიურია, სადაც პროექტის კრიტიკოსი ცდილობს დაპროექტების შეცდომების დაგანხილვის პროცესის მიზნების შესაბამისად. მომხმარებელი აგებს პროექტს და სისტემა შეფასების წესების მიხედვით ამოწმებს მას, აძლევს რეკომენდაციებს გაუმჯობესებისათვის და ახორციელებს დიალოგს მომხმარებელთან.

დაპროექტების ცოდნის წარმოდგენისადმი სინტაქსური მიღებმა მოახდენს ამ ორი მიღებმის ინტეგრაციას და მივიღებთ ექსპერტულ სისტემას, რომლის ფუნქციონირებაც ორივე რეკიმის შესაბამისი იქნება. ასეთი ინტეგრირებული მიღებმა საჭიროებს ერთი და იმავე ცოდნის ბაზის შიგნით როგორც გენერაციული, ისე ეფოლუციური წესების გამოყენებას დაპროექტების სხვადასხვა საფეხურზე და კონტროლის მქა-

ნიზების გამოყენებას აბსტრაქციის სხვადასხვა დონეზე.

ასეთი სისტემის ძირითადი არსი ისაა, რომ აიგება დაპროექტების ამოცანის ნაწილობრივი (შუალედური) ამონასსნები. შემდეგ მოხდება მათი შეფასება გარკვეული კრიტერიუმებით და შესაბამისი სრულყოფა სრული ამონასსნის მიღებამდე. ამ მეორედს შეუძლია პროცედურულად შეზღუდოს კომბინატორული ავეთქება. უფრო მეტიც, დაპროექტების ნებისმიერ საფეხურზე სწავლების პროცესი ამ ნაწილობრივი ამონასსნების მიღების შედეგად ძალიან მნიშვნელოვანია; ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მიზნის საწყისი მდგომარეობის განსაზღვრის ან შემდგრმის სრულყოფისათვის.

შემოთავაზებული ნაშრომის მიზანია სამი მეორედოლოგიური საკითხის განხილვა ზემოთ ჩამოყალიბებული პრობლემის გადასაწყვეტილად:

1. გრაფიკული (სინტაქსური) წარმოდგენის გარდასახვა ტექსტურ (სემანტიკურ) წარმოდგენიან და კირიკით.

2. ექსპერტული სისტემის მომხმარებელსა და სისტემას შორის ტრადიციული ინტერაქტიული ბუნების დიალოგის უზრუნველყოფა როგორც ტექნიკური, ისე გრაფიკული ფორმით.

სამუშაო  
ერთობლივ  
დამუშავებელი

3. ერთი და იმავე ცოდნის ბაზის გამოყენება როგორც დაპროექტების სინთეზის, ისე დიზაინის დაგანოსტიკისათვის და ნაწილობრივი ამონასნების მიყვანისათვის საბოლოო მდგომარეობამდე.

დიზაინერი თავის საპროექტო იდეებს კონცეფციებსა და აზრებს გამოხატავს ვერბალურად და გრაფიკულად. ინტელექტუალურმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს ამ ორ ნაკრებს შორის ურთიერთკავშირის ცალსახა ასახვა. ამისათვის უნდა აიგოს სემანტიკური მოდელი, რომელიც შეძლებს ამოიცნოს ობიექტებისა და ამ ობიექტების შორის კავშირების გეომეტრიული აღწერის ატრიბუტები.

გეომეტრიულ მოდელს კი, პირიქით, უნდა შეეძლოს განახორციელოს სემანტიკური აღწერილობები და ოპერაციები. იდეებით მანიპულირებისა და ცოდნის წარმოდგენის ეს ორი ხერხი დამახასიათებელია ტრადიციული ხერხებით მომუშავე დამკროექტებლისათვის.

დაპროექტების მდგომარეობის ანალიზისა და ახალი მდგომარეობის გენერირების პროცესი მიმდინარეობს საწყისი გეომეტრიული მონაცემებიდან სემანტიკური ინფორმაციის მიღებით. გრაფიკული ინტერაქციის შედეგად იქმნება გეომეტრიული მოდელის მონაცემთა ბაზა, რომელიც ეფუძნება ურთიერთდამოკიდებულებებს გეომეტრიულ ფორმებსა და ცნებებს შორის. ეს სინტაქსური დამოკიდებულებები უნდა გარდაიქმნას სემანტიკურ დამოკიდებულებების ფაქტების ბაზას სისტემის ცოდნის ბაზაში. შემდეგ სისტემა ამ ცოდნას გამოიყენებს მოქმედებების ამოსარჩევად ამონასნების გენერაციის ან დაპროექტების დიაგნოსტიკის დროს.

საჭიროა არსებობდეს გრაფიკული მოდელების აგების შესაძლებლობა იმ სემანტიკური აღწერილობებიდან, რომლებიც შეაღებენ ვერბალურ დიალოგს მომხმარებელსა და ექსპერტულ სისტემას შორის იმ დროს, როდესაც ექსპერტულ სისტემასთან ურთიერთქმედება ექსპერტება ვერბალურ დიალოგს, სემანტიკური ფაქტების ბაზა მიღება სისტემის მიერ მომხმარებლის გამოკითხვის შედეგად. სისტემა გამოიტანს დასკნებს ამ ინფორმაციიდან, რათა შემდეგ ეს დასკნები გადაიქცევს სინტაქსურ ურთიერთქმედებათა სიმრავლედ იმ ობიექტებს შორის, რომლებიც გენერირებას გაუკეთებს გრაფიკულ კონსტრუქციებს. ამ გზით სისტემა თანდათანობით ფაქტების ბაზიდან აფორმირებს ამონასნების სიმრავლეს, რომელიც განისაზღვრება როგორც დაპროექტების ამოცანის მიზანი. ამონასნების სიმრავლე შეიძლება მიღებულ იქნეს სინტაქსური ოპერაციებით და გამოტანილ იქნეს გრაფიკული სახით.

ცოდნის წარმოდგენა შეიძლება იყოს პროცედურულიც და დეპლარაციულიც. გრაფიკული სახე დეპლარაციული წარმოდგენაა, მაგრამ მისი აგებისათვის კომპიუტერის მეშვეობით გამოიყენება

ბა პროცედურული პროცესები. ეს განსხვავება გრაფიკულ ობიექტსა და მისი რეალიზაციის საშუალებებს შორის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ის განსაზღვრავს იმ ასახვებს, რომლებიც საჭიროა გრაფიკული ინტერაქციისთვის.

დაპროექტების ექსპერტული სისტემისთვის მნიშვნელოვანია სამი ტიპის ცოდნა. პირველი, სინტაქსური ცოდნა, ამყარებს კავშირს საგანსა და მის არეს ან საგანსა და სხვა საგნებს შორის. მაგალითად, როდესაც დამპროექტებელი განათავსებს ფანჯარას კადელში გრაფიკულად, სინტაქსური ცოდნა გამოიყენება კედლის საზღვრებიდან ვერტიკალური და პორიზონტალური მანძილების მოსაძენად. პროექტში ასეთი ცოდნის მიზანია უზრუნველყოს მონაცემთა ბაზის მდგრადობა.

ცოდნის მეორე ტიპი, სემანტიკური ცოდნა, დაკავშირებულია საგნების მნიშვნელობებთან და ემსახურება ურთიერთდამოკიდებულებების გამოხატვას საგნებსა და მათ ატრიბუტებს შორის. პრედიკატები, რომლებიც ახდენენ ფაქტების გენერირებას ობიექტებს შორის არსებული დამოკიდებულებების შესახებ, შეიძლება იყოს შემდეგი სახის:

- აოზიციური დამოკიდებულებები – “ფანჯარა განთავსდება რადიატორის ზემოთ”;
- ჩართვის დამოკიდებულებები – “ფანჯარა განთავსდება ჩრდილოეთ კედელში”;
- შედარების დამოკიდებულებები – “დასავლეთ კედელი მოკლე”;
- დამოკიდებულებები, რომლებიც განსაზღვრავს მდგომარეობებს – “სამზარეულოს ფართობი პროპორციულია სიგრძისა და სიგანისა”.

მესამე ტიპის ცოდნა არის შეფასებათა ცოდნა. ის გამოიყენება ამონასნობა მდგომარეობის სისტემის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესამოწმებლად. მაგალითად, შემოწმდეს ფანჯარის – ზომები, განდაგება, მასალა და გამოითვალის ისეთი ფაქტორები, როგორიცაა განათება და ვენტილაცია.

სამეცნიერო ტიპის ცოდნის გამოყენების დემონსტრირება ხდება სისტემის პრედიკატებში, რომელთა მიზანია შემოქმედება – ობიექტის მოთავსება, ფაქტების გენერირება, ინტერაქციები. ობიექტის მოთავსების მიზანია ობიექტის პარამეტრებს შორის სინტაქსური დამოკიდებულებების დაგენერაცია და შემოწმება. ფაქტების გენერირების მიზანია ობიექტებს შორის სემანტიკური დამოკიდებულებების მიღება. ინტერპრეტირების მიზანია დაპროექტების ამოცანის ამონასნების მუშაობის უზარიანობის შემოწმება სისტემის ცოდნის ბაზის წესების მიხედვით.

ექსპერტული სისტემა პროექტის სათანადო შესრულებისათვის უნდა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1. სისტემამ უნდა უზრუნველყოს მომხმარებელსა და სისტემას შორის ინტერაქციის რამდენიმე რეჟიმი. მასში შედის შემდეგი კომპონენტები: ინტერფეისის საშუალებები, დასკვნების მიღების მექანიზმი, ასენა-განმარტების საშუალებები და მდგომარეობების აღწერის საშუალებები.

2. სისტემამ ერთი და იგივე ცოდნის ბაზა უნდა გამოიყენოს დაპროექტების სინთეზისა და დიაგნოზისათვის.

3. სისტემამ სემანტიკური წარმოდგენა უნდა გარდაქმნას გრაფიკულ წარმოდგენად და პირიკით.

საჭირო მახასიათებლების შესახებ ცოდნა შეიძლება წარმოდგენილ იქნეს როგორც ერგონომეტრიული მონაცემები, ცხრილები, დიაგრამები ან ვერბალური რეკომენდაციები. დაპროექტების წესების საშუალებით ხდება გამოცდოლებისა და ფენომენოლოგიური ცოდნის კოდირება ფორმალური და სტრუქტურული გზით, დოზანიერის გამოცდილებიდან მიღებული ცოდნა წარმოდგება ევრისტიკების მეშვეობით, ევრისტიკა საშუალებას აძლევს დამპროექტებელს ყურადღების კონცენტრაცია მოახდინოს არსებული პირობების მნიშვნელოვან ვაქტება და ელემენტებზე, რომელიც პასუხობენ პროექტის მიზნებსა და მოთხოვნებს.

ხდება ასეთი ცოდნისა და გამოცდილების ორგანიზება და ყალიბდება პროდუქციული წესები. შედეგობრივ სისტემას ასეთი სახით ფორმალიზებული ცოდნა შეუძლია გამოიყენოს არქიტექტურული დაგეგმარებისათვის. წესები აიგება ობიექტების ატრიბუტების სიდიდეების მიხედვით. თითოეული ობიექტი დამუშავდება პროცესორის მიერ და განისაზღვრება მისი ატრიბუტები. განვიხილოთ შემდეგი წესი პროლოგზე:

if

'size of kitchen room' is 'small'

then

'shape of counter' is 'straight counter'

ამ წესში ობიექტს, ატრიბუტსა და სიდიდეს შორის დამოკიდებულება ასეთია:

ობიექტი	ატრიბუტი	სიდიდე
kitchen room	size	small
counter	shape	straight

ასევე შესაძლებელია, რომ წესებმა დაამუშაოს ცვლადები, მაგალითად:

if

'area in sq metres' is A and

'width in cm' is W and

'length in cm' is L

then

A is W\* L / 10000

საეციფიკური სიდიდეების განსაზღვრა ატრიბუტებისათვის, რომლებიც ინახება დინამიკური ფაქტების ბაზაში, შეიძლება მრავალგვარად განხორციელდეს: მომხმარებელთან ინტერაქტიური დიალოგის გზით; ობიექტების ამორჩევით მენიუდან და მათი ატრიბუტების ინტერაქტიურებით გრაფიკულ ფორმად; ან დასკვნების მიღების პროცესის გავლით.

ტიპობრივ წესებს ცოდნის ბაზიდან ექნება შემდეგი სახე:

if

'area of kitchen in sq m' is greater than 300 and

'width of kitchen in cm' is greater than 210 and

'length of kitchen in cm' is L and

then ' acceptable dimensions'

'classification of kitchen size' is 'large'

if

'location of window' is 'in corner' and

'length of window in cm' is greater than 140. 0

then

'size of window' is 'big enough'

if

'number of windows' is 1 and

'window is on the wall' and

'long wall has a window' and

'shape' is 'straight wall'

then

'window share wall with counter and counter' is

on wall 1:

გრაფიკული ინფორმაციის გარდასახვას სემანტიკურ ფორმად ახორციელდებს ინტერაქტიური. გარდასახვა ხდება შემდეგ ფორმად:

სემანტიკა = τ (სინტაქსი)

სინტაქსი = τ (სემანტიკა)

სადაც τ და τ ის ცოდნაა, რომელიც საჭიროა გარდაისახოს. ლოგიკურად ესაა პომომორფული ცოდნა და ასახავს პირდაპირი და უპუმიმართულების დედუქციურ პროცედურებს.

როდესაც მომხმარებელი იდეებს გრაფიკულად გამოსახავს, სისტემა ობიექტებს შორის სინტაქსურ დამოკიდებულებებს გარდაქმნის ვაქტებად, რომლებიც შემოწმდება ზემოთ მოცემული წესების საშუალებით. ეს გამოიყენება დი-

სტუ-ს  
გრაფიკული  
წესების  
დამოკიდებულებების  
შემდეგი სახე:

აგნოსტირების პროცესში, როდესაც სისტემა მოქმედებს როგორც დიაგნოსტირების კრიტიკოსი და ახდენს ამონასსნების ანალიზს. განვიხილოთ შემდეგი მარტივი მაგალითი: ვთქვათ, დამპროექტებელს სურს შეიტანოს ინფორმაცია გრაფიკულად. ეს შეიძლება შესრულდეს სინტაქსურად X და Y კოორდინატების განსაზღვრით პროექტის ორი საპირისპირო კუთხიდან (დაგუშვათ ესაა მართვულხედი) მაუსის მეშვეობით. თუ ამ ორ კუთხეს აქვთ კოორდინატები (X1, 1) და (X2, 2), მაშინ τ შეიძლება ასე ჩაიწეროს:

$Dx$  is  $x_1 - x_2$ ,

$Dy$  is  $y_1 - y_2$ ,

draw area ( $D_x$ ,  $D_y$ ),

assert (length of kitchen is  $D_x$ ),

assert (width of kitchen is  $D_y$ ),

assert (area of kitchen is  $Dx \cdot D_y$ ).

### 3. დასკვნა

აღწერილი სახის ექსპერტული სისტემა საშუალებას მისცემს დამპროექტებელს იმუშაოს გარკვეულ არქში, მოახდინოს მრავალი მიღების ადაპტირება პროექტის საბოლოო გენერაციაში – დაწყებული სრულიად მექანიკური განხერაციიდან ავტომატური შემოწმებით, ნაწილობრივი განხერაციის გავლით სისტემის მეშვეობით, დამთავრებული მთელი პროექტის ავტომატური შესრულებით.

### ლიტერატურა

1. O.Akin. Models of Architectural Knowledge: An Information Processing Model of Design. Carnegie – Mellon university, 2001, pp. 205-214.
2. A.Newell, HH. Simun. HUman Problem Solving. Prentice – Hall, New Jersey, 1992, pp. 186-192.

UDC 62-5

## USING AN EXPERT SYSTEM FOR DESIGN DIAGNOSIS AND SYNTHESIS

A. Kobiashvili, R. Kutateladze

Department of organizational management, Technical University of Georgia, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** There are described the concepts which allow an expert system to be used for both design diagnosis and design synthesis. There are presented the examples of the implementation of these concepts in the domain of design of some architectural constructions. There is demonstrated the significance of graphical interaction with expert systems in design domains.

**Key words:** expert systems; design diagnosis; design synthesis; knowledge.

УДК 62-5

## ИСПОЛЬЗОВАНИЕ ЭКСПЕРТНЫХ СИСТЕМ ДЛЯ ДИАГНОСТИРОВАНИЯ И СИНТЕЗА

ПРОЕКТИРОВАНИЯ

Кобиашвили А.А., Кутателадзе Р.Г.

Департамент организационного управления, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Описаны главные концепции, которые дают возможность применять экспертные системы для диагноза процесса проектирования и синтеза. Представлены примеры реализации этих концепций в домене архитектурных концепций проектирования. Показана важность графической интеракции в экспертных системах проектирования.

**Ключевые слова:** экспертные системы; диагноз проектирования; синтез проектирования; знание.

გემობეჭდის თარიღი 03.12.08  
მიღებულია დასაბუქდად 22.01.09

## შაპ 681.3

### ბიზნესპროცესების ავტომატიზაციის თანამედროვე სისტემები

დ. კაპანაძე\*, თ. უგანია\*\*

ორგანიზაციული მართვის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო,  
0175, თბილისი, ქოხეტავას 77

E-mail: david@gtu.ge, tali@posta.ge

**რეზიუმე:** სტატიაში მოცემულია გამოყენებითი პროგრამების კლასიფიკაცია სხვადასხვა ბიზნესპროცესის ავტომატიზაციისათვის. კერძოდ, განხილულია Workflow სისტემები, ბიზნეს-პროცესების მოდელირების სისტემები და BPM-სისტემები. განსაზღვრულია თითოეული მათგანის ფუნქციონირების საზღვრები, შემადგენელი ქვესისტემები და სერვისები.

**საკვანძო სიტყვები:** ბიზნესპროცესების ავტომატიზაცია; ბიზნესპროცესების მოდელირება; ბიზნეს-პროცესების ანალიზი; Workflow სისტემები.

#### 1. შესავალი

დღეს მსოფლიოში დიდი ყურადღება ეთმობა ბიზნესპროცესების ავტომატიზაციის საკითხებს. ნებისმიერი ინფორმაციული სისტემის დანიშნულებაა განხორციელდეს ბიზნესპროცესების ფუნქციების ინფორმაციული ტექნოლოგიებით (IT) მსარდაჭერა, ინფორმაციული სისტემა შეიძლება ჩაითვალოს ბიზნესპროცესის ფუნქციების ავტომატიზაციის სისტემად. შესაძლებელია მოვახდინოთ სისტემების კლასიფიკაცია მათი ფუნქციური გამოყენების მიხედვით: პროდუქციის გამოშვების პროცესის IT-მსარდაჭერის კლასი (ERP - Enterprise Resource Planning), გაყიდვების პროცესის მართვის კლასი (CRM - Customer Relationship Management), ბიზნესპროცესების ავტომატიზაციის გამოყენებითი პროგრამების კლასი. ამ უკანასკნელ კლასს შეიძლება მივაკუთვნოთ ბიზნესპროცესების მოდელირების სისტემები, Workflow სისტემები, BPM (Business Process Management) სისტემები [2]. თანამედროვე ლიტერატურაში და სხვადასხვა სისტემის დოკუმენტაციაში, როგორც წესი, მაციოდ არაა გამოყოფილი ერთმანეთისაგან ბიზნესპროცესების ავტომატიზაციის კლასის პროგრამების გამოყენების საზღვრები. ამ სტატიის მიზანია განისაზღვროს თითოეული მათგანის ფუნქციონირების საზღვრები, შემადგენელი ქვესისტემები და სერვისები. მსოფლიოში ასეთი სისტემების მიმართ დაინტერესება მაღალ ფაზაშია, ხოლო საქართველოში წარმატებულად განხორციელებული ბიზნესპროცესების კოდექსური ავტომატიზაციის პროგრების და-

ნერგვის მცირე გამოცდილება არსებობს, ამიტომ, ჩვენი აზრით, ეს თემა აქტუალურია და ბევრს დააინტერესებს.

#### 2. ძირითადი ნაწილი

განვხაზდვროთ ბიზნესპროცესების ავტომატიზაციის სისტემების გამოყენების საზღვრები და შემადგენლობა.

**ბიზნესპროცესების მოდელირების საშუალებები.** ამ კლასის სისტემები ბიზნესში აქტიურად გამოიყენება. კერძოდ, კომპანიებში ბიზნესპროცესების აღწერის, დოკუმენტბრუნვის და დოკუმენტებით მხარდაჭერისათვის. ბუნებრივ ენაზე ძნელია ბიზნესპროცესების მკაფიო ფორმალიზება, ამიტომ დამუშავებულ იქნა სპეციალური ენები (ნოტაციები), რომლებზეც შესაძლებელია უფრო ფორმალურად მოხდეს კომპანიებში მიმდინარე ბიზნესპროცესების შესახებ ინფორმაციის ფიქსაცია და აღწერა. ამ მიზნით დღეოსათვის გამოიყენება სხვადასხვა მეთოდოლოგია (SADT - Structured Analysis and Design Technique, ARIS - Architecture of Integrated Information Systems, RUP - Rational Unified Process და სხვა [3,4,5]) და მათი მხარდაჭერის სხვადასხვა პროგრამული საშუალებები, როგორიცაა Ms Visio, ERwin, IBM Rational Software Architect, ARIS Toolset და სხვა.

**Workflow.** Workflow სისტემის განმარტება პირველად მოცემული იქნა [1] დოკუმენტში, რომელიც შექმნილი იყო Workflow Management Coalition ორგანიზაციის მიერ. ამ მოდელის მიხედვით Workflow სისტემა უნდა შეიცავდეს შემდეგ სერვისებს:

ბიზნესპროცესების მიმდევრობითი ეტაპების (activities) და ინფრასტრუქტურის ვიზუალური აღწერის სისტემას;

ბიზნესპროცესების გაშვების და შესრულების სერვისს;

ბიზნესპროცესის მიმდინარეობისას კლიენტის სამუშაო ადგილიდან მანუალური ფუნქციების შესრულებას;

ბიზნესპროცესის მიმდინარეობის მონიტორინგის და სხვადასხვა Workflow სისტემების ურთიერთშეთანხმებული მუშაობის საშუალებებს.

**BPM სისტემები.** ბიზნესპროცესების მართვის სისტემები შედარებით ახალი შექმნილია და წარმოადგენს Workflow სისტემების კლასის გაფართოებას. ისინი ერთ პაკეტად აერთიანებენ

ბიზნესპროცესების ცვლილებების, მოდელირების, რეალიზაციისა და მხარდაჭერის საშუალებებს. ნებისმიერი BPM სისტემის საფუძველს წრმოადგენს სამუშაოთა ნაკადების მართვა (Workflow). გარდა ამისა, BPM სისტემა შეიძლება შეიცავდეს შემდეგ დამატებებს:

მოდელირების ეტაპიდან რეალიზაციის ეტაპზე გადასვლის საშუალებებს;

რეინჯინერინგის ინსტრუმენტებს, რეალიზაციის შემდეგი პროცესების მოდელის განახლებისათვის;

პროცესების სტატისტიკური მეტრიკების აღწერის ქვესისტემას და მათი ავტომატური დაგროვების საშუალებებს. პრაქტიკულად ასეთი ქვესისტემა უნდა იყოს ეფექტურობის საკვანძო მაჩვენებლების შეკრებისა და ანალიზის კომპლექსური სისტემის ნაწილი;

ბიზნესპროცესების ანალიზის (BPA), პერსონალის მუშაობის დატვირთვის, ეფექტურობის და ბიზნესპროცესების ეფექტურობის ანალიზის ჩაშენებულ მექანიზმებს;

ბიზნესპროცესების იმიტაციური მოდელირების საშუალებებს, რომელიც აფასებს ამ ბიზნესპროცესების ეფექტურობას მოდელური გამოყენების რეჟიმში, სისტემის მომხმარებლის მონაწილეობის გარეშე და მათი მოდვაწეობის წინასწარ განსაზღვრული სტატისტიკური მაჩვენებლების მიხედვით;

დღეისათვის არ არსებობს მკაფიო სპეციფიკაციები ბიზნესპროცესების მართვის სისტემებისათვის, ამიტომ ყოველი მწარმოებელი ცდოლობს თავის სისტემაში შეიტანოს რაიმე ახალი, რაც მიიპყრობს პოტენციური მომხმარებლის ყურადღებას.

ამცანებს, რომლების სისტემის დირს ბიზნესპროცესების ავტომატიზაციის სისტემის გამოყენება, აქვს ნათლად გამოხსატული სპეციფიკა და პროგრამულ უზრუნველყოფას განსაკუთრებულ მოთხოვნებს უკენებს. ბიზნესპროცესების ავტომატიზაციის სისტემა უნდა მოიცავდეს დიდი რაოდენობის პროცესებს. სისტემის გამოყენებას აზრი არა აქვს ერთი ან ორი პროცესის აგენტმატიზაციისას, ვინაიდან მისი გამოყენების უპირატესობა ვერ აკომპენსირებს ბაზური ინფრასტრუქტურის დანერგვის დირექტულებას. ბიზნესპროცესების ავტომატიზაციის სისტემის გამოყენება ხდება ერთადერთი ადეკვატური ინსტრუმენტი, როდესაც ავტომატიზებადი პროცესები თუნდაც უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც ხშირად იცვლება. რეალური ბიზნესპროცესები დამოკიდებულია კომპანიის ისეთ ცელად მახასიათებლებზე, როგორიცაა მისი ორგანიზაციული სტრუქტურა, გამოშვებული პროდუქციის ნომენკლატურა და სხვა, რომლებიც პერიოდულ მოდიფიკაციას მოითხოვენ.

ბიზნესპროცესების ავტომატიზაციის სისტემის გამოყენება აუცილებელია, როდესაც მას შეუძლია აქტიურად იმოქმედოს იმ თანამშრომ

ლების საქმიანობაზე, რომლებიც აასუხისმგებელი არიან ბიზნესპროცესების ეტაპებზე. მაგალითად, Workflow შეიძლება გამოყენებული იქნებს იმ შემთხვევებში, როდესაც უნდა მოხდეს თანამშრომლებისთვის ავტომატური შეტყობინება ამა თუ იმ სამუშაოს შესრულების აუცილებლობის შესახებ, Workflow-ს იყენებენ, ასევე, თანამშრომლებისათვის სხვადასხვა სახის ინფორმაციის მიწოდების მიზნით. გარდა ამისა, პროგრამაში შეიძლება ავტომატურად აცნობოს ყველა დაინტერესებულ პირს იმ პრობლემის შესახებ, რომელიც პროცესის მიმდინარეობისას წარმოიქმნება. მაგალითად, რაიმე ფუნქციის შესრულების ვადების დარღვევა. ასეთი სისტემები საჭირო მაშინაც, როდესაც ხდება დოკუმენტების დამუშავების ფუნქციის ინტეგრაცია ორგანიზაციაში უკვე არსებული პროგრამის ფუნქციებთან. ორგანიზაციაში რეალური პროცესების დიდი რაოდენობა მოიცავს მონაცემების დამუშავების ეტაპებს, რომლებიც წარმოებს, როგორც სპეციფიკური გამოყენებითი ERP, CRM სისტემების ფარგლებში, ისე მათ გარეთ. მაგალითად, პროცესის ან მისი ეტაპის ინიციალიზაცია შეიძლება მოხდეს ERP სისტემაში დოკუმენტების მდგომარეობის ფიქსაციის ან ცვლილებისას. დოკუმენტების დამუშავების პროცესის დამთავრების შემდეგ შეიძლება საჭირო გახდეს მონაცემების დაფიქსირება კლიენტთან ურთიერთობის აღრიცხვის სისტემაში. Workflow ქვესისტემის გამოყენების ადეკვატურ მაგალითებად შეიძლება ჩაითვალოს ისეთი პროცესები, როგორიცაა: ხელშეკრულებების ფორმირება და შეთანხმების მიმდინარეობა; ბიუჯეტების შეთანხმება და დამტკიცება; ამოცანის შეთანხმება გადარიცხვისათვის; კლიენტის მომსახურებაზე განაცხადის დამუშავება; მივლინების დოკუმენტების გაფორმება და სხვა.

პრატიკა აჩვენებს, რომ კომპანიების უმრავლესობა უფრო ორიენტირებულია ცალკეული ბიზნესპროცესების ავტომატიზაციის კონკრეტულ შედეგებზე, ვიდრე პროცესების მართვის კომპლექსურ ავტომატიზაციაზე, რაც ჩადებულია BPM სისტემებში. ბიზნესპროცესების ავტომატიზაციის სისტემების დანერგვისას კომპანიების აბსოლუტური უმრავლესობა ცდილობს კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტას, მაგალითად, ბიზნესისათვის უმთავრესი დოკუმენტების (კოქვათ, ხელშეკრულებების) შეთანხმების ავტომატიზებას. ხშირად ამისათვის ოპტიმალურ ინსტრუმენტად შეიძლება ჩაითვალოს სისტემა Workflow. მხოლოდ მას შემდეგ, რაც გადაწყვეტა კონკრეტული ამოცანა და დაინერგება ბიზნესპროცესების მართვის სისტემის ინფრასტრუქტურა, იწყება მომიჯნავე ამოცანების გადაწყვეტა, თანდათანობით ფართოვდება ავტომატიზებული პროცესების ნომენკლატურა და ისტურმაციული სისტემის ფუნქციონაციი BPM სისტემა

მის გამოყენებით. ამრიგად, საწყის ეტაპზე, იშვიათი გამონაკლისების გარდა, კომპანიაში სრულად ფუნქციონირებადი (სრულფასოვანი) BPM სისტემის დანერგვა არ მოიხოვება. მიუხედავად ამისა, Workflow-ს აქტიური დანერგვის წინ, მასში უნდა მოხდეს ისეთი ფუნქციების რეალიზება, როგორიცაა პროცესების სტატისტიკური მეტრიკების გამოთვლა, კომპანიის ცალკეული თანამშრომლების დატვირთვის პარამეტრების ანალიზი ბიზნესპროცესების ან სხვა ამოცანების ფარგლებში, ან მისი ინტეგრაცია ბიზნესპროცესების მოდელირების საშუალებებში ან დოკუმენტირებაში.

დღეისათვის ბაზარზე არსებობს ბიზნესპროცესების მოდელირებისა და დოკუმენტირების მრავალი სისტემა. ისინი კარგად უზრუნველყოფენ პროცესების დაპროექტების სტადიაზე პროცესული მართვის მხარდაჭერას ანუ მოდელების ფიქსაციას და მათ შეთანხმებას ცვლილებების დოკუმენტირების ყველა დაინტერესულ მხარესთან. თუმცა, ბიზნესპროცესების დაპროექტებიდან მის რეალიზაციაზე გადასახლელად, ჩვეულებრივ, საჭირო მანუალური დაპროგრამება. მოდელირების ეტაპიდან რეალიზაციის ეტაპზე ავტომატიზებული გადასვლისა და რევერსინგინგის შესაძლებლობა მხოლოდ ძვირადიდირებულ და მდლავრ BPM სისტემებს აქვს, რომლებიც თავის თავში მოიცავს მოდელირების სრულყოფილ შესაძლებლობებს ან ინტეგრებულია ბაზარზე არსებული ამ კლასის სისტემათან. ასეთი სისტემების პრაქტიკაში დანერგვა, როგორც წესი, ფერხდება დოკუმენტირების კულტურის და ბიზნესპროცესების ინფორმაციული მხარდაჭერის ეტაპზე, ავტომატიზაციამდე საქმე არ მიღის. ეს იმიტომ ხდება, რომ ავტომატიზაციას არ შეუძლია ბიზნესპროცესი გვიქმოთ გახდოს, თუ მოგრანიზაციაში არ არსებობს საჭირო მმართველობითი კულტურა. თუმცა პროცესული მართვის დანერგვის რეალური გამოცდილება, კერძოდ, ISO 9000 : 2000 სტანდარტის დანერგვა, აჩვენებს, რომ შესაგროვებელი მონაცემების საჭირო სისტემის უზრუნველყოფა და ორგანიზაციის რეაქციის დრო, შიდა და გარე მოთხოვნებზე ავტომატიზაციის გარეშე ძნელია. გონივრული დამატება იქნება ცალკეული ბიზნესპროცესების თანამდებობითი ავტომატიზაცია არსებული Workflow სისტემის საშუალებით. ერთი მხრივ, ბიზნესპროცესის მოდელის არსებობა უზრუნველყოფს ამ პროცესისათვის IT მხარდაჭერის მნიშვნელოვნად სწრაფ დანერგვას, ხოლო მუშა Workflow სისტემაში მეტრიკების ავტომატური შეკრება და ავტომატიზებადი პროცესების მიმდინარეობის შეცვლის საშუალებები აადგილებს პროცესების გაუმჯობესებას. ასეთი მიღობა დაეხმარება კომპანიას ბიზნესპროცესების დო-

კუმენტირების კულტურის ამაღლებასა და განვითარებაში.

კომპანიაში ინფორმაციული სისტემის ეფექტურად გამოყენების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ფსევდოგეომატიზაციის თავიდან აცილება, ვინაიდნ ფსევდოგეომატიზაცია ამვირებს შრომას. ბიზნესპროცესების ავტომატიზაციის სისტემის დანერგვა არის ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი ეფექტური და ეპონომიკური გზა. ნებისმიერი თანამედროვე Workflow სისტემა შეიცავს სხვადასხვა გამოყენებით პროგრამებთან ურთიერთობის მექანიზმებს. მისი რეალიზებისათვის ხშირად საჭირო არ არის დაპროგრამება, სწორედ ამიტომ არის იგი მოქნილი და იაფი პროდუქტი. ამ მექანიზმების გამოყენებით შესაძლებელია რამდენიმე ინფორმაციული სისტემის ინტეგრაციული ბიზნესპროცესების ავტომატიზება და მათი ერთ გამოყენებით პროგრამად გარდაქმნა. ასევე შესაძლებელია სხვადასხვა გამოყენებითი პროგრამის მართვის სტანდარტული პროცედურების ავტომატიზაცია. მაგალითად, სხვადასხვა სახის ცნობარის მართვის პროცედურები, მათი გათანაბრება და სინქრონიზაცია, სისტემის მომხმარებლების მართვის პროცედურები და სხვა. ასეთი მიღღობა იძლევა მოსახერხებელ, თანამდებობით გაფართოებად, რაც მთავარია, გამოყენებითი პროგრამების ინტეგრაციის იაფ მექანიზმებს და აღარა საჭირო საწარმოს ინფორმაციული სისტემის ბაზურ ინფრასტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება. ეს უპირატესობები მხიშვნელოვანი სტიმულია ასეთი სისტემების დანერგვისათვის.

დოკუმენტბრუნვის ბევრი კლასიკური ამოცანა შექმდებულია გადაწყვდეს ტრადიციული საქმეთა წარმოების ავტომატიზაციის სისტემებით. ასეთი ამოცანებია: სხვადასხვა პირობების გათვალისწინებით დოკუმენტების გადაცემა ამა თუ იმ სამუშაო ადგილზე (პირობითი მარშრუტიზაცია); დამუშავების ციკლების ორგანიზება დოკუმენტის დამუშავების ისტორიის შესახებ ინფორმაციის დაგროვებით; დოკუმენტის დამუშავებისას დავალების სტრუქტურის დინამიკური მართვა; დოკუმენტის დამუშავების დაგალების შემსრულებლის დალებირება ან ჩანაცვლება, დავალების დეკომპოზიცია და სხვა მრავალი. ასეთი ამოცანების გადასაწყვეტად სისტემის ბაზისურ თბიერებულ ცვლილებების შეგანის მცდელობები იწვევს დანერგვის საშუალების სირთულის არადეგვატურ ზრდას.

როგორც ანალიზმა აჩვენა, ასეთ შემთხვევაში ადგევატური ინსტრუმენტია Workflow ქვესისტემა. მასში შეთავსებულია დოკუმენტების დამუშავების პროცესის საჭირო სირთულის დონე და მისი მართვადობა. Workflow სისტემის საშუალებით შესაძლებელია დოკუმენტების დამუშავების პროცესების მაღისანი ფართო ნომერ-

კლატურის ავტომატიზაცია, რომლებიც მნიშვნელოვნად გადიან დოკუმენტების რეგისტრაციისა და შენახვის ტრადიციული სისტემების შესაძლებლობების საზღვრებიდან.

ბიზნესპროცესების ავტომატიზაციის სისტემა აერთიანებს სხვადასხვა პროგრამას ინფორმაციის დამუშავების პროცესების ინტეგრაციის საშუალებით. მაგალითად, ხელშეკრულების დამუშავების პროცესი შეიძლება დაიწყოს CRM სისტემაში, გაგრძელდეს ელექტრონული დოკუმენტურნის სისტემაში, დააფიქსიროს ინფორმაცია ბუღალტრულ სისტემაში, განათავსოს მონაცემები კორპორატიულ პორტალზე, გადააგზენოს დოკუმენტები ელექტრონული ფოსტით და დამთავრდეს ERP სისტემაში. ამ ბიზნესპროცესის მიმდინარეობისას სასურველია, მომხმარებელი არ იყოს იძულებული პროგრამებთან ურთიერთობისათვის დამატებითი ინსტრუმენტები გამოიყენოს. ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, კომპანიაში წარმოიქმნება სერიოზული პრობლემები, არებული პროცესების მოდერნიზაციასა და ახალი პროცესების დანერგვასთან დაკავშირებით. ძალიან მნიშვნელოვნია ბიზნესპროცესების ეტაპების დამუშავების ფუნქციების შეთანხმება (ჩაშენება) Microsoft Office-ის კომპონენტებთან, პირველ რიგში, Microsoft Outlook-თან. შემდეგ შესაძლებელია საჭირო გახდეს ისეთ კლიენტურ სამომხმარებლო პროგრამებთან ინტეგრება, როგორიცაა Microsoft Project, Microsoft Dynamics AX და სხვა. ასეთი ინტეგრების ტიპური სცენარებია:

- ბიზნესპროცესის ეტაპის შესრულებისათვის უკელა საჭირო მონაცემის მიწოდება უშადოვ Outlook-ის საფოსტო უფრთხო, ამასთან, შესაძლებელი უნდა იყოს დასამუშავებელ ობიექტებზე (მაგალითად, ERP-სისტემის ობიექტებზე) წვდომა პირდაპირ – შეტყობინებიდან მაუსის ერთი დაწყაპუნებით;
საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცული დავითნის (ი.182) XVIII საუკუნით დათარიღება ძირითადად მისი შემკვეთების დაზუსტებამ განაპირობა: ისინი წიგნის ნუსხური ტექსტის კალიგრაფის მიერ გამოყვანილ, ასევე, ნუსხურ მინაწერში ანუ ანდერში მოხსენიებული პირნი, ელენე (ელისაბედ) დედოფალი და მისი ძე – თეიმურაზი ანუ ანტონ I კათალიკოსი არიან [1]. წიგნის შესრულების დროის შესატყვისად ანტონის მოღვაწეობის გამქის განსაზღვრა მარტო ზემოთქმულის გამო არ მომხდარა, – მუზეუმის ფსალმუნის ფერწერული მორთულობის პროგრამამ, ვფიქრობთ, სხვა არგუმენტებითაც გაამართლა ჩვენი თვალსაზრისი:

ვგულისხმობთ მინიატურებში დავითის საკრავის – რწმენის სიმბოლოს [2] – დასავლურ ევროპული მანერის კვალად ალტის სახით გადმოცემას და კომპოზიციების გარკვეულ ელემენტებს, რომლებიც, ასევე, დასავლური ნიმუშებიდან უნდა მოხვედრილიყო ხელნაწერის მოხატულობაში. მართალია, დასავლურებული ხელოვნების გავლენა ქართულ ძეგლებსა და, კერძოდ, მინიატურაზე უფრო ძრეც (XVII საუკუნეში) შეინიშნება [3], მაგრამ რწმენის სიმბოლოს, დავითის საკრავის კათოლიკურ ალტად გარდასახვის ფაქტი, უფრო დასავლეთოან ურთიერთობის გააქტიურებით აღბეჭდილ XVIII საუკუნეს და, გარკვეულ ეტაპზე, თვით ანტონის გარემოცვას თუ მსოფლმსედველობრივ ორიენტაციას უნდა უკავშირდებოდეს: იგი ხომ სწორედ კათოლიკობის მიღების ბრალდებით ერთხანს საქართველოდანაც კი განდევნებს [4].

ფსალმუნის ილუსტრირების შესახებ ხელოვნებამცოდნებით ლიტერატურაში გავრცელებული თვალსაზრისი მისი რედაქციის, ასე ვთქათ, სამ ვარიანტს გამოყოფს. ესენია: არისტოკრატიული ანუ ისტორიული, სამონასტრო ანუ განმარტებითი და შერეული. ეს ვარიანტები აისახება, ერთი მხრივ, მინიატურათა თემატიკით და, მეორე მხრივ, ფურცლებზე მათი მოთავსებით თუ განაწილებით: „წმინდა წყლის“ არისტოკრატიული ფსალმუნის ფერწერული დეკორაციის აგზორები თუ შემკვეთი მიმართავნ დავითისა და მისი ერის ისტორიის ამსახველ სიუჟეტებს, კომპოზიციებს კი მთელი გგერდი ან მისი უდიდესი ნაწილი უქირავს. მინიატურის საშუალებით ფსალმუნის ტექსტის ანუ მის ავტორთა მომავლის განმჭვრებად წარმოქმნის აუცილებლობის ან სურვილის შემთხვევაში იყენებენ სხვადასხვა სცენას, გამოსახულებას, სიუჟეტს, მათ შორის, რათქმა უნდა, სახარებისას: მცირე ზომის ნახატები, ისე, როგორც კომენტარები მორთულობის ე. წ. განმარტებითი, იგივე სამონასტრო რედაქციის მქონე ფსალმუნებში მოთავსებულია ფურცლის მინდორზე და ამიტომ ილუსტრირების ამგვარი ხერხით შექმნილი წიგნები მარგინალური ფსალმუნების სახელითაც მოიხსენიება. რაც შექმნება მესამე ჯგუფს, აქ თრივე რედაქციისათვის დამასახითებელი ნიშნების მატარებელი დასურათებული კოდექსები ერთიანდება [5].

საუკუნეების განმავლობაში დავითის რედაქციები გარკვეულწილად ზუსტდება. მაგალითად, თანამედროვე მოვლენების ამსახველი სცე-

ნებით გაჯერებული მარგინალური რედაქციის ფსალმუნები თანდათან თავისუფლდება ამგარი კინიუნქტურისაგან, ხოლო არისტოკრატიული რედაქციების კოდექსების მინიატურები თუმატიკით მდიდრდება და ანტიკური სიმბოლიკა ქრისტიანულით იცვლება.

ამჯერად გვინდა მუზეუმის დავითნის (ი.182) ფერწერული მორთულობის პროგრამა იმ ას-კექტს შევეხოთ, რომელიც, ჩვენი აზრით, შეიძლება ირიძად, მაგრამ, მაინც მიგვანიშნებდეს სახელგანთქმულ ქტიტორზე.

## 2. ძირითადი ნაწილი

განსჯა ხელოვნების მუზეუმის დავითნის (ი.182) ფერწერული მორთულობის პროგრამა მისი კონდიციის სწორებ იმ ეტაპს ასახავს, როდესაც მეაფიო საზღვარი არისტოკრატიულ და სამონასტრო რედაქციებს შორის თუმატიკის თვალსაზრისით მექეთრი აღარა და განსხვავება მხოლოდ შემკვეთის სტატუსით ან ისტორიული თუ სხვა ხასიათის ილუსტრაციათა პროგრამებში ჩართვის სარისხით შემოიფარგლება. ამ, ასე ვთქვათ, პარამეტრებით, ი.182-ზე ადრე, თუ დაახლოებით იმავე პერიოდში შესრულებული ქართული ფსალმუნების არცოუ მრავალრიცხვანი დასურათებული ნიმუშების რედაქციები ან არისტოკრატიულად, ან სამონასტროდ შეიძლება შევასდეს. პირველ ჯგუფში ჯრუსის ხელნაწერის (H1665) XV საუკუნის მინიატურებს თუ თეთროსნის XVII საუკუნის კოდექსის (H 75) კომპოზიციებს, ხოლო მეორეში – ბესარიონ კათალიკოსის ქუთაისის მუზეუმში დაცული ფსალმუნების (N263) ფერწერულ სცენებს მოვიაზრებთ.



ტაბ.1. მინიატურა დავითის გამოსახულებით (147r)



ტაბ.2. მინიატურა დავითისა და ირმის გამოსახულებით (65v)

ფსალმუნის მინიატურათა თემები – ძველი და ახალი აღთქმის სუჟექტები, დაგითის თუ ფსალმუნის სხვა ავტორთა გამოსახულებანი და მათ მიერ აღვლენილი ლოცვის მიზეზი და ადრესატი – ავტორის მიერ მინიჭებული უპირატესობის მიხედვით ხელოვნების მუზეუმის ხელნაწერის დეკორაციის კონტექსტშე ნამდვილად გვიქმნის წარმოდგენას. ი. 182-ის მინიატურათა შორის იკვეთება კომპოზიციების ჯგუფი, რომელიც დავითს ხან ტახტზე მჯდომას, ხან საკურთხეველში ან სალსინობელში მუხლმოყრით მგალობელს თუ მდოცველს ასახავს (იხ. ტაბ.1). კოდექსში ამგარად გადმოცემული დავითის სახე ყოველთვის ცალკე სურათს არ წარმოადგენს. ის ხშირად იმ კომპოზიციის ერთ-ერთ კომპონენტად გვევლინება (იხ. ტაბ.2), რომლის სხვა კლემბერტებიც წინასწარმეტყველის თუ მის მიერ წარმოთქმულ ფრაზასთან დაკავშირებულ მოვლენებს, არსებებს, საგნებს, ასევე ძველი აღთქმის ტექსტის სახარებისეულ ინტერპრეტაციას გადმოგვცემს, რაც მათ მარგინალურ ფსალმუნთა რეპერტუარის აშკარა მემკვიდრეობაზე მიუთითებს. ბოროტისადმი საკადრისის მიგბის პათოსით გამსჭვალულ ისტორიულ სიუჟეტებზე შესრულებული მინიატურების მსგავსად მათ წიგნის (ი.182) მთელი გვერდი ან მისი ზედა, ქვედა თუ შეუ მონაკვეთი უჭირავთ. რაც შეეხება სახარების „კლასიკურ“ სცენებში დავითის გამოსახულების ჩართვას, თავის მხრივ, ეს აღმოსავლურ ქრისტიანული მინიატურული ხელოვნებისათვის უცხო ნამდვილად არ არის, მაგრამ ქართული პროდუქციისათვის უპრეცედენტო მოვლენაა: მაცხოვრისა და ეკლესიის მარადიულობის განმჭვრეტის სტატუსით ამ კომპოზიციებში ჩაწერილი ბიბლიური მეფის ნაცხობი ხატი არაფრით არდვეეს ჩამოყალიბებული მიზანსცენის სტრუქტურას (იხ. ტაბ.3) და პროგრამის სამონასტრო, საეკლესიო იდეის გახმოვანებას ემსახურება ანუ ჩვენთვის (ცხობილ, მანამდე ქართულად გადაწერილ ფსალმუნთა შორის პირველად გვაქვს საქმე ბიბლიის

ამ მონაკვეთის დევორაციის მესამე – ორივე ვარიანტის ერთგვარ შერეულ – ვერსიასთან.



ტაბ.3. იუდას ამბორი  
(64რ)

ანტონის დაგითნის (ი.182) ისტორიულ სიუჟეტებზე შესრულებული მინიატურებიდან ოთხი სინის მთ(ებ)ის გამოსახულებას შეიცავს. მათ შორისაა სამოცდამეტვიდმეტე, ასაფის ფსალმუნებში გამკრთალი ბიბლიის ეპიზოდების, ისრაელის ერის და მისი წინამდოღის თავგადასავლის, – ფარაონის არმიის დაღუპვისა და



ტაბ.4. მინიატურა ეგვიპტის ხედით  
(207რ)

წყლის დატებობის ამსახველი ორმოცდამერვე (121r) და ორმოცდამეცხრე (121v) მინიატურები. სინის მთები ასეურათებს, აგრეთვე, მოსეს გა-

ლობას (223v), რაც ალოგიკური სულაც არ არის, მაგრამ სამივეგან და კიდევ ერთ, ეგვიპტის ხედის ამსახველი მინიატურაში (207v) ისინი ეგატერინეს მინასტერობას ერთადაა შესრულებული (იხ. ტაბ.4) ანუ ძველი აღთქმის სცენების სამონასტრო თემით [6] გამდიდრებამ, ვფიქრობთ ასევე გამოკვეთა პროგრამის მთავარი ორიენტირი, – კავშირი ბიბლიური მოსეს სამწყსოსა და ქრისტიანთა, ეკლესიის სამწყსოს თუ მის მწყემსს შორის.

### 3. დასკვნა

ზემოთქმული, შეიძლება, კატეგორიული დასკვნის არა, მაგრამ ვარაუდის გამოთქმის საბაბს მაინც იძლევა. კერძოდ, – ხელოვნების მუზეუმის ხელნაწერის (ი.182) ილუსტრაციებში ხაზგასმული სამონასტრო კონცეფცია მეფე-წინასწარმეტყველის მრავალ გამოსახულებასთან (კოდექსის სამოცდათერთმეტი მინიატურიდან ოცდახუთი მლოცველი დავითის ფიგურას შეიცავს) ერთად ხომ არ მიგვანიშნებს “ბერად შემოსილ ბატონიშვილებზე” [7], ტახტის ყოფილი მემკვიდრის, თეიმურაზ ბაგრატიონის არჩევაზე, მისი ერის მომავალ მწყემსზე, ანტონ კათალიკოზე, ზუსტად ისე, როგორც მთავარანგელოზის წინაშე მხედართმთავარ იესო ნავეს ფიგურა დავით აღმაშენებელზე „მეფის მხატვარ“ თევდორეს მიერ (XI საუკუნეში) მოხატულ იფრარის ეკლესიაში [8].

### ლიტერატურა

1. მ. აბუთიძე. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცული დავითის (ი.182) შემცველთა გამო // საქართველოს სიმღერები. 2006, №9, გვ. 129-135.
2. მ. აბუთიძე. საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დავითის ისტორიისათვის // რელიგია. 2006. №7, 8, 9 გვ. 86-89.
3. ბ. ქლებიძე. „ყანხაუთი ყამბულანის“ პირველი ოსტატი // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, 1975, №2, გვ. 139-148.
4. ს. ავალიანი. ანტონ პირველი. თბილისი: მეცნიერება 1987.
5. ვადინოვ გ.ი. ისследование о Киевской Псалтыри. Москва: Искусство, 1978, с. 9-72.
6. თალბო რაის დ. თри синайских горы // Сб. ст. Византия, Южные Славяне и Древняя Русь, Западная Европа. Москва: Наука, 1973, с. 172-178.
7. ქართლის ცხოვრება, თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973, ტ.4.
8. ი. იაკობაშვილი. ისე ნავეს გამოსახულების ალეგორიული მნიშვნელობის შესახებ სოფელ იფრალის ოარიხზელის ეკლესიაში // მოხეფნება თხუს ხელოვნების ისტორიის კათედრის სამცნიერო კონფერენციაზე, მაისი, 2000.

**UDC 091.3****PARTICULAR ASPECT OF THE PROGRAMME OF PICTORIAL DECORATION OF  
THE PSALTER FROM THE GEORGIAN STATE MUSEUM OF ART****Abutidze M.**

Department of social science, Technical University of Georgia, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** The image of Biblical King David, under a statute of a soothsayer prophesying eternity of the Saviour and the Church, included in “classical” scenes of the Gospel serves to voice monastic, ecclesiastic idea of decorating programme of the Psalter (i.182) kept in the Georgian State Museum of Art. In addition, it clarifies, that among the Psalters rewritten in Georgian we know, it is the first time of dealing with the third mixed version of aristocratic and explanatory redactions of decoration of this part of the Bible.

Supposedly, the ecclesiastical, monastic idea, i.e. connection between Biblical Moses’ congregation and the Christians – the faithful of the church, or its shepherd, accented in the illustration programme of the Psalter (i. 182) kept in the Georgian State Museum of Art, together with the multitude portrayals of David knelt in prayer, or his harp transformed into occidental viola in the miniatures, somehow denotes to Teimuraz Anthon Bagrationi, mentioned in “Nuskhuri” addition of the book, the former heir apparent inspired by European culture, afterwards the Catholicos, one of the possessors of the manuscript o. 182.

**Key words:** Psalter; illuminations; miniature; illustration; manuscript.

**УДК 091.3****ОТДЕЛЬНЫЙ АСПЕКТ ПРОГРАММЫ ЖИВОПИСНОГО ДЕКОРА ПСАЛТЫРИ ИЗ  
ГОСУДАРСТВЕННОГО МУЗЕЯ ИСКУССТВ ГРУЗИИ****Абутидзе М.О.**

Департамент общественных наук, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Вписанный в «классических» евангельских сценах образ библейского царя Давида под статусом прорицателя вечности, Спасителя и церкви, тоже служит озвучиванию монастырской, церковной идеи программы декора Псалтыри (i.182), хранящейся в Государственном музее искусств Грузии; и также явствует, что среди переписанных до того на грузинском языке известных нам Псалтырей, впервые имеем дело с третьей, смешанной версией аристократической и толковой редакций декорации этой части библии.

Полагаем, что монастырская, церковная идея, т.е. взаимосвязь между паствой Моисея и христианами – паствой церкви, или же их Паstryрем, которая акцентирована в программе иллюстрирования Псалтыри (i. 182), хранящейся в Государственном музее искусств Грузии вместе со множеством изображений коленопреклоненно молящегося Давида, или же его арфа, преобразованная в миниатюрах в западный альт, тем или иным образом указывает на упомянутого в приписке книги на "Нусхури" Теймураза Антона Багратиона – вдохновленного европейской культурой, бывшего наследника престола, впоследствии Католикоса, одного из владельцев рукописи i. 182.

**Ключевые слова:** Псалтырь; украшение; миниатюра; иллюстрация; рукопись.

შემოსილის თარიღი 12.12.08  
ძირიქულის დახაბუჭფად 05.02.09

**შაპ 009**

**01402001090 აძლევის კონფრასტული ანალიზი თავაზიანი მიმართვის უორმულების ბამოზენებით ესპანურ და ქართულ ენებში**

**ქ. გელოვანი**

უცხო ენებისა და კომუნიკაციის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,  
საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: eko\_gelovani@mail.ru

**რეზიუმე:** მოცემულ სტატიაში თავაზიანი მიმართვის ფორმულებზე დაყრდნობით ჩვენ ჩავატარეთ იმ ილოკუციური აქტების კონტრასტული ანალიზი, რომელთაც ვიყენებთ ქართულ-ესპანური სოციო-კულტურული ურთიერთობისას, ასევე ტიპოლოგიურად დაგაპირისაპირეთ ამ ორი ენის თავაზიანი ფორმები. ასევე აღვნიშნეთ, რომ თავაზიანი მიმართვა, არის უნივერსალური, ქცევის ერთ-ერთი ტიპი, რომელიც სოციალური ქცევის ნორმებს შეესაბამება და მოქმედებს კონკრეტულად რომელიმე კულტურული ნორმის მიხედვით. ამ სტატიაში შევეცადეთ სწორედ ასეთი კულტურული ნორმების გამოკვეთას. თავაზიანი მიმართვის შინაგანი კავშირები ჩვენ განვიხილეთ როგორც ისეთი ურთიორგავშირები წინადაღების წევრებს შორის, რომლებიც ასახავენ აზრობრივ თანაფარდობას წინადაღების ცალკეულ წევრებსა ან წინადაღების წევრსა და მთელ წინადაღებას შორის.

**საკვანძო სიტყვები:** თავაზიანობა; ილოკაციური აქტები; სუბსტანტიორებული; პროპოზიციონალური; კომუნიკაცია; კონტრასტული ანალიზი; მიმიკა; ქსტიკულაცია; ინტრაცია; კონტექსტი; სინტაქსური კატეგორია; იმპერატივი; არქაული ზმნა.

**1. შესავალი**

მოცემული სტატიის კვლევის მიზანია ვერბალური თავაზიანი მიმართვის ფორმულის ტიპოლოგიური დაპირისაპირები ესპანურ და ქართულ ენებში. ასევე იმ ილოკუციური აქტების კონტრასტული ანალიზი, რომელთაც ვიყენებთ სოციო-კულტურული ურთიერთობისას. ჩვენ მიერ განხილული ესპანური და ქართული ენების აქტებთან მიმართებაში კონტრასტული ანალიზისას გათვალისწინებულია ერთმანეთისგან განსხვავებული ესპანური და ქართული კულტურა, რაც ბუნებრივია ქმნის გამომსატეველობის ორ განსხვავებულ ფორმას. კეცდებით აკსენტი კოველი კონკრეტული შემთხვევა.

**2. ძირითადი ნაწილი**

თავაზიანი მიმართვა, ილოკუციური აქტები ილოკუციური აქტი, როგორც აღნიშნავს ოსტინი, გამოხატავს მოსაუბრის მიზანმიმართულებას, “მიზანდასახულობას”, რომელიც ბახტინის

თქმით, სამეტყველო აქტს ანიჭებს განსაკუთრებულ ინტონაციას (2). სამეტყველო აქტების ფუნქციებს ოსტინმა დაარქვა ილოკუციური ძალები, ხოლო შესაბამის ზმნებს ილოკუციური ზმნები (თხოვნა, აკრძალვა, შეკითხვა) (1). საერთოდ, ილოკუციური ძალების ცნება კომპლექსურია. ის ილოკუციურ მიზნებთან ერთად მოიცავს თავის ინტენსიურობას, მიზნის მიღწევის შესაძლებლობას, პროპოზიციის დამოკიდებულების თავისებურებას და კონკრეტული სამეტყველო აქტის გამოყენების სხვა ინდივიდუალურ პირობებს. (ბრძანების, რჩევების და განხრახევების აქტები). კომპონენტები, რომლებიც ილოკუციურ ძალებს ქმნის ლოგიკურად მოწესრიგებულია (4). ისინი შეესაბამებიან ილოკუციური ზმნების მნიშვნელობის აღწერის პროგრამას. ზოგიერთი ილოკუციური მიზნები შეიძლება მიღწეულ იქნეს მიმიკით, ჟსტიკულაციით.

პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ ადამიანთა კომუნიკაციებში არსებობს კონკრეტული კომუნიკაციური სიტუაციები, განსაზღვრული სოციალური ნორმების გათვალისწინებით, რაც არეგულირებს მოსაუბრეთა ქცევას იმის მიხედვით, რომ განსაზღვრული ილოკუციური ძალების განსახორციელებლად ენებს პერიდეთ ლინგვისტური ფორმები ამ კონკრეტული სიტუაციებისათვის (3). მოსაუბრებებმა უნდა იმოქმედონ ვერბალური ქცევის მიხედვით, რაც შეესაბამება იმ საზოგადოებრივ კულტურას, რომელშიც იგი იმყოფება. წინადაღმდებ შემთხვევაში ჩაითვლება უხეშობად ან ცუდი აღზრდის ნიშანი. საუბარია ისეთ აქტებზე, როგორიცაა მისალმება, მადლობის გადახდა, ბოდიშის მოხდა, რაც ითვლება პირობითი, თავაზიანი ფორმის გამოხატულებად და რომლის განხორციელება დამოკიდებულია როგორც კონკრეტულ კომუნიკაციურ სიტუაციაზე, ისე მოსაუბრის რეაქციაზე პასუხის გაუცემლობა მოსაუბრის მხრიდან ჩაითვლებად სოციალურ უზრდებლად.

როგორც ცნობილია, თავაზიანი მიმართვა არის უნივერსალური ვერბალური ქცევის ერთ-ერთი ტიპი, რომელიც სოციალური ქცევის ნორმებს შეესაბამება. აქტებას გამომდინარე, ის ალბათ სოციალური ურთიერთობის ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმია, რომელიც მოქმედებს თითოეული კონკრეტული სოციო-კულტურული ნორმის მიხედვით, მაგრამ მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ეს ნორმები თითოეულ კულტურულ გარემოში შეიძლება იყოს საერთო ან განსხვავებული.

განხილულ თავაზიან ფორმულებს სიტყვიერი მოქმედების ფორმით ლინგვისტური გამოხატულება აქვს, როდესაც მოსაუბრეს სურს თავაზიანი ფორმით თავისი კომუნიკაციური ქვევის გამოხატვა, მეტყველების დროს იგი იყენებს გარკვეულ ლინგვისტურ ფორმებსა და სტრატეგიებს, რომლებიც შეიძლება იყოს პირობითი. მათი მიზანია ვერბალურმა აქტებმა შექმნას დახვეწილი კომუნიკაცია. თავაზიანი ფორმულების გამოყენების დროს გამოხისატება ადრესანტესა და ადრესატეს შორის ურთიერთპატივისცემა. მოსაუბრის მიერ გამოყენებული ლინგვისტური და პარალინგვისტური ფორმები დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე: კონტექსტზე, კომუნიკაციურ მდგრამარეობაზე, ადრესატესა და სხვ. თავაზიანი ფორმის ვერბალური გამოხატულება არ შეიძლება ჩაითვალოს უნივერსალიებად, რადგან ყველა ენაში არსებობს სხვადასხვა ლინგვისტური ფორმა, რომელსაც იყენებს ესა თუ ის სოციო-ლინგვისტური გარემო.

შესაბამისად, ლინგვისტური ფორმები ერთი ენიდან მეორეზე არ უნდა ითარგმნოს სიტყვასიტყვით, არამედ უნდა გადმოიცეს აზრი. თავაზიანი მიმართვის გამოხატვისას არსებული სხვაობების დასაფიქსირებლად ჩვენ აღვწერეთ თითოეული ილოკუციური აქტი. მასწავლებლებმა, რომელთაც პქონდათ ესპანური ენის სწავლების გამოცდილება, ქართველ მოსწავლეებთან მუშაობისას დაადგინეს, რომ ვერბალური ქცევები, რომელიც გამოიყენება ესპანურ ენაში არ ეთანხმება ქართულ შესატყვისს და პედაგოგი სშირად დგას პრობლემის წინაშე, როდესაც ქართველი მოსწავლე გამოხატვისათვის იყენებს ესპანურ ენას, მაგრამ ამა თუ იმ მოცემული ვერბალური ფორმის სიტყვასიტყვით თარგმნისას წინადადებას ადგენს ქართული წერით.

ერთი და იმავე აზრის გამოხატაბაზად სხვადასხვა ენაში გამოიყენება სხვადასხვა ლექსიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვები. მაგალითად, ინგლისურ ენაში სიტყვა „არაფერ“ გამოიხატება, „you are welcome“-ის მეშვეობით, ესპანურ ენაში ვამბობთ „de nada“-ს. მაგრამ თუ „welcome“-ს სიტყვასიტყვით ვთარგმნით, ესპანურ ენაში სრულიად განსხვავებულ ლექსიკურ მნიშვნელობას მივიღებთ „bienvenido“, რაც ნიშნავს „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“.

საერთოდ ლინგვისტური ტრადიციით, წინადადების წევრებად არ მიიჩნევა მოელი რიგი სიტყვები და სიტყვათა შეთანხმებები, რომლებიც არ არის ჩართული წინადადებაში მიერთებითი ან დაქვემდებარებული კავშირებით. მათ რიცხვს ეკუთვნის მიმართვაც. არსებითი სახელის ან სხვა სუბსტანტირებული მეტყველების ნაწილების სახელობითი ბრუნვა მხოლოდ მაშინ იქცევა მიმართვის ფორმად, როდესაც იგი შედის წინადადების სტრუქტურულ, აზრობრივ და ინტონაციურ ქსოვილში. მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება ჩაითვალოს მიმართვა დამოუკიდებელ

სინტაქსურ კატეგორიად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიმართვას, ისევე როგორც სხვა წევრებს, თავისი საეკიფიცური ფუნქციები აქვს წინადადებაში. იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული კონტექსტთან. იგი მონაწილეობს ენის კომუნიკაციური ფუნქციის გამოვლენაში და ამიტომაც შეუძლებელია გამოეთიშოს წინადადებას, როგორც ურთიერთობის ძირითადი ერთეულის სტრუქტურულ ელემენტთა თანმიმდევრობას. წინადადებასთან აზრობრივი და უუნქციური კავშირის გარდა, მიმართვა წინადადების დანარჩენ ნაწილთან ინტონაციურადაცაა დაკავშირებული.

მისი ძახილის ინტონაცია არა მხოლოდ თვითგანისაზღვრება წინადადების შინაარსით და მიზნობრივი მიმართულებით, არამედ თვითონაც ახდენს გავლენას მთელი წინადადების ინტონაციურ მონახაზზე. მიმართვის და წინადადების ძირითადი შემადგენლებების ურთიერთობა ზოგჯერ იმდენად აშკარაა, რომ მიმართვაში დასახელებული პირი, საგანი თუ მოვლენა, მომდევნო წინადადებაში ხდება ის ცენტრი რომლის გარშემოც იკრიბება აზრები და გრძნობები. ამრიგად, თავაზიანი მიმართვა წინადადების ნაწილი ხდება და ასრულებს გარევულ როლს, რასაც განაპირობებს წინადადების შინაარსი მთლიანად. იგი შეადგენს წინადადების სტრუქტურულ ნაწილს და წარმოადგენს მის წერის. სწორედ ის გარემოება, რომ მიმართვა გარკვეულ ურთიერთობაშია წინადადებასთან ან მის ცალკეულ წევრებთან, საფუძველს გვაძლევს მასში დავინახოთ სხვა წევრებთან კავშირში მყოფი წინადადების მნიშვნელოვანი წევრი. იგი სშირად სძენს ძალას და წონას ძირითადი გამონათქვამის შინაარსს.

მიმართვის შინაგანი კავშირები წინადადებაში არ თავსდება ცალკეულ სიტყვათა, როგორც მეტყველების ნაწილთა ჩარჩოებაში. ის უნდა განვიხილოთ, როგორც წინადადების წევრთა ურთიერთობანი. ამ ურთიერთობათა თავისებურება კი ისაა, რომ ისინი ასახავენ თავაზიანი მიმართვის აზრობრივ ფარდობითობას ცალკეულ წევრებთან ან მთლიანად წინადადებასთან.

საერთოდ, ტრადიციული გრამატიკა და თანამედროვე ლინგვისტური უმეტესობა უარყოფს მიმართვის კავშირს წინადადებასთან, რადგან მიმართვას არ ასასიათებს შეთანხმების, მართვის და მირთვის კავშირები, მაგრამ ვინაიდან არის წინადადების შემადგენლობაში, მიმართვა გარკვეულ ურთიერთობაში შედის წინადადებასთან ან მის ცალკეულ წევრებთან, უკავშირდება მათ ინტონაციურად და აზრობრივად. ამიტომ არ გვაქვს საფუძველი გამოვრიცხოთ იგი წინადადების წევრთაგან და უგულებელვყოთ წინადადებასთან მისი სინტაქსური კავშირის არსებობა.

ესპანურ და ქართულ ენებში არსებითი სახელის ან სხვა დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვის სახელობითი ბრუნვა მი-

მართვის როლში, როგორც წესი ქვემდებარის გრამატიკულ დუბლირებას ახდენს და ეთანხმება შემასმენელს რიცხვში, და რადგან სინტაქსური ფუნქციით იგი არის მოწოდება თანამოსაუბრისადმი შეარტლოს ესა თუ ის მოქმედება, ამდენად, ბუნებრივია, რომ შემასმენელს ბრძანებითი კილოს ფორმა აქვს, რომელიც თავაზიანი ფორმით უნდა იყოს გამოხატული. მაგალითად, “Juan, no tardes!; no tardes por favor; cierra la puerta por favor, cierra la puerta.”. გარდა თავაზიანი ფორმის ბრძანებითი კილოს გადმოცემისა, შემასმენელი ასევე შეიძლება იყოს კავშირებით კილოში გამოხატული. როცა ქართულ და ესპანურ ენებზე გვაქვს საუბარი, (Condicional simple) კავშირებითი კილო დამოკიდებულია წინადადების ძირითადი ნაწილის სინტაქსურ და სემანტიკურ სტრუქტურაზე: “ხუან ხომ ვერ დამეხმარებოდი; Juan, me ayudarías, por favor”, თუმცა ეს-პანურ ენაში თავაზიანი ფორმის გამოხატვა, ასევე შეიძლება თხრობითი კილოს ნამყო უსრული დროის გამოყენებით (imperfecto de Indicativo): “me podías esperar”, ქართულ ენაში ამ დროს ვერ გამოვიყენებოთ თავაზიანი ფორმის გამოსახატვად.

გამონათქვამის შინაარსითა და აზრით განისაზღვრება მიმართვის ინტონაციის ხასიათი. ინტონაცია უდავოდ არის წინადადებაში თავაზიანი მიმართვის, ფარდობითი კავშირის გამოხატვის გრამატიკული საშუალება. მას ყველა შემთხვევაში აქვს ძახილის მოწოდებითი ხასიათი.

აუცილებელია განვასხვაოთ თავაზიანი მიმართვა და წოდებითი (ვოკატიური) წინადადება. ეს უკანასკნელი შეიცავს მოწოდებას, გამოხმაურებას ანუ ადრესარის რეგარებას, რაც ძირითადად ვერბალური სახით გამოიხატება. ვოკატიური წინადადებები მკეთრად ემიჯნება თავაზიან მიმართვას თავისი ინტონაციითაც. მიმართვისაგან განსხვავდით ისინი ხასიათდებიან თხრობითი ინტონაციით. ეს ფაქტორი ორივე ენისათვის არის დამახასიათებელი, რადგან უნივერსალიებს მიეკუთვნება.

ლინგვისტური ფორმა, რომელიც ბრძანებას გამოხატავს წინადადებაში იმპერატივით გამოხატება, თუმცა ისიც შეიძლება გამოხატავდეს თავაზიანობას (3). აქ უკვე ინტონაციაზეა დამოკიდებული, თხოვნაა გამოხატული თუ ბრძანება. მეორე მხრივ, თხოვნის ილოკუციური ძალით იმპერატივის გამოყენება დამოკიდებულია კომუნიკაციურ სიტუაციაზე.

თანამედროვე ესპანურ ენაში არსებობს თავაზიანობის ორგვარი გამოხატულება, მხოლობითი და მრავლობითი. (სტედ, სტედეს), ეს ორი ფორმა ქართულ ენას არ გააჩნია, და შემოიფრაგლება მხოლოდ ერთი პირის ფორმით “თქვენ”. ესპანურ ენაში უპირატესობა შენობით ფორმას აქვს. თქვენობითი ფორმა გამოიყენება მხოლოდ ოფიციალურ მიმართვებში, ან უცხ

პირთან საუბრისას, როდესაც ასაკობრივი სხვაობა დიდია. თუმცა არსებობს შემთხვევები, როგორიცაა, მაგალითად, სტუდენტისა და პედაგოგის ურთიერთობა, სადაც ძირითადად მიღებულია შენობითი ფორმის გამოყენება განურჩევლად ასაკისა. თუმცა მიმართვის ეს ფორმა ქართულ კომუნიკაციურ გარემოში მიიჩნევა როგორც ცუდი ტონის გამოხატულება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნებში შენობითი და თქვენობითი მიმართვის სტილი სხვადასხვაგარია. მაგალითად, არგენტინაში, რიო დე პლატასა და ზოგიერთ სხვა ტერიტორიაზე შენობით ფორმად გამოიყენება პირის ნაცვალსახელი vos ესპანური tu-ს მაგივრად, და თან ახლავს არქაული ზნის ფორმა: Vos te marchas, ანუ tu te marchas. Vos sos bueno; tú eres bueno. ამ ფენომენს ეწოდება voseo. ხოლო თუ ესპანურში მეორე პირის მრავლობითი ფორმა vosotros ყველაზე ხშირად იხმარება, ლათინური ამერიკის ქვეყნებში ის საერთოდ ამოღებულია ხმარებიდან.

ისიც უნდა ითქვას, რომ გარდა თავაზიანი პირის ფორმებისა, არსებობს წოდებითი მიმართვაც რაც თავაზიანობის ფორმას თავისთავად გამოხატავებს. მაგ. “señor, señora, señorita” “ბატონო, ქადაგატონო,” თუმცა ქართულ ენაში თავაზიანი მიმართვისას “ქალიშვილო ან ვაჟიშვილო” არ გამოიყენება.

### 3. დასკვნა

ჩვენ განვიხილეთ ვერბალური თავაზიანი მიმართვის ფორმულები და დავაპირისპირეთ ტიპოლოგიის მიხედვით ესპანური და ქართული ენები. ასევე ჩავატარეთ იმ ილოკუციური აქტების კონტრასტული ანალიზი, რომელთაც ვიყენებთ სოციო-ეულტურული ურთიერთობისას. მოცემულ სტატიაში ჩვენ დავეყრდენით ოსტინის თეორიულ დებულებებს, რომლის მიხედვით ილოკუციური აქტი გამოხატავს მოსაუბრის მიზანმიმართულებას, ხოლო ილოკუციურ ძალებში იგულისხმება გარკვეული ინფორმაციის გადაცემა, საკითხის, ბრძანების, თხოვნის, რჩევის, დაპირების, ბოდიშის მოხდის, მისალმების, ჩივილის ხახით. თხოვნის აქტი ისახავს ილოკუციურ მიზანს გავლენა იქონიოს მსმენელის ქვევაზე იმ მიზნით, რომ მან განახორციელოს აღწერილი მოქმედება პრობოზიციონალური შინაარსით(1).

შეიძლება დავამტკიცოთ, რომ თავაზიანი მიმართვა, ეს არის უნივერსალური, ჰუმანური ქვევაზის ერთ-ერთი ტიპი, რომელიც სოციალური ქვევაზის ნორმებს შეესაბამება. აქედან გამომდინარე, ის, ალბათ, სოციალური ურთიერთობის მექანიზმია, რომელიც მოქმედებს თითოეული კონკრეტული აულტურის ნორმების მიხედვით და ეს ნორმები შეიძლება იყოს საერთო ან განსხვავებული თითოეულ კულტურაში, სწორედ ამ განსხვავებების კომპარატივისტული ანალიზი გახლ

დათ ჩვენი მიზანი, რაც ჩვენ ესპანურისა და ქართულ ენების შედარებით განვიხილავთ.

### ლიტერატურა

1. Austin, J. L. (1982) *Como hacer cosas con palabras*. Ed. Paidos, Barcelona
2. Bakhtin, M. (1986) *problema reCevyx aktov. sobr. soch. T. 5 Raboti*
3. Hightower, Holly. (2001) "Consideraciones de las estrategias de cortesía en la cortesía intercultural". FORMA cuaderno de Didactica E/LE Interferencias, cruce y errores. Ed. SGEL
4. Searle, J. (1969). *Actos del habla*. Ediciones Catedra, Madrid.

**UDC 009**

## CONTRAST ANALYSIS OF ILLLOCATION ACTS ON THE BASE OF CLAUSES OF THE POLITE CONVERSATIONS IN SPANISH AND GEORGIAN LANGUAGES

**E. Gelovani**

Department of foreign languages and communicatons, Technical University of Georgia, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** We have made the contrast analysis of illocation acts in this article on the base of clauses of the polite conversions, which we use during Georgian-Spanish and socio-cultural relations. We have also provided the typological contrasting of polite forms between these two languages. We have considered the internal ties of polite conversions, as the correlation between the members of the sentence, which reflects semantic correlations with the other members of sentence or with whole sentence. We have noted, that the polite conversion is the universal type of behaviour, which corresponds to the social behaving norms and acts in accordance with norms of culture. In this article we tried to single out namely these cultural norms.

**Key words:** politeness; illocation acts; substantial; propositional; communication; contrast analysis; mimicry; gestication; intonation; context; syntactical category; imperative, archaic verb.

**УДК 009**

## КОНТРАСТНЫЙ АНАЛИЗ ИЛОКАЦИОННЫХ АКТОВ ПРИМЕНЕНИЕМ ФОРМУЛ ВЕЖЛИВОГО ОБРАЩЕНИЯ В ИСПАНСКОМ И ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКАХ

**Геловани Э. А.**

Департамент иностранных языков и коммуникаций, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** В данной статье на основе формул вежливого обращения, мы произвели контрастный анализ илокационных актов, которые, мы используем во время грузино-испанских и социо-культурных отношений. Мы также произвели типологическое противопоставление вежливых форм между этими двумя языками. Нами были рассмотрены внутренние связи вежливого обращения как взаимосвязь между членами предложения, которые отражают мыслительное соотношение с отдельными членами предложения или полностью с предложением. Мы также отметили, что вежливое обращение - это универсальный, один из типов поведения, который соответствует нормам социального поведения и действует конкретно по какой-то культурной норме. В данной статье мы постарались выделить именно эти культурные нормы.

**Ключевые слова:** вежливость; илокационные акты; субстанцирование; пропорциональность; коммуникация; контрастный анализ; мимика; жестикуляция; интонация; контекст; синтаксическая категория; императив; архаичный глагол.

გემობლის თარიღი 23.02.09  
დღებულის დაბეჭდი 10.03.09

**შაპ 009**

**თხოვნის პირდაპირი და ირიბი სტრატეგიები ვერგალური კომუნიკაციის დროს  
ე. გელოვანი**

უცხო ენებისა და კომუნიკაციის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: eko\_gelovani@mail.ru

**რეზიუმე:** მოცემულ სტატიაში ჩვენ დაგახსიათეთ თხოვნითი ფორმების პირდაპირი და ირიბი სტრატეგიები, რომლებიც გამოიყენება კომუნიკაციის თხოვნით კონსტრუქციებში ესპანურ და ინგლისურ ენებში და დაგასკვენით, რომ ესპანურ ენაში უპირატესობა თხოვნის ირიბ სტრატეგიებს ენიჭება, ინგლისურში კი – პირიქით, იყენებენ პირდაპირ ფორმას. კვლევითი ანალიზი ჩავატარეთ სხვადასხვა ენათმეცნიერის თეორიულ და ბულეტებსა და ნაშრომებზე დაყრდნობით.

**საკვნძო სიტყვები:** თხოვნითი ფორმა; სამეტყველო აქტი; ვერბალური კომუნიკაცია; კომუნიკაციის ერთეული.

## 1. შესავალი

სტატიის ავლევის სფეროა თხოვნითი ფორმების დახასიათება. ჩვენ ამ კუთხით შემოიფარგლებით და განვიხილავთ, თუ რა პირდაპირი და ირიბი სტრატეგიები გამოიყენება თხოვნით კონსტრუქციაში ესპანურ და ინგლისურ ენებში ვერბალური კომუნიკაციის დროს.

კომუნიკაცია წარმოდგება ლათინური სიტყვისაგან *comunicatio*. *Comunico* ნიშნავს „განვაზოგადებ“, „ვაკავშირებ“ და „ვეკონტაქტები“. ანუ კომუნიკაცია ნიშნავს ურთიერთობას, აზრთა და იდეათა გაცვლას. ეს არის სპეციფიკური ფორმა ხალხთა ურთიერთდამოკიდებულებისა შემეცნებით-შრომით საქმიანობის პროცესში. კომუნიკაციის ადამიანური ფორმები ხასიათდება ენის ფუნქციონირებით, კომუნიკაციური ფუნქციით გამოხატავს თავის ნიშნობრივ არსეს, რისი მეშვეობითაც კომუნიკაცია ხდება ინდივიდის, როგორც სოციალური პიროვნების, ფორმირების უმნიშვნელოვანესი მექანიზმი. კომუნიკაცია შედგება კომუნიკაციური აქტებისგან ანუ ერთეულებისგან, სადაც მონაწილეობენ კომუნიკანტები, რომლებიც წარმოშობენ გამოხატულებას ანუ ტექსტებს და ინტერაქტიურიას ახდენენ მათზე. კომუნიკაციაში, კომუნიკანტების უშუალო კავშირში, შედის ასევე არაკერბელური კომპონენტები, მაგ.: ექსტები, მომიკები და ა.შ. კომუნიკაცია ხორციელდება კოველგარი საქმიანობის პროცესში, სამეტყველო ან სხვა ისეთი აქტების მეშვეობით, რომლებიც სემაიოტიკურ ნიშნებს იყენებენ.

## 2. ძირითადი ნაწილი

სამეტყველო აქტები

სამეტყველო აქტი კომუნიკაციის ძირითადი

ერთეულია. ის არის მიზანმიმართული მეტყველუბითი მოქმედება, რომელიც ხდება მეტყველებითი ქვევის პრინციპებისა და წესების შესაბამისად.

სამეტყველო აქტის დამახასიათებელი ოვისებაა: განზრახვა, მიზანდასახულობა (ინტენსიურობა) და კონვენციურობა. სამეტყველო აქტი ყოველთვის მიმართულია მოსაუბრისადმი. სამეტყველო აქტის თანმიმდევრობა ქმნის დისკურსს.

სამეტყველო აქტის არაერთი მაკლევარი განიხილავდა, მას ცხოვებასთან კონტექსტში ახორციელებდა პეგელი (2). მეტყველება მოქმედების არსია, რომელიც წარმოშვება ხალხთა შორის. სამეტყველო აქტის პრობლემატიკა განხილულია მრავალი თეორეტიკოსის მიერ დინგვისტურ კონცეფციებში. თუმცა მიზნობრივი და განვითარებული თეორია ამ სამეტყველო აქტისა განხილული იქნა ლინგვისტური ფილოსოფიის ჩარჩოში სამეტყველო აქტების თეორიას საფუძველი ჩაუყარა ინგლისელმა ფილოსოფოსმა ჯ. ოსტინმა (1), და განავრცო თავის თეორიულ ნაშრომში.

სამეტყველო აქტებში მონაწილეობენ მოსაუბრებელი და ადრესატი, რომელიც გამოდიან, როგორც ერთმანეთს შორის შეთანხმებული სოციალური როლისა და ფუნქციის მატარებლები.

ფრანგი თეორეტიკოსის, მეუნიკრის (5), მიხედვით სამეტყველო აქტი არსებობს სამი სახის: განცხადებითი, პრძანებითი და კითხვითი. ხოლო პ. ჰერბრატ-ორეგიონი (4) გამოყოფს ორ კატეგორიას: განცხადებითსა და თხოვნითს, რომლებიც თავის მხრივ შეიძლება დაიყოს ბრძანებით და კითხვით ფორმებად: 1. თხოვნა, რომელიც პრძანებას გამოხატავს გარკვეული საქმის შესასრულებლად; 2. თხოვნა, რომელიც კითხვითი ფორმით გამოხატება და ითხოვს ინფორმაციის მიღებას შესაბამის კითხაზე.

## თხოვნის პირდაპირი და ირიბი სტრატეგიები

მოსაუბრეთა ლინგვისტური გამოხატულება ხშირად ასოცირდება თხოვნის ირიბი აქტებით და ასევე თავაზიანობის ცნებით, სადაც იგულისხმება პატივისცემა და სოციალური დისტანციის დაჭერა. თხოვნა შეიძლება გამოხატული იქნეს მოსაუბრის მიერ მსმენლის ავტორიტეტის პოზიციიდან, ამ შემთხვევაში ლინგვისტურ ფორმას აქვს პრძანების ილოკუციური ძალა და არ გამოხატავს თავაზიანობას. უარყოფითი თავაზიანობის გამოხატულება მსმენლის მიმართ გამოიხატება ლინგვისტური ფორმების მეშვეობით, რომელთაც თხოვნის ილოკუციური დაბრვიროვა აქვთ. ამ ტიპის თხოვნას მოსაუბრე იყენებს მა-

შინ, როცა ავტორიტეტი არ გააჩნია მსმენელზე ან კიდევ არ უნდა, არაპოზიტიური გამოხნდეს. ამას შეიძლება მიეცეს იერარქიული ფორმაცი, დაწყებული უარყოფითი თავაზიანი ფორმის გამოხატვიდან – დამთავრებული მუქარით: კოდეს *bajar la basura? Baja la basura.*

კოდეს *bajar la basura? Sino bajas la basura ya veras lo que es bueno.*

წინადადებას რომ მიეცეს თხოვნითი დატვირთვა, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი პირობები ესანურ ენაში: 1. საუბრის ობიექტი უნდა იყოს მსმენელი;

2. მსმენელი არის ის, ვინც ახორციელებს აღწერით მოქმედებას პროპოზიციონალური შენარსით;

3. მოსაუბრე სარგებლობს პრივილეგიით;

4. გამოყენებული გრამატიკული დრო უნდა იყოს აწმეო ან მომავალი.

ლინგვისტური ფორმა, რომელიც ბრძანებას გამოხატავს – წინადადებაში იმპერატივით გამოყენება, თუმცა ისიც შეიძლება გამოხატავდეს თავაზიანობას (ესანურ ენაში). აქ უკვე ინტონაციაზეა დამოკიდებული, თხოვნაა გამოხატული თუ ბრძანება. მეორე მხრივ, თხოვნის ილოკუციური ძალით მისი გამოყენება დამოკიდებულია კომუნიკაციურ სიტუაციაზე.

კითხვითი სტრუქტურაც ერთ-ერთი ლინგვისტური ფორმაა, რომელიც ხშირად გამოიყენება თავაზიანობის დროს. მისი გამოყენებით მოსაუბრე ასეუბის თავისუფლებას აძლევს კითხვაზე არაპოზიტიურობის გამოხატვის გარეშე. ესანურში ეს არის მოდალური ზმნა Poder, რაც მიმართულია მსმენლის შესაძლებლობაზე და ზმნა Querer, რაც მიმართულია მსმენლის სურვილზე კოდეს *Querer bajar la basura?*

კოდეს *bajar la basura?*

თხოვნის აქტები, გამოხატული კითხვითი სტრუქტურების მეშვეობით, შესაძლებელია იყოს არაპირდაპირი, რაც დამოკიდებულია იმაზე, დაკონტრეტებულია თუ არა თხოვნა: კოდეს *traerme un café?*

კოდეს *Hay café?*

საერთოდ, რაც უფრო არაპირდაპირია აქტი, მით უფრო მეტი თავაზიანობაა გამოხატული.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ თხოვნას თან ახლავს ხოლმე შერბილებული ტონი: Perdon, perdón, disculpa(e), por favor, me haces el favor de..., hazme, ეს სიტყვები წინადადების დასაწისში იხმარება, თუმცა წინადადების ბოლოშიც გვხვდება ხოლმე. არსებობს სხვა სახის გამოხატულებები, რომლებიც გამოიყენება, როგორც შემარბილებული ფორმები და რომელთა საშუალებითაც მოსაუბრე გამოხატავს წევნილს იმის გამო, რომ მსმენელი შეაწუხა: No quisiera molestarte.

Ja se que estas muy ocupado, pero se me ha estopeado el coche; კოდეს *Podrias llevarme a casa?*

ისეთ ფრაზაში, როგორიცა “la basura huele mal”, გარკეული თხოვნის გამოხატულებაა ნაგულისხმევი, ამ შემთხვევაში არ არის აქტის სპეციფიზირება და იგი ორიენტირებულია საგნის და არა თანამოსაუბრის მიმართ.

უარყოფითი თავაზიანობის ეს გამოხატულება არ არის მიმართული თანამოსაუბრისადმი, მაგრამ მაინც მას შეეხება.

აქ საინტერესო იქნება მოვიყვანოთ ინგლისელი მკვლევარი ქალის პოლი ჰაიტაუერის (3) მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგები თავაზიანობის სტრატეგიების შესახებ ესანურსა და ქართულ ენებში (ამერიკული ვარიანტი).

“როგორც მოსალოდნელი იყო, ესპანელები და ამერიკელები, განურჩევლად სოციალურებრობიკური სტრატეგიებისა თუ განათლების დონის მიუხედავად, იყნებენ სამი კატეგორიის სტრატეგიებს: პირდაპირ სტრატეგიებს, პირობითად არაპირდაპირ ანუ ირიბ სტრატეგიებს და არაპირდაპირი ირიბ სტრატეგიებს. სტრატეგიები, რომლებიც ყველაზე ხშირად გამოიყენება, შეგროვებული მონაცემების მიხედვით პირობითად ირიბი სტრატეგიებია, რომელთაც აქვთ თხოვნის დატვირთვა, თუმცა მათი ლიტერატურული მნიშვნელობა თხოვნას არ გამოხატავს, მათ უფრო შესაძლებლობის დატვირთვა აქვთ. მაგ:

¿Podrías prestarles losapuentes de ayer?

¿Te importaría bajar la musica un poco?

ეს არის პირობითად ირიბი სტრატეგიების გამოყენება (Blum-Kulka 1989; Le pair 1996; Van Mulber 1996).

უცნაურია, მაგრამ მეორე, კატეგორია, რომელიც ყველაზე ხშირად გამოიყენება, არის ირიბად არაპირდაპირი სტრატეგიების კატეგორია. აქ შედის მხოლოდ ქარაგმები. ლიტერატურული ორაზროვნების გამო ისინი დამოკიდებული არიან ძირითად კონტექსტებში და არცოუ ისე თავაზიანობის დატვირთვა აქვთ.

პირდაპირი სტრატეგიები ნაკლებად გამოიყენება, განსხვავებით პირობითად ირიბი და არაპირდაპირი ირიბი სტრატეგიებისაგან.

პირდაპირი სტრატეგიები, მიუხედავად იმისა, რომ ნაკლებ აღიარებას პპოვებები პირობითად ირიბი და არაპირდაპირი ირიბ სტრატეგიებთან შედარებით, მაინც საგმაოდ ხშირად გამოიყენება.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკულებსა და ესანელებს შორის არსებობს მსგავსი ტენდენციები ზემოაღნიშნულ სტრატეგიებთან დაკავშირებით, არსებობს მკვეთრი განსხვავებებიც.

ამერიკულების მიერ გამოყენებული პირობითად ირიბი სტრატეგიები შეადგენს 54%, მას მოსდევს ირიბად არაპირდაპირი სტრატეგიები. პირდაპირი სტრატეგიები მესამე ადგილს იკავებენ (15%).

ესანელებს შორის ჩატარებული გამოკითხვის შედეგად ჩანს, რომ ესანელთა 44% უპირატესობას ახილებს პირობითად ირიბ სტრატე-

გიებს. მოსახლეობის 39% იყენებს პიდაპირ სტრატეგიებს. ბოლო ადგილი უჭირავს არაპირობითად ირიბ სტრატეგიებს. (20%).

ე.ი პირდაპირი სტრატეგიების გამოყენება ეს-პანელთა მიერ თითქმის ორჯერ აღმატება ამ-რიკელების შემთხვევას.

ამერიკელები უპირატესობას ანიჭებენ ირიბ სტრატეგიებს და არასოდეს იყენებენ იმპერატივს მიუხედავად სოციალური სხვაობისა. თუმცა ესპანელებიც უარყოფენ პირდაპირი სტრატეგიების გამოყენებას არაერთ სიტუაციაში. სოციალური სხვაობის დროს ისინი მაინც პირდაპირ სტრატეგიებს მიმართავენ. აქ უკვე შეიძლება დიდი როლის ასრულებდეს კულტურული ფაქტორები სოციალური თუ ძალაუფლებით დისტანციის შემთხვევაში.

გადაწყვეტა, თუ რომელ სტრატეგიას გამოყენებს ესპანელი თუ ამერიკელი, დამოკიდებულია მოცემულ სიტუაციაზე. პირდაპირი სტრატეგიები არცთუ ისე თავაზიან ფორმას გამოხატავენ, ვიდრე ირიბი, ანუ ვერ დავამტკიცებთ რომელი სტრატეგიის გამოყენება აჯობებდა – პირდაპირის თუ ირიბის. დავაფიქსირეთ, რომ ამერიკელები და ესპანელები ტენდენციურად გარკვეულ სიტუაციაში სხვადასხვა სტრატეგიებს იყენებენ, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის მიმართვა არსებობს ერთმანეთს შორის ამ თრ კულტურაში. მაგ.: აშშ-ში მეგობრულ ურთიერთობაში ხშირია ირიბი ან უარყოფითი თავაზიანობის სტრატეგიების გამოყენება, ესპანეთში კი – სამეგობრო თუ ოჯახურ წრეში დადგებითი თავაზიანობის ფორმას ანიჭებენ უპირატესობას.

ოჯახურ სიტუაციებში ესპანელები და ამერიკელები სხვადასხვა სტრატეგიებს იყენებენ. ორივე მიმართვებს ირიბ და პირობით სტრატეგიებს, მაგრამ სუბსტრატეგიის განსაზღვრა არსებითად განსხვავდება. მართალია, ეს უმნიშვნელო განსხვავდება, მაგრამ უნდა აღინიშნოს. მაგ.: მე, ამერიკელი, მიჩვეული ვარ ოჯახის წევრებისადმი თხოვნისას გარკვეული სტრატეგიის გამოყენებას, ჩავდივარ ესპანეთში და მესმის თხოვნის ისეთი გამოხატულება, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ ჩეუბის დროს (შეიძლება ეს ნაციის ემოციურობიდან გამომდინარეობს). მოვიყვანოთ ერთი მაგალითი, ამერიკელი გოგონა გამოთქმის თავის შეხედულებას ესპანურ ოჯახში ცხოვრების პირველ დღეებთან დაკავშირებით: „პირველად როდესაც სადილად მიმიწვიეს, ჩემმა დიასახლისმა მომმართა: „ანა-მარია, მოდი აქ“ (¡Anna'Maria ben aqui!). თავიდან ვიფიქრე, რომ ჩემზე გაბრაზებული იყო, რადგან „თუ შეიძლება“ არ დაამატა, მაგრამ მივხვდი, რომ ეს ჩვეული ფორმა იყო“.

ამ შემთხვევის მიხედვით ჩანს, რომ ერთსა და იმავე სიტუაციაში თრი განსხვავებული

კულტურიდან გამომდინარე სრულიად განსხვავებული ფორმა გამოიყენება.

ასევე საგულისხმოა დედის მიმართვა ესპანურ ოჯახში: „Hijo, pon la mesa“. აქ სიტყვა „hijo“ თხოვნას გამოხატავს, თუმცა მთლიანად წინადადება პირდაპირი სტრატეგიის ჯგუფში შედის. ეს წინადადება ინგლისურად ჩათვლებოდა უხეშობად, ანუ ამერიკელი აქ ირიბ სტრატეგიას გამოიყენებდა

“Could you set the table?” - (“¿Podrías poner la mesa?”)

ამერიკულ ოჯახთან შედარებით ესპანური ოჯახი აღიქმება, როგორც ერთეული და არა როგორც ინდივიდთა ჯგუფი. ესპანელის შვილი არ გრძნობს თავს დაჩატრულად დედის მიერ, როგორც ინდივიდი, მიუხედავად იმისა, რომ მისადმი გამოყენებულია პირდაპირი სტრატეგია. ეს უბრალოდ ჩვეული ფორმაა, რათა ოჯახმა დროზე მიირთვას. ანუ ესპანური ენის მასწავლებლები ამ შემთხვევას მიიჩნევენ ნორმალურ ვერბალურ გამოხატულებად, რომელიც ოჯახური საუბრის დროს გამოიყენება. საუბარია პირდაპირ სტრატეგიებზე, მაგ.: Por la mesa, trae el pan, dame el mando de TV. და იმპერატივის გამოყენება სულაც არ ნიშავს იმას, რომ ვინმე გაბრაზებულია.

### 3. დასკვნა

ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე დავასკვენით, რომ ესპანურ ენაში უპირატესობა ენიჭება თხოვნის ირიბ სტრატეგიებს, ინგლისურ ენაში კი პირდაპირ ფორმას იყენებენ. ასევე აღვინიშეთ, რომ ლინგვისტური ფორმა, რომელიც ესპანურ ენაში ბრძანებას გამოხატავს, გარეგეულ კონტექსტში შეიძლება თავაზიანი ფორმის გამომხატველიც იყოს. ასეთ შემთხვევებში თხოვნის ილოკუციური ძალით მისი გამოყენება ერთი მხრივ ინტენსიურად მართალია დამოკიდებული, მეორე მხრივ – კომუნიკაციურ სიტუაციაზე.

### ლიტერატურა

1. Austin, J. L. (1982) *Como hacer cosas con palabras*. Ed. Paidos, Barcelona
2. Hegel G.W. F (1985) *Introducción a la estética* ed. Barcelona Península
3. Hightower, Holly. (2001) “Consideraciones de las estrategias de cortesía en la cortesía intercultural”. FORMA cuaderno de Didáctica E/LE Interferencias, cruce y errores. Ed. SGEL
4. Kerbrat-Orecchioni, C. (1991) *Interacciones verbales*, Paris, A. Colin.
5. Meunier, A. (1974) “Modalité et comunicación” . ed. Langue Francaise

**UDC 009****DIRECT AND INDIRECT STRATEGIES OF SUPPLIANT FORMS BY THE VERBAL COMMUNICATION****E. Gelovani**

Department of foreign languages and communicatons, Technical University of Georgia, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** In this article we have characterized direct and indirect strategies of suppliant forms, which are used in suppliant constructions of communication of Spanish and English languages and have concluded, that in Spanish language is given the preference to the indirect strategies, but in English vice versa to the direct forms. The research-ing analysis is made on the base of theoretical statements and works of different linguists.

**Key words:** communication; intensivity; acts of speech; suppliant form.

**УДК 009****ПРЯМЫЕ И КОСВЕННЫЕ СТРАТЕГИИ ПРОСИТЕЛЬНЫХ ФОРМ ПРИ  
ВЕРБАЛЬНОЙ КОММУНИКАЦИИ****Геловани Э. А.**

Департамент иностранных языков и коммуникаций, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** В данной статье мы охарактеризовали прямые и косвенные стратегии просительных форм, которые используются в просительных конструкциях коммуникации испанского и английского языков, и заключили, что в испанском языке отдается предпочтение косвенным стратегиям, в английском, наоборот, используются прямые формы. Исследовательский анализ мы произвели на основе теоретических установок и трудов разных языковедов.

**Ключевые слова:** просительная форма; речевой акт; вербальная коммуникация; коммуникативная единица.

შემოსის თარიღი 23.02.09  
მიღებულია დანაბეჭდით 10.03.09

**შპ 331.96**

**მარტინგული სტრატეგია და მისი როლი რესთავის აზოტის ქარხნის  
ბანკითარებაში**

**გ. იაშვილი\*, ა. მაკარიძე**

უცხო ენებისა და კომუნიკაციის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: genadi\_iashvili@hotmail.com

**რეზიუმე:** მოცემულ ნაშრომში განხილული მარკეტინგული და ფასწარმოქმნის თეორიებისა და კვლევების საფუძველზე, შემუშავებულია პროდუქციის შეფასების მარკეტინგული სტრატეგია. ამ სტრატეგიების საფუძველზე შექმნილმა კონცეპციის რეალიზაციამ გააფართოვა პროდუქტების გაყიდვის არეალი და მნიშვნელოვნად გაზარდა ქარხნის მოგება.

**საგანძო სიტყვები:** ინვესტიცია; კომერციული ინოვაცია; წარმოების იდენტიფიკაცია; აქტივების დირექტულება.

**1. შესავალი**

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა ეკონომიკის ნგრევა და, შესაბამისად, თითქმის ყველა დიდი საწარმოს დახურვა გამოიწვია. მხოლოდ ბოლო წლებში, საქართველოში უცხოური ინვესტიციების დახმარებით, ამჟამავდა რამდენიმე დიდი და შეიქმნა მრავალი მცირე და საშუალო საწარმო. ამ შედარებით მცირერიცხოვან დიდ საწარმოებს მიეკუთვნება სს „ენერჯი ინვესტიცია“ (ყოფილი რესთავის აზოგის ქარხანა) და მეტალურგული ქარხანა რომელიც თავის დოროზე გახდა საფუძველი საქართველოს ერთერთი დიდი ქალაქის, რესთავის დაარსებისა.

სს „ენერჯი ინვესტიცია“, რომელიც აზოტოვანი სასუქების ერთადერთი მსხვილი მწარმოებელია კავკასიის რეგიონში, ექსპლუატაციაში შევიდა 50 წლის წინ. ქარხანა მხოლოდ ერთი პროდუქტის გამოშვებაზე არ არის ორიენტირებული, მისი პროდუქცია საემართ მრავალფეროვანია, ესაა: ამონიუმის გვარჯილია, ამონიუმის ნიტრატი, ციანმარილები, ამიაგი, სუსტი აზოტმჟავა, ამონიუმის სულფატი და სხვა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ქარხანა საჭიროებდა სერიოზულ ინვესტიციებსა და მენეჯმენტის შეცვლას, რათა კონკურენცია გაეწია მსოფლიოს სხვა მსხვილი ქიმიური ქარხნებისათვის.

საქართველოში 1995-2003 წლებში ფინანსური მდგომარეობის გამო ძალიან ბევრი ქარხანა გაჩერდა და დაკონსერვდა. ამ პერიოდში რესთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანა მუშაობდა,

მხოლოდ 30-40%-იანი დატვირთვით. იგი საჭიროებდა სასწარაფო რეაბილიტაციასა და მანქანა-დანადგარების განახლებას, რადგან, თითქმის 20 წლის განმავლობაში არც ერთი დანადგარი არ იყო შეცვლილი, ხოლო მოძველებული დანადგარებით თითქმის შეუძლებელი იყო რაიმე კონკურენციის გაწევა.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფომ გადაწყვიტა ქარხნის პრივატიზაცია 100 %-ით. ინვესტორს უნდა ეკისრა ქარხნის რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია, რაც ქარხანას იმის საშუალებას მისცემდა, რომ კონკურენცია გაეწია სხვა, უფრო თანამედროვე აღჭურვილობით დაკომპლექტებული ქიმიური ქარხნებისათვის.

**2. ძირითადი ნაწილი**

2005 წელს დაარსდა ქართულ-რუსული ბიზნესჯუფების ერთობლივი სააქციო საზოგადოება „ენერჯი ინვესტიციი“. დაარსების მიზეზი გახდა, საინვესტიციო პროექტების განხორციელება საქართველოში.

კომპანია „ენერჯი ინვესტიცია“ ეროვნულ ეკონომიკში დაახლოებით, 100 მილიონ ლოდარზე მეტის დაბანდება გადაწყვიტა და საკუთარ კაპიტალზე გამოსცადა ქართული საინვესტიციო გარემოს სამედიორება.

მათ განახორციელებს 20 მილიონი ლოდარის ინვესტიცია. „ენერჯი ინვესტიცის“ მიერ შესყიდული „აზოტის“ ქარხანის მოდერნიზება ეტაპობრივად მიმდინარეობს.

როგორც ცნობილია, კომპანიების სტრატეგია, რომელიც მიმართულია წარმოებების ზრდის კენდაფუმნებული უნდა იყოს ტექნილოგიურ ან კომერციულ ინოვაციებზე ან ფოკუსირებულ (ნიშურ) სტრატეგიაზე, რომელსაც საფუძვლად უდევს პროდუქტის დიფერენციაცია ან მომსახურებათა ერთობლიობა.

წარმოებების იდენტიფიკაციისათვის, გამოიყენება რიგი კრიტერიუმები, როგორიცაა: დამატებითი დირექტულება, აქტივების დირექტულება, ყოველდღიურ გაყიდვათა მოცულობა, პერსონალის რაოდენობა. უკანასკნელი ორი კრიტერიუმი უფრო ხშირად გამოიყენება წარმოებების გამოსაყოფად წარმოებების ზოგადი მასიდან. ეკონომიკის ზოგიერთ სექტორში, მიზანშეწონილია კომპანიის სიდიდე განისაზღვროს პერსონალის რაოდენობის

ბით, მაშინ, როდესაც სხვა სექტორში უკუთესია ეს განისაზღვროს წლიური ბრუნვით.

როგორც წესი სტატისტიკური აღრიცხვისათვის გამოიყენება შემდეგი მაჩვნებლები:

- მიკროფირმა – პერსონალის რაოდენობა 0-9 ადამიანი.
- მცირე ფირმა „-----“ 0-49 ადამიანი
- საშუალო ფირმა „-----“ 50-249 ადამიანი.
- მსხვილი ფირმა „-----“ 250 ადამიანი და მეტი.

ევროკომისიის 2001 წლის დოკუმენტის მიხედვით, მცირე და საშუალო საწარმოების ერთანი განისაზღვრა მოცემულია ცხრილში, რეკომენდაციის სახით, რომელსაც არა აქვს იძულებითი მახასიათებლები მონაწილეებისათვის.

კრიტერიუმები	მიკრო	მცირე	საშუალო
მუშაკთა მაქს. რაოდენობა	9	49	249
მაქსიმალური წლიური ბრუნვა	უმნიშვნელო	7 მილიონი ევრო	40 მილიონი ევრო
ბალანსის მაქს. ჯამი	უმნიშვნელო	5 მილიონი ევრო	27 მილიონი ევრო
დამოუკიდებლობა	უმნიშვნელო	კაპიტალის ან ხმის უფლების არაუმეტეს 25% აქციებისა ეკუთვნის ერთ ან რამდენიმე კომპანიას, რომლებიც არ არიან მცირე და საშუალო საწარმოები	

ევროკომისიის ამ წერტილის მიხედვით სს „ენერჯი ინვესტი“ ყოფილი აზოტის ქარხანა, რომელშიც დღეს 2700-მდე თანამშრომელი მუშაობს და რომლის მაქსიმალური წლიური ბრუნვა 200 მილიონ ლოდარს აღემატება, ცხადია ერთმიშნევნელოვნად მიეკუთვნება დიდ საწარმოთა რიცხვს, რომელშიც მარკეტინგი, შეიძლება ჩაითვლოს საწარმოს ძირითად სტრატეგიულ რგოლად. დაკვირვებები გაიზენებს, რომ ბიზნესის წარმატება მუდმივ უკავშირდება წარმატებულ მარკეტინგულ სტრატეგიება და კლიენტთა მოთხოვნილებების მიპრობას. მარკეტინგი მოქმედებების გეგმისა და დონისმიებების ნაკრებია, რომელიც გაყიდვების მხარდასაჭერად არის მიმართული. როგორც წესი, ეს მოქმედებები წინასწარ არ არის დაგეგმილი, ისინი ოპერატორი გადაწყვეტილებების დროს მიიღება და მა-

ლიან ხშირად ბაზრის სიტუაციაზე არათანმიმდევრული რეაქცია აქვთ.

მარკეტინგული სტრატეგია საწარმოს საშუალებას აძლევს განსაზღვროს თავისი მიზნობრივი ბაზრები და ამის გათვალისწინებით მარკეტინგული დონისმიებების პროგრამების ჩამოსაყალიბებლად შესაბამისი მიღვომა აირჩიოს. მარკეტინგული სტრატეგია ითვალისწინებს კლიენტების სურვილებსა და მოთხოვნილებებს და განსაზღვრავს თუ რა სახით შეუძლია კომპანიას მისი დაქმაყოფილება.

ეფექტური მარკეტინგული სტრატეგია შეეხება:

1) კლიენტების მოთხოვნებისა და სურვილების განსაზღვრას;

2) მიზნობრივი ბაზრის გამოვლენას;

3) კომპანიის კონკრეტული უპირატესობის შექმნას;

4) მარკეტინგული დონისმიებების სწორი პროგრამის შერჩევას.

სს „ენერჯი ინვესტის“ მთავარი მიზანი გახდათ ქარხნის განვითარება, ქარხანაში პროდუქციის რეალიზაციის გაზრდა და ქარხნის მოგების ზრდა. შესაბამისად ქარხნის ახალმა მეპაროვნებმა გადაწყვიტეს შეემუშავებინათ ქარხნისათვის ისეთი სტრატეგია რომელიც, მას მომავალში წარმატებას მოუზანდა.

მთავარი რეფორმების გატარება დაიწყო ზუსტად მარკეტინგული ჯგუფის ჩამოყალიბებიდან, რომელსაც დაევალა მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება ქარხნისათვის.

ისიც უნდა აღინიშნოს რომ, 2005 წლამდე ქარხანაში არ არსებობდა მარკეტინგული სამსახური, ქარხანას არ ჰქონდა ინფორმაცია თუ რა ხდებოდა მსოფლიო ბაზარზე, ვინ იყვნენ აზოტის ქარხნის კონკურენტები, რა ფასად უნდა გაეყიდა ქარხანას პროდუქცია, რა სეგმენტი იყო აზოტის ქარხნის პროდუქციის მომხმარებელი, და, საერთოდ გისთვის მუშაობდნენ ისინი.

ახლად შექმნილ მარკეტინგულ ჯგუფს უნდა გამოევლია ბაზარი, დაევალია ქარხნის კონკურენტები, განეხილა ქარხნის პერსპექტივები და შეემუშავებინა მარკეტინგული სტრატეგია, რომლის მეშვეობითაც ქარხნის პროდუქციის რეალიზაცია გაიზენებოდა და გავიდოდა დსტ-ს ქვეყნებს გარეთ.

სამთვიანი კვლევების შემდეგ მიღებული ინფორმაციით შეიქმნა სურათი, რომლის მიხედვითაც ქარხანას უნდა მიეღწია წარმატებისთვის.

ქარხნის პროდუქცია საკმაოდ მოთხოვნადი იყო მსოფლიო ბაზარზე, მაგრამ ქარხნის შესახებ არავინ იცოდა მსოფლიოში, გარდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისა. კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ ქარხანას ჰქონდა მსოფლიო ბაზარზე კონკურენციის გაწევის პოტენციალი, მაგრამ უნდა შეემუშავებულიყო სწორი მარკეტინგული სტრატეგია.

კონკურენტების ანალიზიდან გამომდინარე ქარხანას მხოლოდ ორი ბერკეტი ჰქონდა, რით-

იც შეიძლებოდა კონკურენციის გაწევა მსოფლიო ბაზარზე. აქედან გამომდინარე შემუშავდა მარკეტინგული სტრატეგია, რომელიც დაფუძნებული იყო ფასის სტრატეგიაზე. ქარხანას უნდა შეეთავაზებინა მომხმარებლისთვის კარგი სარისხის პროდუქცია კონკურენტებთან შედარებით დაბალ ფასში.

მას შემდეგ, რაც ქარხანამ განსაზღვრა თუ რომელი პროდუქტი უნდა წარედგინა ბაზარზე, მან შეიმუშავა და აირჩია ფასწარმოქმნის სტრატეგია. ფასი, შეიძლება მხოლოდ ერთი შეხედვით წარმოადგენდეს უმნიშვნელო პროდუქტას. სინამდვილეში, სწორედ მასზე შეიძლება იყოს დამოკიდებული ბაზარზე ახალი პროდუქტის წარმატება ან ჩავარდნა. პირველი ნაბიჯი ფასწარმოქმნის სტრატეგიის შემუშავებისას არის იმის გაცნობიერება თუ რა პროდუქტის წარადგენთ. საწარმოს ჯერ უნდა გაეცა პასუხი უქვეს ძირითად კითხვაზე განსახილველი პროდუქტის ან მომსახურების შესახებ. რას ელოდებოდა ფასების სტრატეგიისაგან, და რა მიზანი ისახავდა ის?

რა მოთხოვნა იყო განსახილველ პროდუქტზე?

როგორ ფასებს აწესებენ კონკურენტები და კერძოდ პროდუქტის რომელი მასასიათებლებისათვის?

როგორი არის დანახარჯები პროდუქტზე?

როგორია პროდუქტის აღქმადი დირებულება?

ასახავს თუ არა ფასწარმოქმნის სტრატეგია პროდუქტის აღქმად დირებულებას და გაძლევთ თუ არა იგი საშუალებას მიაღწიოთ თქვენს მიზანს ფასწარმოქმნის სფეროში?

როგორც ცნობილია, მომხმარებელზე ორიენტირებული ეფექტური ფასწარმოქმნის სტრატეგია ითვალისწინებს, თუ რა რაოდენობის ფასეულობის მიღებას გულისხმობს მომხმარებელი პროდუქტისაგან. ფასების დადგენისას საწარმომ უნდა გაამახვილოს ყურადღება პროდუქტის სარისხზე, რადგანაც ხარისხს დიდი მნიშვნელობა აქვს მომხმარებლისათვის.

ფასწარმოქმნის კონცეფციის შემუშავებისათვის განხილული იქნა ხუთი C-ს კონცეფცია, რომელიც მარკეტინგის სპეციალისტებმა გამოიყენეს დირებულებაზე ორიენტირებული მიღების საფუძვლად.

- ჩაწვდით, გაიგეთ (*comprehend*), რა ამოდრავებს მომხმარებლის წარმოდგენას დირებულებაზე;

- მიანიჭეთ (*create*) პროდუქტს, მომსახურებას დირებულება;

- გადმოეცო (communicate) დირებულება რეკლამაში;

- დაარწმუნეთ (*convince*) მომხმარებელი ყიდვის დროს პროდუქტის დირებულებაში;

- ასახეთ (*capture*) დირებულება ფასწარმოქმნის სტრატეგიაში.

ხუთი C-ს კონცეფცია მოითხოვს, რომ სტრატეგებმა გაითვალისწინონ დირებულება მომხმარებლის თვალსაზრისით. შემდეგ არის შესაძლებელი გადასვლა იმ პროდუქტის შემუშავებაზე, რომელიც უპასუხებს მომხმარებლის მოთხოვებს და წინადაღებებს. მას შემდეგ, რაც პროდუქტი შემუშავებულია, საჭიროა მომხმარებლის ინფორმირება, თუ რა დირებულებას შეიცავს იგი. აქ დასახმარებლად გამოიდის რეკლამა, რომელიც ფართოდ აცნობს მიზნობრივ აუდიტორიას პროდუქტისა და მომსახურების შექმნისა და მისი გამოყენების შესახებ.

განსახილველ კონცეფციას ასრულებს გაყიდვა და ფასწარმოქმნის სტრატეგიაში დირებულების ისახვა.

ბაზარზე ახალი პროდუქტის გამოჩენის სტადიაზე, ფასწარმოქმნის სტრატეგიის შემუშავება გარკვეულ სიძნელეს წარმოადგენს. პროდუქტის არსებობის ციკლის სტადიის გარდა, მხედველობაშია მისაღები კომპანიის საერთო მიზნები, კლიენტების მიერ პროდუქტის დირებულების აღჭრა, კონკურენციის სარისხი, კომპანიაში მიღებული ფასწარმოქმნის პრატიკა. კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, საწარმოს შეუძლია გამოიყენოს ფასწარმოქმნის სხვადასხვა სტრატეგია და შესაბამისი ტაქტიკური ქმედებები.

კონცეფციის პირველი ეტაპი მოიცავდა რეკლამირებას (ე.წ. *promotion*-ს). სს „ენერჯი ინვესტი“ გაწვერიანდა სხვადასხვა საერთაშორისო ქიმიური მრეწველობის ორგანიზაციებში. ასევე, ქარხანას უნდა მიეღო მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციასა და გამოფენაში. შეიქმნა საეციალური ვებგვერდი ქარხნის ძირითადი პროდუქტებისათვის სამ ენაზე, რომელიც სთავაზობდა მომხმარებელს სრულ ინფორმაციას ქარხნის პროდუქციაზე, რეალიზაციის პირობებსა და სხვა. კონცეფციის გეგმის მიხედვით დაინერგა ასევე უშუალო ანუ პირდაპირი მარკეტინგი (*direct marketing*), რომლის მეშვებითაც ქარხანა სთავაზობდა მომხმარებელს ინტერნეტის „online“ რეჟიმში ან ტელეფონით განეხორციელებინათ შეკვეთები პროდუქციაზე.

კონცეფციის მეორე ეტაპი ისახავდა მიზნად პარალელურ რეჟიმში ქარხნის მანქანა - დანადგარების მოღვაწიზონაციის, რათა ქარხნის პროდუქცია დაშვებული ყოფილი მსოფლიოს ბაზარზე (ცნობილია, რომ ქარხანა აწარმოებს ქიმიურ პროდუქციას რომლის ტრანსპორტირებისთვისაც მსოფლიოში დაწესებულია უსაფრთხოების ნორმები. მაგალითად, შეფუთვის ნორმები, ქიმიური შემცველობის ნორმები, მომწამვლელი ნივთიერების შემცველობის ნორმები და ა. შ. ქარხანაში არსებული მანქანა-დანადგარები იყო მოგველებული და ვერ უზრუნველყოფდა პროდუქციის საერთაშორისო სტანდარტებით შეფუთვასა და დამზადებას. აქედან გამომდინარების შემდეგ, რაც პროდუქტი შემუშავებულია, საჭიროა მომხმარებლის ინფორმირება, თუ რა დირებულებას შეიცავს იგი. აქ დასახმარებლად გამოიდის რეკლამა, რომელიც ფართოდ აცნობს მიზნობრივ აუდიტორიას პროდუქტისა და მომსახურების შექმნისა და მისი გამოყენების შესახებ.

რე, აუცილებელი იყო ამ მანქანა-დანადგარების მოღერნიზაცია, რის შემდეგაც ქარხანას ექნებოდა შესაძლებლობა თავისი პროდუქცია გაეტანა მსოფლიოს ბაზარზე).

კონცეფციის მესამე ეტაპი მიზნად ისახავდა ბაზრისა და მომხმარებლის სეგმენტაციას. შანსებისა და რისკების ანალიზის გამოყენებით მომხმარებელი დაიყო რეგიონებად, სადაც უველავე დიდი მოთხოვნილება იყო ქარხნის მიერ გამოშვებულ პროდუქციაზე, ასევე იყო გათვალისწინებული კონკურენტების როლი ამ რეგიონებში და ის, თუ ბაზრის რა პროცენტი ეჭირათ მათ ამა თუ იმ რეგიონში. ამ ანალიზის გამოყენებით დაიხატა სრული სურათი იმისა თუ მსოფლიოს რომელ რეგიონში ექნებოდა ქარხანას შანსი მოეხდინა მისი პროდუქციის რეალიზაცია ანუ გამოიკვეთა პრიორიტეტული რეგიონები.

კონცეფციის მეოთხე და ბოლო ეტაპი კი მიზნად ისახავდა გაყიდვების სტრატეგიის შემუშავებას, გასათვალისწინებელი იყო, რომ ქარხანას არ პქონდა სასურველი იმიჯი მსოფლიოში და არცოუ ისე ბევრ პოტენციურ მყიდველთან პქონდა კავშირი. იმ პერიოდში ქარხნის ერთადერთი სტრატეგია უნდა ყოფილიყო გაყიდვების აგენტებთან თანამშრომლობა, რომლებსაც ძალიან მშეიძლო ურთიერთობა ქონდათ უკვე საბოლოო მომხმარებლებთან და საიმედო იმიჯით სარგებლობდნენ მსოფლიოში. ამ სტრატეგიით ქარხანა გადაეცემოდა ინენებოდა რეალიზებული პროდუქციიდან განსაზღვრული პროცენტი გადაეხადა გაყიდვების აგენტებისთვის, რაც, რა თქმა უნდა, აისახებოდა ქარხნის მოგებაზე, მაგრამ სამაგიუროდ ქარხანას პროდლება მოეხსნებოდა პროდუქციის რეალიზაციისა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავების შემდეგ, ქარხანამ დაიწყო სტრატეგიული მარკეტინგის კონცეფციის გამოყენება რომელსაც ქარხნისთვის წარმატება უნდა მოეტანა. ზემოთ მოყვანილი კონცეფციის შემუშავებიდან რვათვის განმავლობაში მიმდინარეობდა მარკეტინგული სამუშაოები, რაზეც საკმაოდ სოლიდური ფინანსები დაიხარჯა.

### 3. დასტაცია

2006 წლის ბოლოს ქარხნის პროდუქციის რეალიზაცია საქმიან გაიზარდა 2005 წელთან შედარებით. კონკრეტულად ციანმარილების რეალიზაცია გაიზარდა 15% -ით, გვარჯილისა - 20%-ით, ხოლო სულფატისა - 10%-ით.

სწორი სტრატეგიის მეშვეობით, ქარხანამ შეძლო ციანმარილების მსოფლიოს ბაზარზე გატანა. 2007 წლის ბოლოს კი შესაძლებელი გახდა ქარხნის მანქანა-დანადგარების მოღერნიზაცია, რამაც კიდევ უფრო გაზარდა ქარხნის ბრუნვა. 2007 წლის მონაცემებით 2005 წელთან შედარებით ქარხანამ გვარჯილის რეალიზაცია გაზარდა 25%-ით, ამიაკისა - 30%-ით, სულფატისა - 55% -ით, ციანიდისა კი - 60%-ით.

ასევე გაფართოვდა პროდუქტების რეალიზაციის არეალი – გვარჯილის რეალიზაცია ხდება უკვე ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთსა და იტალიაში. სულფატის ბაზრის 20% ქარხანამ დაიკავა თურქეთში, ხოლო ციანმარილების მნიშვნელოვანი ნაწილის რეალიზაცია ხდება სამხრეთ ამერიკის ქვეყნებსა და აფრიკაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქარხანას პროდუქციის რეალიზაციის პრობლემა 2007 წლისთვის მთლიანად მოეხსნა ხოლო მისი სუფთა მოგება 2005 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც უკვე დიდ წარმატებაზე მეტყველებს.

### ლიტერატურა

- გ. იაშვილი. ონამედროვე სტრატეგიული მენეჯერი და მისი როლი წარმოებაში // საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება“, 2007 წ., №4
- Аналоуи Ф., Карами А. Стратегический менеджмент. Москва, 2005.
- Daly, N. R. (1998) Strategic pricing practices, Association Management, 50 (7), 38-43.
- Holden,r.k. and Nagle, T.T.(1998) Kamikaze pricing. Marketing Management,7 (2),30-39.

UDC 331.96

## MARKETING STRATEGY AND ITS ROLE IN DEVELOPMENT OF RUSTAVI'S "AZOTI" (FERTILIZER) FACTORY

**G. Iashvili, A. Makaridze**

Department of foreign languages and communicatons, Technical University of Georgia, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** There is considered marketing and pricing theories as well as marketing and product evaluation strategy on research basis. Realization of concept based on this strategy expanded product distribution area and increased factory's profit significantly.

**Key words:** investition; commercial innovation; identification of production; assets value.

**УДК 331.96**

**МАРКЕТИНГОВАЯ СТРАТЕГИЯ И ЕЕ РОЛЬ В РАЗВИТИИ РУСТАВСКОГО АЗОТНОГО ЗАВОДА**

**Иашвили Г.И., Макаридзе А.Т.**

Департамент иностранных языков и коммуникаций, Грузинский технический университет, Грузия, 0175,  
Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Разработана маркетинговая стратегия оценки продукции, основанная на исследованиях маркетинговой теории и теории ценообразования, которые рассмотрены в этом труде. Реализация концепции, созданной на маркетинговой основе, позволила значительно расширить ареал продажи продукции и умножила прибыль завода.

**Ключевые слова:** инвестиция; идентификация производств; коммерческая инновация.

*შემოხვედის თარიღი 04.12.08  
მიღებულია დასაბუჭიდავ 13.01.09*

### შაპ 338. 24

„გონების გადინების“ – ინტერიერის ფირმის დაზუსტებისათვის

გ. ჯოლია\*, ნ. ჯოლია\*\*

ექონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: g.jolia@rambler.ru, nino.jolia@astacgeorgia.com

**რეზიუმე:** გაშუქებულია „გონების გადინების“ ტერმინის ისტორიული ასპექტები, მისი თანამედროვე მნიშვნელობა და საფუძველი დღევანდების უტაცზე. დაზუსტებულია „გონების გადინების“ ტერმინის არსი და იგი შეცვლილია ტერმინით „გონების მოძრაობა“, „გონების წრებრუნვა“. ნაჩვენებია ამ პროცესის ძირითადი მიმართულებები, მიზიდვის მსოფლიო ცნობრები, მოსალოდნელი დადებითი და უარყოფითი შედეგები. განხილულია ინტელექტუალთა საერთაშორისო მიზიდვის სოციალურ-ექონომიკური და არაეკონომიკური ფაქტორები.

**საკვანძო სიტყვები:** გლობალიზაცია; ინოვაცია; მიგრაცია; ინტერიერი; რეციპიენტი; ინტერნეტი; ტრანსფერი; კლასტერი.

### 1. შესავალი

ინოვაციური განვითარების პირობებში მაღალკალიფიციურ საეციალისტებზე სახელმწიფოთა მოთხოვნა სისტემატურად იზრდება. ამიტომ ეროვნული ეკონომიკის ეფექტური განვითარებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ინტერიერის განვითარების პროცესი, რომელმაც „გონების გადინების“ სახელწოდება მიიღო.

### 2. ძირითადი ნაწილი

ტერმინი „გონების გადინება“ პირველად ლონდონის სამეცო საზოგადოების სხდომაზე, გასული საუკუნის 50-იან წლებში გამოიყენეს, როდესაც დიდი ბრიტანეთიდან აშშ-სა და კანადაში მეცნიერთა მასობრივი გადასვლა დაიწყო. თუმცა, თვით ეს პროცესი ჯერ კიდევ უძველესი ცივილიზაციის დროსაც არსებობდა. მოგვიანებით, კერძოდ კი შეა საუკუნებებში, მონარქები საფინანსო მრჩევლებისა და შემოქმედებითი ტალანტების (არქიტექტორები, მეცნიერები, მხატვრები, მუსიკოსები და სხვ.) გადაბირებას ყოველნაირად ცდილობდნენ და ხშირად წარმატებებსაც აღწევდნენ. იმ დროისათვის უპარ მიზიდველი მსოფლიო კულტურული ცენტრებიც არსებობდა, მაგრამ ეს პროცესი მასობრივი მხოლოდ XX ს-ში გახდა. პირველმა და მეორე მსოფლიო ომებმა, ასევე რუსეთში 1917 წლის რევოლუციამ მეცნიერების, მაღალკალიფიციური სპეციალისტებისა და შემოქმედებითი ინ-

ტელიგრაფიის ემიგრაციულ ნაკადებს მძლავრი იმპერია მისცა.

მოწინავე ქვეყნების ეკონომიკების პოსტინდუსტრიულმა განვითარებამ კვალიფიციური კადრების ინტერიერი პროცესი კიდევ უფრო გააღმიანვა. ახალი ტიპის ეკონომიკურმა ზრდამ, რომლის საფუძველია ინვაციების დინამიკური გენერირება, არამატერიალური სფეროს დაქარებულები განვითარება, ყურადღების გადატანა ადამიანზე, როგორც კაპიტალზე, მეცნიერებაზე, განახლებულ ცოდნასა და ორგანიზაციულ-მმართველობით გადაწყვეტილებებზე, სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის საერთაშორისო დიფუზია დაახსარა. მაღალკალიფიციურ სპეციალისტებზე გაზრდილმა მოთხოვნამ სახელმწიფოები მსოფლიოს ყველა რეგიონიდან ეროვნულ ქვეყანაში მიზიდვის მძაფრ კონკურენციაში ჩააბა. ადნიშნულის გამო, კვალიფიციური კადრების ინტერიერიალის ფენომენის შესახებ აქტიურად განადალი ფართო დისკუსია.

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ „გონების გადინების“ ტერმინის საერთაშორისო აღიარებული განსაზღვრა არ არსებობს. ზოგჯერ მას ცვლიან ტერმინით – „ინტელექტუალური მიგრაცია“. თუმცა, განსხვავებულია მოსაზრება იმის შესახებ, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს ინტელექტუალურ მიგრაციად: მიეკუთვნება თუ არა ამ კატეგორიას ინჟინერები, შემოქმედებითი პროფესიის წარმომადგენლები, ან მხოლოდ მეცნიერები და მაღალტექნიკოლოგიური დარგების სპეციალისტები, ან ყველა ისინი, რომელთაც უმაღლესი განათლება აქვთ, ან კიდევ, შეიძლება თუ არა ამ კატეგორიაში გავითვალისწინოთ საზღვარგარეთ დროებითი კონტაქტით მომუშავები და ა. შ. უმეტეს შემთხვევაში, მხედველობაში მიიღება მხოლოდ უმაღლესი განათლების სპეციალისტები.

უპანასკნელ წლებამდე ტერმინი „გონების გადინება“ უარყოფითი შინაარსით განიხილებოდა, რადგან ითვლებოდა, რომ მნიშვნელოვანი ადამიანისული რესურსები მხოლოდ დონორი ქვეყნებიდან მიმდებ ქვეყნებში გადადიოდა. მოცემული მოვლენა ფასდებოდა, როგორც ინტელექტუალთა ძარცვითი პოლიტიკა. მსოფლიო საზოგადოებაში განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევდა „გონების გადაქარება“ განვითარებადიდან განვითარებულ ქვეყნებში. თუმცა, XX-XXI სს-ის მიჯნაზე ამ პროცესმა დადგებითი ელფერი შეიძინა, რასაც ხელი შეუწყო თრმა ძირითადმა

ფაქტორმა: ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის გააქტიურებამ და გლობალიზაციის პროცესის გაღრმავებამ.

სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დაფინანსების არატრადიციული ფორმებისა და ინოვაციური საქმიანობის გახვითარებამ, საერთაშორისო პარტნიორული ურთიერთობების ახალი მექანიზმების, კერძოდ, საერთაშორისო სტრატეგიული ალიანსების, საერთაშორისო ფონდების წარმოჩენა-გააქტიურებამ, მეცნიერული ცოდნის საერთაშორისო ბაზარზე გლობალური ტენდენციები გააძლიერა, ხოლო ინფორმაციულ-ტექნოლოგიურმა რევოლუციამ სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის ინტერნაციონალიზაცია საგრძნობლად დააჩქარა, მისი ახალი თავისებურებები წარმოაჩინა და განვითარების ხარისხობრივად ახალ სტადიაზე იყვანა.

მაღალკვალიფიციურ შემოქმედებით კადრებზე მოთხოვნას „ცოდნის ეკონომიკა“ განსაზღვრავს. მაღალი დონის უცხოელი სამეციალისტებისა და მეცნიერების მიზიდვაზე ქვეყნებს შორის კონკურენცია დღითიდედე ძლიერდება. გარკვეული სპეციალისტის მაღალკვალიფიციური კადრების მისაზიდად მრავალი სახელმწიფო გრძელვადიან პროგრამებს აქტიურად ამუშავებს.

ჩქარდება გლობალიზაციის პროცესი განათლების სფეროშიც: მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტანდარტების ჰარმონიზაცია; ფართოვდება უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგთა საერთაშორისო გაცვლის, დოქტორანტებისა და ასპირანტების უცხოეთში სტაჟირების პრაქტიკა; მოწინავე უნივერსიტეტების საზღვარგარეთ ინტენსიურად ხსნიან ფილიალებს და ა.შ.

აქტიურდება მეცნიერთა ინტეგრაცია მსოფლიო სამეცნიერო თანამეგობრობაში. აღნიშნულს ადასტურებს სხვადასხვა ქვეყნის ავტორთა მიერ ერთობლივად დამუშავებული სამეცნიერო-ტექნიკური პუბლიკაციებისა და საპატენტო განაცხადების ზრდის გამორჩეულად მაღალი ტემპები.

ამ სფეროში არსებული პლევები ადასტურებს, რომ ქვეყნებს შორის ადამიანთა გადაადგილება სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული და პოლიტიკური ფაქტორებითაა განპირობებული. აღნიშნულთაგან მიგრაციის საბაზო ფაქტორად სოციალურ-ეკონომიკური მოტივაცია მიიჩნევა, რომელსაც მრავალპროფილიანი განზომილება აქვს. ეკონომიკური განვითარების მიხედვით ქვეყნების დიფერენციაცია არა მარტო შემოსავლებზე, არამედ ცხოვრების დონეზეც აისახება. სწორედ ეს ფაქტორები ახდენს რეალურ გავლენას იმიგრანტების მიზიდვაზე. ამიტომ ის ქვეყნები, რომლებსაც ჰქმანური განვითარების შედარებით კეთილსასურველი ინდექსი (UN Human Development Index) აქვს (კანადა, აშშ, დასავლეთ ევროპის რეგიონი და სხვ.), როგორც

წესი, მსოფლიო მიგრაციის მიმზიდვები მიმდები ქვეყნები ხდებიან.

ეკონომიკურ სტიმულებთან ერთად, მეცნიერებისა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების უცხოეთში გადაადგილებას მნიშვნელოვნად განაპირობებს არაეკონომიკური ფაქტორებიც, კერძოდ, მიმდებ ქვეყნებში სამეცნიერო კვლევების ჩატარების მაღალი დონე, მეცნიერული პრესტიჟი და აღიარება, საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობის მიღების ფართო შესაძლებლობები და სხვ.

ასეთ პირობებში, ცნება „გონების გადინება“ სრულიად განსხვავებულ, საბირისპირ შინაარსს იქნება. ის ტრანსეროვნული კომპანიები, რომლებიც უცხოეთში თავიანთ ფილიალებს ხსნიან, მიმდებ ქვეყნებში მაღალკვალი ფიციურ შრომის ბაზარსა და ახალ ტექნოლოგიებზე აღგილობრივთა ხელმისაწვდომობას ზრდიან, ხოლო მიმდები მხარე საწარმო პროცესებისა და მართვის სფეროში „ნოუ-ჰიქს“ შემენის მეტ შესაძლებლობას იღებს.

გარკვეული ხარისხით, საერთაშორისო მასშტაბით „გონების გადინება“ და „ტექნოლოგიების გადაცემა“ ერთმანეთობან დაკავშირებულია. ეროვნული კონკურენტურიანობის გაძლიერება-შენარჩუნებაში სუდ უფრო მნიშვნელოვან როლს ხელშეუხებადი ელემენტები (ცოდნა, სიახლე, კვალიტეტაცია, მმართველობითი გამოცდილება) ასრულებს, ხოლო მსოფლიომეურნეობრივ გაცვლაში ტექნოლოგიების გადაცემის ხელშეუხებადი ფორმები (ურთიერთობები ელექტრონული ქსელებით – ელფორსტიო, ფაქსით, ინტერნეტით, ასევე სწავლება, ტექნიკური დახმარება, სამეცნიერო კონფერენცია, საქმიანი მოლაპარაკება, კონსულტაცია, ლექცია და ა.შ.) კიდევ უფრო ისვეწება, ღრმავდება და ვითარდება კიდევ. თავიანთი ბუნებით კავშირულობის ეს ფორმები ეროვნულ საზღვრებს დიდად სცილებდა და, პრაქტიკულად, საკონტენტობრივისო მასშტაბებს აღწევს.

„გონების გადინების“ პროცესი მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ და რეგიონმა გაიარა და დღეს აშკარად ნათელია, რომ იგი ეროვნული მეცნიერების განვითარებისათვის მეტად სასარგებლო იყო. მრავალ სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებასა და კორპორაციაში ხელმძღვანელი თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელია მსოფლიოს მოწინავე უნივერსიტეტებში ან უცხოეთ კორპორაციებში წარმატებული მუშაობის გამოცდილება. ამ გზით ადამიანი სწავლებს პროფესიული ურთიერთობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის თანამედროვე მუთოდებს.

ამ თვალსაზრისით, პრაქტიკულად ხდება „გონების გადინება“ არა ერთი მიმართულებით, არამედ მისი ცირკულარული, წრიული მოძრაობა, რაც აფართოებს ცოდნას და ხელს უწყობს

საერთაშორისო ბაზარზე მაღალკვალიფიციური შრომის ფორმირებას. დაქმირავებლისათვის იზრდება საჭირო კადრების შერჩევის წრე, ხოლო სპეციალისტებისა და მკვლევრებისათვის – სამუშაოს შერჩევის არეალი. იქმნება საერთაშორისო კვლევითი და სამეცნიერო-ტექნოლოგიური კლასტერების ფორმირების პირობები. ძლიერდება ადამიანზე, როგორც კაპიტალზე კონკურენცია, რაც მთავრობებსა და კორპორაციებს ამ სფეროში ინვესტიციების გაზრდას აიძულებს.

ბუნებრივია, „გონების წრებრუნვა“ ხელს უწყობს იმ პრობლემის დაძლევას, რომელიც არსებობს მიმღები ქვეყნის ეკონომიკის ზოგიერთ სექტორში კვალიფიციური მუშაკებით დაკომპლექტებაში, ხოლო იმავე ვითარებას ართულებს დონორ ქვეყნაში. მეცნიერთა შორის განსხვავებულია უცხოელთა დამოკიდებულება ადგილობრივების „ჩანაცვლებასთან“ დაკავშირებით.

აღნიშნულიდან ნათელია, რომ „გონების გადინების“ ფენომენი მრავალმნიშვნელოვანია. ამ პრობლემის კვლევა ზოგჯერ პოლიტიზებულ ნიშან-თვისებებს იძენს. ადსანიშნავია ისიც, რომ მოცემულ პროცესს ორმხრივი მიმართულება აქვს. ამიტომ „გონების გადინების“ სანაცვლოდ უფრო მართებულია გამოვიყენოთ ტერმინი „გონების მოძრაობა“ ან „გონების წრებრუნვა“. როგორ უსპერტების აზრით, „გონების გადინება“ იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც ქვეყნიდან განათლებული მოსახლეობის არა უმეტეს 10% გადის [1, გვ. 6].

ახალი პარადიგმა – „გონების გადინება“ → „გონების წრებრუნვისაკენ“ – საჯარო დისკუსიის საგანი ხდება. მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიგრაცია ობიექტურ მოვლენად მიიჩნევა. თანამდებობით იქმნება მისი ნეგატიური შედეგების დაძლევის მექანიზმები. სწორედ „გონების წრებრუნვის“ მეშვეობით იღებენ მეცნიერებისა და განათლების ეროვნული სისტემები თავიანთი საქმიანობის ეფექტურობის შეფასების შესაძლებლობებს.

დღეისათვის საერთაშორისო ორგანიზაციები საქმიან და სამეცნიერო საზოგადოებებთან ერთად სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში საერთაშორისო კონტაქტების გააქტიურების ახალი მექანიზმების დანერგავს ცდილობებს. ერთ-ერთი ასეთი წარმატებული პროგრამა „საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულებთა მეშვეობით ცოდნის გადაცემა“, რომელსაც მალის უნივერსიტეტი ახორციელებს ქვეყნის მთავრობასთან, იუნესკოსა და გაეროს განვითარების პროგრამასთან ერთად. ამ პროგრამაში ჩართულია მალის ის ემიგრანტი უსპერტები, პროფესორები და მკვლევრები, რომლებიც მოკლევადიანი კონტრაქტებით მუშაობებს საზღვარგარეთ.

ბოლო პერიოდამდე მაღალკვალიფიციური სპეციალისტების უპირველესი მიმზიდველი ქმა-

ება აშშ იყო და ეს არ გახლდათ შემთხვევითი. ინოვაციური პოტენციალი ამერიკული ეკონომიკის უფლებულების ფუნდამენტური საფუძველია. ამ ქვეყანაში ჩამოყალიბებულია მრავალდონიანი ეროვნული საინვესტიციო სისტემა, რომელიც არსებითი ხარისხით მსოფლიო სტანდარტების შესაბამისია. აშშ-ის სტრატეგია მსოფლიო სამეცნიერო-ტექნიკური ლიდერობისაკენ არის მიმართული და სათანადო ფინანსური რესურსებითაც უზრუნველყოფილია. (მაგ., 2007 წელს სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე დახარჯეს 340 მლრდ. დოლარი). აღნიშნულის გამო აშშ მსოფლიოს ყველა ქვენიდან აქტივურად იზიდავს კომპეტენტურ სპეციალისტებს (მაგ., სპეციალისტების საერთო რაოდენობაში იმათი ხვედრითი წილი, რომლებიც უცხოეთში არიან დაბადებული და საბუნებისმეტყველო მეცნიერების დოქტორის ხარისხი აქვთ, 40%-ს აჭარბებს) [1, გვ. 7]. თუმცა, ბოლო წლებში ამ პროცესის შენების ტენდენცია შეინიშნება.

აშშ-თან ერთად კვალიფიციური კადრების „ნეტო-იმპორტიორია“ ავსტრალია. სახელდობრ, 2000-2002 წლებში წმინდა მიგრაციის ზრდამ 29,4 ათასი, ხოლო 2003-2004 წლებში – 43,6 ათასი შეადგინა, აქედან საინფორმაციო ტექნილოგიების ან IT სპეციალისტებზე – 5,9, ინჟინერებზე – 2,9, ხოლო ბუღალტრებზე – 2 ათასი [1, გვ. 8].

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა დასავლეთ ევროპა – რეგიონი, რომელიც მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან იზიდავს ინტელექტუალურ ელიტასა და კვალიფიციურ კადრებს და, იმავდროულად, აწვდის კიდევ მათ. სხვადასხვა შეფასებით, 2006 წელს ევროპიდან გავიდა დაახლოებით 273 ათასი კვალიფიციური სპეციალისტი, მათ შორის, აშშ-ში – 164,3 ათასი, ავსტრალიაში – 40,5, კანადაში – 37,9 და ახალ ზელანდიაში – 30,3 ათასი.

ევროკავშირის გაფართოების გამო, მიგრაციული ნაკადი გაძლიერდა ევროპის აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ძირითადი მიმღები ქვეყნებია დიდი ბრიტანეთი, ირლანდია და შვედეთი. ამ მიგრაციული ტალღისათვის მთავრია ეკონომიკური მოტივები და ლეგალური ხასიათი. ოფიციალური მონაცემებით, ლატვიიდან უცხოეთში წავიდა მოსახლეობის 2%, ხოლო ლიტვიდან – 3%.

„გონების გადინების“ გამო მნიშვნელოვნად ზარალდება ჩინეთი. სხვადასხვა შეფასებით, საზღვარგარეთ წასული ჩინელი ახალგაზრდების 2/3 სამშობლოში აღარ ბრუნდება. დღეს 35 მილიონამდე ჩინელი მსოფლიოს 150 ქვეყნაში ცხოვრობს.

მრავალ ქვეყანაში იკვლევენ იმ დანაკარგებს, რომელსაც ქვეყნა ინტელექტუალური ემიგრაციის შედეგად განიცდის. მაგ., რუსი სოცი-

ოლოგის ე. ავდოკუშინის შეფასებით, რუსეთში, ყველაზე მაღალ პირდაპირი დანაკარგები ინტელექტუალური ემიგრაციის შედეგად 3 მილიარდადე, ხოლო ჯამური ზარალი (მათი გამოუყენელობის გამო) 50-60 მილიარდ დოლარს შეადგენს [1, გვ. 9].

თუ ამოსავალ დებულებად მოვიჩნევთ იმას, რომ იმიგრაცია ადამიანის მობილურობის გამო დღევანდებს პირობებში გარდაუვალია, ამ პროცესისაგან მაქსიმალური ხელსაყრელობის მისაღწევად სახელმწიფოთა განსხვავებული მიღმები გამართდებულია. მაგ., საფრანგეთში იმიგრაცია განიხილება როგორც ეკონომიკური და დემოგრაფიული ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო. ამიტომ სახელმწიფოს როლია წარმატებით გამოიყენოს მისი უპირატესობები ანუ მიიზიდოს უფრო კვალიფიციური, განათლებული, ინიციატივიანი, მდიდარი, ახალგაზრდა და ჯანმრთელი ადამიანები. საყურადღებოა ისიც, რომ ადგილობრივ მოსახლეობასთან განათლებული და მდიდარი იმიგრანტების ინტეგრაცია გაცილებით სწრაფიცაა და უმტკიფნებულოც [2, გვ. 42].

დღეს განვითარებად ქვეყნებში ინტელექტუალებს იზიდავს უცხოური ფირმების ფილიალები და შეილობილი კომპანიები. გარდა ამისა, უცხოელ სპეციალისტებს, მათი სიძირის მიუხედავად, ხშირად ეროვნული კომპანიებიც აქტიურად იწვევენ. იუნესკოს მონაცემებით, ყოველწლიურად 100 ათასი დასავლეთევროპელის ხელფასზე აფრიკის ქვეყნებში 4 მილიარდ დოლარს ხარჯავენ [1, გვ. 9].

დროთა განმავლობაში შეიცვალა მიგრანტების სოციალური შემადგენლობა. მათ უმტკისობას უმაღლესი განათლება აქვს. დონორი ქვეყნებისათვის ემიგრაციის პროცესში „გონების გადინების“ პროცესში და იქცა. მაგ., 10 წლის განმავლობაში ალექსი 40 ათასი მკაფიოდა დაკარგა. საფრანგეთში მომუშავე 10 ათასი ექიმი იმიგრანტიდან 7 ათასი ალექსი ალექსი [2, გვ. 46].

უცხოელები თითქმის ყველა ეკონომიკურად წარმატებული ქვეყნის სერიოზული ფაქტორია. მაგ., გერმანიაში უცხოელებს ეპუთვნის 281 ათასი ფირმა, რაც ქვეყანაში რეგისტრირებული ყველა საწარმოს 6.3%-ია (2005 წ.). იმიგრანტებიდან ამ ქვეყნაში ლიდერობენ თურქები, ისინი უცხოური საწარმოების 22.8%-ს ფლობენ [3, გვ. 51-52].

\* \* \*

ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო გარდამავალი პერიოდის დრმა კრიზისში აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყნას ადამიანისეული კაპიტალის საკმაოდ მაღალი პოტენციალი აქვს, რთულმა სოციალურ-ეკონომიკურმა პირობებმა სამეცნიერო-ტექნიკური კადრები დაუცველი გახადა. სამწუხაროდ, ინოვაციური განვითარების პოტენციალის

განვითარების მექანიზმები ჩვენთან ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად ჩამოყალიბებული.

საქართველოდან ემიგრაციამ მასობრივი ხასიათი მიიღო. ემიგრანტი შორის კვალიფიციური კადრების წილი საკმაოდ დიდია. ჩვენთან მათი გამოყენება დაუსაქმებლობის გამო ვერ ხერხდება. დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ნიჭიერი ახალგაზრდობის ექსპორტის გაპვეული პრაქტიკა საზღვარგარეთ განათლების მიღების, დროებითი კონტრაქტებისა და გრანტების სახით.

საყურადღებოა, რომ ქართველი ემიგრანტები თავიანთი პროფესიების მიხედვით შორმის საერთაშორისო ბაზარზე ნაკლებად არიან ჩართული. სშირად უარს აბობენ თავიანთ პროფესიაზე და შემოთავაზებულ დაბალკვალიფიციურ სამუშაოზე იძულებით თანხმდებიან.

პროფესიების შეცვლის პრაქტიკა მშობლიურ ქვეყანაშიც აშკარად შეიმჩნევა. ბოლო წლებში ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებმა მრავალი კალიფიციური მუშაკი, თანაც ყელაზე პროდუქტიულ ასაკში (30-45 წწ.), დაუსაქმებლობის გამო, იძულებული გახადა შეეცვალა პროფესია და უმეტესად ბიზნესის სფეროში გადანაცვლებულიყო.

ქართველი სპეციალისტების საზღვარგარეთ მუშაობა, „გონების გადინების“ თვალსაზრისით, შეიძლება შეფასდეს: 1. როგორც ძალიან მნიშვნელოვანი და სასარგებლო, რადგან მათ მხოლოდ ამ გზით შეძლეს დარჩენილიყვნენ მეცნიერებაში, გაეგრძელებინათ მეცნიერული კვლევები და შეეძინათ მოწინავე მსოფლიო გამოცდილება. 2. იმავდროულად, მათი უცხოეთში ემიგრაციით ჩვენმა ქვეყანამ მნიშვნელოვანი ინტელექტუალური პოტენციალი დაკარგა.

სამწუხაროდ, საქართველოში არ არსებობს სტატისტიკური მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენმა კვალიფიციურმა სპეციალისტმა დატოვა ქვეყანა უკანასკნელი 15-20 წლის განმავლობაში.

საზღვარგარეთ ემიგრაციასთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანია უცხოეთიდან კვალიფიციური სპეციალისტების მიზიდვა. სამწუხაროდ ვერც ამ მიმართულებით შევძლით მიზიდველო პოლიტიკის შემუშავება. და, საერთოდ, ჩვენ მთავრობას არა აქვს შემუშავებული კვალიფიციური სპეციალისტების მიგრაციასთან დაკავშირებული პროგრამა.

### 3. დასტანა

მოცემული პრობლემა სისტემურია. ემიგრაციის გზაზე არსებული ბარიერების მოხსნით იგი არ წევდება. სისტემური მიდგომა გულისხმობს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, რაც შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს და გაზრდის შრომის ანაზღაურებას, გააუმჯობესებს შრომის პირობებს და ამაღლებს ცხოვრების დონეს. აუცილებელია ინოვაციური პო-

ტენციალის ყველა ელემენტის სრულყოფილად გამოყენების მქანიზმების დამუშავება. სრულიად ნათელია, რომ მეცნიერების განვითარებისათვის გაცილებით მეტი თანხებია საჭირო. მეტად მნიშვნელოვანია ინტელექტუალური საკუთრების სფეროში უფრო მაფიო საკანონმდებლო ბაზის არსებობა.

### **ლიტერატურა**

1. Кириченко Э.В. От "утечки умов" к глобальному "круговороту умов" // Мировая экономика и меж-

2. Стрельцова Я.Р. Иммигранты во Франции и в России: общее и различия // Мировая экономика и международные отношения, №7. М., 2008. С. 40-49.
3. Каракурина Л.Б. Иммиграционная политика Германии: успешный и неуспешный опыт // Мировая экономика и международные отношения, №7. М., 2008. С. 50-60.

**UDC 338. 24**

## **DEFINITION OF ``BRAIN DRAIN`` INTERMIGRATION TERMINOLOGY**

**G. Jolia, N. Jolia**

Department of economics and business management, Technical University of Georgia, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resumе:** There are defined the historical aspects of "Brain Drain" as a term, its modern meaning and reasons of causing it at present stage.

There is specified the essence of "Brain Drain" and it is given other definitions of it, such as "Brain Movement" or "Brain Orbiting". There have been studied the main directions of this phenomenon including the world centers of their attraction with the possible positive and negative outcomes. There have also been studied social and economical and uneconomical factors of this attraction.

**Key words:** globalization, innovation, migration, intermigration, recipient, internet, transfer, cluster.

**УДК 338. 24**

## **К УТОЧНЕНИЮ ИНТЕРМИГРАЦИОННОГО ТЕРМИНА «УТЕЧКА УМОВ»**

**Джолия Г.П., Джолия Н.Г.**

Департамент управления экономикой и бизнесом, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Освещены исторические аспекты термина «утечка умов», его современное значение и основание на данном этапе.

Уточнена сущность термина «утечка умов» и он заменен на термин «движение умов», «круговорот умов». Показаны основные направления этого процесса, всемирные центры притяжения, ожидаемые положительные и отрицательные результаты. Рассмотрены социально-экономические и незэкономические факторы международного притяжения интеллектуалов.

**Ключевые слова:** глобализация; инновация; миграция; интермиграция; реципиент; интернет; трансферы; кластеры.

*შემოხვევის თარიღი 28.01.09  
ძილებულის დასაბუღდად 20.02.09*

**შპ 338.24****მეცნიერებისა და განათლების სინერგია – ინოვაციური ეკონომიკის  
ბანკითარების მძღავრი რჩეული****გ. ჯოლია**

ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: g.jolia@rambler.ru

**რეზიუმე:** სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის შეერთება, სინერგია მიჩნეულია ეკონომიკის ინოვაციურობის, მისი ეფექტუანობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მთავარ ფაქტორად. ნაჩვენებია ამ მხრივ მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილება, სახელმწიფო და კურძო სექტორის ურთიერთკავშირი საუნივერსიტეტო მეცნიერების დაფინანსებაში. განხილულია კრეატიული განათლების თავისებურებები და მისი მნიშვნელობა ინოვაციური ეკონომიკის განვითარებაში.

**საკვანძო სიტყვები:** ინოვაცია; ინტეგრაცია; სინერგია; ტრანსფერი; კამპუსი; ტექნოლოგია; კრეატიული კურსები.

**1. შესავალი**

იუნივერსიტეტის განსაზღვრით, XXI საუკუნე განათლებისა და უნივერსიტეტების, მეცნიერებისა და მაღალი ტექნოლოგიების დროა. დღეს, როგორც არასდროს, საზოგადოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება უმთავრესად სამეცნიერო კვლევებზე დამოკიდებული, რადგან მსოფლიო ეკონომიკაში მეცნიერებაზევადი პროდუქციის წილი განუწყვეტლივ იზრდება და განვითარების ინოვაციური მოდელი რეალურად მკითხვდება.

სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის შეერთება, მათი სინერგია ეკონომიკის ინოვაციურობის, მისი ეფექტურობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების ძირითადი ფაქტორია. გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკური, სოციალური და სხვა საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტია სულ უფრო მეტად ინტელექტუალური კაპიტალის, კურძოდ კი ქვეყნის სამეცნიერო-საგანმანათლებლო პოტენციალის ფორმირებაზე დამოკიდებული. მოცემული სიტუაცია მოითხოვს სამეცნიერო-საგანმანათლებლო პოლიტიკის აღევატურ სტრატეგიას, მეცნიერებისა და კადრების მომზადების ინტეგრაციის უნივერსიტეტის მსოფლიო მოწინავე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მრავალი კითხვა კანონზომიერად იძალება. კურძოდ, როგორ შეიძლება განათლების, მეცნიერებისა და წარმოების ეფექტურად ინტეგრირება? როგორ შევხამოთ ერთმანეთს სასწავლო და სამეცნიერო

საქმიანობა? როგორ დავამყაროთ ბიზნესისა და უმაღლეს სასწავლებლებს შორის პარტნიორობა? რას ნიშანავს კრეატიული განათლება? და სხვა.

**2. ძირითადი ნაწილი**

მეცნიერებისა და განათლების აღიანსი, როგორც ინოვაციური ეკონომიკის უთუო პირობა, მსოფლიო განვითარების მოწინავე ტრენდის განხორციელების ერთ-ერთი წანამდგვარია. საზოგადოების განვითარებისადმი ასეთი მიღვომა, რომელიც გერმანელი პუმანიზმის გამოჩენილი წარმომადგენლის, ვილაჟელმ პუმბოლდგის (XVIII-XIX სს.) პრინციპითა ცნობილი, საგანმანათლებლო საქმიანობის უმაღლეს მიზნად ინდივიდის უნივერსალურ განვითარებას მიიჩნევს. მოცემული პრინციპი, რომელიც კონკრეტულად გამოისახება ფორმულით „სწავლებისა და პელევების ერთიანობა“ ან „სწავლება მეცნიერების საფუძველზე“, დღეს განსაკუთრებით აქტუალურია. მაღალკალიფიციური კადრების მომზადების უწყვეტი და დაჩქარებული პროცესი შესაძლებელია მხოლოდ უმაღლესი სკოლისა და მოწინავე კალევითი, ფუნდამენტური მეცნიერების მშედვრო კავშირით.

პოსტსოციალისტურ ეპოქაში საზოგადოების არამატერიალური აქტივები, მისი გამუდმებული ინოვაციური უნარი და სამეცნიერო-საგანმანათლებლო პოტენციალი ეკონომიკური განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორებია. განათლება და მეცნიერება, განსაკუთრებით კი მათი სითეზი, რომელიც სინერგების უძრავი უფლებების მიღების გადაწყვეტია სტრატეგიული მდლავრი ლოკომოტივია, რომლის გარეშე სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი წარმოუდგენელია. ამიტომ უმაღლესი კალიფიკაციის ისეთი კადრების მომზადება, რომლებიც დაგავშირებული არიან სამეცნიერო საქმიანობასთან, მსოფლიო მოწინავე ქადაგებში სულ უფრო პრიორიტეტული მიმართულება ხდება.

ნათელია, რომ უმაღლესი სკოლისა და მეცნიერების მოდერნიზაცია მნიშვნელოვანი კაპიტალური დაბანდებების გარეშე შეუძლებელია. ამიტომ მსოფლიო მოწინავე ქვეყნები ამ სფერში სახელმწიფო ასიგნებებს ყოველწლიურად ზრდიან და სამეცნიერო კალევებში, შესაბამისად, წარმატებული შედეგებიც აქვთ (ინოვაციური აქტიურობა, მსოფლიო ურნალებში პუმბლიკაციათა რიცხოვნობის ზრდა და ა.შ.)

უკანასკნელ ათწლეულებში მთელ მსოფლიოში საუნივერსიტეტო კელევები მკვეთრად გაიზარდა. მძღვანილი და მრავალფეროვანი სამეცნიერო სტრუქტურები აქვთ აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, კანადის, გერმანიის, იაპონიისა და სხვა მოწინავე ქვეყნების მსხვილ უნივერსიტეტებს. ზოგიერთ მათგანში შექმნილია უძალლესი განათლების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან. სამეცნიერო კვლევებს ასრულებენ საუნივერსიტეტო ასოციაციები და კავშირები.

სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით შექმნილი მძღვანილი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მაგალითია პავარიის უმაღლესი განათლებისა და დაგეგმვის სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ქ. მიუნხენში და ნორვეგიის უმაღლესი განათლების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ქ. ოსლოში. საუნივერსიტეტო მეცნიერების ორგანიზაციასა და ფინანსურ მხარდაჭერაში უდიდეს როლს ასრულებს იუნისკოსთან არსებული უმაღლესი განათლების ევროპული ცენტრი, რომელიც გამოსცემს ქურნალს „უმაღლესი განათლება ევროპაში“. სამეცნიერო კვლევებს ფინანსურად საკმაოდ ეხმარება სხვადასხვა კერძო ფონდი და მსხვილი კორპორაცია, კერძოდ, დიდ ბრიტანეთში – ნაფილდას ფონდი, გერმანიაში – კონცერნ „ფოლკსვაგენის“ ფონდი, აშშ-ში – კარნეგის კომისია უმაღლესი განათლების შესახებ და სხვ.

უმაღლესი სასწავლებლების ინოვაციური საქმიანობის განვითარების ბაზად ფუნდამენტური კვლევები გვევლინება. მათი ხედითი წილი საუნივერსიტეტო კვლევების საერთო მოცულობაში 2005 წელს იაპონიაში შეადგინდა 55%-ს, აშშ-სა და გერმანიაში – 60%-ს, საფრანგეთში – 90%-ს, ხოლო დიდ ბრიტანეთში – 95%-ს. მეცნიერებაზე გამოყოფილი ასიგნებებიდან უმაღლეს სასწავლებლებს აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში ეძლევათ 11-12%, ხოლო იაპონიასა და საფრანგეთში – 15-16% [2, გვ. 85].

მეცნიერებისა და განათლების ინტეგრაციის მხრივ ლიდერობს აშშ, სადაც საუნივერსიტეტო სამეცნიერო კვლევები გამოიჩინება მასშტაბურობით, მიზანმიმართულებით, მაღალი დავერსიფიკაციით, მოწინავე ორგანიზაციული ფორმებით. ამ პროცესში მნიშვნელოვანი წელილი შეაქვს ბიზნეს-სკოლებს, სადაც სტუდენტები ეცნობიან ბაზრის თანამედროვე რეალობებს, კომერციულ საიდუმლოებებსა და იძენენ პრაქტიკულ უნარებებს. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ კადრების მომზადების ინოვაციურობის დონით აშშ მრავალ ევროპულ ქვეყანას უსწრებს.

აშშ-ში დაგროვილია საუნივერსიტეტო კვლევების განვითარების მდიდარი გამოცდილება. ესაა უმაღლესი სასწავლებლების სრულიად ახალი ტიპი. მისი დამახასიათებელი თავისებურებაა სასწავლო პროცესსა და საუნივერსიტეტო

კვლევების კველა კომპონენტში (კამპუსი, ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, თანამედროვე სამეცნიერო დანადგარები და სხვ) მეცნიერებისა და განათლების მჭიდრო კავშირი. ასევე სამეცნიერო კვლევების უფრო პროგრესულ მიმართულებებზე, ინოვაციებზე, მაღალ ტექნოლოგიებზე სტუდენტების ორიენტაცია. აშშ-ის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მონაცემებით, აშშ-ის უმაღლეს სასწავლებლებში 2005 წელს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე დაიხარჯა 26.3 მლრდ დოლარი, აქედან 69% – ფუნდამენტურ კვლევებზე, 24% – გამოყენებითზე, ხოლო 7% – დამუშავებაზე. აღნიშვნელი თანხის ნახევარი ფედერალურმა მთავრობამ გაიღო [2, გვ. 85].

დიდ ბრიტანეთში არსებობს ეკონომიკაში სამეცნიერო შედეგების დანერგვის მოქნილი სისტემა. კერძოდ, კოველ უნივერსიტეტში იგი მოიცავს რამდენიმე სტრუქტურას: ტექნოლოგიების ტრანსფერის ოფისებს, სადაც მეცნიერები თავიანთი პრობლემების შესახებ კონსულტაციებს იღებენ; სპეციალურ სახელმწიფო ფონდებს, რომლებიც დამწყებ ტექნიკურ კომპანიებს აფინანსებენ (საწყისი კაპიტალი მათ უსასყიდლოდ გადაეცემათ); დამოუკიდებელ ვენტურულ ფონდებს, რომელთა შექმნაში მონაწილეობს როგორც სახელმწიფო (75%), ისე უნივერსიტეტები (25%) და იმართება ამ უკანასკნელთა მიერ; სამეცნიერო ტექნოლოგების.

სახელმწიფოები საუნივერსიტეტო მეცნიერებაში მნიშვნელოვან თანხებს აბანდებენ, სანაცვლოდ კი სერიოზულ უპუგებასაც იღებენ – ესაა კომპანიებიდან საგადასახადო შემოსავლები, დამატებითი სამუშაო ადგილები, და უკელაზე მთავარი – პერსპექტიული, შემოქმედებით სპეციალისტები.

განვითარების ინოვაციური პარადიგმა მრავალი ქვეყნის წინაშე სტრუქტურული მნიშვნელობის მიზანს სახავს – უნივერსიტეტების, სამეცნიერო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების კოოპრაციის ოპტიმალური მოდელის აგება, მათი ინტეგრაციისა და თანამშრომლობის ალგორითმის შემუშავება. მოცემული ამოცანის აქტუალურობა განპირობებულია ზემოაღნიშნული ფაქტორებით (საქონლისა და მომსახურების მსოფლიო ბაზებზე კონკურენციის გამწვევება), ასევე ინტელექტუალურ რესურსებზე ბრძოლის გამწვევებით.

ინოვაციური ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისი მაღალ კვლევითი ფიციური კადრების კვლავწარმოების პრობლემა დღეს მსოფლიოში პირველ პლანზე გამოდის. დასავლეთის ქვეყნების მსხვილი კორპორაციები მაღალი ტექნოლოგიების სფეროში სამეცნიერო კვლევებისათვის, ასევე საჭირო რაოდენობისა და ხარისხის სპეციალისტების მოსამზადებლად მნიშვნელოვან თანხებს ხარჯავენ და ამით უმაღლესი განათლების სფეროში სახელმწიფოებსა და კერძო სექტორის პარტნიორობის მჭიდრო სისტემას აყა-

ლიბებები. მსოფლიოს მოწინავე უნივერსიტეტებისათვის სამი აქტიორის (ბიზნესი, უნივერსიტეტი და მეცნიერება) სიმბიოზი დღეს განსაკუთრებით ნიშანდობლივია.

საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა დააფინანსოს განათლება, განვითარებულ ქვეყნებში დიდი ხანია გადაწყვეტილია. იგი სახელმწიფოს კომპეტენციაშია, რადგან სწორედ სახელმწიფო საზოგადოებრივი ინტერესების დამცველი. მაგ., აშშ-ში, სადაც მსოფლიოში ყველაზე დიდია განათლების სისტემაზე გაწეული ხარჯები, სახელმწიფოს წილი 80% მოდის. ამ ქვეყანაში ერთობლივმა ხარჯებმა (სახელმწიფო + კერძო), ყოველწლიურად, ასტრონომიულ რიცხვს, 800 მილიარდ ლოდარს მიაღწია. ანალოგიური მდგრამარეობაა საფრანგეთში, გერმანიაში, იაპონიაში, შვედეთსა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში. მშპ-ში განათლების ხარჯები შეადგენს: თურქეთში – 3.7%-ს, საბერძნეთში – 3.0%-ს, იაპონიაში – 3.4%-ს, გერმანიაში – 4.5%-ს, ესპანეთში – 4.4%-ს, იტალიაში – 5.0%-ს, ჩეხეთში – 4.4%-ს [3, გვ. 65].

ამ მიმართულებით საყურადღებო ძვრებია დამახასიათებელი სამამულო უმაღლეს განათლებაშიც. იგი განპირობებულია საქართველოს გადასვლით ინოვაციური განვითარების მიმართულებაზე, ბოლონიის საგანმანათლებლო შეთანხმებაზე მიერთებით და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებით.

საზღვარგარეთული მოწინავე გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თანამედროვე ეკონომიკა ეფუძნება კორპორაციულ კავშირებს, საშუალო და მცირე ბიზნესში მეცნიერებატევად მიღვიმებს. მაგალითად, გერმანული კომპანია „სიმენსისათვის“ ათობით ათასი მცირე მეცნიერებატევადი საწარმო (ფირმა) მუშაობს. აშშ-ში კი მცირე ბიზნესის სფეროში ინოვაციური დამუშავების სტიმულირება ფედერალური მთავრობის საქმიანობის მთავარი მიმართულებაა.

კადრების მომზადების ადრინდელი, საბჭოური სისტემა, რომელიც მხოლოდ სახელმწიფოზე იყო დამკიდებული, ჩვენი უკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფოსა და კერძო სექტორის პარტნიორობით იცვლება. საიდუმლო არ არის, რომ სამამულო კერძო ბიზნესსტუქტურები მოგების სწრაფად მიღებაზეა ორიენტირებული. კონკურენტიანი სპეციალისტების მომზადება კი ხანგრძლივი პროცესია, რომელიც „დიდ თანხებს“ მოითხოვს და ეს თანხები სახელმწიფოს ხელშია თავმოყრილი.

თანამედროვე უნივერსიტეტები თვისებრივად ახალ სახეს იღებენ – ქვეყნის მთავარი „გონგბრივი ცენტრები“ ხდებიან. ამასთან, საუბარია ცალსახად, უმაღლესი განათლების პროფილის შეცვლაზე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

უმაღლესი განათლების მოდერნიზაციას ითვალისწინებს მრავალსაფეხურიანი მოდელი, რო-

მელიც ბოლონიის დეკლარაციითაა რეკომენდებული.

ბოლონიის პროცესი მრავალმასშტაბიანი პროექტია. იგი უმაღლესი განათლების უკროპული სივრცის შექმნას გულისხმობს. ამ სფეროში ინტეგრაცია დაკავშირებულია პროცესში მონაწილე მხარეების მიერ აღიარებული შემდეგი ძირითადი პრინციპების თანამიმდევრულ განხორციელებასთან: აკადემიური ხარისხების იოლად გასაგები და შესაძარებელი სამსაფეხურიანი სისტემის შემოღება; კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ეკროპული სისტემის დანერგვა; სტუდენტის მობილობის ხელშეწყობა; განათლების ხარისხის უზრუნველყოფა; უმაღლესი განათლების ეკროპული სივრცის მიმზიდველობის ზრდა; უმაღლეს განათლებაში ეკროპული განხორციელების დანერგვა; სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში; სტუდენტთა მონაწილეობა უმაღლესი სასწავლებლების მართვაში; უმაღლეს განათლებაში სწავლებისა და კვლევის განუყოფლობა.

ეს ჩამონათვალიც კი ნათლად გვარწმუნებს, თუ რაოდენ სერიოზული რეფორმებია გასატარებელი დროის მოკლე მონაცემთში, რომ 2010 წლისათვის ანუ იმ პერიოდისათვის, როდესაც ბოლონიის პროცესის ძირითადი ეტაპის დასრულებაა ნავარაუდევი, საქართველო უმაღლესი განათლების ეკროპული სივრცის სრულფასოვანი წევრი გახდეს.

ბოლონიის მრავალსაფეხურიანი სასწავლო მოდელი მრავალ ქვეყანაში წარმატებით ფუნქციონირებს, რადგან მას რიგი უპირატესობები აქვს. თუმცა, ამ პროცესიდან ის მიღვიმები უნდა ავირჩიოთ, რომლებიც ჩვენს ეროვნულ ცნობიერებას მეტად შეესაბამება. ამ მიმართებით საყურადღებო სპეციალისტების მომზადების ინდივიდუალური მეთოდი, განსაკუთრებით მაგისტრატურაში, ასევე ეკროპის მოწინავე უნივერსიტეტებთან ერთობლივი საგანმანათლებლო საქმიანობა. ამ პრატიკის გამოყენების პირობებში აუცილებელია ჩვენი უნიკალური საინიცირო განათლების სრულყოფა, რომელიც ფუნდამენტურ მომზადებას, მეცნიერებისა და განათლების ჰქილორ ინტეგრაციას ეფუძნება.

თანამედროვე ეტაპზე, სამეცნიერო-საგანმანათლებლო და ინტელექტუალური კაპიტალი წარმატებული კომპანიისა და კონკურენტუარიანი ეკონომიკის ძირითადი აქტივია. ამიტომ მომავალი ეპუზონის მათ, ვისაც შემოქმედებითი თვითრეალიზაცია შეუძლია, როდესაც, როგორც აღბერტ აინშტაინს მიაჩნდა, „წარმოსახვა ცოდნაზე მნიშვნელოვანია“. ამასთან დაკავშირებით, ბოლო პერიოდში სშირად გაისმის გამოთქმები: „კრეატიული საქმიანობა“, „პრეტაიული მენეჯმენტი“, „კრეატოსფერი“, „კრეატიული განათლება“ და სხვ.

ეს უკანასკნელი, ანუ „კრეატიული განათლება“, ახალი სახის ისეთი სასწავლო საქმიანო-

ბაა, რომელსაც პრაქტიკული მიზნები და შინაარსი აქვს: ადამიანის შემოქმედებითი შესაძლებლებების განვითარება, საკუთარი იდეების რეალიზაციისათვის ინდივიდუალური საინიციაციო საქმიანობის შესაძლებლებების გაფართოება და სხვ. კრეატიული განათლების უმთავრესი თავისებურება ისაა, რომ იგი გამოყენებით რაციონალური სიახლეების შექმნასა და პრაქტიკულად დანერგვაზე, შემოქმედებითი აზროვნებისა და პრაგმატიული ანალიზის ინსტრუმენტის ფლობისთვისაა გამიზნეული. თანდათან ვლინდება შრომის ახალი თავისებურება – შემოქმედებითი საქმიანობა, როგორც მიზნობრივი, შემოქმედებითი ადამიანის (Homo-creator) თვითრეალიზაციის ძირითადი ფუნქცია.

კრეატიული განათლებისათვის დამახასიათებელი დრმა, ფუნდამენტური მომზადება გამუდმებით სისტემატიზებულ ეფექტს იძლევა, ხელს უწყობს უწყვეტ სწავლებას, განვითარების ტენდენციების საღად შეფასებას და მომავლის რაციონალურად პროგნოზირებას. რეპროდუქციული, უპირატესად პრაგმატიული განათლებისაგან განსხვავებით, კრეატიული განათლება აფართოებს პრობლემების რეალურად აღქმასა და მათი გადაწყვეტის შესაძლო ვარიანტებს, ასტიმულირებს მენეჯმენტური გადაწყვეტილებების შემოქმედებით მიღებოდას.

დღეს სრულიად გასაგებია, რომ ეკონომიკის ყოველ სფეროში შემოქმედებით ფაქტორს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ხელსაყრელი და ორიგინალური ინოვაციური მიღგომები ყოველი ფირმის სელმდგარებულების მიერ განიხილება, როგორც საბაზრო ეკონომიკაში კონკურენტების წინაშე, ბაზრის ცვლილებებთან და ახალ ტექნოლოგიებთან ადაპტირების მძლავრი საშუალება.

